საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ბენიამინ სილაგაძე

არაბთა ბატონობა საქართველოში

(არაბული ცნობების მიხედვით)

თბილისი
„მეცნიერება“
1991

63.3(2Г)
ს 50

წინამდებარე ნაშრომი, როგორც სათაურიდანაც ჩანს აგებულია არაბი მწერლების ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის თხზულებებში დაცულ ცნობებზე და ძირითადად არაბთა ბატონობის ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიაა. მასში დამოწმებული არაბული ცნობები შესაძლებლობის ფარგლებში შედარებულია ჩვენთვის ხელმისაწვდომი სხვა (არაარაბულ) წყაროთა შესაბამის მონაცემებთან. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები ადასტურებენ ან აზუსტებენ და ასწორებენ ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრე გამოთქმულ და უკვე დამკვიდრებულ შეხედულებებს ამა თუ იმ მოვლენის, ამბის, ფაქტის შესახებ.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ქ. ჩხატარაიშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. შენგელია,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ლ. დავლიანიძე

ს $\frac{0509020906}{М\ 607\ (06)-91}$ 133—91

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1991

ISBN 5—520—00964—3

წინასიტყვაობა

არაბთა 300-წლიანი ბატონობა საქართველოში, VII ს. 40-იანი წლებიდან X ს. 20-იან წლებამდე რომ გაგრძელდა და ქართველი ერის ისტორიის ერთ-ერთ ვრცელ მონაკვეთს შეადგენს, რა ხანია ინტენსიური კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ალბათ, არ არსებობს ადრე ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის მკვლევარი, ვინც „არაბობას" როგორც პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას რამდენადმე მაინც არ შეხებოდეს. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ მის შესწავლას იმთავითვე საფუძვლად ედო ნარატიულ წყაროთა მყარი ბაზა, რომელიც ქართულის გარდა მოიცავს აგრეთვე უცხოურ. კერძოდ არაბულენოვან ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის თხზულებებსაც.

არაბ მწერალთა ცნობების შემოტანა მეცნიერულ ბრუნვაში და მათი მეშვეობით „არაბობის" გეგმაზომიერი, ინტენსიური შესწავლა, რაც დღესაც წარმატებით მიმდინარეობს, უშუალოდ დაკავშირებულია ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას სახელთან. მაგრამ შეიმჩნევა, რომ მათ და მათი თაობის სხვა ქართველ ისტორიკოსთა შრომებში არაბულ წყაროთა მონაცემებს როგორღაც დაქვემდებარებული ადგილი უჭირავთ. ისინი ძირითადად მოხმობილი არიან ქართულ წყაროთა ცნობების სანდოობის შესამოწმებლად და ამდენად არასრულად, რადგან ქართულმა თხზულებებმა მხოლოდ მცირე რამ შემოგვინახეს არაბობის შესახებ. მაშასადამე, არაბ ავტორთა ცნობების რაღაც გარკვეული რაოდენობა მეცნიერული მიმოქცევის გარეთ რჩებოდა და გამომზეურებას საჭიროებს. ამას გარდა, საყურადღებოა ის აუცილებლად გასათვალისწინებელი გარემოებაც, რომ საქართველოში არაბთა ბატონობის შესწავლისას არაბ ავტორთა ცნობების ძირითადი ნაწილი გამოყენებულია ევროპულ ენებზე არსებული თარგმანების მეშვეობით. ეს თარგმანები კი სხვადასხვა მიზეზების გამო ყოველთვის არაა ზუსტი და არცთუ იშვიათად ხდებიან სერიოზული შეცდომების საფუძველი. საქმეს რომ ეშველოს, ამისათვის საჭი-

რია უშუალოდ წყაროებთან მისვლა, საქართველოს შესახებ მათში დაცული ყოველი ცნობის მოძიება, კრიტიკული შესწავლა, თარგმნა და თარგმანთან ერთად მისი შესატყვისი არაბული ტექსტის გამოქვეყნება სათანადო კომენტარების დართვით, ისე როგორც ეს მიღებულია იქ, სადაც მეცნიერული მუშაობა თანამედროვე დონეზეა.

ვერ ვიტყვით, რომ ამ მიმართებით ჩვენთან არაფერია გაკეთებული, მაგრამ გასაკეთებელი რომ ჯერ ბევრია ამის უარყოფაც არ შეიძლება.

მართალია, თანამედროვე ხელშემშლელ პირობებში, როცა მთელ ქვეყანაში საბიბლიოთეკო და სასტამბო-საგამომცემლო საქმე სავალალო მდგომარეობაშია, როცა მწვავედ იგრძნობა ქაღალდის დეფიციტი და მეცნიერ-მკვლევარი „პროკრუსტეს“ სარეცელზეა გართხმული, როცა იგი ერთობ ღარიბ ულუფაზე ზის და ყოველივე ამის გამო წართმეული აქვს შემოქმედებითი მუშაობის ხალისი, ამის გაკეთება იოლი არაა. მიუხედავად ამისა, ყოველივე ეს მაინც უნდა გაკეთდეს, რადგან ამის გარეშე საქართველოში არაბთა ბატონობის (და განა მარტო არაბთა ბატონობის?) სრულყოფილი ისტორიის დაწერა შეუძლებელია. არადა, ასეთი ნაშრომის შექმნა დროის მოთხოვნაა და მკითხველი მას კარგა ხანია ელოდება.

ამ რთული სამუშაოს ფონზე ჩვენი მიზანი ერთობ მოკრძალებულია. წინამდებარე ნაშრომი, როგორც სათაურიდანაც გამოკვეთილად ჩანს, აგებულია არაბი მწერლების ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის თხზულებებში დაცულ ცნობებზე და უმთავრესად არის არაბთა ბატონობის ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორია. მასში დამოწმებული არაბული ცნობები, შესაძლებლობის ფარგლებში, შედარებულ-შეჯერებულია ჩვენთვის ხელმისაწვდომი სხვა, არაარაბულ წყაროთა შესაბამის მონაცემებთან. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები ადასტურებენ ან აზუსტებენ ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრე გამოთქმულ და უკვე დამკვიდრებულ შეხედულებებს ამა თუ იმ მოვლენის, ამბისა და ფაქტის შესახებ.

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების, კერძოდ კი მოცულობის შეზღუდვის გამო, ნაშრომში ასახვა ვერ ჰპოვა გეოგრაფიულმა, ეთნოგრაფიულმა, სავაჭრო-კულტურულმა თუ სხვა სახის ცნობებმა, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ აღებული ხანის საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების უკეთ გასაშუქებლად. მათი ადგილი დავუთმეთ შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომს, მიძღვნილს საქართველო-

ბიზანტიის ურთიერთობისადმი დავით III დიდი კურაპალატის დროიდან ბაგრატ IV-ის მეფობის II ნახევრამდე. მართალია, ეს ქმნის ერთგვარ შეუსაბამობას ნაშრომის სათაურსა და მის შინაარსს შორის, მაგრამ, ვფიქრობთ, ამით მაინცდამაინც არაფერი დაშავებულა. მთავარი ისაა, თუ როგორი იქნება ობიექტური მკითხველის რეაგირება ყოველივე იმის მიმართ, რაც წიგნშია გადმოცემული.

პირველი თავი

არაბი და არაგულენოვანი მწერლების ცნობები IV—VI სს. საქართველოს შესახებ

უძველესი ცნობა, რომელიც არაბი და არაბულენოვანი ავტორების ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის თხზულებებში გვხვდება საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ IV—VI სს-ში მომხდარ ამბებს ეხება. ამ დროს კი, როგორც ცნობილია, მთელი ამიერკავკასია და მაშასადამე, საქართველოც, ორი დიდი დამპყრობლის — სასანური ირანისა და ახალი რომის იმპერიის, ანუ ბიზანტიის ცილობის ობიექტს წარმოადგენდა. ერთიცა და მეორეც, აქ გაბატონებას ცდილობდა და ამისათვის გამუდმებით იბრძოდა. მაგრამ ძალთა თანაფარდობა ისეთი იყო, რომ საწადელს ვერც ერთი აღწევდა და ვერც მეორე. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში ბიზანტიის გავლენა სჭარბობდა, აღმოსავლეთში კი ირანისა, რომელსაც აქ ბიზანტიის გარდა ჩრდილოეთ კავკასიაში მომძლავრებული ჰუნები, ალანები, სავირები, სარაგურები, ხაზარები და სხვა ტომებიც ეცილებოდნენ.

ამიერკავკასიის განაწილება გავლენის სფეროებად ჯერ კიდევ IV ს-ში მოხდა. 387 წლის შეთანხმების საფუძველზე სომხეთი, ალბანეთი და იბერიის ნაწილი (ქვემო ქართლი) ირანს ერგო, დანარჩენ ტერიტორიას, რომის იმპერია დაეპატრონა.

ამიერკავკასიის დანაწილებას გავლენის სფეროებად თან მოჰყვა სომხეთის, ალბანეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის თანდათანობით შესუსტება-გაქრობა. 428 წელს მეფობა გაუქმდა სომხეთში, ხოლო 463 წელს — ალბანეთში. მალე ასეთივე ბედი ეწია საქართველოსაც. 523 წელს მეფის ხელისუფლება დაემხო ქართლში, ხოლო უფრო გვიან, დაახლოებით VI ს. ბოლოს თუ VII ს. 20—30-იან წლებში — ეგრისში. ქართველი მეფე-მთავრების ბრძოლას ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად სასურველი შედეგი

არ მოჰყოლია. საქართველოში ირანმაც და ბიზანტიამაც უმეშვეო მმართველობა დაამყარეს და თავიანთი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული წესები შემოიღეს.

IX ს. არაბი მწერლის აბუ ხანიფა ად-დინავარის (გარდ. 895 წ.) ცნობით, ირანი VI ს-ში 4 ნაწილად იყო დაყოფილი. მისი ერთი მეოთხედი მოიცავდა ხორასანს, სიჯისთანსა და ქირმანს; მეორე — ისპაანს, კუმს, ალ-ჯიბალს, აზერბაიჯანსა და სომხეთს; მესამე — ფარსს და ალ-ახვაზს ბაჰრეინამდე, ხოლო მეოთხე — ერაყს, არ-რუმის, ანუ ბიზანტიის საზღვრამდე. ოთხად გაყოფილი ქვეყნის თითოეულ ნაწილს მართავდა ერთი კაცი[1], რომელსაც „პადოსპანი" ეწოდებოდა.

ად-დინავარი ამ რეფორმას ხოსრო I ანუშირვანს (531—579) მიაწერს[2]. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული აზრის მიხედვით, აღნიშნული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის თარიღად კავად (კუბაზ) I-ის ზეობის წლები (488—531) არის მიჩნეული[3]. ამ მოსაზრებისაა ს. ერემიანიც[4], ხოლო ნ. პიგულევსკაია კი ვარაუდობს, რომ ასეთი ცვლილებები ირანის სახელმწიფო ორგანიზაციას საფუძვლად დაედო ჯერ კიდევ III საუკუნეში[5].

აღნიშნული რეფორმა რომ ხოსრო I-მდე, კერძოდ, კავად I-ის დროს მომხდარა თანამედროვე აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაშიც დომინირებს. ამ შეხედულების ავტორი ზ. ბუნიატოვი აღნიშნავს, „იმპერიის დაყოფა ოთხ პროვინციად, ანუ კუსტაკად ხოსრო I-მდე მოხდაო" და ამის დასამტკიცებლად მოაქვს ატ-ტაბარის ცნობა, სადაც თითქოს საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ „ხოსრო ანუშირვანმა ტახტზე ასვლისთანავე წერილები დაუგზავნა 4 ნაწილად გაყოფილი ირანის ოთხ პადოსპანს", მათ შორის „სომხეთ-აზერბაიჯანისა და მეზობელი „ხაზართა ქვეყნის" პადოსპანს ზადუიათ იბნ ალ-ნახირაჯანს"[6]. ნამდვილად საქმე სულ სხვაგვარადაა. ატ-ტაბარი ამას გარდა, იმასაც იტყობინება, რომ ხოსრო ანუშირვანმა ირანი ოთხ ნაწილად

---

[1] Al-Dinawarī Kitāb al-ahbār at-tuwāl. ed, W. Gūirgass, Leide, 1888, გვ. 69 (შემდეგ—ად-დინავარი).

[2] იქვე.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, ტ. II, გვ. 248.

[4] Очерки истории СССР, III—IX вв., М., 1958, с. 219.

[5] Н. Пигулевская, Города Ирана в раннем средневековье. М.—Л., 1956, с. 169.

[6] З. М. Буниятов, Азербайджан в VII—IX вв. Баку, 1965, с. 39.

გაჰყო[7]. ამდენად, ატ-ტაბარის ცნობა მთლიანად ადასტურებს ად-დინავარის მონაცემებს ირანში მომხდარი ტერიტორიულ-ადმინის-ტრაციული ცვლილებების შესახებ და მისი სისწორე ეჭვს არ უნდა იწვევდეს[8].

სანამ კუსტაკებად (რუსთაკებად) ირანის დაყოფა მოხდებოდა, ქვეყანას ერთი საერთო სამხედრო ხელმძღვანელი ჰყავდა. ეს იყო „სპახბედი". ანუშირვანმა კი ეს თანამდებობა გააუქმა და, როგორც ატ-ტაბარი იუწყება, სპახბედის პატივი გადასცა პროვინციის (კუსტა-კის) მმართველ პადოსპანებს, რომლებსაც, იმისდა მიხედვით, თუ ვინ რომელ პროვინციას განაგებდა, ეწოდებოდათ „აღმოსავლეთის („მაშრი ის") სპახბედი", „დასავლეთის (მაღრიბის) სპახბედი", „სამხრეთის (ნიმრუზის) სპახბედი" და „ჩრდილოეთის (ჯარბის)) სპახბედი"[9]. ასე რომ, ამიერიდან პროვინციის გამგებელი სამოქალაქო ხელისუფლების გარდა სამხედრო ხელისუფლებასაც ფლობდა.

იბნ ხურდაზბიჰის მიხედვით, „ჯარბი" (الجربى), ანუ ჩრდილო-ეთის კუსტაკი მოიცავდა ირანის იმპერიის მეოთხედ ნაწილს, კერძოდ აზერბაიჯანს, სომხეთს, რეის, არ-რანის ტერიტორიას და იწოდებოდა აზერბაიჯანის სპახბედოდ („აზარბაზქან ისბაჰბიზ")[10], რომლის ცენ-ტრი იყო ქალაქი განძაკი.

კუსტაკები უფრო მცირე ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერ-თეულებად — „შაჰრებად", ანუ ოლქებად იყოფოდნენ. შაჰრის (شهر)

---

[7] Chronique de Abu-Djafer-Mohammed ben Jazid Tabarī, traduite Sur la version persane d'Abau-Ali Mohammed Bel'ami d'aprés les manuscrits de Paris de Gotha de Londres et de Canterburg, par M. Herman Zotenberg, I—IV, 1867—1874, t. II. გვ. 167; Histoire des reis de Perses par Abou Mansour Abd al-Malik ibn Mohammed ibn Isma'il Al-Tha'alibi. Texte arabe publie et traduit par H. Zotenberg, Paris, 1900, გვ. 614. ირანში მომხდარ ამ ცვლილებებს ხოსრო I-ის სახელს უკავშირებენ ავრეთვე თ. ნელდეკე (იხ. М. И. Артамонов, История Хазар, Л., 1962, გვ. 125) და ა. ტერ-გევონდიანი (А. Н. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, Ереван, 1977, გვ. 151).

[8] ეს თვით ბენიათოვის ნაშრომიდანაც ჩანს (З. М. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 41).

[9] Annales quos Scriptis Abu Dja'far Mohammed ibn Djarir at-Tabarī, Ed. M. I, de Goeje series I—III, Lugduni Batavorum, 1879—1901, t. I, გვ. 89 (შემდეგ: ატ-ტაბარი).

[10] Kitāb al-MasaliK Wa'l-Mamalik (liber viarum et-regnorum) autore Abu'l Kāsim Obaidollah ibn Abdallah ibn Khordādhbeh. Ed. M. J. de Goejl. Biblio-

როგორც ოლქის აღმნიშვნელი ტერმინის არაბული შესატყვისია „ქურ“ (كور) რომელსაც იხსენიებს ატ-ტაბარი[11].

ჩრდილოეთის კუსტაკი აერთიანებდა 13 შაჰრს, ანუ ქურას, რომელთაგან ერთ-ერთი იყო „ვარჯანი“ (ივერია)[12]. შაჰრს, რომელსაც აგრეთვე „ისთან-“საც უწოდებდნენ, „ისთანდარი (استندار) ან „მარზბანი“ მართავდა. 523 წლიდან ქართლის მარზბანის ადგილსამყოფელი ქ. თბილისი იყო. მანამდე კი აქ, როგორც ცნობილია, „პიტიახში“ იჯდა და თვალყურს ადევნებდა ირანის შაჰის ვასალ (IV ს.) ქართლის მეფის მოქმედებას.

ჯარბის, ანუ ჩრდილოეთის კუსტაკს დიდი, პასუხსაგები მისია ჰქონდა დაკისრებული, მას უნდა დაეცვა იმპერიის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგეების თავდასხმისაგან, როგორებიც იყვნენ ბიზანტიელები და ხაზარები. ამიტომ მისი გაძლიერება ირანის შაჰების ყოველდღიურ საზრუნავს შეადგენდა.

ამის საპასუხოდ ქმედით ღონისძიებებს ახორციელებდა ბიზანტიაც. სასანური ირანის მხრიდან მუდამ მოსალოდნელი თავდასხმების მოგერიებისა და თავისი აგრესიული მოქმედების განხორციელების მიზნით, იქაც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ხასიათის ცვლილებები მოხდა. შიგა სომხეთი, სატრაპული სომხეთი, პირველი სომხეთი, მეორე სომხეთი და პოლემონური პონტის (Понт полемейский) სომხეთი გაერთიანდა და ის სამართავად გადაეცა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებით აღჭურვილ სტრატეგს — მაგისტრს.

536 წელს იუსტინიანე I-ის (527—565) ბრძანებით, გაერთიანებული სომხეთი (უფრო სწორად არმინია, რადგან იგი გარდა საკუთრივ სომხეთისა სხვა ტერიტორიასაც მოიცავდა) დაიყო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად: I, II, III და IV არმინიად. I არმინიაში, რომლის ცენტრი ქ. ვიზანი იყო, შევიდა შიგა სომხეთი, პოლე-

---

teca Geographorum arabicorum. Lugduni — Batavorum, 1889. VI, გვ. 118—119 (შემდეგ—იბნ ხურდაზბიჰი); Н. А. Карацулов, Сведения арабских писателей о Кавказе. Армении и Азербанджане (Сборник материалов для описания местностей и племен кавказа, Тифлис, 1903, вып. XXXII, с. 5). შემდეგ მოკლედ: СМОМПК

11 ატ-ტაბარი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 814.

12. Армянская география VII в. (приписываемая Моисею Хоренскому). Перевод с древнеармянского К. Патканова. СПб., 1877, с. 58; Г. В. Луконин, Иран в эпоху первых сасанидов, Л., 1961, с. 19, 24.

ბონიის პონტის სომხეთისა და ადრინდელი I სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი: II არმინიაში გაერთიანდა ყოფილი I სომხეთის ნაწილი, ელენოპონტის ნაწილი და აგრეთვე ნაწილი პოლემონიის პონტისა. ცენტრი ამისა იყო ქ. სევასტია; III არმინია მოიცავდა ადრინდელ II სომხეთს (ცენტრი ქ. მელიტენი), ხოლო IV არმინია — სატრაპიის ავტონომიური ოლქების ყოფილ ტერიტორიას. ცენტრი ქ. მარტიროპოლი (ტიგრანაკერტი)[13].

VI ს. უკანასკნელ მეოთხედში ირანის საშინაო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. 579 წელს ხოსრო I ანუშირვანი გარდაიცვალა. მის მემკვიდრეს ჰორმუზდს (579—590) 589 წელს სარდალი ბაჰრამ ჩუბინი აუჯანყდა. შაჰმა აჯანყების ჩაქრობა ვერ შეძლო და ის ტახტიდან გადააყენეს. ქვეყნის მართვა ჰორმუზდის ვაჟს ხოსრო II ფარვიზს (591—628) მიანდვეს. მან აჯანყების ჩასაქრობად და მისი მოთავის დასასჯელად დახმარება სთხოვა ბიზანტიის კეისარს მავრიკეს (582—602), რომელსაც სომხეთი და ქართლი აღუთქვა. მავრიკემ შაჰს დახმარების ხელი გაუწოდა. 591 წელს ბაჰრამი დამარცხდა და ბიზანტიამ შეპირებული ტერიტორიები მიიღო. ქართლში მეფობა აღსდგა. მეფეს კეისარი ამტკიცებდა და წოდებასაც თვითონ აძლევდა. გურგენს (გუარამს) მან კურაპალატობა უბოძა, ხოლო მის შემცვლელს, სტეფანოზ I-ს — პატრიკიოსობა. პატრიკიოსად იწოდებოდა ეგრისის გამგებელიც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მეფობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რომ ქვეყანას ფაქტობრივად მეფე კი არა, მისი ნაცვალი პატრიკიოსი მართავდა.

604 წელს ირან-ბიზანტიის ომი განახლდა. ირანმა მოწინააღმდეგეს წაართვა სირია, ფინიკია, სომხეთი, კაპადოკია, პალესტინა და ქართლი. ომით ისარგებლეს ქართველმა აზნაურებმა, მათ დაიწყეს ქართლის თანდათანობით განთავისუფლება სპარსელთა უღლისაგან და ბრძოლა სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, მაგრამ 622 წელს ბიზანტიის უეცარმა თავდასხმამ ირანზე ქართველ აზნაურთა დაწყებული საქმე საბოლოოდ ჩაშალა. 628 წელს ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ (610—641) შეძლო თბილისის აღება და ქართლის დაბრუნება, რაშიც მას ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს ხაზარებმა.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ ხაზარები და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ტომები ირანის ისტორიულ მეტოქეებს წარმოადგენდნენ

---

13 Очерки истории СССР, III—IX вв. М., 1988, с. 217.

ამიერკავკასიაში. ეს მეტოქეობა კი, არსებული ცნობების თანახმად, თავის ისტორიას ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან ითვლის. მოვსეს ხორენაცის თანახმად, მეფე ვალარშაკის დროს „ხაზართა და ბასილთა (ალბათ, უნდა იყოს ბარსილთა. — ბ. ს.) გაერთიანებული ურდოები თავიანთი მეფის ვნასეპ სურზანის წინამძღოლობით ჩორის შემოსასვლელიდან შემოიჭრნენ, მტკვარზე გადმოვიდნენ და მის გასწვრივ მდებარე ტერიტორიას მოედვნენ“. ვალარშაკმა დაამარცხა ისინი, გააძევა ჩორის ხეობას იქით, მაგრამ მტრის ქვეყანაში გამართული ბრძოლის დროს იგი დაიღუპა[14]. შემდეგ მემატიანე აღნიშნავს, რომ სასანიანთა დინასტიის ფუძემდებლის, შაჰ არდაშირ I-ის (226—240) დროს მამაცმა პეროზამატმა დაამარცხა რომელიღაც „ვერზეკ ხაკანი“[15].

მოვსეს ხორენაცის ამ ცნობას უნდა ეხმაურებოდეს ლეონტი მროველის ერთი უთარიღო ცნობაც. მის ნაშრომში „ცხოვრებათა ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთაში“, რომელშიც თხრობა მიყვანილია V საუკუნემდე. ხაზართა მოსვლის შესახებ აღნიშნულია: „ვერ წინააღუდგეს თარგამოსიანნი, რამეთუ იყო სიმრავლე ურიცხვ ხაზართა, წარტყუენეს ქუეყანა თარგამოსიანთა, და შემუსრეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და მასისისანი და ჩრდილოსანი. და დაურჩეს ციხე-ქალაქნი თუხარისი, სამშვლდე და მტუერის ციხე. რომელ არს ხუნანი, შიდა-ქართლი და ეგრისი. და ისწავლეს ხაზართა ორივე ესე გზანი, რომელ არს ზღუს-კარი დარუბანდი და არაგუს-კარი. რომელ არს დარიალა და განამრავლეს ხაზართა გამოსვლა, დატყუენვა მათი და ვერღარა წინააღუდგეს და ამიერითგან იქნეს ესე ყოველნი თარგამოსიანნი მოხარკე ხაზართა“. ასე გაგრძელებულა დიდხანს ვიდრე ირანი მომძლავრდებოდა. შემდეგ კი მემატიანის თქმით, „გაჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი... აფრიდონ“ და მან, როგორც „წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“, წარმოგზავნა დიდი ლაშქრით „ერისთავი თუსი არდამ“, რომელიც „მოვიდა ქართლად, შემუსრა ყოველი ქალაქი, ციხე და მოსპო აქ მყოფი ხაზარები“[16].

---

[14] Моисей Хоренский. История Армении. Перевод с древнеармянского Н. О. Эмина. М., 1858. с. 134.

[15] იქვე, გვ. 154.

[16] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, ტ. I, გვ. 11—13. შემდეგ მოკლედ: ქართლის ცხოვრება.

ეჭვი არაა, რომ ლეონტი მროველის „გმირი აფრიდონი“ და მოსე ხორენაცის „მამაცი პეროზამატი“ ერთი და იგივე პირი არის. ასევე ერთი და იგივე პირი უნდა იყოს ქართველი ისტორიკოსის „არდაშ“ და სომეხი ისტორიკოსის „არდაშირი“. მაშასადამე, ხორენაცისა და მროველის ცნობები, ამიერკავკასიაში ხაზართა პირველად გამოჩენის შესახებ, ასახავენ ერთ დროს მომხდარ მოვლენას, რომელიც ქრონოლოგიურად დაახლოებით III ს. I ნახევარში თავსდება.

რაკი ხაზარებმა ამიერკავკასიაში შემოსასვლელი გზები ისწავლეს და აქაურობასაც კარგად გაეცნენ, აღარ ისვენებდნენ, ხშირად შემოდიოდნენ და ქვეყანას დიდ ზიანს აყენებდნენ. ერთი ასეთი თავდასხმის შესახებ მოგვითხრობს ატ-ტაბარი. მის თანახმად, ხაზარები ამიერკავკასიაში მოსულან რომის იმპერატორის იულიანეს ლაშქართან ერთად[17]. ეს ლაშქრობა, მ. არტამონოვის მიხედვით, მომხდარა III ს-ში შაბურ I-ის (240—271) დროს[18]. მაგრამ აქ უდავოდ უზუსტობასთან გვაქვს საქმე. როგორც ცნობილია, იულიანე იმპერატორი შაბურ I-ს კი არა, შაბურ II-ს (309—379) ეომებოდა და ამ ომშივე დაიღუპა 363 წელს[19].

მაშასადამე, არაბი მემატიანის ცნობაში მოხსენიებულ ლაშქრობას, რა თქმა უნდა, ადგილი უნდა ჰქონოდა IV ს-ში. ეს აშკარად ჩანს VII ს. სომეხი ისტორიკოსის მოვსეს კალანკატვაცის (დასხურანცის) ცნობიდანაც, რომელშიც აღნიშნულია: 350 წელს „მრავალი ხაზარი შემოვიდა ჩორის კარი ჩვენს ქვეყანაში. შაბურმა ურიცხვი ჯარი შეკრიბა სირიაში, ხვარაზმში,... ადარბადაგანში და ალბანეთში, აგრეთვე 12 ტომი მოიყვანა კავკასიის მთების ველური ხალხებიდან და ამ აურაცხელი ძალებით ის აღსდგა და მათ წინააღმდეგ დაიძრაო“[20].

---

[17] М. Артаманов, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

[18] იქვე.

[19] История Ирана. Издательство Московского университета, М., 1977, с. 112.

[20] История Агван Моисея Каганкатваци, писателя X века, Перевод с древнеармянского К. Патканова, СПб., 1861, с. 80—81 შემდეგ — История Алван); Л. М. Меликсет-Бек, Хазары по древнеармянским источникам в связи с проблемой Моисея Хоренского. Сборник в честь акад. И. А. Орбели. М. — Л., 1960, с. 112; М. И. Артаманов, დასახ. ნაშრომი, გვ. 115; З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 40; ლ. დავლია-

სომეხი ისტორიკოსი ხაზართა მოსვლის ზუსტ თარიღს (350 წ.) უთითებს, მაგრამ როგორ დასრულდა ეს ლაშქრობა ამის შესახებ არაფერს გვაუწყებს. ვერც სხვებთან ვხვდებით საამისო პირდაპირ მითითებას. მიუხედავად ამისა, ზუსტად თუ არა, დაახლოებით მაინც შეიძლება გავცეთ პასუხი დასმულ კითხვას. როგორც ატ-ტაბარის ზემოთ მოტანილი ცნობიდან ჩანს, ხაზარები მოსულან იულიანე იმპერატორის ლაშქართან ერთად. თუ ამ ცნობას ისე გავიგებთ, რომ ამ შემთხვევაში ხაზარები რომაელთა დამხმარე ძალას, მათ მოკავშირეს წარმოადგენდნენ, რაც გამორიცხული არ არის, მაშინ ისინი ამიერკავკასიიდან 363 წელს წავიდოდნენ, რადგან საყოველთაოდაა ცნობილი, რომ სწორედ ამ დროს რომაელები დამარცხდნენ და იულიანეს შემცვლელ იოვიანსა და შაბურ II-ს შორის დადებული ნიზიბინის სახავო ხელშეკრულების ძალით, ირანს დაუბრუნდა ადრე მის მფლობელობაში მყოფი ტერიტორიები[21]. მაშასადამე, ხაზარების თარეში ამიერკავკასიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც 13 წელს გაგრძელებულა.

ზოგ მკვლევარს ეჭვი შეაქვს კალანკატვაცის ზემოთ მოტანილი ცნობის სანდოობაში. ზ. ბუნიათოვი მას „ანაქრონიზმს" უწოდებს და აღნიშნავს: „სპარსეთის პირველი მეფე, ხაზართა მიმართ ენერგიული ზომები რომ განახორციელა, იყო კუბად I (კავად 446—531), რომლის ერთ-ერთმა სარდალმა დინავერამდე მისულ ხაზარებს მანამდე სდია. სანამ ჯურზანი (საქართველო) და არანი არ დაატოვებინა"[22]. მაშასადამე, გამოდის, რომ V—VI სს-მდე არც ხაზართა თავდასხმები ყოფილა ამიერკავკასიაზე და არც ვინმეს უომია მათ წინააღმდეგ. თავის ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ზ. ბუნიათოვი იმოწმებს IX ს. არაბი ისტორიკოსის ალ-ბალაზურის ერთ ცნობას, რომელიც მის სასარგებლოდ არაფერს ამბობს. აი ეს ცნობა: [თანამედროვე] I და II არმინია, ანე „არანი და ჯურზანი [ადრე] ხაზართა ხელში იყო, დანარჩენი არმინია — ბიზანტიას ჰქონდა და მას არმინიაკოსი მართავდა. გადმოდიოდნენ ხაზარები. თავს ესხმოდნენ (მეზობლებს) და ზოგჯერ დინავარამდეც აღწევდნენ. ფირუზ მეფის ძე კუბაზი იძულებული შეიქნა გაეგზავნა მათ წინააღმდეგ თავისი

ნ ი ძ ე, ლეონტი მროველის ერთი ცნობის განმარტებისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა IV, თბ., 1973, გვ. 5.

21 История Ирана, с. 112.

22. З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

ერთ-ერთი უდიდესი სარდალი თორმეტი ათასი კაცით. იგი არანში შევიდა და დაიკავა [ტერიტორია]. რაც იყო მდინარე არ-რასსა (არაქსსა) და შირვანს შორის. მას მიჰყვებოდა თვით კუბაზი, რომელმაც არანში დააარსა ქალაქი ბაილაკანი, მთელი ქვეყნის (არანის) სასაზღვრო (ثغر) ქალაქი ბარზა'ი (ბარდავი) და კაბალა, რომელიცაა ხაზარი. შემდეგ შირვანსა და ალ-ლანის კარებს (ღარიალის) შორის გამოუწვავი თიხისაგან გაავლო ზღუდე (سد), ხოლო ზღუდის გასწვრივ ააშენა 360 ქალაქი (მადინა), რომლებიც დაქცეულ იქნენ ბაბუ ლ-აბვაბის (დერბენდის) აშენების შემდეგ"[23].

ალ-ბალაზურის ეს ვრცელი ცნობა, თვით ავტორის განცხადებით, არმენიის ისტორიის კარგი მცოდნეების: ბარდაველი მუჰამად იბნ ისმაილის, დაბილელი (დვინელი) ბარმაკ იბნ აბდულას, ხლათელი მუჰამმად იბნ მუჰნისისა და სხვათა ზეპირ გადმოცემას ემყარება და თუ ის სანდოა, რაშიც არც ბუნიათოვს ეპარება ეჭვი, მაშინ ცხადია ხაზარები ამიერკავკასიაში, კერძოდ ალბანეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში კუბად (კავად) მეფემდე მოსული ჩანან.

რაც შეეხება იმას, რომ, ალ-ბალაზურის ცნობის თანახმად, კუბაზმა მიიღო ქმედითი ზომები ხაზართა წინააღმდეგ, ეს სრულიადაც არ გამორიცხავს იმას, რომ მსგავსი ღონისძიებები შეეძლოთ გაეტარებინათ მის წინამორბედ მეფეებს: არდაშირს, შაბურსა და სხვებს. ასე რომ, ალ-ბალაზურის ამ ცნობით სომეხი ისტორიკოსის ცნობის ანაქრონულობა არ დასტურდება. ერთადერთი, რასაც აშკარად ამ ცნობიდან ვეებულობთ არის ის, რომ კუბაზის დროსაც, ისე როგორც მანამდე, აღმოსავლეთ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი (ალბანეთი) ხაზართა განუწყვეტელი თავდასხმებით ყოფილან შეწუხებული და ირანის ამ ხელმწიფეს ისინი იქიდან გაუძევებია, რის შემდეგ თავისი სამფლობელო ჩრდილოეთის საზღვარი გაუმაგრებია კიდეც, კედლითა და სამხედრო დაბის ტიპის ციხე-ქალაქებით (მადინა).

ზ. ბუნიათოვის სკეპტიკური დამოკიდებულება მოვსეს კალანკატვაცის ცნობისადმი, როგორც ჩანს, ემყარება ხაზართა ისტორიის სპეციალისტის მ. არტამონოვის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სანდო

---

[23] Баладзори, Книга завоевания стран. Перевод с арабского П. К. Жузе. Материалы по истории Азербайджана. Баку, 1927, გვ. ტექსტისა 3, თარგმანის—5. ასეთივე ცნობა აქვს იბნ ალ-ასირსაც. იხ. Из Тарих ал-Камиль (полного свода истории) Ибн ал-Асира. Материалы по истории Азербайджана. Баку, 1940, с. 9.

არაა არა მარტო კალანკატვაცის, არამედ ატ-ტაბარისა და ალ-ბალაზურის (ქართულ წყაროს ის არ იცნობს) ცნობებიც იმის გამო, რომ VI ს. ბიზანტიელი მწერლები ხშირად რომ მოგვითხრობენ ირანის ჩრდილოეთ საზღვართან მყოფი სავირების შესახებ, არსად არ იხსენიებენ ხაზარებს. ამიტომ იგი იმ დასკვნაზე მიდის, რომ „Наиболее ранние достоверные упоминания о Хазарах не уходят глубже VI века"[24]. მაგრამ ასეთი დასკვნის გაკეთება რამდენადმე ნაჩქარევია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის (ვოლგა-დონს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე მყოფ) ხალხთა ისტორია, თვით მ. არტამონოვის განცხადებით, დღესაც სრულად არაა შესწავლილი და ზუსტად არავინ იცის VI ს-მდე იქ ვინ, სად ან რა დროიდან ცხოვრობდა. მეორე, ჩვენთვის გაუგებარია, რას გულისხმობს ავტორი „ხაზართა შესახებ ყველაზე უტყუარ მოხსენიებად", მაგრამ არსებობს დ. დანლოპისა და ე. პარკერის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ხაზარები ევროპაში მოვიდნენ ჰუნებთან ერთად[25]. ჰუნები კი ანტიკური ხანის ცნობილი გეოგრაფის პტოლემაიოსის ცნობით, მდინარე დნეპრის ნაპირებთან ჩანან ჯერ კიდევ II საუკუნეში[26]. ევროპაში მათი მოსვლის თარიღად III ს. ასახელებს V ს. სომეხი ისტორიკოსი აღათანგელოსი[27]. IV ს. ბერძენი ავტორის ამიანე მარცელინის დროს. ჰუნები ცხოვრობდნენ აზოვის ზღვის სანაპირო ველებში[28] და ჩრდილოეთ კავკასიაში, საიდანაც თავს ესხმოდნენ ა/კავკასიას[29].

---

[24] М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი. გვ. 116 ასეთი მოსაზრებისაა ლ. დავლიანიძეც მისი თქმით, მსგავსად არაბი ავტორებისა, ლეონტი მროველი და მოსე კალანკატუელი „წინა დროის ამბებს, რაც ჩრდილო კავკასიას უკავშირდებოდა, ხაზარებს მიაწერდნენ" (ლ. დავლიანიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 7).

[25] D. M. Dunlop. The History of the Jewish Khazars. Princeton University Press, New-Jersey. 1954. გვ. 35; E. H. Parker. A Thousand years of the Talars. Ed. II. გვ. 198.

[26] Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе. Собрал и издал с русским переводом В. В. Латышев. Т. I, СПб., 1890, с. 232.

[27] К. Патканьян. Опыт истории династии Сасанидов по сведениям, сообщаемым армянскими писателями. Труды Восточного отделения Археологического общества, часть XIV, СПб., с. 20—21; Тревер К. В. Очерки по истории и культуре Кавказской Албании IV в. до н. э. — VII в. н. э. М.—Л., 1959, с. 193.

[28] Аммиан Марцелин. История, Перевод с латинского Ю. Кулаковского. вып. I—III, Киев, 1906—1908. с. 236—213.

[29] К. Патканьян. დასახ. ნაშრომი, გვ. 20—21. ჰუნები რომ ნამდვილად

ხაზარები რომ ნამდვილად VI ს-მდე დიდი ხნით ადრე მოსულან ჩრდილოეთ კავკასიაში ამას სხვა მონაცემებიც ადასტურებს. მაგალითად, მ. არტამონოვის თქმით, ხაზარები ურალისპირეთიდან დასავლეთისაკენ გაუძევებია სავირებს[30]. სავირები, ანუ (საბირები) კი, რომლებსაც ზაქარია რიტორი, კომეს მარცელინი, თეოფანე აღმსარებელი, პროკოფი კესარიელი (VI ს.), ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია ჰუნებად მიიჩნევენ[31], პტოლემაიოსის ცნობით, II ს-ში მდინარე დონის ნაპირებთან ცხოვრობდნენ[32], ხოლო სტეფანე ბიზანტიელის გადმოცემით, შავიზღვისპირეთსა[33] და ჩრდილოეთ კავკასიას ფლობდნენ.

მესამე, როცა მ. არტამანოვი ალ-ბალაზურის ცნობის ანაქრონიზმულობაზე მსჯელობს, მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ არაბი ავტორი ახსენებს I და II არმინიას. I, II, III და IV არმინიად დაყოფა კი კუბაზის მეფობაზე გაცილებით გვიან, კერძოდ 536 წელს მოხდა[34]. მაგრამ წყაროს ცნობის შინაარსის ამგვარი გაგება, ვფიქრობთ, მისი დამახინჯებაა, რადგან მასში ნამდვილად ის კი არაა ნათქვამი, ხაზართა აღნიშნული ლაშქრობა მაშინ მოხდა, როცა უკვე I და II არმინია არსებობდა, არამედ სწორედ ის, რომ ხაზარები გამოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ და იპყრობდნენ ირანის ხელქვეშ მოქცეული კავკასიის იმ ტერიტორიას, რასაც IX ს-ში (როცა ალ-ბალაზური თავის თხზულებას წერდა) I და II არმენია ერქვა.

IV ს-ში ვოლგა-დუნაის შორის მოქცეულ ტერიტორიებს ფლობდნენ და თავს ესხმოდნენ სამხრეთის ქვეყნებს ამას ამტკიცებს კ. ცეგლედიც (იხ. მისი „პეტრე იბერის სირიული ცხოვრების გამო", კრებულში „აღმოსავლური ფილოლოგია", თბ., 1969, გვ. 7—14).

[30] М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

[31] Н. В. Пигулевская, Сирийские источники по истории народов СССР, Хроника Захария Ритора. М.—Л., 1941, с. 165; Летопись византийца Феофана от Диоклетиана до Царей Михаила и сына его Феофилакта. Перевод В. И. Оболенского и Ф. А. Терновского б/г. ЧМОИДР, 1884—1887, с. 126—129; Прокопий Кесарийский, История войн римлян с персами в двух частях (книгах). Перевод с греческого Спиридона Дестуниса. СПб., 1862, с. 74, 407; ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960, ტ. I, გვ. 427; ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 369.

[32] В. В. Латышев, Известия древних писателей..., I, с. 231.

[33] იქვე, გვ. 265.

[34] М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 117.

მეოთხე, არ შეიძლება ხელაღებით ვენდოთ ბიზანტიელი მწერლების იმ ცნობებს, რომელთაც სხვაგან პარალელი არ დაეძებნებათ და უნდობლობა გამოვუცხადოთ სომეხი, არაბი და ქართველი ავტორების მონაცემებს. ძნელზეძნელი დასაჯერებელია, ფალაური წყაროების ავტორებს, რომელთა ცნობებით, თვით მ. არტამონოვისა და ზ. ბუნიათოვის აღიარებით[35], არაბი მწერლები სარგებლობდნენ, არ სცოდნოდათ ვის ებრძოდა ირანი კავკასიაში — სავირებს თუ ხაზარებს. ვფიქრობთ, არც სომეხი ისტორიკოსები იქნებოდნენ მარტო ზეპირი გადმოცემების შემყურე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რომელიმე ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება შედგებოდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისაგან, რომელიც ძალიან ხშირად მოქმედებდა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული. მისთვის პოლიტიკური ჰეგემონობის უქონლობა სრულიადაც არ ნიშნავდა ეთნიკურად არ არსებობას. ამიტომ, ალბათ, უფრო დასაშვები იქნებოდა გვეფიქრა, რომ იმიერკავკასიაში არსებობდა სავირთა ძლიერი სამეფო და მასში შემავალი ხაზართა ეთნიკურ-პოლიტიკური ერთეული, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა ამიერკავკასიას და საკუთარი ნება-სურვილითა თუ სიუზერენის ბრძანებით თავს ესხმოდა სამხრეთელ მეზობლებს[36].

ნამდვილად ასე იყო თუ არა ეს, ამაზე საბოლოო პასუხს მომავალი კვლევა-ძიება გასცემს. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ეს პა-

---

[35] М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 116; З. Бунятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[36] ამიტომ მ. არტამონოვი ერთ ადგილას სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ «Хазары..., о которых говорится у Табари, могла при этом играть только второстепенную роль, как часть савирского ополчения..., что в состав савир находились хазары, или наоборот, савиры были в составе хазар... Такое смещение савир и хазар может объясняться только тем, что те и другие переплетались между собой составляли одно и то же военно-политическое объединение, во главе которого, однако стояли савиры» (М. Артамонов, დასახ. ნაშრ. გვ. 126—127). მაშასადამე, არსებობდა სავირ-ხაზართა პოლიტიკური გაერთიანება და ამიტომაა, რომ ალ-ბალაზური ხაზარებსა და თურქებს ერთმანეთის სინონიმებად ხმარობს, (Баладзори, დასახ. ნაშრომი, გვ. 5—6). მათ შორის ოგივეობის ნიშანს სვამს აგრეთვე ალ. გამყრელიძეც. (ალ. გამყრელიძე, ნიკიფორე კონსტანტინეპოლის ცნობები ირაკლი კეისრის საქართველოს ლაშქრობის შესახებ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 220. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე მ. არტამონოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155—156.

სუხი — დადებითი თუ უარყოფითი, ერთი რამ, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს, ახლავე ნათელია: IV ს-იდან დაწყებული საქართველო ალბანეთთან და ნაწილობრივ სომხეთთან ერთად იმიერკავკასიიდან მოძალებულ მომთაბარე ტომთა სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა, რაც სერიოზულად აფერხებდა ამიერკავკასიის ქვეყნებისა და მოსახლეობის ნორმალურ განვითარებას.

თუ რაოდენ ძლიერი და საშიში უნდა ყოფილიყო ეს შემოსევები კარგად ჩანს არაბ მწერალთა იმ ცნობებიდანაც, რომლებიც ირანის შაჰების მიერ ჩრდილოეთში გატარებულ თავდაცვითი ხასიათის ღონისძიებათა მთელ სისტემას ეხებიან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალ-ბალაზურის ცნობით, ამიერკავკასიიდან ხაზარების განდევნის შემდეგ კუბაზ I-ს დაუარსებია ქალაქები: ბაილაკანი, ბარდავი და კაბალა, ანუ ხაზარი. შირვანსა და დარიალს შორის გაუვლია ზღუდე, ხოლო ზღუდის გასწვრივ მთელ სიგრძეზე აუშენებია 360 ქალაქი, ანუ, უფრო ზუსტად, 360 გამაგრებული სამხედრო დაბა (მადინა).

კუბაზის დაწყებულ საქმეს განაგრძობდა მისი მემკვიდრე, წყაროებში ერთობ გახმაურებული ხოსრო I ანუშირვანი (531—579). ირან-ბიზანტიის ომის (552—556) დამთავრებისთანავე, იგი იმაში დარწმუნებული, რომ მამამისის მიერ გატარებული ღონისძიებანი ჩრდილოეთის საზღვრის დასაცავად საკმარისი არ იყო და მ. კალანკატვაცის მიხედვით, ხაზარები[37], ხოლო პროკოფი კესარიელის ცნობით, სავირები[38] მაინც ახერხებდნენ ამიერკავკასიაში შემოსვლას, ახლა უფრო ძლიერი კედლის შენებას შეუდგა. თანახმად ლეგენდისა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია IX ს. არაბი მწერლის ალ-ბალაზურის თხზულების მეშვეობით, ანუშირვანმა ააშენა ქალაქები: შაბარანი, მასკატი, ბაბუ ლ-აბვაბი და ჩაასახლა მათში სიასიჯებად (السياسيجين)[39]

---

[37] История Алван, с. 90.

[38] Прокопий (из Кессарий), Война с готами. Книги V—VIII из истории войн Юстиниана с персами, вандалами и готами. Перевод с греческого С. П. Кондратьева. М., 1950, с. 292—293, 416.

[39] იბნ კუდამა წერს: السياسيجين, ხოლო ალ-მასუ'დი — السياسيجية, რაც სენ მარტენის წაკითხვით უნდა იყოს „Sisaq"-ის ტომი (M. Viviln Saint Martin, Mémoires sur l'Armenien, I, გვ. 207—214), ხოლო ა. ქრისტენსენის წაკითხვით—„nišāstaghān"—მოახალშენე (A. Ghristensen, L'Iran sour les Sasanides, 1944, გვ. 369). ს. ერემიანის მიხედვით აქ უნდა იგულისხმებოდნენ სომხეთის პროვინციის სისაკანის მცხოვრებნი (Очерки истории СССР, с. 317).

წოდებული ხალხი. შემდეგ ხაზართა მეფეს[40] ზავი, მეგობრობა, თავდაცვითი კავშირი შესთავაზა და თვითონ მის ასულზე იქორწინა, ხოლო მას თავისი ერთ-ერთი ცოლის ბიერ ნაშვილები ქალიშვილი საკუთარ ასულად შეატყუა. ცოტა ხნის შემდეგ ხაკანი და შაჰი ერთმანეთს შეხვდნენ ალ-ბარშელში. ლხინი რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ერთ ღამეს, ხოსროს ბრძანებით მისმა სანდო პირებმა ხაზართა მეფის ბანაკს ცეცხლი წაუკიდეს. იგივე განმეორდა რამდენიმე ღამის შემდეგაც. ხაკანი ამის გამო განრისხდა და შაჰი საყვედურებით აავსო. ხოსრომ კი თავი ისე დაიჭირა თითქოს ხანძრის შესახებ არაფერი იცოდა და რომ ამაში ხაკანიც დაერწმუნებინა ახლა თავის კაცებს საკუთარი ბანაკისათვის ხანძრის გაჩენა უბრძანა. მეორე დილით ანუშირვანმა თავის სტუმარს ხმამაღლა უსაყვედურა: „შენი ხალხი ისე გაქოფაკდა, ჩემი ბანაკისა და კარვის დაქცევა მოინდომაო". ხაკანმა ბოდიში მოიხადა და დაიწყო იმის მტკიცება, რომ მან ხანძრის შესახებ არაფერი იცოდა. ანუშირვანმა განუცხადა, რომ სჯერა მისი და თან დასძინა: „როგორც ხედავ ჩვენი ჯარები უკმაყოფილო არიან მიღწეული საზავო შეთანხმებით, ვშიშობ არ აჯანყდნენ და მეგობარ-ნათესავები ისევ ერთმანეთს მტრებად არ გადაგვაქცევენ. ამიტომ თუ ნებას დამრთავ ჩვენს სამფლობელოებს შორის კედელს გავავლებ, მას კარებს გავუკეთებ და ვერავინ ჩვენი სურვილის გარეშე ვერც შენთან შემოვა და ვერც ჩემთან. ხაზარი დათანხმდა და შინისაკენ გაბრუნდა. ანუშირვანმა კი ქვის ლოდებისა და ტყვიისაგან 300 წყრთის სიმაღლის[41] კედლის შენება დაიწყო მთასა და ზღვას შორის. შემდეგ სამი მილის სიგრძეზე ზღვაც ქვით ამოავსო და იქაც კედელი ააგო, ხოლო როცა მასაც მორჩა კედელს რკინის კარები გაუკეთა და მის დარაჯად 100-კაციანი რაზმი ჩააყენა იქვე აშენებულ მოძრავ კოშკში[42].

ცხადია ამ ლეგენდაში ბევრი რამ შეიძლება გაზვიადებული იყოს, მაგრამ თვით მისი შექმნა უდავოდ რაღაც რეალურ სინამდვი-

---

[40] სხვა ცნობით ეს უნდა იყოს „თურქიტთა" ხაკანი ისტემი, რომელსაც ზოგჯერ დიზაბულას სახელითაც მოიხსენებენ (М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 133—136).

[41] იბნ ალ-ფაკიჰი კი სიმაღლის ნაცვლად „სიგანეს" ამბობს (СМОМПК, XXXI с. 17).

[42] Exerptae Kitab al-kharadj auctore Kudamaibn Djafar, Bibliotheka Geographorum arabicorum. Ed. M. J. de Goeje, Lugd. — Batav., 1889, t. VI, გვ. 256, 260—261; Н. А. Караулов, Сведения арабских писателей О Кавказе, Армении и Адербайджане. СМОМПК, Тифлис, 1903, XXXII, с. 29—33.

ლეს უნდა ემყარებოდეს. ამის დასტურია, როგორც სხვა ნარატიულ წყაროებში დაცული ცნობები[43], ისე თვით ეს კედელი, რომელიც დღესაც რეალურად არსებობს და მნახველთა გაკვირვებას იწვევს. თითოეული კედლისა (ასეთი კი აქ რამდენიმეა) და ციხე-ქალაქის აშენება დიდ დროს, უამრავი ადამიანისა და მუშა პირუტყვის უზარმაზარ შრომას, აურაცხელ სურსათ-სანოვაგეს, ფინანსებსა და სხვა მატერიალურ ხარჯებს მოითხოვდა. ამის გამღები კი სხვა ვინ უნდა ყოფილიყო თუ არა ალბანეთის, საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობა. ამიტომ გასაგებია მემატიანის სევდიანი ხმით ნათქვამი: „სპარსელმა მეფეებმა ჩვენი ქვეყანა დააძაბუნესო"[44]. და მერე, განა მარტო ისინი აქცევდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებს? მათ დასუსტებაში თანაბარი წვლილი მიუძღვით აგრეთვე ბიზანტიელებსა და ჩრდილოეთ კავკასიაში გაბატონებულ ნომად ტომებს. ისინიც, ისე როგორც სპარსელები, დაპყრობილი ხალხების მძიმე გადასახადებით დაბეგვრას კი არა, მათ აყრა-გადასახლებასა და ფიზიკურ მოსპობასაც არ ერიდებოდნენ. საამისო ცნობები საძებარი არ არის. მენანდრეს თქმით, „ბიზანტიელი სარდლები ქვეყანას სპობდნენ, მის მოსახლეობას ჰყრიდნენ და სხვაგან ასახლებდნენ"[45]. ასეთსავე სურათს გვიხატავს პროკოფი კესარიელიც. მისი ცნობით, ხოსრო ანუშირვანმა განიზრახა დასავლეთ საქართველოში საქმე ისე მოეწყო, რომ ხალხს აჯანყება ველარ მოეხერხებინა. ამიტომ გადაწყვიტა ლაზიკის მეფის გუბაზის მოკვლა, ლაზიკიდან ყველა მცხოვრებთა სპარსეთში გადასახლება და ლაზიკაში სპარსელებისა და სხვა ტომის ხალხთა დაბანაკება[46].

სისასტიკეში ხაზარები ტოლს არავის უდებდნენ. ბიზანტიის მოკავშირე ხაკანმა თავის ძმისშვილს შათეს, როცა ეს უკანასკნელი თბილისის ასაღებად გამოისტუმრა, უბრძანა: წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში არ დაენდო არავინ; 15 წლამდე ასაკის გოგო-

---

43 Баладзори, с. 6—7; Абу-л-Фарадж Кудама-Ибн Джафар ибн Кудама (СМОМПК, XXII, Тифлис, 1903, с. 31—33).

44 История Алван, с. 105; К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании. М.—Л., 1959, с. 271.

45 Византийские историки. Перевод с греческого С. Дестуниса. Менандр Византиец. История за период 558—583 г. н. э. СПб., 1860, с. 411—412.

46 Прокопий Кесарийский, История войны римлян с персами в двух частях (книгах). Перевод с древнегреческого Спиридона Дестунина, СПБ., 1862, с. 284—285; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960, ტ. 1, გვ. 249.

ბიჭები ხაზარეთში გაერეკა მონა-მსახურებად, ხოლო უფროსი ასაკისა კი ყველა გაეწყვიტა[47]. სარდალმა დანაბარები პირნათლად შეასრულა. 628 წელს თბილისში შეჭრილმა „ხაზარებმა ველური სისასტიკით გაჟლიტეს ყველა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა"[48].

იმ თავდაცვითი ხასიათის ვრცელ გეგმაში, რომელსაც სასანური ირანის ცენტრალური ხელისუფლება „ჯარბის", ანუ ჩრდილოეთის განსაკუთრებულ „კუსტაკში" ანხორციელებდა, გარკვეული ადგილი ეკავა სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი სასაზღვრო პუნქტის ქალაქ თბილისის გამაგრებას.

თბილისს, აღმოსავლეთ საქართველოს ამ ერთ-ერთ უძველეს დასახლებულ ადგილს, მოხერხებული და ამავე დროს მნიშვნელოვანი მდებარეობა ჰქონდა. იგი იმ მთავარ სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე იყო, რომელიც მტკვრის ხეობას თავიდან ბოლომდე გასდევდა და ერთმანეთთან აკავშირებდა აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის ქვეყნებს. ესა და, გარდა ამისა, მდინარის კლდოვანი ნაპირები და დასავლეთიდან ზედ მიკრული მთები თბილისს ძნელად მისასვლელს რომ ხდიდა, მისი დაწინაურების კარგ პერსპექტივას ქმნიდა. IV ს. II ნახევარში, როცა ირანელთა თავდასხმის საშიშროება გაძლიერდა, ქართლის მეფეებმა თბილისში ციხესიმაგრე ააგეს და მას მცხეთის დაცვა დააკისრეს, ხოლო როდესაც იმავე საუკუნის დასასრულს ქართლი ირანელებმა დაიპყრეს და საპიტიახშოდ გამოაცხადეს, თბილისი პიტიახშის ადგილსამყოფელი ქალაქი გახდა. ეს იყო მცხეთის როგორც ქვეყნის პოლიტიკურ-იდეური ცენტრის თანდათანობითი დამცრობის პროცესის დასაწყისი, რაც, მართალია, V ს-ში გარკვეული დროით შეჩერდა, მაგრამ შემდეგ იმით დამთავრდა, რომ ვახტანგ გორგასალმა თბილისი შემოზღუდა, ხოლო მისმა მემკვიდრემ დარჩიმ (VI ს.) ის დედაქალაქად გამოაცხადა. პირველი ცნობა, სადაც თბილისი იბერთა დედაქალაქად იხსენიება, დათარიღებულია 571 წლით და ეკუთვნის VI ს. ბიზანტიელ ისტორიკოსს თეოფანეს[49]. ამ დროისათვის თბილისი უკვე ირანელთა ხელშია და წარმოადგენს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მსხვილ სასაზღვრო პუქტს, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში უნდა შეეკავებინა ბიზანტიელთა მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმები და დარი-

---

[47] История Алван, с. 121; З. Бунятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

[48] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, ტ. II, გვ. 281.

[49] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 13.

ალის ხეობიდან მოძალებული ჩრდილოეთ კავკასიის ტომთა შემოსევებიც. ამ მისიის შესასრულებლად საჭირო იყო თბილისის გამაგრება. როგორც ალ-იაკუთი აღნიშნავს, ხოსრო ანუშირვანმა მაშინ, როცა ბაბუ ლ-აბვაბი ააშენა, თბილისის პირდაპირ, მდინარე მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირზე ქალაქი სუღდუბილი[50] დააარსა, სპარსული მოდგმის ას-სუღდის ხალხით დაასახლა და საგუშაგოდ გააკეთა[51], ანუ საგუშაგოდ აქცია.

იაკუთის ამ ცნობაში, რომელიც ალ-ბალაზურის, ატ-ტაბარის, იბნ ხურდაზბიჰის, იბნ ალ-ფაკიჰისა და სხვათა მონაცემებზეა აგებული, სრულიად გარკვევით ჩანს ამ ახალი გეოგრაფიული პუნქტის ადგილმდებარეობაც, მისი დანიშნულებაც, დაარსების დროც, დამაარსებელიც და ისიც კი, თუ ვისით იყო დასახლებული და რატომ მიიღო „სუღდუბილის“ ან „სუღდაბილის“ სახელწოდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ადგილმდებარეობის, დამაარსებლის ვინაობის, მოსახლეობისა და სახელწოდების საკითხები მაინც სადავოდაა ქცეული, რადგან ჩამოთვლილ ავტორთა ცნობებში არსებობს ერთგვარი განსხვავება, წინააღმდეგობა და, მაშასადამე, შეცდომები, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია მკვლევართ. მაგალითად, იბნ ხურდაზბიჰთან სუღდუბილი და ჯურზანი (ქართლი) მოთავსებულია II არმინიაში, თბილისი — I არმინიაში. ამავე დროს ჯურზანი ამ შემთხვევაში ქალაქია[52]. ასეთივე მდგომარეობაა იბნ ალ-ფაკიჰთანაც. გარდა იმისა, რომ სუღდუბილი და თბილისი მასთან სრულიად სხვადასხვა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებშია მოთავსებული, ჯურზანი ერთ შემთხვევაში ქალაქია და სუღდუბილთან ერთად II არმინიაში შედის, მეორე შემთხვევაში ოლქადაა მოხსენიებული[53]. იბნ რუ-

---

50 ადრეფეოდალური ხანის ქალაქი (მადინა) ზღუდეშემოვლებული დასახლებაა, ციხით ან უციხოდ. სუღდუბილი მისი დაარსებისას სათვალთვალო კოშკის მჭონე სამხედრო დაბის ტიპის შემორაგვული პუნქტი ჩანს.

51 صغدبيل.. مدينة... على نهر الكر من جانب الشرقى قبالة تفليس بناها كسرى انوشروان العادل حيث بنى باب الابواب و انزلها قوما من اهل الصغد من إبنا فارس وجعلها مسلحة (დაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ. I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა ე. სიხარულიძემ, თბ., 1964, თარგმანი გვ. 71, ტექსტი გვ. 74—75).

52 Н. А. Караулов. Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане (СМОМПК, 1903, вып. XXXII, с. 12—15).

53 СМОМПК, 1902, вып. XXXI, с. 12—15.

სთესთან კი სუღდუბილია ოლქად გამოცხადებული[54] და ეს მაშინ, როცა სხვა ავტორები: ბალაზური[55], ატ-ტაბარი[56], ალ-მასუდი[57], იაკუთი[58] და იბნ ალ-ასირი[59] სუღდუბილს ქალქად (მადინად) მოიხსენიებენ.

სწორედ ამ გარემოებამ და გარდა ამისა იმანაც, რომ ქართულ წყაროებში სუღდუბილი არსად იხსენიება, უბიძგა მკვლევართ კრიტიკულად მოპყრობოდნენ იაკუთის ცნობას და ეჭვი შეეტანათ მის სრულ სანდოობაში.

1. საეჭვოდაა მიჩნეული ის რომ სუღდუბილი ხოსრო ანუშირვანმა დააარსა (მ. ლორთქიფანიძე, ო. ცქიტიშვილი, თ. გამსახურდია), თუმცა ამას ვერ ასაბუთებენ და მხოლოდ იმის აღნიშვნით კმაყოფილდებიან, რომ ეს გაცილებით გვიანდელი მოვლენაა არაბი და არაბულენოვანი ავტორების მიერ „წინამუსლიმურ ხანაში გადატანილი"[60] და „ტრადიციისამებრ ხოსრო ანუშირვანისადმი მიწერილი"[61].

2. საეჭვოდაა მიჩნეული აგრეთვე სუღდუბილის ადგილმდებარეობაც. ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ერთმანეთის გამომრიცხველი რამდენიმე აზრი. მარი ბროსეს თანახმად, სუღდუბილი იგივე ცურტავია[62], ხოლო ი. მარქვარტი სუღდუბილს თბილისის „კალასთან" აიგივებს[63].

მ. ბროსეს ეს შეხედულება ღაზარიანმა უარყო და აღნიშნა, რომ ცურტავი, რომელსაც გაჩიანთან აიგივებენ, არ იყო მტკვარზე, ამ-

---

54 СМОМПК, вып. XXXII, с. 42—43.

55 Баладзори, Книга завоевания стран. Текст и перевод П. К. Жузе. Материалы по истории Азербайджана. Баку, 1927, с. 6 (ტექსტი, გვ. 4).

56 ატ-ტაბარი, დასახ. თხზულება, დე გუეს გამოც., III, გვ. 1416; გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 66; ო. ცქიტიშვილი, ძველი თბილისის ისტორიიდან, საქართველოს მეცნ. აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე", თბ., 1963, № 5, გვ. 154.

57 Bibliotheca Geographorum arabicerum. Ed. M. J. de Goeje, Lugd.—Bataworum, 1894. t. VIII. გვ. 62 (შემდეგ მოკლედ—BGA).

58. ე. სიხარულიძე, იაკუთის ცნობები... არაბ. ტექსტი, გვ. 74, თარგმანი 71.

59 Материалы по истории Азербайджана из «Тарих-ал-Камиль» (Полного свода истории) Ибн ал-Асира. Перевод с арабского П. К. Жузе. Баку, 1940, с. 10.

60 ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 146, 154.

61 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, ტ. II, გვ. 352.

62 Histoire de la Géorgie, trad. M. Brosset. St.—P., 1849. I, გვ. 109.

63 J. Marquart, Osteuropaische und Ostasiatische Streifzüge, Leipzig, 1903, გვ. 394.

დენად, მისი იდენტიფიცირება სუღდუბილთან შეცდომაა[64]. ცურტავის გაიგივება სუღდუბილთან შეუძლებლად მიაჩნია აგრეთვე მ. ლორთქიფანიძეს, რადგან სუღდუბილი სასაზღვრო პუნქტი იყო, ცურტავი კი არა[65].

უარყოფილია ი. მარქვარტის შეხედულებაც. არაბი და არაბულენოვანი მწერლების, აგრეთვე ქართულ წყაროთა მონაცემების საფუძველზე ვ. მინორსკიმ უჩვენა, რომ სუღდუბილი მდებარეობდა მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სადაც შემდეგ ისანი იყო[66]. ამ მოსაზრებას სრულიად მართებულად იზიარებენ ქართველი მეცნიერები: მ. ლორთქიფანიძე[67], ო. ცქიტიშვილი[68] და თ. გამსახურდია[69]. მართლაც, რაკი იაკუთისა და სხვა არაბი ავტორების (ატ-ტაბარი) ცნობებიდან აშკარად ჩანს, რომ სუღდუბილი სამხედრო დაბის ტიპის დასახლება (მადინა) იყო და თბილისის დამცავ საგუშაგოს ფუნქციას ასრულებდა, ცხადია, ის იქ უნდა ყოფილიყო, საიდანაც ყველაზე კარგად მოახერხებდა თავისი მოვალეობის შესრულებას. ასეთი ადგილი მაშინდელი თბილისის (აბანოების უბნის) პირდაპირ, მტკვრის მარცხენა მხარეს, მხოლოდ ის იქნებოდა, რომელსაც თამარის პირველი ისტორიკოსი ისნის ველსა და საღოდებლის სანახებს (გარეუბანს) უწოდებს[70].

3. განსაკუთრებულ დავას იწვევს თვით სახელწოდება „სუღდუბილი". არაბი და არაბულენოვანი ავტორების: ბალაზურის, იბნ ალ-ფაკიჰის, იაკუთისა და იბნ ალ-ასირის თანახმად, „სუღდუბილი" ესაა ეთნიკური წარმოშობის გეოგრაფიული სახელი, მასში ჩასახლებული სპარსული მოდგმის ხალხის — სუღდების (სოღდების) მიხედვით შერქმეული[71]. ამ შეხედულებას იცავენ შ. მესხია და მ. ლორთქიფა-

---

64 M. Chazarian. Armenien unter den arabishen Herrschaft bis Zur Entstehung des Bagratiden reiches, Marburg. 1903, გვ. 224.

65 მ. ლორთქიფანიძე, ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1954, ნაკვ. 30, გვ. 160.

66 V. Minorsky. Isani—Sughdabil. Enziklopedie des Islam—Tiflis, Leipzig, 1908—1913, გვ. 818.

67 მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, მსკი, 30, გვ. 160.

68 ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143 და შმდ.

69 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, II, გვ. 352.

70 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 31.

71 Материалы по истории Азербайджана, Баку, 1927, вып. II, არაბული ტექსტი გვ. 3—4, თარგმანი—6; СМОМПК, XXXI, с. 14—15. იაკუთის ცნობები

ნიძე[72]. მაგრამ მათგან განსხვავებით ვ. მინორსკიმ სუღდუბილის ეტიმოლოგია ქართულ წყაროში, კერძოდ იოანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობაში“ მოხსენიებულ „საგოდებელს“, ანუ სასაფლაოს დაუკავშირა და აღნიშნა: „სუღდაბილ“ ფორმა ქართული „საგოდებელის“ გაარაბულების, მასში „განის“ „ღარით“ შეცვლის გზით არის მიღებული[73].

ვინც ვ. მინორსკის ამ მოსაზრებას გაიზიარებდა მას, ბუნებრივია, მეცნიერულად უნდა დაემტკიცებინა, რომ არაბი მწერლების ცნობები სუღდუბილისა და მასში სუღდების დასახლების შესახებ მცდარია. ამ ამოცანის გადაწყვეტა სცადა ო. ცქიტიშვილმა. მან არაბი და არაბულენოვანი ავტორები, რომლებიც სუღდუბილს იხსენიებენ ან მასზე მსჯელობენ, სამ ჯგუფად დაჰყო. პირველ ჯგუფს მიაკუთვნა იბნ ხურდაზბიჰი, იბნ ალ-ფაკიჰი და იბნ რუსთე, ე. ი. ის ავტორები, ვისთანაც სუღდუბილი მადინაცაა და ოლქიც. ავტორთა მეორე ჯგუფში მოათავსა ალ-ბალაზური, ალ-იაკუთი (და, ალბათ, აქვე უნდა შეეიდეს იბნ ალ-ასირიც), რომლებიც ყველაზე თანმიმდევრულნი არიან იმის მტკიცებაში, რომ სუღდუბილი ანუშირვანმა ააშენა და სუღდებით დაასახლა. მესამე ჯგუფში კი მოათავსა ატ-ტაბარი და ალ-მასუდი, რომლებიც, თურმე, გარკვეული სიფრთხილის გამო, მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ სუღდუბილი ხოსრომ ააშენა და არაფერს ამბობენ მასში სუღდების ჩასახლების შესახებ[74].

ასეთი კლასიფიკაციის შემდეგ, ო. ცქიტიშვილმა პირველი ჯგუფის ავტორები, რომლებიც ვერ ამჟღავნებენ საქართველოს გეოგრაფიის საკმაო ცოდნას და სუღდუბილს ხან მადინად იხსენიებენ, ხან ოლქად, მათ სრული უნდობლობა გამოუცხადა და მოხსნა მსჯელობის სფეროდან. დაახლოებით ასე მოექცა იგი მეორე ჯგუფში მოხვედრილ მწერლებსაც. იაკუთი როგორც XII—XIII სს. ავტორი და ხოსრო ანუშირვანის ეპოქიდან ქრონოლოგიურად ძალიან შორს

საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკ. I, თბ., 1964. გვ. 71; Материалы по истории Азербайджана из „Тарих-ал-Камиль“ Ибн ал-Асира, Баку, 1941, с. 10.

72 შ. მ ე ს ხ ი ა და სხვ., თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 31; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ 159 და შმდ.

73 V. M i n o r s k y, დასახ. ნაშრომი გვ. 825; მისივე, Transcaucasica, Journal Asiatique, Jullet—September 1930, გვ. 58; მისივე, A History of Sharvān and Darband in the 10—th—11—th centuries, Cambridge, 1958, გვ. 25; მისივე. История Ширвана и Дербенда X—XI веков, М., 1963, с. 46.

74 ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 145—146.

მდგომი, არ მიიჩნია სანდო წყაროდ. ამავე მიზეზით ის ეჭვის თვალით უყურებს ალ-ბალაზურსაც და აღნიშნავს, რომ იგი (და აგრეთვე მისი დროის სხვა მწერლებიც — ბ. ს.) სარგებლობდა ზეპირი გადმოცემით, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე არ შეიძლებოდა გარკვეული ცვლილება არ განეცადა და ისე არ ასახულიყო არაბ მწერალთა ცნობებში, მით უმეტეს, რომ საამისოდ თითქოსდა სათანადო საფუძველიც არსებობდა ქართული „საგოდებელის" სახით, საიდანაც, მინორსკის თქმით, უნდა იყოს წარმოშობილი „სოღდუბილი"[75].

იმის დასამტკიცებლად („გასამაგრებლად"), რომ „სუღდუბილი" ქართული „საგოდებელიდანაა" წარმოშობილი და არასდროს ის სუღდებით არ ყოფილა დასახლებული, ო. ცქიტიშვილი იმოწმებს იოანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობის" იმ ადგილს, სადაც მწერალი ამბობს: „და ვითარცა გამოიღეს წმიდაჲ იგი გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჲ, მუნ გარდამოიღეს იგი ურმისა მის-გან და დადვეს იგი ქუეყანასა. და მოიღეს შეშაჲ და თივაჲ და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდისა და დააგზნეს ცეცხლი, ვიდრემდის დაწუნეს ჴორცნი იგი წმიდისა მოწამისანი ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავლით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრქჳან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდჱ, კოდჱ მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განჰვლის აღმოსავლეთით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი"[76].

ამის შემდეგ ო. ცქიტიშვილი ასკვნის: როგორც მოტანილი ცნობიდან ირკვევა, იმ ადგილს, სადაც აბო ტფილელის გვამი დაუწვავთ, საგოდებელი რქმევია. ხოლო საგოდებელი კი ყოფილა ქალაქ გარეთ, მდინარე მტკვრის მარცხენა კლდოვანი ნაპირის თავზე არსებული თბილისის ციხის, ანუ სადილეგოს აღმოსავლეთით[77]. ვფიქრობთ, საბანისძის ტექსტიდან ასეთი დასკვნის გამოტანა არ უნდა იყოს მართებული. როგორც თვით თხზულებიდან ჩანს, აბოს გვამი ქალაქ გარეთ წაუღიათ და დაუწვავთ თ ბ ი ლ ი ს ი ს ც ი ხ ი ს, ა ნ უ ს ა დ ი ლ ე გ ო ს ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი თ ჩ ა მ დ ი ნ ა რ ე მ ტ კ ვ რ ი ს

---

75 ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

76 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 73; ი ო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე, მარტვილობა აბო ტფილელისა, პროფ. ძ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს გამოცემა, ტფილისი, 1935, გვ. 74—75; ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

77 ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 147—179.

მარცხენა კლდოვანი ნაპირის თავზე, იმ ადგილას, სადაც საზოგადო სასოფლო-საგოდებელი ყოფილა, ე. ი. იოანეს „ციხე ქალაქი“, ანუ სადილეგო (სატუსაღო) ქალაქ გარეთ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე კი არ არის, არამედ მის მარჯვენა ნაპირზეა, თვით ქალაქში. სპეციალისტების ვარაუდით, ეს უნდა იყოს „კალა“, რომელიც ჯუანშერის ცნობით, სტეფანოზ I-ის (IV ს.) დროს ააშენეს[78], ძველი თბილისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა და კედლით იყო შემოზღუდული[79].

მაგრამ დავანებოთ თავი იოანე საბანისძის „ქალაქის ციხის“, ანუ სადილეგოს ადგილმდებარეობის გარკვევას (თუმცა ამასაც ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს) და ვიკითხოთ: რანაირად „ამაგრებს და უტყუარს ხდის“ „აბო ტფილელის მარტვილობა“ ო. ცქიტიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „სოღდებილი არასდროს არ ყოფილა დასახლებული სოღდის ტომით და რომ სოღდებილი VIII ს. დასასრულისათვისაც... დაუსახლებელი ჩანს“[80], ე. ი. იქ საერთოდ, არასდროს არავინ არ ყოფილა დასახლებული? ასეთი რამ ჩვენ ამ თხზულებაში არ გვეგულება. არსად არაა ნათქვამი ან თუნდაც მინიშნებული, რომ სუღდუბილში არც სუღდები სახლებულან და არც სხვა ვინმე. ასეთი რამ იოანეს კიდევაც რომ წამოსცდენოდა, ჩვენ მას მაინც ვერ დავეთანხმებით, რადგან სოღდუბილი ყველას (მათ შორის ო. ცქიტიშვილის) აღიარებით, იყო „მადინა“, ანუ სამხედრო თავდაცვითი ტიპის საგუშაგო პუნქტი (مصلحة) და ამიტომ დაუსახლებელი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა. ხოლო თუ ეს ასეა (ამაში კი ეჭვის შეტანა შეუძლებელია),, მაშინ ბუნებრივად იბადება კითხვა, ვისით უნდა ყოფილიყო ეს „საფორთიფიკაციო ნაგებობა“[81] დასახლებული? ადგილობრივ მოსახლეობას ,ამ მისიის შესასრულებლად, ალბათ, იქ არ ჩაასახლებდნენ. ასეთი რამ გამორიცხული უნდა იყოს თუ ანუშირვანის პოლიტიკას გავითვალისწინებთ. ის ხომ, პროკოფი კესარიელის თქმით, მათ „არ ენდობოდა“[82].

VI ს-ში ირანი მტრულ გარემოცვაში იმყოფებოდა. დასავლეთიდან ბიზანტია ემუქრებოდა, ჩრდილოეთიდან კი თავს ესხმოდნენ იმი-

---

78 ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 223—225.

79 უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. „თბილისის ისტორია“, თბ., 1958, გვ. 29.

80 ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 147—149.

81 იქვე, გვ. 150—151.

82 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, II, გვ. 254.

ერკავკასიაში გაბატონებული ძლიერი ტომები — ჰუნები, სავირები, საარაგურები, ხაზარები, სამხრეთ-დასავლეთიდან — არაბები, ხოლო ალმოსავლეთიდან — ეფტალიტები და თურქიტები. ყველა ესენი ხშირად მოქმედებდნენ ბიზანტიის წაქეზებით, მასთან ერთად, ერთდროულად ან ცალ-ცალკე და სხვადასხვა მხრიდან.

ძალიან უჭირდა ირანს იმის გამოც, რომ იგი წარმოადგენდა ეროვნული ნიშნით და იდეოლოგიური (სარწმუნოებრივი) მრწამსით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ქვეყნების კონგლომერატს, რომელშიც შემავალი თითოეული ქვეყანა და ხალხი მუდამ განდგომაზე ფიქრობდა. ამიტომ ხოსრო ანუშირვანი თავის საგარეო და საშინაო პოლიტიკას ისე წარმართავდა, რომ მის წინაშე მდგარი სირთულეები როგორმე დაეძლია და სახელმწიფოს ერთიანობა შეენარჩუნებინა.

იმ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს შორის, რომელთაც ანუშირვანი სახელმწიფოს მთლიანობის დასაცავად და ცენტრიდანული ძალების შესასუსტებლად ახორციელებდა, ერთ-ერთი იყო მოსახლეობის ადგილგადანაცვლება, რასაც ის სხვადასხვა საბაბით ახორციელებდა. მაგალითად, VI ს. 40-იან წლებში, ეგრისში ფეხმოკიდებული ირანელების წინააღმდეგ ხმის ამოღება რომ არავის გაებედნა, ხოსრომ, როგორც უკვე ვთქვით, ლაზიკის მეფის გუბაზის მოკვლა, ლაზიკიდან ადგილობრივი მოსახლეობის ირანში გადასახლება და ლაზიკაში ირანელებისა და სხვა უცხო ტომის ხალხთა ჩასახლება გადაწყვიტა[83]. თუ ამის განხორციელებას მოახერხებდა, მაშინ ხოსრო დასავლეთ საქართველოში მტკიცედ ფეხის მოკიდებასთან ერთად, ცხადია, სერიოზულად დაასუსტებდა მის მოძულე ბიზანტიასაც, რომლის წინააღმდეგ მას საქართველოს ქრისტიანული მოსახლეობა საიმედო ძალად არ გამოადგებოდა.

დაპყრობილი ადგილების მტკიცედ დაცვის, იქ საკუთარი ძალაუფლების დამკვიდრებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დათრგუნვის მიზნით, ირანის შაჰები აგებდნენ აგრეთვე უამრავ სიმაგრეებს, სადაც მხოლოდ და მხოლოდ უცხო ტომის რაზმებს აყენებდნენ. ეს იყო მოსახლეობის ადგილ-გადანაცვლების სხვა, შედარებით უფრო მშვიდობიანი, ნებაყოფლობითი ფორმა და მას ფართო გამოყენება ჰქონდა არა მარტო სასანურ ირანში, არამედ არაბთა სახელმწიფოშიც. წყაროთა მონაცემებიდან ვიცით, რომ ხოსრო ანუშირვანმა ქა-

---

[83] Прокопий Кесарийский, დასახ. ნაშრომი, გვ. 284—285; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960, გვ. 249.

ლაქები შაბარანი, მასკატი, ბაბუ ლ-აბვაბი, აგრეთვე ციხესიმაგრენი — ალ-ვაისი, ალ-ქალბი და ას-საჰიუნი თავისი სანდო ხალხით — სიასიჯებით დაასახლა[84]. ვიცით ისიც, რომ არმინია-აზერბაიჯანის არაბმა გამგებლებმა მთელი ქვეყანა სირიიდან, იემენიდან და სხვა შორეული ადგილებიდან მოყვანილი ტომებით აავსეს[85]. მაგალითად, აზერბაიჯანის პირველმა აბასელმა გამგებელმა იაზიდ იბნ ხათიმ ალ-მუჰალაბიმ არ-რავად იბნ ალ-აზდის ტომი დაასახლა თავრიზ ალ-ბაზის ტერიტორიაზე, მურრა იბნ ალი ატ-ტაის ტომი — ნარიზში და ალ-ჰამადანის ტომი — მაიანიჯში[86]. ხოლო თბილისის ამირამ ისაკ იბნ ისმაილმა IX ს-ში სოღდებილის გამაგრებისას იქ ხუვაისელნი ჩააყენა[87].

თუკი შორეული ადგილებიდან სიასიჯების, ხუვაისელების, ალ-აზდის, ალ-ჰამადანის, ატ-ტაის ან სხვა ტომების მოყვანა-დასახლება შეიძლებოდა ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველო-აზერბაიჯანის ზემოაღნიშნულ (და ასევე სხვა) ადგილებში, მაშინ არც თბილისში სოღდების ჩამოსახლება უნდა იყოს გამორიცხული. მით უმეტეს, რომ ირანის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული ვითარება საამისოდ გარკვეულ პირობას ქმნიდა.

როგორც უკვე ვთქვით, VI ს-ში ირანი საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ეფთალების იმპერიასთან, რომელიც გადაჭიმული იყო უზარმაზარ ტერიტორიაზე (ხოტანიდან — აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე დასავლეთით და ჰინდამდე — სამხრეთით). 542 წელს, როცა ხოსრო თავისი არმიით ეფთალებთან სადავო საკითხების მოგვარებით იყო დაკავებული, დასავლეთიდან მას ბიზანტიის ხელქვეითი ეგრისის მეფის, გუბაზის ელჩები ეწვივნენ და დახმარება სთხოვეს. შაჰი მაშინვე მიხვდა, რომ უკეთესი შემთხვევა დასავლეთ საქართველოს შემოსაერთებლად ირანს აღარ დაუდგებოდა, მაგრამ არც ის დარ-

---

[84] Баладзори. დასახ. ნაშრომი, გვ. 5—6; Кудама, СМОМПК, 1903, с. 30—31.

[85] ალ-ბალაზურის ცნობით, მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქმა მარტო დერბენდში 24000 სირიელი ჩაასახლა (Баладзори, გვ. 17).

[86] Я' Куби, დასახ. ნაშრომი, გვ. თარგმანისა 8, არაბ. ტექსტის—5. ეს ტომები იემენიდან იყვნენ წამოყვანილი (იხ. З. Бунятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 170 — 174 და შმდ.).

[87] ატ-ტაბარი, დასახ. თხზულება, ტ. III, გვ. 146; გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 66; ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

ჩენია გაუთვალისწინებელი, რომ გუბაზის თხოვნის დაკმაყოფილებას, ბიზანტიასთან შეჯახება, და, მაშასადამე, ორ ფრონტზე ომი მოჰყვებოდა, რასთვისაც ირანი არ იყო მაშინ მზად. ამიტომ, ხოსრო ანუშირვანმა ასეთი მანევრი განახორციელა: დასავლეთ საქართველოს შემოერთების ხელსაყრელი მომენტი რომ ხელიდან არ გაეშვა, მან ეფთალებთან ზავი დადო, თავისი ტერიტორიის ნაწილი დაუთმო და დიდძალი ყოველწლიური ხარკის გადახდაც იკისრა. მაგრამ ზავი მალე დაირღვა. როგორც ცნობილია, ირანმა დასავლეთ საქართველოს შემოერთება ვეღარ შეძლო, 562 წელს ბიზანტიასთან 50-წლიანი ზავი შეკრა და გაწბილებულმა ხოსრო I-მა მთელი ყურადღება ისევ შუა აზიისაკენ მიაპყრო, სადაც მაშინ თურქითებსა და ეფთალებს შორის (555 წ.) დაწყებული ომის გამო მისთვის ხელსაყრელი სიტუაცია შექმნილიყო ეფთალების მიერ მიტაცებული ირანის მიწა-წყლის დასაბრუნებლად და ხარკისაგან გასანთავისუფლებლად.

563—567 წლებში ხოსრო ანუშირვანმა თურქითებთან კავშირში[88] შეძლო ეფთალების საბოლოო დამარცხება, ხოლო 568—571 წლებში თურქითების მუქარაც მოიგერია და ირანის საზღვარი მდინარე ამუდარიამდე გადასწია[89], რის შედეგად სოღდების ქვეყანა — ძველი სოღდიანა — ორად გაყოფილი აღმოჩნდა. ამუდარიის მარჯვენა მხარის სოღდები თურქითების ბატონობის ქვეშ აღმოჩნდნენ, მისი მარცხენა მხარისა კი ირანის შემადგენლობაში შევიდნენ. მაგრამ ორად გაყოფილი სოღდები გაერთიანებას ცდილობდნენ. ირანის ხელისუფლება კი ამის წინააღმდეგ გამოდიოდა[90] და მათ დასასუსტებლად ისეთსავე ზომებს მიმართავდა, როგორც სხვათა მიმართ.

---

88 ატ-ტაბარისა და იბნ ალ-ასირის მიხედვით, ამ კავშირის ინიციატორი იყო ხოსრო ანუშირვანი (Tabarī, Annales, ed. De Goeje, t. I, გვ. 895—896; Ibn al-Athirī, Chronicon quod perfectissimum inscribitur, ed. C. J. Tornberg, I—XIV, 1851—1876, t. I, გვ. 316—317). კავშირი იმითაც ყოფილა განმტკიცებული, რომ ხოსრო დაქორწინებულა თურქითების ხაკანის ისტემის (დიზაბულის) ასულზე (М. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 134) ეტყობა, ეს ფაქტი უდევს საფუძვლად ბალაზურისა და ხურდაზ ბიჭის ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ თხრობას ხაზართა ხაკანთან ხოსროს დანათესავების შესახებ.

89 Менандр Византиец, Продолжение истории Агафиевой. Византийские историки. Перевод с греческого Спиридона Дестуниса, СПб., 1860, с. 493.

90 ხელისუფლება უარს ეუბნებოდა მათ აგრეთვე აბრეშუმით შეუზღუდველ ვაჭრობაზეც, რის გამოც საქმე იქამდე მივიდა, რომ სოღდელმა ვაჭრებმა თურქიტების დახმარებით კავშირი დაამყარეს ბიზანტიის მთავრობასთან და სთხოვეს

სწორედ ამით უნდა ყოფილიყო გაპირობებული სუღდების მოსვლა საქართველოში და დასახლება თბილისთან ახლო მდებარე საგუშაგო პუნქტში[91], რომელსაც მასში მცხოვრებთა მიხედვით შემდეგ სუღდუბილი, ანუ სოღდებილი ეწოდა. ასე რომ, არაბი მწერლების ცნობებს ხოსრო ანუშირვანის მიერ სუღდუბილის (სოღდებილის) აშენების და იქ სუღდების დასახლების შესახებ, ჩვენი აზრით, რეალური საფუძველი გააჩნდა და მათი უგულვებელყოფა შეცდომაა.

შეცდომად მიგვაჩნია ისიც, თითქოს „სუღდუბილი" ნაწარმოები იყოს ქართული „საგოდებლიდან" ამ უკანასკნელის გაარაბიზირების, ე. ი. მასში „განის" „ღანით" შეცვლის გზით. სუღდუბილი რომ ნამდვილად საგოდებლიდან იყოს მიღებული, როგორც ამას ვ. მინორსკი და ო. ცქიტიშვილი ვარაუდობენ, მაშინ თამარის პირველი ისტორიკოსი, რომელიც XII—XIII ს-ში მოღვაწეობდა, აღარ იტყოდა „ყურთლუ არსლან... ითხოვა ყარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა „საღოდებლისასა"[92]. ანდა „სანახებსა საღუდებლისასა"[93], ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მ. ლორთქიფანიძემ და ივარაუდა, რომ საგოდებელი (საღოდებელი, საღუდებელი) არაბული „სოღდებელიდანაა" წარმოშობილი[94]. ეს ვარაუდი უფრო მართებული ჩანს, თუმცა დაეჭვების საფუძველს ისიც ვერ სპობს. არაა გამორიცხული, „საღუდებელი (საღოდებელი, საღუდუბული)" და „საგოდებელი (ასაფლაო)" ერთმანეთის ახლოს მყოფი სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტები ყოფილიყვნენ. ამას გვაფიქრებინებს აბო ტფილელის მარტვილობის ის ადგილი, სადაც ავტორი ამბობს: „და ვითარცა გამოიღეს წმიდა იგი გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა და ა ღ ი ღ ე ს ა დ გ ი ლ ს ა, რ ო მ ე ლ ს ა ს ა გ ო დ ებ ე ლ ე წ ო დ ებ ი ს, რ ა მ ე თ უ მ უ ნ ა რ ს ს ა ფ ლ ა ვ ე ბ ი კ ა ც თ ა მ ი ს ქ ა ლ ა ქ ი ს ა თ ა".

რატომ დასჭირდა საბანისძეს საგოდებლის განმარტება თავისი თანამედროვეებისათვის? მ. ლორთქიფანიძე ამას იმით ხსნის, რომ

დახმარების აღმოჩენა (М е н а н д р, დასახ. ნაშრომი, გვ. 370—375. 493; Н. В. П ы г у л е в с к а я, Византийская дипломатия и торговля Шелком. Византийский временник, 1947 (XXVI), с. 187; М. А р т а м о н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

91 ჩასახლება ხდებოდა წინასწარი შეთანხმებით და გარკვეული ვადით. ომაიელთა ბატონობისას ეს ვადა 4 წელი იყო.

92 ქართლის ცხოვრება, თბ., 1959, II, გვ. 30—31.

93 იქვე. საგადებელი მხოლოდ ვახტანგისეულ ვარიანტშია.

94 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

იოანემ იცის ამ ადგილის არაბული სახელწოდება. უკეთ რომ ვთქვათ, ადგილის მიერ ციხიდან მიღებული სახელი სოღდებული, რომელიც დიდ მსგავსებას პოულობს ქართულ საგოდებელთან. და რადგან სწორედ აქ ქალაქის სასაფლაოა, ის ასკვნის, რომ ეს საგოდებელია[95], ე. ი. განმარტავს, რომ საგოდებელი ძველი სოღდებულია.

ო. ცქიტიშვილის მიხედვით კი იოანე საბანისძეს ასეთი განმარტება იმისათვის სჭირდება, რომ, ჯ ე რ ე რ თ ი, მაშინ თბილისში ისეთი ადგილის გარდა, რომელსაც „საგოდებელი ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჲ“, იყო აგრეთვე წმინდანთა თუ წამებულთა სასაფლაო. მ ე ო რ ე, ამ განმარტებით იოანეს სურდა გამოეხატა თავისი შეშფოთება იმის გამო, რომ აბოს ,,ვამი, რომელიც ქართულმა ეკლესიამ წმინდანად გამოაცხადა, საზოგადო სასაფლაოზე წაიღეს და არა წამებულთა სასაფლაოზე. მ ე ს ა მ ე, საბანისძის თხზულებისათვის ისეთი განმარტებები საერთოდ უცხო არ უნდა იყოს. მაგალითად, იგი აღწერს მტკვარსაც მიუხედავად იმისა, რომ სხვა დიდი მდინარე არც მაშინ და არც წინათ თბილისს არ ჩაუდიოდა[96].

მაგრამ ასეთი მსჯელობა დამატებითი დასაბუთების გარეშე დაუჯერებელია. საგოდებელი რომ სოღდებული, ანუ სუღდუბილი (საღუდებელი) არ უნდა იყოს ამას ქვემოთ დავინახავთ. რაც შეეხება იმას, რომ თბილისში მაშინ რამდენიმე სასაფლაო არსებობდა, ეს შეიძლება არც იყოს გამორიცხული, მაგრამ, ცხადია, ყველა სასაფლაო ქალაქის აღმოსავლეთით მარცხენა კლდოვანი ნაპირის თავზე — ისანში არ იქნებოდა განლაგებული. და ამიტომ საგოდებლის განმარტება იოანეს არ დასჭირდებოდა. ასეთი განმარტება მას, ალბათ, არც მაშინ დასჭირდებოდა, რომ, მის „დროინდელ სასაფლაოს ადრე საგოდებელი რქმეოდა“ და შემდეგ, „დროთა განმავლობაში ქცეულიყო საკუთარ სახელად“, როგორც ამას ო. ცქიტიშვილი ვარაუდობს[97].

მტკვრის, ვითარცა დიდი მდინარის, განმარტება კი მწერალს იმიტომ დასჭირდა, რომ მის გარდა თბილისში სხვა მდინარეებიც (წავკისი, ავანაანთ ხევი, ვერე, ანუ სკვირეთი)[98] იყო. ასეთი განმარტებით იოანემ მკითხველს სწორი გეზი მისცა და აუწყა: საგოდებელი

---

95 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

96 ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 147—148.

97 ი ქ ვ ე, გვ. 148.

98 შ. მ ე ს ხ ი ა, დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ა. ს ურ გ უ ლ ა ძ ე, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 29.

რომელიმე პატარა მდინარის კი არა, დიდი მდინარე, ანუ მტკვარი რომ არის, მის აღმოსავლეთით მდებარეობსო.

ვფიქრობთ, ზუსტად ასეთივე მოსაზრებით უნდა განმარტავდეს იგი საგოდებლის რაობასაც. მან მშვენივრად იცის, რომ საგოდებლის ახლოს იმყოფება გამაგრებული (დასახლებული) ადგილი სუღდუბილი (საღუდებელი, საღოდებელი, სოღდებილი), რომელიც სახელწოდებით ძლიერ ჰგავს საგოდებელს და ამიტომ მკითხველს უხსნის: აბოს გვამი სუღდუბილში კი არ დაუწვავთ, არამედ სხვაგან, „ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჲ“.

შეიძლება ვინმემ უნებლიეთ იკითხოს, თუ სუღდუბელი (სოღდებილი) საგოდებელის ახლოს რეალურად არსებობდა, რატომ ერთხელ მაინც არ მოიხსენია იგი იოანე საბანისძემ? საქმე ისაა, რომ იოანეს მიზანს თბილისისა და მისი სანახების აღწერა კი არა, ისეთი მხატვრული ნაწარმოების შექმნა შეადგენდა, რომლის ზემოქმედებით თუ სულ არა, გარკვეული დროით მაინც აღიკვეთებოდა ან შენელდებოდა ქრისტიანთა გამუსლიმების პროცესი. ამიტომ მან თავის თხზულებას სიუჟეტად დაუდო მუსლიმობაზე ხელაღებული, გაქრისტიანებული არაბის, აბოს წამება და მოიხსენია მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც აუცილებლად სჭირდებოდა ამ ნეტარი ადამიანის თავგადასავლის სრული სურათის წარმოსადგენად. ასე რომ, სუღდუბილი (სოღდებილი) და ასეთივე სახელწოდების საგოდებელი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული გეოგრაფიული პუნქტები უნდაიყვნენ განსხვავებული ფუნქციებით. სუღდუბილი წარმოადგენდა თავდაცვითი მნიშვნელობის გამაგრებულ პუნქტს (მასლაჰათს), ხოლო საგოდებელი — ადგილს, სადაც გოდებდნენ, გლოვობდნენ, სტიროდნენ[99]. ამიტომ მიგვაჩნია, რომ არაბი მწერლების ცნობები სუღდუბილის შესახებ ძირითადად სწორია და მათი უარყოფა საამისოდ დამატებითი მასალების მოძიების გარეშე შეუძლებელია.

---

99 ასეთი ადგილი შეიძლება არც კი ყოფილიყო სასაფლაო. მ. ლორთქიფანიძის შენიშვნისა არ იყოს, „საქართველოს ზოგ კუთხეში (მაგ., თუშეთში) დღესაც არსებობს საგოდებელი“, რომელიც ეწოდება სასაფლაოდან მოშორებულ ადგილს (დასახლებულ პუნქტსა და სასაფლაოს შორის), სადაც დადგამენ მიცვალებულს, გოდებენ და შემდეგ მიასვენებენ სასაფლაოზე ((მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163).

არსებული ცნობების თანახმად, ხოსრო ანუშირვანს საქართველოში აუგია აგრეთვე „ალ-ლაზკის“ (ლაზიკის) კარი, „ალ-ბარკის“, კარი, „ალ-ლანის“ (დარიალის) კარი, „სამსახის“ (სამცხის) კარი, „საჰიუნიის“ (სიონის), „სამშულდის“ (სამშვილდის), „ჯარდმანისა“ (გარდაბნის?) და „ფირუზ კუბაზის ციხესიმაგრენი“[100]. ამ ნაგებობათაგან „ალ-ლაზკისა“ და „ბარკის“ კარები, როგორც ალ-ბალაზური იტყობინება, დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე ყოფილან. რაც შეეხება „ფირუზ კუბაზის ციხეს“ ის კი ო. ცქიტიშვილთან სუღდუბილის მადინაში ჩანს[101]. მაგრამ ალ-ბალაზურისა და იბნ ხურდაზბიჰის ცნობით, რასაც ო. ცქვიტიშვილი იმოწმებს, ქართლში, ბიზანტიის საზღვართან ყოფილა აგებული[102].

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ჰერაკლე კეისარმა ხაზართა უშუალო დახმარებით სძლია ირანელებს, 628 წელს თბილისი დაიკავა და, თუ აქამდე დასავლეთ საქართველოს ფლობდა, ამიერიდან აღმოსავლეთ საქართველოსაც დაეპატრონა, მაგრამ ამ გამარჯვების ნაყოფით ბიზანტიამ დიდხანს ვერ ისარგებლა. გაუთავებელ ომებში ირანის დამარცხებამ, ეს ქვეყანა ჯერ დააძაბუნა, ხოლო შემდეგ ნიადაგი შეუმზადა მის მთლიანად მოსპობას და ახალი მრისხანე დამპყრობლების — არაბების გამოჩენა-გაძლიერებას, რამაც საგონებელში ჩააგდო თვით ბიზანტიაც.

---

100 ალ-ბალაზური, დასახ. ნაშრომი, გვ. ტექსტისა 4, თარგმანის—6; იბნ ხურდაზბიჰი (СМОМПК, Тифлис, 1903. вып. XXXII, с. 15); იბნ ალ-ფაკიჰი (СМОМПК, Тифлис, 1902, вып. XXXI, с. 14—15).

101 ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

102 Баладзори, დასახ. ნაშრომი, გვ. ტექსტისა 4, თარგმანის — 6; СМОМПК, Тифлис, 1903, вып. XXXII, с. 14—15. ალ-ბალაზურის, ალ-ფაკიჰისა და კუდამას გადმოცემებით, ანუშირვანს აღნიშნულ ციხესიმაგრეებში ჩაუყენებია სიასიჯები (Баладзори, დასახ. ნაშრომი, გვ. 6; СМОМПК, вып. XXXI, с. 14—15, вып. XXXII, с. 30—31), რომლებიც სომეხი ავტორების განმარტებით, სისაკანის, ანუ სიუნიკის მცხოვრებნი ყოფილან ხოსროს სამსახურში მყოფი.

მეორე თავი

არაბთა დაპყრობითი ომები

VII ს. 20—30-იან წლებში მექელი ვაჭრის, მუჰამადის, გარჯით არაბეთის ნახევარკუნძულზე წარმოქმნილმა არაბთა ახალმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ, რომელიც სახალიფოს სახელმწიფოებითაა ცნობილი, ჩამოყალიბებისთანავე ფართო დაპყრობითი ომები წამოიწყო, მისი მახვილი უმთავრესად მიმართული იყო მაშინდელი მსოფლიოს ორი ისეთი ძლიერი სახელმწიფოსაკენ, როგორსაც ირანი და ბიზანტია წარმოადგენდნენ. ირანს იგი შედარებით იოლად გაუსწორდა. კადისთან (637 წ.) და ნიჰავერდთან (642 წ.) გამართულ ბრძოლებში არაბებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს და სასანურმა ირანმა ამის შემდეგ ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. იგი სახალიფოს დაემორჩილა.

არაბთა ლაშქრობა წარმატებით ვითარდებოდა აგრეთვე დასავლეთითა და ჩრდილოეთით. ჩრდილოეთით მათ 640—642 წლებში ბიზანტიას წაართვეს პურის ბეღელი — სირია-მესოპოტამია და შეუდგნენ ამიერკავკასიიდან მის გაძევებას.

ბალაზურის ცნობით, არაბები 'იად იბნ ალ-ღანამის სარდლობით სირიიდან სომხეთს სწვევიან 640(19) წელს. ტარონის ოლქში მათ აუღიათ ხლათი მისი პატრიკოისისათვის სულჰისა (ზავისა) და ამანის უშიშროების სიგელი უბოძებიათ და ალ-აინ ალ-ჰამიდის, ანუ „მქავე წყლის წყაროებისაკენ" (ფეოდოსიოპოლისაკენ?) წასულან. იქიდან 'იად იბნ ალ-ღანამი ბიდლისს დაბრუნებულა, მის ლაშქარს კი გზა ჩრდილოეთისაკენ 'განუგრძვია[1] და, როგორც სებეოსი (VII ს.) გადმოგვცემს, დაუკავებია ბზუნიკ-აგოვიტი, მთელი ტარონის ოლქი და ბერკრის ხეობიდან[2] ორდოსპ-კოგოვიტზე გავლით ის არარატში

---

1 Liber expugnationis regionum auctore al-Balasori, Lugd. — Batav., 1866, გვ. 176 (შემდეგ al-Baladsori).

2 История епископа Себеоса. Перевод с четвертого исправленного издания С. Т. Малхасянц. Ереван, 1939, с. 91—93.

შეჭრილა, სადაც 7-დღიანი გარემოცვის შემდეგ, კერძოდ სომხური მოძრავი კალენდრის „ტრე"-ს თვის 20 რიცხვში, პარასკევ დღეს, ე. ი. 640 წლის 6 ოქტომბერს დაუფლებია დვინს[3].

არაბთა ამ ლაშქრობის თარიღად 640 წელს დებენ აგრეთვე დიონისე ტელმაჰრი და ლევონდი, რომლის თანახმად ეს იყო რიგით პირველი ლაშქრობა სომხეთში აბუ ბაქრის, უმარისა და უსმანის მმართველობის 22-ე წელს[4].

არაბები ამჯერად სომხეთში დიდხანს არ დარჩენილან. სებეოსისა და ლევონდის მიხედვით, ისინი სირიაში დაბრუნებულან აბუ ბაქრ-უმ-არ-უსმანის მმართველობის 22 წელსავე, კათალიკოს ეზრას (628—640) სიცოცხლეში, იმ გზით, რომლითაც მოვიდნენ[5]. მათი ესოდენ უეცარი წასვლა იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ ისინი მაშინ სპარსეთის შაჰის, იეზდიგერდ III-ის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლებში იყვნენ დასაქმებულნი და სომხეთისათვის არ ეცალათ. ეს რომ ნამდვილად ასე უნდა ყოფილიყო, ამას უდავოდ მოწ-

---

[3] დიონისე ასახელებს, „სელევკიდთა ერის 952 წელს (Chronique de Denys de Tell-Mahre, Paris, 1895, გვ. 6), რაც შეესაბამება ქრისტეს წელთაღრიცხვის 640/1 წელს.

[4] აბუ ბაქარი სახალიფოს განაგებდა 632—634 წლებში, 'უმარი—634—644' წლებში და 'უსმანი — 644—656 წლებში. მაგრამ მათი მმართველობის წლებს არ ანსხვავებენ, რადგან აბუ ბაქრის დროს 'უმარი იყო მისი უახლოესი მრჩეველი. ოგივე ითქმის 'უსმანზეც, რომელიც იყო მუჰამმადის მეგობარი და მოადგილე. როგორც გ. ვეილი აღნიშნავს, მათ გამუსლიმებისთანავე (618 წ.) დაიკავეს მაღალი პოსტები და სახელმწიფოს ერთად მართავდნენ (Weil Gustaw, Geschichte der Chalifen, t. Omar). ამიტომ ხშირად სომეხი მწერლები, მათ შორის ლევონდიც, მათი თანამმართველობის პერიოდს იწყებენ 618 წლიდან, ნაცვლად 632 წლისა, როცა ხალიფად აბუ ბაქარი დაჯდა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ჭ. პატკანიანმა და მიუთითა, რომ ლევონდის მიერ დასახელებული აბუ ბაქრ-'უმარ-'უსმანის გამგებლობის 22-ე წელი 640 წელზე მოდის (Гевонд, დასახ. ნაშრომი, გვ. 4. 118, შენ. 3 და გვ. 127, შენ. 27). ე. დიულორიეს ანგარიშებით არაბებს დვინი აუღიათ 642 წ. 6 ოქტომბერს (E. Dulaurier, Recherches sur chronologie arménienne, გვ. 230—231).

[5] ბალაზურის მიხედვით ხელშეკრულება დაუდვეს ხუზაიფა იბნ ალ-იამანის (Баладзори, დასახ. თხზულება გვ. ტექსტისა 17, თარგმანის—23), ატ-ტაბარი და იბნ ალ-ასირი კი მას მიაწერენ ბუკაირ იბნ აბდალაჰ ალ-ლაისს (ат-табарй, დასახ. თხზ., ტ. I, გვ. 2562; ибн ал-асирй, დასახ. თხზულება, ტ. III, გვ. 13; Материалы по истории Азербайджана из „Тарих ал-Камиль", с. 12), ხოლო ხუზაიფის ხელშეკრულება, მათი აზრით, დადებული უნდა იყოს 22(642/3) წელს (А. Н. Тер-Гевондян, Армения и арабский халифат, Ереван, 1977, с. 27).

ვობს ის, რომ დაამარცხეს თუ არა სპარსელები, არაბებმა მაშინვე ამიერკავკასიისაკენ იბრუნეს პირი და მის დაპყრობა-დამორჩილებას შეუდგნენ. ამისათვის მათ ერთგვარი საბაბიც კი ჰქონდათ. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ აზერბაიჯანელებმა უარი თქვეს 639 წ. მათთან დადებული მორჩილებისა და ყოველწლიური ხარკის (800000 დინარის) გადახდის ხელშეკრულების შესრულებაზე, ხოლო სომხებმა ლაშქრობაც კი მოაწყვეს სირიაში თეოდოროს რშტუნის მეთაურობით.

არაბები მწერლების ისტორიულსა და გეოგრაფიულ თხზულებებში დაცული ცნობების თანახმად, არაბები საქართველოს დედაქალაქის დასაპყრობად წამოსულან 642/3 (22) წელს. როგორც ატ-ტაბარი და იბნ ალ-ასირი აღნიშნავენ, 22(642/3) წელს ბაბ ალ-აბვაბის დაპყრობის შემდეგ სურაკიმ ბუქაირი იბნ აბდალლაჰი, ჰაბიბ იბნ მასალამა, (დაიბადა 617 წ. მექაში), ჰუზაიფა იბნ უსაიდი და სალმან იბნ რაბი'ა არმინიის გარშემო მდებარე მთების მოსახლეობის წინააღმდეგ გაგზავნა. ბუქაირი მუღანისაკენ გაისტუმრა, ჰაბიბი — თბილისისაკენ, ჰუზაიფი კი იმათ წინააღმდეგ, ვინც ალ-ლანის მთებში ცხოვრობდა, ხოლო სალმანი — სხვა მხარეს. მაგრამ ისინი ისე დაბრუნდნენ, რომ ბუქაირის მეტმა ვერაფერი დაიპყრო. ბუქაირმა კი 21(642) წელს მუღანი დაიკავა[6].

ერთი შეხედვითაც კი აშკარაა, რომ ატ-ტაბარისა და იბნ ალ-ასირის ამ ვრცელ ცნობაში თავი და ბოლო ერთმანეთს არ ეთანხმება. თუ სურაკიმ თავისი სარდლები დერბენდის დაპყრობის შემდეგ გაგზავნა თბილისის, მუღანის, ოსეთისა და სხვა ადგილების დასალაშქრავად, ხოლო დერბენდი მან ნამდვილად 22 (642/3) წელს დაიკავა, მაშინ, ცხადია, მუღანს ბუქაირი 21(642) წელს ვერ აიღებდა. არადა, ბალაზურთანაც „დაცვის სიგელი", რომელიც ბუქაირმა მუღანელებს უბოძა, დათარიღებულია 21 წლით[7]. ეტყობა ატ-ტაბარისთან, რომლიდანაც იბნ ალ-ასირი იწერს თავის ცნობას, რაღაც მიზეზის გამო, დარღვეულია თხრობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, თორემ შეუძლებელია სურაკს ბუქაირი მუღანის დასალაშქრა-

---

6 ატ-ტაბარი, 1, გვ. 237 (კაიროს გამოცემა), იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14; Материалы по истории Азербайджана из „Тарих ал-Камиль" Ибн ал-Асира, Баку, 1940, с. 13—14.

7 ალ-ბალაზური, გვ. 326 (დეგუეს გამოცემა); З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

ვად გაეგზავნა დერბენდის აღების შემდეგ[8]. სხვა ცნობებიდან ვიცით, რომ ბუქაირმა სწორედ მუღანის დაკავების შემდეგ განაგრძო ლაშქრობა კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ, ჩრდილოეთის მიმართულებით და იმავე წელს მიადგა დერბენდს, სადაც 22/642(3) წელს თავისი რაზმით მივიდა ხალიფა უმარის მიერ გამოგზავნილი სურაკიც და შეუერთდა მას ქალაქთან[9].

რაკი ირკვევა, რომ სურაკი დერბენდს მივიდა 22 წელს, ქალაქის აღებამდე. ხოლო მისი აღების შემდეგ მან თავისი სარდლები სხვადასხვა მხარეს დაგზავნა, ცხადია, ჰაბიბი თბილისის ასაღებად უნდა წამოსულიყო 642/3 წელს[10].

ეს ლაშქრობა არაბებისათვის უიღბლო გამოდგა, მაგრამ საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებაზე მათ ხელი მაინც არ აუღიათ. ატ-ტაბარის ცნობით, ჰაბიბს ისევ განუახლებია საომარი მოქმედება, თბილისი აუღია და მისი მოსახლეობისათვის „დაცვის სიგელი" მიუცია. მაგრამ როდის მოხდა ყოველივე ეს? ამის შესახებ იგი გარკვევით არაფერს იტყობინება. მასთან ეს ლაშქრობა ქრონოლოგიურად 22(642/3) წლის ამბებშია მოქცეული, და უშუალოდ მოსდევს ივ ამბების თხრობას, რომლებიც ბასრელ და ქუფელ მეომრებს შორის მათ მიერ დაპყრობილი მიწების გადასანაწილებლად გაშლილ დავას ეხებიან. ეს დავა კი ცნობილია, რომ უმარის ხალიფობის (634—644) დასასრულსა[11] და 'უსმანის ზეობის (644—656) დასაწყისში გაჩაღდა[12]. მაშასადამე, ატ-ტაბარის ცნობაში მოხსენიებული ლაშქრობა საქართველოში არაბებს უნდა მოეწყოთ 644—645 წლებში. ამ დასკვნამდე მივყავართ მის მეორე ცნობასაც, რომელშიც აღნიშნულია, რომ 24 წელს აზერბაიჯანის გამგებელმა ვალიდმა ამ ქვეყნის აჯანყებული მოსახლეობის დათრგუნვა-დახარკვის შემდეგ თავი-

---

8 ვფიქრობთ, ყველაფერი რიგზე იქნება, თუ ზემოთ მოტანილ ცნობას გავიგებთ ასე: სურაკიმ თავისი სარდლები... სალაშქროდ დაგზავნა მუღანის აღების შემდეგ. მუღანი კი მან 21(642) წელს დაიპყრო. ეტყობა, მუღანელები არაბებს განუდგნენ და ამით იყო გამოწვეული ბუქაირის ხელმეორედ ლაშქრობა 22(642/3) წელს იქ.

9 З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 81—82.

10 ამ დროს არაბებმა საქართველომდე მოაღწიეს აღნიშნავს ა. მიულერი (А. Мюллер, История ислама, СПб., 1895, I, გვ. 290).

11 იბნალ-ასირი, დასახ. თხზულება, ტ. III, გვ. 15—16.

12 Баладзори, დასახ. თხზ. გვ. 198; اليعقوبى، كتاب البلدان، ص-١٩٤ (შემდეგ: ალ-ია'კუბი).

სი ლაშქრის ერთი რაზმი სალმან იბნ რაბიას მეთაურობით არმინიის დასალაშქრავად გაგზავნა. სალამანმა არმინია გაძარცვა, მოსულისაკენ მიმავალ ვალიდს გზაში დაეწია და ორთავენი ჰადისში შეჩერდნენ. იქ ვალიდმა უსმანის წერილი მიიღო. ხალიფა იტყობინებოდა, რომ მუსლიმთა წინააღმდეგ ბიზანტიელთა დიდი ლაშქარი წამოსულა და მუავია აბუ-სუფიანი (სირიის გამგებელი) ითხოვდა, სირიელებისათვის მათი ძმები ქუფლები მიეშველებინათ. ვალიდმა ხალიფას ნება-სურვილი დააკმაყოფილა, სალმანი 8000 კაცით სირიელებს მიაშველა. სხვა ვერსიით, რომელიც ალ-ვაკიდსაგან (747—823) მომდინარეობს, სალმანი სირიელთა დასახმარებლად ალ-ვალიდს კი არა, სა'იდ იბნ ال-'ასის გაუგზავნია იმის გამო, რომ ხალიფას ბრძანებით მუ'ავიას ლაშქარი ჰაბიბ იბნ მასლამას სარდლობით არმინიის დასაპყრობად გაუგზავნია, მაგრამ, როდესაც კალიკალა (არზრუმი) დაუკავებიათ, მათ წინააღმდეგ ამ ქვეყნის ბიზანტიელი გამგებელი გამოსულა 80-ათასიანი ლაშქრით და ჰაბიბს ამიტომ უცნობებია მუ'ავიასათვის მუ'ავიას 'უ'სმანისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს სა'იდ იბნ ال-'ასისათვის მიმიხმარებოდა მას (ჰაბიბს), ال-'ასის ბრძანება შეუსრულებია, სალამან იბნ რაბი'ა 6000 მეომრით ჰაბიბისაკენ გაუსტუმრებია, მაგრამ სანამ იგი დანიშნულ ადგილს მივიდოდა, ჰაბიბს ბიზანტიელები დაუმარცხებია და კალიკალას დაბრუნებულა[13].

ატ-ტაბარის ცნობის ეს ორი ვარიანტი მხოლოდ დეტალებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თორემ ისე ისინი ერთსა და იმავე ამბავზე მოგვითხრობენ, ერთმანეთს ავსებენ და ადასტურებენ, რომ არმინიის დასაპყრობად მოწყობილ არაბთა ლაშქრობას 24(624/5) წელს ჰქონია ადგილი[14].

ატ-ტაბარი არაბთა ამ ლაშქრობის შესახებ მეტს არაფერს ამბობს, რის გამოც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს იგი კალიკალის ალებით დასრულებულიყო. მაგრამ ასეთი რამ გამორიცხულია. როგორც თვით ტაბარი აღნიშნავს, ლაშქრობის მიზანი არმინიის (და არა 'მარტო კალიკალას) დაპყრობა-დამორჩილება იყო. ამიტომ კალიკალასთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ცხადია, არაბთა სარდალი განაგრძობდა საომარ მოქმედებას დაკისრებული მისიის შესა-

---

13 ატ-ტაბარი, დასახ. თხზულება, ტ. 1, გვ. 308—309.

14 არმინია რომ 24(644/5) წელს დაულაშქრავს და დაუპყრია სალამან იბნ რაბი'ა ال-ბაჰილის ამას ال-ია'კუბიც აღნიშნავს (СМОМПК, 1903, вып. XXXII, с. 60—61).

სრულებულად. ამის დასტურია ალ-ბალაზურის ერთი ვრცელი ცნობა, რომელიც ამავე ლაშქრობას ეხება. ცნობის თანახმად, ქალაქალაში რამდენიმე თვის ყოფნის შემდეგ ჰაბიბ იბნ მასლამა მიდის ქ. მარბილს, იპყრობს ხლათს[15], ას-სამს, ბუსფურაჯანს (ვასპურვანს), არჯიშს (არჭეშს), ბაჯუნაისს (ბიჯნისს), ჯურნს, ამუშს, ღაბილის (დვინის) ყველა დასახლებულ ადგილს, აგრეთვე სისაჯანს (სივნიეთს) და იქიდან მიემართება ჯურზანისაკენ, ანუ ქართლისაკენ. „ზათ ალ-ლუჯუმად" წოდებულ ველზე ჰაბიბი ამარცხებს მოწინააღმდეგეს, რის შემდეგ ჯურზანის პატრიკიოსმა თავისი მოციქული აახლა მას და შეწყალება სთხოვა[16]. არაბთა სარდალი პატრიკიოსის თხოვნას აკმაყოფილებს, უზავდება მას და იმორჩილებს ჰავარიჰს[17], ქასფარ ბის, ქისალს[18], სამსახს (სამცხეს), ჯარდმანს (გარდაბანს?),

---

15 ხლათს არაბები დაეუფლნენ 25(28.10.645—16.10.646) წელს.

16 იბნ ალ-ასირის ცნობით კი „ზათ ალ-ლუჯუმის" შემდეგ ჰაბიბი იპყრობს სირაჯ ტაირს, ბაღრავანს, სისაჯანს და მერე მიემართება ჯურზანისაკენ (ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, დასახ. თხზულება, III, გვ. 41).

17 ივ. ჯავახიშვილის წაკითხვით, ეს უნდა იყოს „ხერკი" (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი-შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 76), მ. დ' ოსონი და მ. ღაზარიანი გულისხმობენ „ჯავახს" (M. D' o s s o n, Des peuples du Caucase, გვ. 53—54; M. C h a z a r i a n, Armenien unter der arabischen Herschaft, Marburg, 1903, გვ. 80). „ჯავახად" კითხულობს მას დ. მუსხელიშვილიც (დ. მ უ ს ხ ე ლ ი-შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 30). ამ მოსაზრებას იზიარებს ე. სიხარულიძე.

18 ივ. ჯავახიშვილი, მ. ლორთქიფანიძე და ე. სიხარულიძე ვარაუდობენ, რომ ქასფარ ბის (كسفر بس) არის ქსოვრისი, ხოლო დ. მუსხელიშვილის წაკითხვით აქ უნდა იგულისხმებოდეს „კასპი". რაც შეეხება ქისალს (كسال)-ს როგორც ბალაზური ამბობს, ის მდებარეობდა ბარდავიდან 40 და თბილისიდან 20 ფარსახის დაშორებით (А л - Б а л а д з о р и, დასახ. თხზულება გვ. ტექსტისა 12). ამიტომ ვ. მინორსკისა და დ. მუსხელიშვილის მიხედვით ის უნდა იყოს „ქიზიყი" V. M i n o r s k y, Kasal (Kazah). Revue des Etudes Armeniennes, t. X, გვ. 120—123; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფია არაბულენოვანი წყაროების მიხედვით. საქ. მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის... ინსტიტუტის XIX სამეცნ. სესია, თეზისები, თბ., 1970, გვ. 5; მისივე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ 29, ხოლო ივ. ჯავახიშვილის, მ. ლორთქიფანიძის, ე. სიხარულიძის და ჯ. გვასალიას წაკითხვით, „ქისალი" ქსანი უნდა იყოს (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 76; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი", მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29., თბ., 1951, გვ. 81; ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, არაბეთ-საქართველოს ურ-

ქუსთაჯს, შავშეთს, ბაზალეთს, თრიალეთს, კლარჯეთს, ხახიტს (კახეთს), ხუხითს (კუხეთს), არტაჰალს (არტაანს), ბაბ ალ-ლანის (დარიალის კარის) მოსახლეობას, ას-სანარიელებს (წანარეებს) და დუდანიელებს (დიდოელებს). ბალაზურის ჩვენებით ამ ლაშქრობას ადგილი ჰქონია 'უსმან იბნ 'აფანის ხალიფობის დასაწყისში, ე. ი. 644—645 წელს[19]. ასეთივე ცნობა აქვს ალ-ია'კუბისაც. იგი პირდაპირ უთითებს თარიღს და ამბობს: „არაბებმა არმინია 24(7.II.644—27.10.645) წელს დაიპყრესო"[20]. არმინიის დაპყრობისა და „ჯურზანის" მოსახლეობასთან დაზავების ოდნავ განსხვავებულ თარიღს იძლევა აჰმად იბნ ა'სამ ალ-ქუფი. მისი გადმოცემით არაბებს არმინია აუღიათ და ქართლის მოსახლეობასთან ზავი დაუდევთ[21] 25(28.10.645—16.10.646) წელს[22]. სხვა არაბი მწერლებისაგან განსხვავებით აჰმად იბნ ა'-სამ ალ-ქუფი ამ ლაშქრობას და წარმატებებს იბნ რაბი'ა ალ-ბაჰილის სახელს უკავშირებს, მაგრამ, ეტყობა, სწორი არ არის. ამას გვაფიქრებინებს არა მარტო ის გარემოება, რომ ბალაზური, ია'კუბი და იბნ ალ-ასირი აღნიშნული ლაშქრობის მეთაურად ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ჰაქამის ასახელებენ, არამედ ისიც, რომ თვით აჰმად იბნ ა'სამ ალ-ქუფი სხვა ადგილას, სადაც ის აღწერს ჰაბიბის მიერ ჩატარებულ სამხედრო ექსპედიციას, აღნიშნავს: ხალიფა უსმანის ბრძანებით არმინიისაკენ წასულმა მასლამამ 6000 მხედრითა და ქვეითით რამდე-

---

თიერთობის ისტორიიდან, არაბული „დაცვის სიგელები", თსუ შრომები, 73, თბ., 1959, გვ. 175; ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", III, თბ., 1967, გვ. 40).

[19] Б а л а д з о р и, დასახ. თხზულება. გვ. 197. ჩამოთვლილი ადგილები რომ ჰაბიბმა დაიპყრო, ამას ალ-ფაკიჰიც ადასტურებს (იხ. СМОМПК, вып. XXXI. 1902, გვ. 27).

[20] ა ლ - ი ა ' კ უ ბ ი, დასახ. თხზულება, გვ. 363; СМОМПК, вып. XXXII, გვ. 60—61. ამიტომაა, რომ მ. კანარი ჰაბიბის მიერ თბილისის დაპყრობას 645 წლით ათარიღებს (M. Canard. E. I., N. E., Leiden-London, 1960. გვ. 636).

[21] А б у М у х а м м а д А х м а д и б н А'с а м а л - К у ф и, Книга завоеваний (извлечение по истории Азербайджана VIII—IX вв.), перевод с арабского З. М. Буниятова, Баку, 1981, გვ. 9 (შემდეგ მოკლედ: Ал-куфи).

[22] იქვე, გვ. 78, მთარგმნელის ზ. ბუნიათოვის შენიშვნა. ასეთი უმნიშვნელო სხვაობა ჰიჯრით მოცემული თარიღის ქრისტიანულ წელთაღრიცხვაზე გადაყვანის დროს ბუნებრივია, თუ გადასაყვანი წლის თვე და რიცხვი უცნობია.

ნიმე დღეში ხლათი დაიკავა, მერე გზა განაგრძო, სირაჯ ტაირს რომ მიაღწია ჯურზანის მოსახლეობას წერილი გაუგზავნა და დაუზავდაო[23]. ავტორი ამ ლაშქრობის თარიღს არ ახსახელებს, მაგრამ ამის დადგენა ძნელი არაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ხლათი არაბებმა მასლამას სარდლობით აიღეს 25(645/6) წელს[24].

ამასადამე ირკვევა, რომ არაბები საქართველოში მოსულან VII ს. 40-იანი წლების შუა ხანებში, რასაც არაბი მწერლების გარდა ერთხელ კიდევ ადასტურებს ბიზანტიელი ქრონოგრაფი თეოფანეც. მისი პირდაპირი ჩვენებით, ქვეყნის გაჩენიდან 6145/645/ წელს ჰაბიბოსმა დაამარცხა ბიზანტიელი სარდალი და კავკასიონის უღელტეხილამდე სდია[25]. მაგრამ ბიზანტიელ და არაბ მწერალთა მონაცემების სისწორეს საეჭვოდ მიიჩნევს ზოგი სომეხი და ქართველი ისტორიკოსი. მ. ღაზარიანის ვარაუდით, არაბ ავტორთა ცნობებში ერთ ლაშქრობადაა გაერთიანებული 40—50-იანი წლების ბრძოლები და იგი 40-იან წლებში მომხდარ ამბადაა გამოცხადებული[26]. დაახლოებით ასეთივე აზრისაა ა. ნ. ტერ-გევონდიანიც. ისიც დარწმუნებულია იმაში, რომ VII ს. 50-იან წლებში არმინიაში ჰაბიბის მიერ მოწყობილი მეორე დიდი ლაშქრობა, რომლის შედეგად სომხითი და საქართველო სახალიფოში მოექცა, არაბ ავტორებთან მიჩნეულია მის პირველ ლაშქრობად, 644 წელს რომ მოეწყო[27].

ქართველ ისტორიკოსთაგან მ. ღაზარიანის მოსაზრებას მხარს უჭერენ ს. ჯანაშია[28], ნ. ბერძენიშვილი[29], მ. ლორთქიფანიძე[30], შ. შეს-

---

23 Ал-Куфй, დასახ. თხზულება, გვ. 11.

24 იქვე, გვ. 78, მთარგმნელის შენიშვნა.

25 Theophanes Chronographia, I, 1888, გვ. 345; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 73; А. Н. Тер-Гевондян. Армения и Арабский халифат, Ереван, 1977, გვ. 30.

26 M. Chazarian, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

27 А. Н. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 29—30.

28 ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, („შრომები", II, თბ., 1952, გვ. 358—363).

29 ნ. ბერძენიშვილი, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ VII—VIII სს-ში (საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, I, გვ. 115).

30 მ. ლორთქიფანიძე, ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1951, ნაკვეთი 29, გვ. 61—65).

სხია, ვ. გუჩუა[31], ო. ცქიტიშვილი[32] და სხვ., რომლებიც ჰაბიბის ლაშქრობას საქართველოში 655 წლით ათარიღებენ.

თავიანთი მოსაზრების დასასაბუთებლად აღნიშნული ავტორები ჩვეულებრივ იმას იშველიებენ, რომ ჯ ე რ ე რ თ ი, არაბი მწერლები, კერძოდ, ალ-იაკუბი და ატ-ტაბარი ჰიჯრით 31(651/2) წელს მომხდარი ამბების აღწერისას „კვლავ ლაპარაკობენ ჰაბიბის ლაშქრობაზე და დასძენენ: წინააღმდეგობა მასა და სალმანს შორის გრძელდებოდა ხალიფა უსმანის დაღუპვამდე"[33], ე. ი. 656 წლამდეო. მ ე ო რ ე, ამბის მომსწრე სომეხი ისტორიკოსები არსად იხსენიებენ არაბთა დიდ ლაშქრობას ამიერკავკასიაში ჰაბიბ იბნ მასლამას სარდლობით[34].

მართლაც, ალ-ია'კუბი და ატ-ტაბარი ერთგან კი აღნიშნავენ, 31 წელს ჰიჯრით ჰაბიბმა ლაშქრობა მოაწყო, რის შედეგად დაიწყო უთანხმოება და მან უსმანის დაღუპვამდე გასტანაო. მაგრამ ეს არ კმარა იმის უარსაყოფად, თითქოს 645 წელს არაბთა ლაშქრობას ჩვენში ადგილი არ ჰქონია. მით უმეტეს, რომ იმავე იაკუბს აქვს პირდაპირი ცნობა: 24 წელს ჰიჯრით (ე. ი. 645 წელს ქრისტიანული კალენდრით) არაბებმა დაიპყრეს არმინიაო, რომლის შემადგენლობაში, როგორც ცნობილია, შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოც.

ჰაბიბმა 662(42) წლამდე მაინც იცოცხლა[35] და ამ ხნის განმავლობაში არა ერთი ლაშქრობის მოწყობა შეძლო თუნდაც ამიერკავკასიაში, რომლის მკვიდრი მოსახლეობა არასდროს შერიგებია დამპყრობლებსა და მუდამ ხმალაღმართული იდგა მომხდურ მოძალადეთა წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში ცნობილია, რომ ჰაბიბ იბნ მასლამას (ვის სახელთანაც დაკავშირებულია აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა და დაცვის სიგელის დადება) ამიერკავკასი-

---

31 შ. მ ე ს ხ ი ა, ვ. გ უ ჩ უ ა, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო VII—X კლასებისათვის, თბ., 1969, გვ. 38.

32 ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, აჰმედ იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობის შესახებ საქართველოში („მაცნე", ისტორიის... სერია, თბ., 1984, № 1, გვ. 95; 97).

33 А. Н. Т е р - Г е в о н д я н. დასახ. ნაშრომი, გვ. 29.

34 იქვე.

35 H. L a m e n s, Etudes Sur le régne du calife Omariy de Mo'awiya Ier Melanges de la Faculte Orientale de Beirouth (MFOB), I, გვ. 42—57. ისე კი აღნიშნავენ, რომ ჰაბიბი 51 (671) წელსაც ცოცხალი იყოო (The Encyelopaedie of Islam, III, გვ. 12).

ში ულაშქრია 642—643. (644/5) და 653—654 წლებში[36]. 640 წლიდან მოყოლებული არაბთა შემოსევა რომ ხშირი იყო კავკასიასა და კერძოდ იბერიაში, ამას ა. მიულერთან ერთად აღნიშნავს კ. თუმანოვიც[37]. ამას გარდა, აქვე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ არსებული ცნობებით, დავა არაბებს შორის დაპყრობილი მიწა-წყლის გადასანაწილებლად დაიწყო ხალიფა უსმანის აღზევებისთანავე (644/5). და 651 წელს გადაიზარდა I სამოქალაქო ომში, რომლის გამოც დროებით შეწყდა დაპყრობები ყველგან, მათ შორის ამიერკავკასიაშიც[38]. ასე რომ, საეჭვოა 654—655 წლებში არაბებს საქართველო პირველად დაელაშქროთ და დაეპყროთ. უფრო სარწმუნო, ალბათ, ის იქნება თუ დავუშვებთ, რომ არაბები ამ დროს უკვე დაპყრობილი ადგილების შესანარჩუნებლად და მიზნის მისაღწევად ადგილობრივი მოსახლეობის (დათრგუნვა-დამორჩილებას ან გარეშე ძალის — ბიზანტიის მოგერიებას ცდილობდნენ[39].

ახლა ისიც ვნახოთ, თუ რას ამბობენ ამიერკავკასიაში არაბთა ლაშქრობების შესახებ სომხური ნარატიული წყაროები, რომლებსაც მკვლევართა ერთ ჯგუფი ესოდენ უპირატესობას ანიჭებს არაბულენოვან ავტორთა მონაცემებთან შედარებით.

არაბები ამიერკავკასიისაკენ მოიწევდნენ ორი მხრიდან: ირანიდან და სირია-მესოპოტამიიდან. ირანიდან ისინი ადარბადაგანის (აზერბაიჯანის) მიმართულებით მოდიოდნენ, ხოლო სირია-მესოპოტამიიდან კი სომხეთ-საქართველოს მიმართულებით. ლევონდის ცნობით, არაბები სომხეთში პირველად გამოჩენილან აბუ ბაქრის, უმარისა და უსმანის ხალიფობის 22 წელს[40], ანუ, როგორც

---

36 А. Мюллер, История Ислама, СПб., 1895, I, с. 289—291.

37 C. Toumanoff, Studies in Christian Caucasion History. Geoertown University Press, 1963, გვ. 393.

38 ე. სიხარულიძე, საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე", № 1, თბ., 1961, გვ. 194).

39 ყოველ შემთხვევაში, ჰაბიბმა რომ საქართველო 645 წელს დალაშქრა და მოსახლეობასთან ზავი დადო ამას, როგორც უკვე ითქვა, ბალაზურ-იაკუბ-ატ-ტაბარის მიხედვით აღნიშნავს მ. კანარიც (M. Canard. EI. N. E·, Leiden-London, 1960, გვ. 636).

40 Гевонд, დასახ. თხზულება გვ. 4.

ჭ. პატკანიანი ანგარიშობს, 640 წელს[41]. მეორედ — „სამი წლის შემდეგ... კონსტანტინე ბერძენთა იმპერატორის გამეფებიდან[42] ორი წელი რომ გავიდა, და ამ დროს დაულაშქრავთ დედაქალაქი დვინი[43].

ლევონდის ამ ჩვენებას მთლიანად ეთანხმება სებეოსის ცნობაც, რომლის მიხედვითაც არაბები სომხეთში მოსულან ჯერ 640, ხოლო შემდეგ — 643 წელს, „კათალიკოს ეზრას[44] დროს.„ (როცა) ჰერაკლე გარდაიცვალა[45] და სომეხ ნახარართა შორის დაწყებული მტრობა, დაქსაქსულობის გამო (სომხეთში) სარდლად ჯერ არავინ იყო დანიშნული. ამ დროს, — განაგრძობს სებეოსი, — ისმაილთა დამპყრობთა ლაშქარი სირიის ქვეყნიდან ტარონის ქვეყანაში შემოიჭრა, დაეპატრონა მას, აგრეთვე ბზნუნიკს[46], აგიოვიტს[47] და ბერკრის[48] ხეობით, ორდობად[49] — გოგოვიტის[50] გავლით არარატის ოლქში[51] შევიდა და დვინს დაეუფლა[52]. ამავე დროს ვასპურაკანის[53] მიმართულე-

---

41 Гевонд, გვ. 118, შენიშვნა 3 და გვ. 127, შენიშვნა 27. ამ შემთხვევაში ლევონდი აბუ ბაქარ-'უმარ-'უსმანის მმართველობას ითვლის არა 632 წლიდან, როცა აბუ ბაქარი გახალიფდა, არამედ მუჰამმადის აღზევების (618 წ.) დროიდან.

42 კონსტანტინე III, რომელსაც სომეხი ავტორები ხშირად კოსტასის ან კონსტატის სახელით იხსენიებენ, ბიზანტიის იმპერატორად აკურთხებს 641 წელს და 669 წლამდე მეფობდა.

43 Гевонд, დასახ. თხზულება, გვ. 4—5.

44 ჭ. პატკანიანის გამოანგარიშებით, ეზრა კათალიკოსად იყო 618—640 წლებში. ლ. ხანლარიანი კი აღნიშნავს, ის კათალიკოსად 630 წელს აირჩიეს და 641 წელს გარდაიცვალაო (Киракос Гандзакеци, История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, М., 1976, გვ. 355, შენიშვნა 901).

45 ჰერაკლე გარდაიცვალა 29 წლის მეფობის შემდეგ 640 წელს.

46 ბზნუნიკი — ოლქი ტერუბერანში ვანის ტბის ჩრდილოეთით.

47 აგიოვიტი — ოლქი არჭეშის ჩრდილო-დასავლეთითა და ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

48 ბერკრი — ოლქი და ციხე ვასპურაკანში ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

49 ორდოსპი — ადგილი ბაიაზეთის ახლოს (ორდსპ).

50 ოლქი არარატის პროვინციაში, ბაღრავანდის აღმოსავლეთითა და ვასპურაკანის ჩრდილოეთით.

51 ტერიტორია არარატსა და არაგაცის მთებს შორის, მდინარე არაქსის ხეობაში.

52 История епископа Себеоса. Перевод с IV-го исправленного армянского издания С. Т. Малхасянц, Ереван, 1939, გვ. 92—93 (შემდეგ მოკლედ: სებეოსი).

53 ოლქი დიდ სომხეთში, ნახიჩევანის სამხრეთით, ვანის ტბის აღმოსავლეთითა და ურმის ტბის ჩრდილო-დასავლეთით.

ბით მოქმედმა არაბებმა არწაფქამდე[54] მიაღწიეს და „გორის თვის[55] 23-ს“ იგი დაიკავეს. ხოლო არარატის მიმართულებით მოლაშქრე არაბებმა კი მახვილით განვლეს მთელი ტერიტორია „ტაიკის[56], ალვანეთისა და ივერიის საზღვრებამდე“[57], შემდეგ ნახიჩევანი მოარბიეს და იქიდან მუავიას[58] ბრძანებით სირიისაკენ გაბრუნდნენ, რომ იქ ბიზანტიის წინააღმდეგ მებრძოლ ლაშქარს მიშველებოდნენ. სებეოსის ცნობით, ამ ლაშქრობის დროს დაღუპულან არაბი სარდლები „ოტმანი“ (უსმანი) და „ოგომაი“ (უკბა)[59], რასაც იმეორებს ლევონდიკ[60].

არაბთა ლაშქრობების შესახებ სომხეთში საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ავრეთვე XI ს. მწერალი სტეფანოს ტარონაცი, ასოლიკის სახელითაც რომაა ცნობილი. სტეფანოსის თანახმად, არაბები აბუ ბაქრის, უმარისა და უსმანის დროს რამდენიმეჯერ ყოფილან სომხეთში. პირველად — 640 წელს, მეორედ — 644 წელს (შემოდგომაზე), მესამედ — 646 წელს და შემდეგ 654 წელს. პირველი ლაშქრობისას დაულაშქრავთ მარკი, გოხტენი, ნახიჩევანი, არტაზი, დაუმარცხებიათ ბიზანტიელი სარდალი პროკოფი, მოურბევიათ დაპყრობილი ტერიტორია და უკუქცეულან. მეორე თავდასხმისას, რომელიც ტრეს თვის 20 რიცხვში (ოქტომბერში) ყურძნის კრეფის დროს მოხდა, მათ აუკლიათ ტარონისა და არარატის ტერიტორიები, დაუპყრიათ დვინი, დაუტყვევებიათ 35 ათასი კაცი და წასულან[61].

---

54 ციხესიმაგრე კოგოვიტის ოლქში, არარატის მთის დასავლეთით.

55 გორი — სომხური მოძრავი კალენდრის მერვე თვეა. VII ს. 40-იან წლებში იგი იულიუსის კალენდრის ივლის-აგვისტოს ემთხვევა.

56 ტაიკი იგივე ტაო, საქართველოს სამხრეთი მხარე ჭოროხის ხეობაში.

57 სებეოსი, გვ. 99—100. ა. შაჰნაზარიანი აღნიშნავს, ეს 650 წ. მოხდაო და სებეოსს იმოწმებს (А. Шахназарян, Двин, Ереван. 1940, с. 68). მაგრამ სომეხი მემატიანე პირდაპირ ამბობს, ეს კონსტანტინეს მეფობიდან ორი წელი რომ გავიდა მაშინ მოხდაო (გვ. 100, ე. ი. 643 წელს. ამ ლაშქრობის თარიღად 643 წელს ასახელებს ა. მიულერიც. მისი თქმით, მაშინ არაბებმა საქართველომდე მოაღწიეს“ (А. Мюллер, История ислама, т. I, СПБ., 1895, с. 290).

58 მუ'ავია — სირიის გამგებელი, 661—680 წლებში ხალიფა.

59 სებეოსი, დასახ. თხზულება, გვ. 100.

60 ლევონდი, დასახ. თხზულება, გვ. 6.

61 Всеобщая история Степаноса Таранского Асалика по прозванию. Перевод с армянского и объяснена Н. Эминым. М., 1864, с. 89—90.

იმის გამო, რომ სომხეთის დაცვაზე ბიზანტიის იმპერატორს არ უზრუნვია, სომხეთის მმართველი თეოდოროს რშტუნი, კათალიკოსი ნერსესი და სმბატი იძულებული გახდნენ ზურგი შეექციათ კონსტანტინესათვის და 643—646 წლებში, არაბებს დამორჩილებოდნენ[62]. ეს იმანაც განაპირობა, რომ ამ დროს ბიზანტიასა და სომხეთს შორის წარმოებდა დავა რელიგიურ სფეროში. ბიზანტიის იმპერატორი დაჟინებით მოითხოვდა სომხების გაქალკედონიკებას, ხოლო სომხები ჯიუტად იცავდნენ მონოფიზიტობას.

სომხეთის თავკაცთა საქციელი ბიზანტიის იმპერატორს მოთმინებას უკარგავდა, მაგრამ ურჩ ქვეშევრდომთა დასჯა და სომხეთის კვლავ შემოერთება მას მაშინ არ შეეძლო. ბიზანტია მძიმე ომგომარეობაში იმყოფებოდა. რელიგიური უთანხმოების საფუძველზე 646 წელს მოხდა განხეთქილება მასსა და რომს შორის[63]. ბიზანტიამ დაკარგა ლათინური აფრიკა — ალექსანდრია[64], კირენაიკი და ტრიპოლი[65]. სირიის გამგებელმა მუავია აბუ სუფინმა დაიპყრო კაპადოკია და შეუდგა მზადებას საზღვაო ლაშქრობისათვის კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ[66]. ყოველივე ამან აიძულა კონსტანტინე იმპერატორი (650 წ.) დაედო არაბებთან საბწლიანი საზავო ხელშეკრულება და ეკისრა დიდი თანხის გადახდა[67]. თეოფანე ქრონოგრაფის ცნობით, ეს მომხდარა 650 წელს, სებეოსთან კი ჩანს, რომ საზავო ხელშეკრულება დაუდევთ „კონსტანტინეს მეფობის მეორე წელს“, ე. ი. 643 წელს[68], რაც, ვფიქრობთ, შეცდომაა.

653 წელს ბიზანტია-არაბეთის საბწლიანი ხელშეკრულების ვადა ამოიწურა. ამ დროისათვის არაბებმა მოამთავრეს მთელი ირანის დაპყრობა და განიზრახეს ბიზანტიის მოსპობაც, რისთვისაც გაანახლეს საომარი მოქმედება ზღვაზეც და ხმელეთზეც. იმავე წელს ბიზანტიას აუჯანყდნენ სომხებიც, რომლებიც, როგორც სებეოსის ერთი ცნობიდან ჩანს, მხოლოდ მაშინ, ე. ი. 653 წელს დამორჩილებიან

---

62 ლ ე ვ ო ნ დ ი, დასახ. თხზულება, გვ. 127, შენ. 24; გვ. 130, შენ. 41 და გვ. 132, შენ. 50.

63 Ю. К у л а к о в с к и й, История Византии, Киев, 1915, т. III, с. 200.

64 იქვე, გვ. 194.

65 Theopanes Chronographia, 1888, გვ. 343.

66 La Chronique de Michael le Syrien, trad. par Chabot, Paris, 1901, XI, გვ. 141.

67 Theopanes Chronographia, გვ. 344; La Chronique de Michel le Syrien, გვ. 442.

არაბებს: „სამწლიანი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, — ამბობს მემატიანე, — (ისმაილიანების მეფემ) აღარ ისურვა მისი გაგრძელება და... კონსტანტინეს ზეობის მე-12 წელს[69] ჯარებს უბრძანა დაეწყოთ ომი. ამავე წელს აჯანყდნენ სომხები, ჩამოშორდნენ ბერძენთა სამეფოს და დამორჩილდნენ ისმაილიანთა ხელმწიფეს. რშტუნის მფლობელმა ყველა სომეხ ნახარართან ერთად ხელშეკრულება დადო ჯოჯოხეთთან... ისმაილიანთა გამგებელმა ასე უთხრა მათ: „ჩვენს შორის საზავო ხელშეკრულება, რამდენი ხნითაც გნებავთ, ასეთი იქნება: სამი წლის განმავლობაში თქვენგან ხარკს არ ავიღებ, შემდეგ კი გადაიხადეთ იმდენი, რამდენსაც ისურვებთ. ამაზე ფიცსა ვდებ თქვენთან. თქვენ მიწაზე იყოლიებთ 15000 კაციან ცხენოსან ჯარს, რომლის შესანახს გაიღებთ თქვენივე ქვეყნიდან და მე მას ჩაგითვლით ხარკში. თქვენ ცხენოსან ლაშქარს სირიაში არ გაიწვევენ, სხვაგან კი, სადაც არ უნდა მოვითხოვო, ის მზად უნდა იყოს წასასვლელად. თქვენს ციხესიმაგრეებში არც ამირებს გამოვგზავნი და არც ჯარს, ერთ მხედარსაც კი. სომხეთში ვერც ერთი მტერი ვერ შემოვა. თუ ბიზანტიელები დაგვესხნენ თავს, იმდენ ჯარს მოგაშველებთ, რამდენსაც ისურვებთ. გეფიცებით ყოვლისმძლე უფალს, რომ არ მოვატყუებთ»[70].

სებეოსი აქ წინააღმდეგობაში ვარდება[71]. ჯერ გვითხრა ზავი 643 წელს დაიდო სამი წლითო, ხოლო შემდეგ კი განაგრძობს და გვეუბნება: როგორც კი ეს დრო გავიდა არაბებმა მისი გაგრძელება აღარ ინებეს და მაშინვე, კონსტანტინეს მეფობის XII წელს ე. ი. 653 წელს, ბრძოლა განაგრძესო. თუკი ზავი ნამდვილად 643 წელს დაიდო სამი წლის ვადით და ვადის გასვლისთანავე საომარი მოქმედება კვლავ განახლდა, მაშინ, ცხადია, ეს უკანასკნელი 646 წელს უნდა მომხდარიყო. ხოლო თუ ბრძოლა 653 წ. განახლდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ზავი 650 წელს დაუდვიათ. სადაა დაშვებული შეცდომა? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით არ ხერხდებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ 643—644 წლების, — როცა არაბებმა ბიზანტიელები სომხეთიდან გააძევეს,

---

68 ს ე ბ ე ო ს ი, დასახ. თხზულება, გვ. 100—101.

69 სხვაგან (გვ. 122). წერს „მე-11 წელს", ხოლო ერთგან „მე-13 წელსაც" ამბობს (ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 361).

70 ს ე ბ ე ო ს ი, დასახ. თხზულება, გვ. 116—117.

71 საერთოდ უნდა ითქვას, რომ სომეხი, ბიზანტიელი და არაბი მწერლები ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ზოგჯერ საკუთარ თავსაც.

სომხეთი დაიკავეს, ხოლო სომხები მიიმხრეს და მათთან სათანადო ზარიგება დადეს — არეულია შემდეგი დროის, კერძოდ 648—650 წლების ამბებში, როდესაც უკვე არაბები უშუალოდ კონსტანტინეპოლს დაემუქრნენ და იმპერატორი აიძულეს თავიანთთვის სასურველი ხელშეკრულება დაედო. ასეთი აღრევა შეუძლებელია სებეოსს მოსვლოდა, თუ ის აღწერილი ამბების თანამედროვეა და თავისი თხზულება ნამდვილად VII ს. 60-იან წლებში აქვს დაწერილი, როგორც ეს დღეს არის მიღებული[72]. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ან ეს თხზულებაა გვიან შედგენილი და მის ავტორს უკვე აღარ ახსოვდა ხეირიანად როდის რა მოხდა, ანდა თხზულების ეს ადგილი არაბების მიერ სომხებთან დადებული ხელშეკრულების ტექსტთან ერთად ჩამატებულია შემდეგ (მაგრამ არა იქ, სადაც უნდა იყოს)[73] გადამწერთა თუ რედაქტორთა ხელით ისე, როგორც წინა, „XLIV თავი, რაზეც სამართლიანად მიუთითებს ს. მალხასიანცი[74]. თუ ყოველივე ეს ასეა, მაშინ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ 653 წელს სომხები ბიზანტიის წინააღმდეგ იმიტომ კი არ აღმდგარან, რომ არაბთა მხარეზე გადასულიყვნენ, არამედ იმის გამო, რომ ისინი ამ დროს უკვე დიდი ხნის გადასული იყვნენ მუსლიმთა მხარეზე და მათთან დადებული ხელშეკრულება ავალდებულებდათ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად ებრძოლათ. ამას გვაფიქრებინებს „სომეხი ხალხის ისტორიის“ სახელმძღვანელოს ის ადგილიც, სადაც აღნიშნულია „648 წელს დვინში შედგა საერო და სასულიერო ფეოდალთა თათბირი. თათბირმა რშტუნის დაჟინებით, კატეგორიულად უარყო ბიზანტიის მოთხოვნა გადასულიყვნენ მის მხარეზე, ე. ი. ფაქტიურად დამორჩილებოდნენ მას“[75]. რაკი სომხები უარს აცხადებენ ბიზანტიისადმი მორჩილებაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არაბებთან არიან, რადგან დამოუკიდებელი სომხეთი მაშინ არ არსებობდა.

არაბთა მხარეზე გადაბარგებული სომხების დასასჯელად ბიზანტიის იმპერატორმა ლაშქარი შეჰყარა და „თავისი მეფობის მე-12 წელს“

---

72 სებეოსის ისტორიაში თხრობა მიყვანილია 661 წლამდე.

73 ასეთი რამ სრულიად არ უნდა იყოს გამორიცხული, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სებეოსის თხზულების ერთადერთი უძველესი ხელნაწერი (1672 წ), საიდანაც სხვებია გადაწერილი, დამახინჯებული და დეფექტურია. გვერდები ზოგან არეულია, ზოგი კი აკლია და ამიტომ თხრობაც არ არის თანმიმდევრული (იხ. სებეოსის IV გამოცემა, ერევანი, 1939, გვ. 6).

74 ს ე ბ ე ო ს ი, დასახ. თხზულება, გვ. 102—104 და 175, შენიშვნა 189.

75 История армянского народа, Ереван, 1951, часть I, под редакцией Б. Н. Аракеляна и А. Р. Иоаннисяна, с. 112.

სომხეთისაკენ გამოემართა. შეშინებული ნერსესი და სხვა მრავალი ნახარარი, თეოდოროს რშტუნის გამოკლებით, იმპერატორს ქალაქ არზრუმს მიეგებნენ, მორჩილება აღუთქვეს და დვინისაკენ გაუძღვნენ. თეოდოროსმა კი კუნძულ აღთამარს შეაფარა თავი ვანის ტბაში და ყველას აცნობა თავიანთ ოლქებში გამაგრებულიყვნენ. მისი მოკავშირე ქართველები, ალვანელები და სივნიელნი, თავიანთ ქვეყნებში გამაგრდნენ. მათ დასამორჩილებლად კონსტანტინემ დვინიდან ლაშქარი გაგზავნა. ქართველები ერთხანს უარს იყვნენ მორჩილებაზე, მაგრამ ბოლოს დანებდნენ. ალვანელების, სივნიელების და სეპაკან გუნდის წინააღმდეგობის გატეხვა კი ბერძნებმა ვერ შეძლეს[76]. სებეოსის ეს ცნობაც მოწმობს, რომ სომხეთი, საქართველო და ალვანეთი 653 წლამდე შესულან არაბთა მორჩილებაში.

ბიზანტიის იმპერატორი სომხეთში დიდხანს არ დარჩენილა. 653 წლის აღდგომის დღესასწაულს ის კონსტანტინეპოლში შეეგება. მისი წასვლისთანავე თეოდოროს რშტუნიმ ბიზანტიას მიმხრობილ ნახარარართა დასასჯელად სირიიდან არაბთა ლაშქარი გამოითხოვა და მუ'ავიამ 7000 მეომარი მოაშველა. ამ ჯარით მან გაზაფხულზე ბიზანტიელები სომხეთიდან გააძევა, შავი ზღვის სანაპიროს მიაღწია, ტრაპიზონი დაიკავა და იქიდან დამასკოს წავიდა[77]. ამრიგად, სომხეთი კვლავ არაბთა მფლობელობაში მოექცა.

თეოდოროსი დამასკოში პატივით მიიღეს. მუ'ავიამ მას ოქრომკედით ნაქარგი ფარჩეული უბოძა, სამართავად გადასცა „სომხითი, ივერია, სიუნია"[78] კავკასიონამდე, ჩორის კარამდე[79]... და დაავალა, ეს ქვეყნები მორჩილებაში მოეყვანა[80]. თეოდოროსმა სირიის გამგებელს პირობა მისცა, რომ დავალებას პირნათლად შეასრულებდა, მაგრამ, ეტყობა, ეს ვეღარ მოახერხა და ამიტომ ხალიფა უსმანი 654 წელს იძულებული გახდა კაპადოკიაში დაბანაკებული თავისი ჯარი კავკასიისაკენ დაეძრა ქართლის დასამორჩილებლად: „შემოდგომის დასასრულს, როცა (655 წ.) ზამთარი იწყებოდა ისმაილიანთა ლაშქარი მოვიდა და დვინს დადგა... ისმაილიანებმა თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით (იქიდან) მოლაპარაკება გამართეს ივერი-

---

76 სებეოსი, დასახ. თხზულება, გვ. 117—119.

77 იქვე, გვ. 121.

78 სიუნია, სიუნიკი, ანუ სივნიეთი — თანამედროვე ყარაბაღი.

79 ჩორის (ჭორის, ჯურის) კარები — დარუბანდი.

80 სებეოსი, გვ. 121—122. ამ ცნობებიდანაც აშკარად ჩანს, რომ სომხეთი და ქართლი 653 წლამდე შესულან არაბთა მფლობელობაში.

ელებთან და მუქარით შეუთვალეს: დაგვემორჩილეთ ან დატოვეთ ქვეყანა და წადითო. ივერიელებმა უარი თქვეს და საომრად მოემზადნენ. (მაშინ) ისმაილიანები მათკენ დაიძრნენ, რომ ისინი სულერთიანად ამოეწყვიტათ, (მაგრამ) როგორც კი გზას გაუდგნენ, ყინვამ და თოვლმა მოუსწროთ და პირი მაშინვე (ასირიისაკენ) იბრუნეს"[81].

არაბების წასვლა რომ შეიტყვეს, სომეხმა ნახარარებმა ფეოდალური შინაომები დროებით შეწყვიტეს, ერთმანეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარეს, თეოდოროს რშტუნის სამფლობელო გაიყვეს და მძიმე გადასახადებით დაბეგრეს. თეოდოროსს, რომელიც მაშინ შეუძლოდ იყო და ალთამარს აფარებდა თავს, მის წინააღმდეგ შეთქმულ ფეოდალთა დასჯა საკუთარი ძალით არ შეეძლო, ამიტომ მან ისევ „არაბებს სთხოვა ჯარი, რათა სომხები დაემარცხებინა და განეფანტა, ხოლო ივერიელნი ხმლით გაენადგურებინა"[82] (ალბათ, არაბთა ღალატისა და ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლისათვის).

ასეთ თხოვნაზე, ცხადია, ხალიფა მას უარს არ ეტყოდა და, როგორც სებეოსი იუწყება, სომხეთისაკენ დასძრა დიდი ლაშქარი, რომელმაც ჰაბიბის სარდლობით 655 წ. გაზაფხულის ჟამს „დაიკავა მთელი ქვეყანა კიდით კიდამდე თეოდოროს რშტუნი და ყველა ნახარარი ქვეყნისა მათ დამორჩილდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ მათი სურვილის დაკმაყოფილებას... ტაჯიკები (არაბები. — ბ. ს.) თავს დაესხნენ ნახიჩევანთან მეომარ ბერძნებს, დაამარცხეს ისინი და მოსპეს, ხოლო სხვები გააქციეს. თვით მავრიანიც[83] გაიქცა და ივერიაში გადაიხვეწა, რის შემდეგ ისმაილიანები ქალაქ კარინისაკენ[84] გაბრუნდნენ, დაიკავეს ის, წაიღეს ოქრო-ვერცხლი და უამრავი სიმდიდრე. მათ გაძარცვეს აგრეთვე სომხეთის მიწა-წყალი ალვანეთი, სიუნიკი, გაამიშვლეს ეკლესია-მონასტრები და მძევლებად წაასხეს ქვეყნის რჩეული დიდგვაროვანნი ცოლშვილიანად. მათთან ერთად წავიდა რშტუნის გამგებელი თეოდოროსიც[85] თავისიანებითურთ და (ყველანი) სირიაში მიიყვანეს"[86].

---

81 სებეოსი, დასახ. თხზულება, გვ. 124.

82 იქვე.

83 მავრიანოსი, რომელიც სომხეთის მმართველად დაინიშნა 653 წელს.

84 კარინი, კარნუ ქალაქი და კალიკალა არზრუმს ეწოდებოდა.

85 თეოდოროსი ამ დროს ცოცხალი აღარ იყო, ის 654 წელს გარდაიცვალა დამასკოში (ლევონდი, გვ. 130, შენიშვნა 41).

86 სებეოსი, დასახ. თხზულება, გვ. 126—127. „სომხეთის ისტორია" (1951 წ.) ამ ლაშქრობის თარიღად ასახელებს 654 წელს, რაც შეცდომაა.

სომეხი წარჩინებულნი ოჯახებიანად რომ აჰყარეს საკუთარი მიწა-წყლიდან და სირიაში მძევლებად წაიყვანეს, ამით არაბებს ეკონათ სომხეთს საბოლოოდ დაიმორჩილებდნენ, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს. „იმავე წელს სომხებმა უარი განაცხადეს ისმაილიანებისადმი სამსახურზე და საბერძნეთის მეფის სამსახურში ჩადგნენ"[87]. მაშინ მოთმინებადაკარგულმა ხალიფამ სომეხი მძევლები მთლიანად ამოჟლიტა[88] და სომხეთის დასაჭცევად ლაშქრის გაგზავნასაც აპირებდა, რომ დასცლოდა, მაგრამ მან სიცოცხლე დაასრულა და „სომხეთმა ორი წლით დაისვენა[89].

ასეთია სომეხი მწერლების სებეოსის, ლევონდისა და სტეფანოზ ტარონაცის, ანუ ასოლიკის ცნობები ამიერკავკასიაში არაბთა ლაშქრობების შესახებ მათი აქ პირველად გამოჩენიდან უსმანის ხალიფობის დასასრულამდე, ე. ი. 656 წლამდე. მოტანილი ცნობებიდან ირკვევა, ჯერ ერთი, ის, რომ არაბებს უსმანის დაღუპვამდე ამიერკავკასიაში ულაშქრიათ 640[90], 643/4, 646/7[91] და 655 წლებში; მეორე, მათ დაულაშქრავთ სომხეთი და გაუძევებიათ იქიდან ბიზანტიელები; მესამე, ბიზანტიას უცდია დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება და 653 წელს ერთგვარი წარმატებებიც კი ჰქონია, მაგრამ 654 წ. ის მაინც წასვლია ხელიდან; მეოთხე, სებეოსის ცნობის თანახმად, არაბების მიერ სომხეთის დაპყრობა, სომხეთის გამგებლის თეოდოროს რშტუნის, სუმბატისა და კათალიკოს ნერსესის მიერ არაბთა ბატონობის ცნობა მომხდარა 652/3 წელს. მისივე თქმით, ამ დროს უნდა იყოს დადებული სომხეთთან „მორჩილებისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, მაგრამ როგორც ზემოთ ვთქვით, გარკვეული მიზეზის გამო ამ ცნობის სისწორე საეჭვოა. ამიტომ სწორი უნდა იყოს ის ცნობა და მასზე დაფუძნებული მოსაზრება, რომლის მიხედვით სომხეთი არაბთა ხელში ჩანს 643—646 წლებიდან; მეხუთე, სომეხი მწერლები არაფერს ამბობენ საქართველოში არაბთა შემოსვლის შესახებ და ამდენად არ იმსახურებენ ისინი იმ მეტისმეტ ნდობას, რასაც

---

87 სებეოსი, გვ. 128.

88 1775 კაციდან მხოლოდ 22 გადარჩა ცოცხალი (სებეოსი, გვ. 128).

89 ლევონდი, დასახ. თხზულება, გვ. 7.

90 ასოლიკის მიხედვით არაბები სომხეთში მოსულან ჯერ კიდევ 637 წელს (Всеобщая история Степаноса Таронского, М., 1864, с. 89).

91 სომხეთში არაბთა ერთ-ერთი შემოსევის თარიღად 647 წელს ასახელებს მოვსეს კალანკატვაცი (История Алван Мойсея Каланкатваци, СПб., 1861, с. 258).

მკვლევართა ერთი ჯგუფი იჩენს მათ მიმართ[92]; მეექვსე, ის ორიოდე ცნობაც კი, სადაც საქართველოა მოხსენიებული, იმაზე მოგვითხრობს, რომ საქართველოს ალმოსავლეთი ნაწილი არაბების ხელში გადასულა არა 654—655 წლებში, არამედ უფრო ადრე. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს სებეოსის ის ცნობები, სადაც აღნიშნულია ბიზანტიის იმპერატორის მიერ 653 წელს ჯარის გაგზავნა ქართლის დასამორჩილებლად და სირიის გამგებლის მიერ თეოდოროს რშტუნისათვის მისი (ქართლის) გადაცემა სამართავად. აგრეთვე ისიც, სადაც ქართველები არაბებთან პირშეკრული სომხების მოკავშირედ არიან გამოცხადებული „ალვანელებთან" ერთად. ქართლი რომ იურიდიულად არაბთა ხელქვეითი არ ყოფილიყო სირიის გამგებელი მასზე განმკარგულებელი ვერ იქნებოდა, რშტუნის მის გამგებლად არ დანიშნავდა, მაგრამ ეტყობა ქართველები ხშირად არღვევდნენ არაბთათვის მიცემულ პირობას, გამოდიოდნენ მისი მორჩილებიდან, რის გამოც არაბები ყოველთვის ცდილობდნენ მათზე თავიანთი უფლებების აღდგენას. დ ა ბ ო ლ ო ს, ამ მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება მივუთითოთ ასოლიკის ერთ ცნობაზე, სადაც აღნიშნულია, რომ არაბებმა დვინი აიღეს და თავისი ბატონობა დაამყარეს სომხეთ-ქართლ-ალვანეთში 95 (645/6) წელს[93]. ეს ცნობა თითქმის მთლიანად ეთანხმება არაბი და ბიზანტიელი მწერლების მონაცემებს სომხეთ-საქართველოში არაბთა ბატონობის დასაწყისის შესახებ.

როცა არაბი ავტორების ცნობათა სისწორეში ეჭვი შეაქვთ, ჩვეულებრივ უთითებენ შემდეგ გარემოებაზე: 1. რომ სომეხი მწერლები იმავე ლაშქრობების აღწერისას ჰაბიბს მხოლოდ 654 წ. ბრძოლების დროს იხსენიებენ[94]; 2. შეუძლებელია არაბებს ამოდენა ტერიტორია — სომხეთ-საქართველო ერთი ლაშქრობისას დაეპყროთ და 3. არაბ ავტორებთან ზემოაღნიშნული ყველა ლაშქრობა გაერთიანებუ-

---

92 სომხურ ისტორიოგრაფიაში შეიმჩნევა ტენდენცია, როგორმე გაუგრძელონ ქვეყანას დამოუკიდებლობა და ამ მიზნით გადადონ არაბთა თავდასხმები, მაგრამ ამაში წყაროები უშლით ხელს.

93 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 363. სომხური წყაროების მონაცემების სათანადო ანალიზის შედეგად ასეთივე დასკვნამდე მიდის დ. ქასრაშვილიც (დ. ქ ა ს რ ა შ ვ ი ლ ი, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის" დათარიღებისათვის... მეგობრობა", თბ., 1980, გვ. 131, 139). ოღონდ სამართლიანობა მოითხოვს აქვე ითქვას, რომ არაბული წყაროების მოხმობისას, ავტორი ჰიჯრით მოცემული თარიღების გადაყვანისას ყველგან ერთწლიან შეცდომას უშვებს.

94 А. Н. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

ლია და გადატანილი 644/5 წელს[95]. მაგრამ ამ არგუმენტებიდან, ვფიქრობთ, ვერც ერთი ვერ უძლებს საღ კრიტიკას. სომეხი მწერლები მხოლოდ ორგან იხსენიებენ არაბი სარდლების სახელებს: 642/3 წელს მოწყობილი ლაშქრობებისას უსმანსა და 'უკბას და 654 წელს — ჰაბიბს. სხვა ლაშქრობებისას არაბ მეთაურთა სახელებს ისინი საერთოდ არ უთითებენ. მაგრამ ეს განა იმის უფლებას გვაძლევს, რომ მათ მიერ აღწერილი ლაშქრობები, სადაც არაბი სარდლების სახელებს ვერ ვხვდებით, არარსებულად ან საეჭვოდ მივიჩნიოთ? ამიტომ არაა მართებული ვიფიქროთ, რომ რაკი ისინი ჰაბიბს 654 წ. ლაშქრობამდე არ ახსენებენ, მანამდე ის „არმინიაში" არ ყოფილა. არაბი ავტორების ცნობით ხომ იგი სომხეთსა და ქართლში (ჯურზანში) 644/5 წელსაც იყო და 653/4 წელშიაც[96].

არაბთა უეცარმა გამოსვლამ მსოფლიო პოლიტიკურ სარბიელზე და აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოზე — სასანურ ირანზე მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებამ მათ უძლეველის სახელი მოუხვეჭა. როგორც ლევონდი აღნიშნავს, ისინი „ფრთებიანი გველისა და ქარის სისწრაფით" მოქმედებდნენ[97], რის გამოც ხმა გავრცელდა, არაბს ხმალი და ისარი ვერაფერს აკლებსო[98]. მათთან შებრძოლებას ყველა, ბიზანტიაც კი ერიდებოდა[99]. პატარა ქვეყნები უბრძოლველად ნებდებოდნენ. რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე დანებდა მათ ამიერკავკასიის ქვეყნების — სომხეთ-საქართველო-აზერბაიჯანის მოსახლეობაც. სებეოსის ცნობით, არაბები საქართველოს საზღვარს ჯერ კიდევ 642/3 წელს ზაფხულში მისდგომიან[100]. ისე რომ, არაბი მწერლების ცნობები 644/5 წელს ამიერკავკასიაში არაბთა ლაშქრობისა და აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შე-

---

[95] А. Н. Тер. Гевондян, დასახ. ნაშრომი გვ. 30.

[96] ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, დასახ. თხზულება, III, გვ. 44.

[97] Л е в о н д, დასახ. თხზულება, გვ. 5.

[98] В. А. D о р н. Известия о хазарах восточного историка Табари, с отрывками из Гафиз—Абру, Ибн Аазем—Эль-Куфи и др. (Журнал Министерства народного просвещения, СПб., август 1844, часть XLIII, отд. I, გვ. 95), იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, III, გვ. 64.

[99] „ივლტოდეთ, რამეთუ უფალმან მოსცა აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკინოზთა" (ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 230).

[100] С е б е о с, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

სახებ სრულიად სარწმუნო ჩანან და არავითარ აღრევას არ აქვს ადგილი.

საქართველოში არაბთა ბატონობის დასაწყისად 644/5 წელს იმიტომაც უარყოფენ, რომ დამპყრობლები აქ დიდხანს არ დარჩენილან[101]. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ხანგრძლივი დროით არსად არ ჩერდებოდნენ. იქ, სადაც მათ უბრძოლველად ნებდებოდნენ, ადგილობრივი მართვა-გამგებლობის წესი უცვლელი რჩებოდა. დამპყრობლები დამარცხებულთაგან ითხოვდნენ ყოველწლიურად ხარკის ან სულად და საადგილმამულო გადასახადების გადახდას[102] და თვითონ მიდიოდნენ. მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაპყრობილ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, თავი იჩინა ანტიარაბულმა მოძრაობამ და როდესაც ამიერკავკასია არაბთათვის იქცა ხაზარეთთან საზღვრისპირა ზონად. ამ ორმა გარემოებამ აიძულა არაბები თავიანთი რაზმები ჩაეყენებინათ დაპყრობილ მხარეებში იქ ბატონობის შესანარჩუნებლად და გარედან აგრესიის მოსაგერიებლად.

---

101 ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 358.

102 იბნ ალ-ფაკიჰის ცნობით, არაბები დაპყრობილი ჯურაჰის, ქასფარის (ქასპის), ქისალის, ხუნანის, სამსახის (სამცხის), ალჯარდმანის (გარდაბნის), ქასფი ბისის, შავშეთისა და ბაზალეთის მოსახლეობისაგან ითხოვდნენ საადგილმამულო და სულად გადასახადს, ხოლო სანარებიდან (წანარებიდან), კლარჯეთისა და დუდანელთაგან (დიდოელთაგან)—ხარკს (СМОМПК, XXXI, Тифлис, 1902, с. 26—27). ასეთივე ცხობა აქვს ბალაზურისაც (Баладзори, დასახ. ნაშრომი, გვ. ტექსტისა — 9, თარგმანი — 13). ე. სიხარულიძე კი ამავე წყაროზე დაყრდნობით აღნიშნავს, წანარები, დიდოელნი და კლარჯეთის მოსახლეობა ხარაჯასა და ჯიზიას იხდიდნენ (იხ. ე. სიხარულიძე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თსუ შრომები, თბ., 1959, ტ. 73 (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია), 1, გვ. 175.

მესამე თავი

არაბთა გატაცების დასაწყისი საქართველოში, ჰაბიბ-იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“

დაპყრობილი ქვეყნების ხალხებს არაბები „სულჰისა და ამანის“ (ზავისა და უშიშროების) ხელშეკრულებებს, ანუ „დაცვის სიგელებს“ აძლევდნენ. „დაცვის სიგელი“ წარმოადგენდა საბუთს, რომელიც იურიდიულად განსაზღვრავდა დამპყრობელსა და დაპყრობილს შორის პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმას, მათ უფლება-მოვალეობას, ვალდებულებას. ის ეძლეოდა როგორც ქვეყნებს, ისე მათ ცალკეულ ნაწილებსა და ქალაქებს. სარწმუნო ცნობებიდან ირკვევა, რომ ასეთი ხელშეკრულება ჰქონდა აზერბაიჯანს, რომელსაც იგი 18(639) წელს უბოძა 'უტბა იბნ ფარკადმა[1] და შემდეგ, 22(644) წელს განუახლა ჰუზაიფა იბნ ალ-ღანამი[2]. ანალოგიური გარიგება ჰქონდა დადებული არაბებს დვინის[3], ბალრავანდის, ნახიჩევანის, მუღანის, ქართლისა და ამიერკავკასიის სხვა ადგილების გამგებლებთან[4].

ალ-იაკუთის ცნობით, როცა ჰაბიბმა „არმინიის ქალაქთა უმრავლესობა დაიპყრო და მის შუაგულს მიაღწია, მასთან ჯურზანის პატრიკოსის მოციქული გამოცხადდა“[5]. ვინ იყო ეს მოციქული? ალ-

---

[1] Al-Tabarī, Annales..., t. I, გვ. 2662.

[2] იქვე, გვ. 2804; Баладзори, Книга завоевания стран, Баку, 1927, с. 23.

[3] Т. М. Сипенкова, К истории завоевания Закавказья арабами (Вопросы истории стран Азии, Л., 1965, с. 146).

[4] მუღანელთათვის ბოძებული დაცვის სიგელი გაუცია ბუქაირ იბნ აბდალაჰს (At-Tabarī, დასახ. ნაშრომი, ტ. I, გვ. 2665—2666; იბნ ალ-ასირი, III, გვ. 21—22), ხლათელთათვის—'იად იბნ ალ-ღანამის (А. Н. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 24), ხოლო ზემოჩამოთვლილი სხვა ადგილებისათვის—ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრის (Баладзори, დასახ. ნაშრომი, გვ. 10—11).

[5] ე. სიხარულიძე, იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, თბ., 1964, გვ. 39.

ბალაზურისთან იგი نكلا-დ (ნიკალა?) იხსენიება[6], ატ-ტაბარის-თან და VIII—IX სს. ცნობილ ფილოლოგ-იურისტთან, აბუ 'უბაიდ ალ-კასიმ იბნ სალამთან (770 — 838) — تفلى-დ (თუფილა)[7]. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სწორია „თუფილა" (თეოფილე?). რაც შეეხება „ნკლ" (ნიკალა) ფორმას ის გაჩენილი უნდა იყოს შემდეგ ალბათ, ტექსტის გადამწერთა დაუდევრობით ან გაუგებრობის შედეგად, კერძოდ „თ" ასოს წერტილის „ფ"-ს თავზე დასმისა და ამ უკანასკნელის „კ" ასოდ წაკითხვის შედეგად[8]. თუმცა ტ. სიპენკოვა გვთავაზობს სხვაგვარ წაკითხვასაც. მისი აზრით, „Следует читать не „nuklī a Tiflī(s)i" и переводить „тифлисец"[9].

პატრიკოსის წარმომადგენლისა და არაბთა სარდლის შეხვედრის ადგილს წყაროები არ ასახელებენ, მაგრამ ირკვევა, რომ შეხვედრა საქართველოს ფარგლებს გარეთ შომხდარა, მოციქულს ჰაბიბისათვის გადაუცია ქართლის პატრიკოსის წერილი, ასი დინარის ღირებულების საჩუქარი და თავისი ხალხისა და გამგებლის სახელით ზავი უთხოვია. არაბთა სარდალს მისი თხოვნა დაუკმაყოფილებია და საზავო ხელშეკრულების ტექსტი შეუდგენია.

ამჟამად ამ გარიგების რამდენიმე ვარიანტი არსებობს: ალ-'უბაიდისეული, ალ-ბალაზურისეული, ალ-ია'კუთისეული, ატ-ტაბარისეული და სხვ. ამათგან ყველაზე ადრინდელია აბუ უბაიდის ზემოთ დასახელებულ თხზულებაში დაცული ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც 1976 წელს ო. ცქიტიშვილმა გამოაქვეყნა და თარგმნა[10] და ასეთი შინა-

---

[6] Баладзори, დასახ. თხზულება, გვ. ტექსტისა 8, თარგმანის—12.

[7] كتاب الاموال، للامام العظيم الحافظ الحجة ابى عبيد القاسم بن سلام المتوفى ٢٢٤ سنة هـ، و مولده سنة ١٥٤، صححه و علق هوامشه محمد حامدالفقى، ص—٢٩٠ (შემდეგ: ალ-'უბაიდი).

[8] ეს სხვაობა რომ გრაფიკულ ნიადაგზეა წარმოქმნილი ამას აღნიშნავს მ. ლორთქიფანიძეც (მ. ლორთქიფანიძე, „ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი", მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29. გვ. 64).

[9] Т. М. Сипенкова, К истории завоевания Закавказья арабами (Вопросы истории стран Азии, Л., 1965, с. 147).

[10] ო. ცქიტიშვილი, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი" აბუ უბაიდის თხზულებაში („მაცნე", ისტორიის... სერია, თბ., 1976, I, გვ. 108—195). თარგმნილია „დაცვის სიგელის" სხვა ვარიანტებიც. ბალაზურისეული ვარიანტის

არსისაა: „სახელითა ალლაჰისა მოწყალისა (და) მწყალობლისა. ესაა ჰაბიბ იბნ მასლამას წიგნი ალ-ჰარმანის[11] ქვეყნის ტიფლისის მოსახლეობისადმი. გებოძათ თქვენ და თქვენს შვილებს, ოჯახებს ქონების, სენაკების, ეკლესიების, სალავათებისა[12] და ლოცვის შეუვა-

---

გერმანული თარგმანი ეკუთვნის მ. ღაზარიანს (M. Chazarian, დასახ. ნაშრომი, გვ. 22—27. მ. ღაზარიანის მიხედვით ის ქართულად თარგმნა ჯერ ივ. ჯავახიშვილმა (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 75—76), მერე მ. ლორთქიფანიძემ (მ. ლორთქიფანიძე, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი". მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბ., 1951, გვ. 61—65). 1959 წელს „დაცვის სიგელის" ბალაზურ-ატ-ტაბარისეული ვარიანტები ვრცლად განიხილა ე. სიხარულიძემ (ე. სიხარულიძე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. სტალინის სახ. თსუ შრომები, 73. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბ., 1959, გვ. 167—181). ე. სიხარულიძეს ეკუთვნის „დაცვის სიგელის" იაკუთისეული ვარიანტის თარგმანიც (იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. 1, თბ., 1964, გვ. 39—40), ხოლო ბ. სილაგაძემ იგი შეისწავლა მის დათარიღებასთან დაკავშირებით (ბ. სილაგაძე, ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის დათარიღებისათვის, „მაცნე", ისტორიის... სერია, თბ., 1971, 1, გვ 68—85). არსებობს „დაცვის სიგელის" რუსულ-ინგლისური თარგმანებიც. ინგლისური თარგმანი შესრულებულია ფ. ჰიტტის მიერ (The origins of the Islamic State Bign a translation from the arabic accompanied With Annotations geographic and historic Notes of the Ki[t]āb Futūh al-Buldān al Imām Abu-l'Abbās Ahmad ibn Jabir al-Balādhurī, vol. I, by Philip Khūrī Hitti. Ph. D. Studies in history, Economics and Public Law Edited by the Faculty of Political science of Columbia University. Vol. XLVIII (Whole Number 163). New—York, Columbia University, 1916, გვ. 316—317), ხოლო რუსული—ო. სენკოვსკის, პ. ეუზესა და სიპენკოვას მიერ (Сборник Сочинений Сенковского, VI, СПб., 1859, გვ. 191—195; Из Сочинения Баладзори „Книга завоевания стран", текст и перевод. Перевод П. К. Жузе, Баку, 1927, გვ. 12; Т. М. Сипенкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 147—148).

11 ალ-'უბაიდისაგან განსხვავებით ალ-ბალაზურთანაა القرمز („ალ-კირმიზ"), ხოლო ატ-ტაბარისთან الهرمز („ალ-ჰარმაზ"). ეტყობა ეს სხვაობაც გრაფიკულ ნიადაგზეა წარმოქმნილი და იგი მ. ლორთქიფანიძის თანახმად უნდა შესწორდეს ტაბარისეული ტექსტის მიხედვით (მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61), ხოლო ა. ბოგვერაძე გვთავაზობს, ალ-ჰარმაზი" წავიკითხოთ „ალ-არმინია"-დ (ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1977, გვ. 94), იმ გასაგები გარემოების გამო, რომ ქართლი მაშინ არმინიის ქვეყანაში შედიოდა.

12 აბუ 'უბაიდის განმარტებით, صلوات (სალავათები) უდაბნოში აგებული შენობებია, სადაც ქრისტიანები მოგზაურობის დროს ლოცულობენ (აბუ 'უბაიდი, დასახ. თხზულება, გვ. 211; ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 195).

ლობა იმ პირობით, რომ სცნობთ თქვენს დამცირებას ჯიზიით[13] და ყოველ კომლზე ერთი დინარის გადახდას. თქვენ გეკრძალებათ კომლების გაერთიანება ჯიზიას შესამცირებლად, ჩვენ კი უფლება არ გვაქვს გავყოთ ისინი ჯიზიას გასადიდებლად[14]. თქვენ შეძლებისამებრ დაგვეხმარებით ალლაჰის, მისი მოციქულისა და მორწმუნეთა მტრეზის წინააღმდეგ ბრძოლაში,... უმასპინძლებთ ერთი ღამით და დააპურებთ გაჭირვებულ მუსლიმს „აჰლ ალ-ქითაბის"[15] ხალხთათვის ნება-

---

13 აბუ 'უბაიდისეულ ვარიანტშია — على اقرار بصغار الجزية. მისგან განსხვავებით ბალაზურთანაა على اقرار بالصغار و الجزية („დამცირებისა და ჯიზიის აღიარებით"), ხოლო ატ-ტაბარისთან— على الاقرار بصغار الجزية. ჯიზია სულადი გადასახადი იყო, რომლითაც ყურანის IX სურის 29-ე ლექსის თანახმად მუსლიმები ბეგრავდნენ ყველა სხვა სარწმუნოების დაპყრობილ ხალხებს მათი მორჩილება-დამცრობისა და საკუთარი სუვერენულობის ჩვენების მიზნით. ჯიზიის გადახდით დაპყრობილ-დამცრობილი თავის რელიგიურ მრწამს ინარჩუნებდა. მაშასადამე, ის იყო არა მარტო „დამცირების" სიმბოლო, არამედ „გამოსასყიდი" გადასახადიც. ვრცლად ამის შესახებ იხ. Л. И. Надирадзе, Джизья в „Охранной грамоте" Хабиба ибн Масламы. „მაცნე", ისტორიის... სერია, თბ., 1986, № 3, გვ. 104—105.

14 VII ს. საქართველოში სასოფლო თემში გაერთიანებული წვრილი გლეხური მეურნეობა სჭარბობდა (С. Н. Какабадзе, Краткий обзор истории Грузии, Сухуми. 1941, с. 19; Т. М. Сипенкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 152).

15 ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის" ეს ადგილი გასაგებად ერთობ ბუნდოვანია. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „აჰლ ალ-ქითაბი" (اهل الكتاب) ეწოდება საღმრთო წიგნის მქონე ხალხებს: მუსლიმებს, ქრისტიანებსა და ებრაელებს (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 75). მისგან განსხვავებით მ. ლორთქიფანიძე იმ აზრისაა, რომ „აჰლ-ალ-ქითაბი" აღნიშნავს ყურანის ხალხს, ე. ი. მუსლიმებს (მ. ლორთქიფანიძე, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი", მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბ., 1951, გვ. 64—65; მისივე, არაბთა მფლობელობის ხასიათისათვის საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, თბ., 1963, გვ. 82—83). თავიდან ამ აზრისა იყო ე. სიხარულიძეც (ე. სიხარულიძე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, არაბული დაცვის სიგელები, თსუ შრომები, ნაკვ. 73, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბ., 1959, გვ. 166, 170—171, 177). მაგრამ შემდეგ შეიცვალა აზრი და ისე როგორც ივ. ჯავახიშვილი, ისიც „აჰლ ალ-ქითაბში" გულისხმობს მუსლიმებსაც, ქრისტიანებსაც და ებრაელებსაც (ბაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ.. 1, თბ., 1964, გვ 40). „აჰლ ალ-ქითაბი" რომ მხოლოდ ყურანის ხალხს, ანუ მუსლიმებს არ ნიშნავს ამას სხვებიც ადასტურებენ (იხ. П. К. Жузе, Из соч. Баладзори,... გვ. 12; Т. М. Сипенкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 148; ო. ცქი-

დართული იმ საჭმელ-სასმელით, რაც ჩვენ არ გვეკრძალება[16] და უჩვენებთ გზას ისე, რომ ზიანი არავინ მიაყენოს თუკი ვინმე მართლმორწმუნეთაგანი ჩამორჩება, გევალებათ მისი მიყვანა მორწმუნეთა უახლოეს რაზმამდე, თუ ეს მოსახერხებელი იქნება. თუ იქნებით მშვიდად, ილოცებთ და ზაქათს[17] გაიღებთ ძმები ვიქნებით სარწმუნოებით[18]. ხოლო, ვინც უარს იტყვის მშვიდობაზე, ისლამზე და ჯიზიაზე, ის ალაჰის, მისი მოციქულისა და სარწმუნოების მტრად იქნება მიჩნეული. ალაჰი კი ისაა, ვისაც მოწყალებას სთხოვენ. თუ მორწმუნეთ რაიმე მიზეზით არ ეცლებათ (დასახმარებლად) და მტერი დაგიმორჩილებთ, ეს არ ჩაგეთვლებათ პირობის დარღვევად და არავინ დაგსჯით, თუკი ისევ დაუბრუნდებით სარწმუნოებასა და მუსლიმებს. ესაა თქვენი უფლება-მოვალეობანი. მოწმეა ალაჰი, ანგელოსნი მისნი,

---

ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149; Л. И. Надирадзе. К. интерпретации термина Ахл ал-Китаб в „Охранной грамоте" Хабиба ибн Масламы. აღმოაღმოსავლური კრებული, თბ., 1983, გვ. 45, 50—51; მისივე, Джизья в „Охранной грамоте" Хабиба ибн Масламы, „მაცნე", 1986, № 3. გვ. 110).

16 „დაცვის სიგელის" ეს ადგილი ივ. ჯავახიშვილთან ასეთნაირად ჟღერს: „...გაუმასპინძლდეთ ისეთის საჭმელებით, რომელიც (საღმრთო) წერილის მქონე ერებს (ე. ი. ქრისტიანებსა და ებრაელთ) და ჩვენც (მუსლიმებს. — ბ. ს). გვეჭმება" (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქართველი ერის ისტორია, II, გვ 75). ასე ესმით სიგელის აღნიშნული ადგილი აგრეთვე მ. ლორთქიფანიძეს, ე. სიხარულიძეს, ო. ცქიტიშვილს, ლ. ნადირაძეს და ამ სტრიქონების ავტორს (მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი". მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, გვ. 64; ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. არაბული „დაცვის სიგელები". თსუ შრომები, ნაკვ. 73, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, გვ. 177; ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი" აბუ უბაიდის თხზულებაში. „მაცნე", ისტორიის სერია, № 1, თბ., 1976, გვ. 194; Л. И. Надирадзе, დასახ. ნაშრომი, 50—51; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 69). ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის" აღნიშნული ადგილის ივ. ჯავახიშვილისეული გაგება, რასაც სხვა ავტორებიც იმეორებენ, სწორია. მაგრამ თუ ჩვენ ის სხვა სიტყვებით გადმოვეცით, ეს მხოლოდ აზრის უფრო სიცხადისათვის მოვიმოქმედეთ.

17 ზაქათი زكاة — მეათედი) სამოწყალო-საქველმოქმედო გადასახადი მუსლიმთათვის გაჭირვებულთა დასახმარებლად (Адам-Мец, Мусульманский Ренесанс. Перевод с немецкого, предисловие, библиография и указатель Д. А. Бертельса, М., 1966, с. 105).

18 მაშასადამე, ზაქათის გადამხდელს აუცილებლად უნდა ეცნო არაბთა ბატონობა და ელოცა ყურნის წესით (იბნ 'ბაიდი, დასახ. თხზულება, გვ. 209).

მოციქული და მორწმუნენი, თუმცა მოწმედ ალაჰიც ხომ საკმარისია“[19].

ამ საზავო ხელშეკრულებით თუფილი (თეოფილი) უკან გაბრუნებულა. მისთვის ჰაბიბს გაუყოლებია თავისი წარმომადგენელი ცნობილი იურისტი აბდ არ-რაჰმან იბნ ჯაზ ას-სალამი და გაუტანებია თბილისის მოსახლეობისადმი მიმართვის ასეთი შინაარსის წერილი: „ჰაბიბ იბნ მასლამასაგან ტაფლისის მცხოვრებლებს! მშვიდობა თქვენ! ვაქებ თქვენს წინაშე ალაჰს, რომლის გარდა არაა სხვა რამ ღვთაება. შემდეგ კი აი რა: მოვიდა ჩემთან და ჩემთან მყოფ მორწმუნეებთან მოციქული თქვენი თუფილი და თქვენი სახელით თქვა, რომ ჩვენ (მუსლიმები) ვიყავით არარა, უმწეო და უმეცარი ხალხი, რომელსაც ალაჰმა მოგვანიჭა სიცოცხლე და სიდიადე. დიდება მას ქვეყნიერების უფალს, მოწყალესა და მწყალობელს. მშვიდობა მის მოციქულს იკურთხოს იგი, რამეთუ გვატარა სწორი გზით. თუფილმა თქვენი სახელით განაცხადა, რომ ალაჰმა დასცა მუსლიმთა მტერს შიშის თავზარი... და ისურვეთ ჩვენთან დაზავება. მე და ჩემთან მყოფმა მორწუნეებმა მოვიწონეთ თქვენი საქციელი. თუფილის მიერ მოტანილი საჩუქარი მე და ჩემთან მყოფმა მორწმუნეებმა შევაფასეთ ას დინარად და ჩაგითვალეთ გამოსასყიდ თანხაში, რომლის გარდა გმართებთ ჯიზია, ყოველი კომლიდან დინარი. მართლმორწმუნე დიდებულთა თანდასწრებით დაგიწერეთ თქვენი ვალდებულებებისა და შეუვალობის ეს სიგელი და გეგზავნებათ თქვენ აბდ არ-რაჰმან იბნ ჯაზ ას-სულამის ხელით. თუ თქვენ სცნობთ რაც მასშია, მაშინ იგი გადმოგცემთ მას, ხოლო თუ უარყოფთ, გამოგიცხადებთ ომს. ალლაჰს ხომ მოღალატენი სძულს. მშვიდობა მას, ვინც სწორი გზით ივლის“[20].

---

19 ი ბ ნ ‘უ ბ ა ი დ ი, დასახ. თხზულება, გვ. 193—194. ასეთივე შინაარსისაა ალ-ბალაზურის, ატ-ტაბარისა და იაკუთისეული „დაცვის სიგელის“ ვარიანტებიც. მართალია, მათში თხრობა უფრო დახვეწილია, ტექსტებიც ზოგჯერ შემოკლებულია და სხვა განსხვავებანიც შეიმჩნევა, მაგრამ ძირითადი აზრი ერთნაირია. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ზოგჯერ ასწორებენ კიდეც. ამ თვალსაზრისით თითოეული ვარიანტის ცალ-ცალკე შესწავლა და ერთმანეთთან შედარება არ იქნება ინტერესს მოკლებული.

20 ა ბ უ ‘უ ბ ა ი დ ი, დასახ. თხზულება, გვ. 210—211; ალ-ბალაზურის, ატ-ტაბარისა და იაკუთის თხზულებებში „დაცვის სიგელის“ შემონახული ვარიანტები მხოლოდ დეტალებით განსხვავდებიან ერთმანეთისა და ‘უბაიდისეული ვარიანტისაგან. ამ გარიგებასთან დაკავშირებით არ უნდა იყოს მართალი ა. ბოგვერაძე, რომელიც ამბობს: „ჩემი აზრით, სხვაა თბილისის მოსახლეობისათვის მოცემული

რა რეაგირება მოახდინეს თბილისელებმა ამ მიმართვისადმი ზუსტად არავინ იცის სანდო ცნობების უქონლობის გამო, მაგრამ ერთი კი ცხადია, ჰაბიბი ამის შემდეგ შედის ქალაქში და მის მოსახლეობას უდებს აღნიშნულ ხელშეკრულებას[21], ისიც ჩანს, რომ თბილისის გარდა მას უბრძოლველად დანებებია აგრეთვე საქართველოს სხვა თემები და ქალაქები: „ქასფარი[22], ქისალი, ხუნანი, სამსახი, ალ-ჯარდმანი, კასფ ბისი[23], შავშეთი და ბაზალეთი", ხოლო „წანარები, კლარჯეთის მოსახლეობა და დუდანელები" კი ხმლით დაუმორჩილებია და დაუხარკავს, რაც დასტურდება იბნ ალ-ფაკიჰის ცნობიდან[24]. ასე რომ, საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილის დასალაშქრავად არაბებს დიდი დრო და ჯაფა არ დასჭირვებიათ. ამიტომ არც დიდხანს დარჩენილან ისინი იქ. დაიმორჩილეს და დაბეგრეს თუ არა ქვეყანა, მაშინვე დატოვეს მათ იგი ისე, რომ ხელი არ უხლიათ ადგილობრივი მმართველობის სისტემისა და წეს-ჩვეულებისათვის.

არაბთა ბატონობის ცნობა და „ჯიზიით დამცირების" აღიარება[25], უდავოდ, საქართველოს რთული ვითარებით იყო ნაკარნახები. ბი-

---

სიგელი და სხვაა პატრიკიოსის სახელზე, ანუ მისი საგამგეო ქვეყნისადმი გაცემული სიგელი" (ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93). სინამდვილეში კი ერთი არის „ზავისა და უშიშროების" სიგელი, ხოლო მეორე — არაბი სარდლის პირადი წერილი პატრიკიოსისადმი დაზავებაზე თანხმობის შესახებ.

21 СМОМПК, XXXI, 1902, с. 26—27.

22 كسفر უნდა იყოს كسفى -ის (ქასპის) შერყვნილი ფორმა, გაჩენილი გადამწერის დაუდევრობისა თუ ტექსტის გაუგებრობით, ამიტომ ნ. კარაულოვის ვარაუდი, რომ იქ იგულისხმება „ხევსურეთი" (СМОМПК, XXXVIII, Тифлис, 1908, გვ. 74, შენ. 105 და გვ. 75, შენ. 114) დაზუსტებას საჭიროებს.

23 كسفر بيس უნდა იყოს كسوريس („ქსოვრისი"-ს) დამახინჯებული ფორმა.

24 Из книги о странах Ибн ал-Факиха ал-Хамадани, перевод с арабского и примечания Н. А. Караулова (СМОМПК, вып. XXXI, с. 26—27).

25 მასლამას „დაცვის სიგელის" ფრაზას: على الاقرار بصغار الجزية ჩვეულებრივ თარგმნიდნენ „მცირე ჯიზიის ცნობად" (მ. ლორთქიფანიძე, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი". მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, გვ. 63), ნამდვილად კი მისი სწორი თარგმანია „ჯიზიით დამცირების აღიარებით". საქმე ისაა, რომ არაბების წინაშე ყველა მათ მიერ დაპყრობილი არამუსლიმი დამცირებულად ითვლებოდა (იხ. იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, III, გვ. 151—152; Коран. Перевод и комментарии И. Ю. Крачковского, М., 1963, გვ. 151—152; ე. სიხარულიძე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან... თსუ შრომები, ტ. 73, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია,

ზანტიას, რომელიც საქართველოს მფარველობას იჩემებდა, მისი დაცვის უნარი აღარ შესწევდა. საკუთარი ძალები კი სასანური ირანის დამქცევ არაბთა ძლიერი ტალღის უკუსაქცევად ქვეყანას აღარ ჰყოფნიდა და ასეთ პირობებში ომი მას განადგურების მეტს არაფერს მოუტანდა, ხოლო ომზე უარის თქმასა და ზავს ამ უბედურების თავიდან აცილების გარდა სხვა სიკეთის მოტანაც შეეძლო. ბიზანტიელთა სიმკაცრისა და მძულვარების გამო უკიდურესობამდე შეწუხებულ აღმოსავლეთის ხალხებს, მათ შორის ქართველებსაც, რომელთა მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა ჰერაკლე იმპერატორიის დროიდან, მათი ბატონობიდან თავდახსნის ერთ-ერთ საშუალებად არაბთა მხარეზე გადასვლა ესახებოდათ. არაბებს ისინი, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ბერძენთა მონობისაგან განმათავისუფლებლად მიიჩნევდნენ და თავდაპირველად სიხარულითაც ეგებებოდნენ[26], რადგან ახალი დამპყრობელი გარდა იმისა, რომ უცვლელად ტოვებდა დაპყრობილთა პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემასა და რელიგიას, მოსახლეობას ბეგრავდა მხოლოდ ერთი ან ორი სახის გადასახადით: ჯიზიით, ანუ სულადი გადასახადით და ხარაჯით, ე. ი მიწაზე შეწერილი გამოსაღებით, რაც გაცილებით მსუბუქი იყო ბიზანტიურ გადასახადებთან შედარებით. ამიტომ ქართველი ხალხისა და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელის, პატრიკიოსის დაზავება არაბებთან უნდა განვიხილოთ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად.

არაბებს საქართველოში დიდხანს არ ედგომებოდათ. სანამ ისინი ომიერკავკასიის შემოერთებას მოამთავრებდნენ, სახალიფოში არეულობამ იჩინა თავი. ქუფელ და ბასრელ მეომრებს შორის 643 (22) წელს დაიწყო დავა დაპყრობილი (ირანის) მიწების გადასანაწილებლად[27] და მან გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. ამას დაემატა სამოქალაქო ომი 656—661 წლებში. ამავე დროს გართულდა სახალიფოს საგარეო მდგომარეობაც. არაბებმა ბიზანტია კი დაასუსტეს, მაგრამ მისი წინააღმდეგობის გატეხვა და საბოლოოდ დამარცხება ვერ მოახერხეს. ის ძალას იკრებდა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზა-

---

თბ., 1959, გვ. 172, 176; Л. И. Надирадзе, К вопросу о феодализме в завоеванном арабами странах. Современная историография стран зарубежного Востока. М., 1975, გვ. 55; მისივე, Джизья в „Охранной грамоте" Хабиба ибн Масламы, „მაცნე", ისტორიის... სერია, თბ., 1986, № 3, გვ. 108).

26 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 74.

27 იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, გვ. 15.

დებოდა. ჩრდილოეთში არაბებს გამოუჩნდა საშიში მტერი თურქი ხაზარების სახით. ყოველივე ეს სახალიფოს პოლიტიკურ მესვეურებს კარნახობდა თავი მოეყარათ ჯარებისათვის სირიაში (ბერძენთა წინააღმდეგ) და ჩრდილოეთში — დარუბანდის მისადგომებთან (ხაზარებთან საომრად). ასეთ ვითარებაში დაპყრობილი ხალხები ცდილობდნენ ხელსაყრელი მომენტის გამოყენებას, უარს აცხადებდნენ არაბებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულებაზე და სახალიფოს მორჩილებიდან გამოდიოდნენ. არაბებს კი უხდებოდათ მათი ხელახლა დაპყრობა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ იბნ ალ-ასირი გვაუწყებს: „მუავიას დროს არმინიის მოსახლეობა მორჩილებიდან გამოვიდა... მაშინ ჯურზანში მყოფმა ჰაბიბ იბნ მასლამამ თაფლისისა და ჯურზანის მოების მოსახლეობას მორჩილებისაკენ მოუწოდა და ისინი დაითანხმაო“[28]. არაბი მემატიანის ეს ცნობა 643(22) წლითაა დათარიღებული. მაგრამ ვინაიდან მასში ნათქვამია, არმინიის (რომლის შემადგენელ ნაწილსაც ჯურზანი, ანუ ქართლი წარმოადგენდა) მოსახლეობა მორჩილებიდან გამოვიდაო, ეს უდავოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ცნობაში დაშვებულია ქრონოლოგიური უზუსტობა და მომხდარ ფაქტს, ნამდვილად, ადგილი უნდა ჰქონოდა შედარებით გვიან, 645 წლის შემდეგ. ამას გვაფიქრებინებს როგორც თვით იბნ ალ-ასირის, ისე სხვა არაბ ავტორთა ის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ქართლი სახალიფოს შემადგენლობაში მხოლოდ 645 წლიდან მოექცა და, ცხადია, მანამდე ქართლის მთელი მოსახლეობის რაიმე განდგომაზე საუბარი შეუძლებელია.

აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიქრი ამიერკავკასიაში დიდხანს აღარ დარჩენილა. ხალიფა უსმან იბნ აფანმა ის სირიაში გაიწვია ბიზანტიასთან გართულებული ვითარების გამო, ხოლო მის ნაცვლად არმინიაში გაგზავნა ხუზაიფა იბნ ალ-იამანი. მაგრამ, როგორც ირკვევა, ის არმინიაში არ წასულა. ალ-ქუფის გადმოცემით, ხუზაიფს, რომელიც მაშინ მედინაში ყოფილა, უხმია თავისი ბიძაშვილი სულათ იბნ ზაფირ ალ-'აბსი და არმინიის მმართველობა მისთვის მიუნდვია, თვითონ კი მედინაში დარჩენილა. მემატიანის ცნობით, სულათს არმინიაში ერთი წელი მოუთევია. მერე ის შეუცვლია მუღირ იბნ შუ'ბას, ხოლო ეს უკანასკნელი — ამ' ას იბნ იაის ალ-კინდის, რომელიც იქ დარჩენილა ხალიფა 'უსმანის გარდაცვალებამდე[29]. ხალიფა 'უსმანი 656 წელს დაიღუპა. ამდენად, ალ-ქუფის

---

28 იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, III, გვ. 16:

ეს ცნობა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოზე არაბთა სიუზერენობის უტყუარ იურიდიულ საბუთს წარმოადგენს, შეუძლებელია 655 წელს კი არა თუნდაც 653 წელს დადებულიყო.

სულთან იბნ ზაფირ ალ-'ბსის არმინიაში დიდი სიმკაცრე გამოუჩენია ადგილობრივი მოსახლეობისადმი[30]. თუმცა, სანდო ცნობები ცხადყოფენ, რომ ავკაცობაში მას არც სხვა ამირები ჩამოუვარდებოდნენ. აშ'ას იბნ კაის ალ-კინდის ქუფელების დიდი რაზმით სასტიკად დაუსჯია არაბობის წინააღმდეგ გამდგარი „არმინიელნი“, აგრეთვე დაუწყია იქ არაბთა დასახლებაც[31].

როგორც ჩანს, დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის განდგომის შემთხვევები იშვიათობას არ წარმოადგენდა და გაპირობებული იყო ორი გარემოებით: არაბულ გადასახადების სიმძიმითა და არაბთა ბატონობის სისუსტით. სანამ ეს ბატონობა ძალას მოიკრებდა, დაპყრობილი ხალხები სარგებლობდნენ ამ მომენტით და მორჩილებაზე უარს აცხადებდნენ. მაგრამ ასე იყო მხოლოდ პირველ ხანებში. შემდეგ ვითარება თანდათან გართულდა. არაბებმა ამიერკავკასიაში სულ უფრო იწყეს მომრავლება-მომძლავრება და ამაში ადგილობრივი მოსახლეობის ანტიარაბული მოქმედების გარდა ბრალი მიუძღვით ხაზარებსაც.

---

[29] Абу Мухаммад Ахмад ибн А'сам ал-Куфй, დასახ. თხზულება, გვ. 12; ო. ცქიტიშვილი, აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა ლაშქრობების შესახებ („მაცნე“, ისტორიის... სერია, თბ., 1984, № 1, გვ. 103 — 104).

[30] Ал-Куфи, დასახ. თხზულება, გვ. 19.

[31] З. М. Буниятов, Азербайджан в VII—IX вв. Баку, 1965, с. 171.

მეოთხე თავი

ომები ჩრდილოეთში და მათი შედეგები საქართველოსათვის

იბნ ალ-ასირის ცნობით, 652/3 (32) წელს ხაზარები და თურქები (კავკასიელი ჰუნები) მუსლიმთა წინააღმდეგ საომრად გაერთიანდნენ. ბრძოლა ბალანჯარის ტერიტორიაზე გაიმართა და ხაზართა გამარჯვებით დასრულდა. არაბებმა უდიდესი ზარალი ნახეს, მათ დაკარგეს სარდალი აბდ-არ-რაჰმან იბნ რაბია'[1] და თანამებრძოლთა უმეტესობა. ვინც დაღუპვას გადაურჩა, მტერს ზურგი უჩვენა და შორს სამხრეთისაკენ უკუიქცა[2]. ამ ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ორივე მხარისათვის. ხაზარები დარწმუნდნენ, რომ არაბები უძლეველნი არ არიან, არაბები კი მიხვდნენ, რომ სანამ ჩრდილოეთ კავკასიაში ხაზარებია, ამიერკავკასიაში მუსლიმთა ბატონობას მუდამ საფრთხე მოელის. ამიტომ მოწინააღმდეგეებმა ამ გაკვეთილიდან სათანადო დასკვნა გააკეთეს: ხაზარებმა თანდათან გააააქტიურეს საომარი მოქმედება, ძირითადად სამხრეთის მიმართულებით, ხოლო არაბებმა თავიანთი ძალების გამრავლების მიზნით, იწყეს სამხრეთიდან ტომების გადმოსახლება ჩრდილოეთში, სასაზღვრო რაიონებში, კერძოდ ალბანეთში; აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც როგორც ხაზარებისა და ალანების, ისე ბიზანტიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

არაბ მწერალთა მონაცემებით, მდგომარეობა არაბებსა და მათ მოწინააღმდეგე ხაზარებს, ალანებსა და ბიზანტიელებს შორის მკვეთრად გართულებულა VII ს. 60-იანი წლებიდან. იბნ ალ-ასირის ცნობით, 42(662/3) წელს არაბებს ულაშქრიათ ალანებისა და ბიზანტიელების წინააღმდეგ[3]. მემატიანე არ ასახელებს, საიდან განახორცი-

---

1 აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის ცნობით, აღნიშნულ ბრძოლაში აბდ არ-რაჰმან იბნ რაბი'ა კი არა, მისი ძმა სალმა იბნ რაბი'ა, ალ-ბაჰილი დაღუპულა (ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103).

2 იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, III, გვ. 64.

3 იქვე, გვ. 213.

ელეს არაბებმა ეს თავდასხმა ალანებზე, მაგრამ ცხადია, ის საქართველოს ტერიტორიიდან მოეწყობოდა, დარიალის გასასვლელით.

არაბებმა ეს ბრძოლა მოიგეს, მაგრამ მიღწეული გამარჯვებით დიდხანს ვერ ისარგებლეს. 664 წელს ჰუნებმა[4] თავიანთი მეფის ალფ-ილტივარის ბრძანებით არაბები დაამარცხეს და მდინარე არაქსს იქით გააძევეს. არრანის მაშინდელმა გამგებელმა ჯუანშირმა არაბებს ზურგი შეაქცია, დაქცევისაგან თავისი სამფლობელოს გადარჩენისა და ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, ალფ-ილტივარს უმხრო და მის ასულზე დაქორწინდა, თუმცა ამით სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია. მუ'ავია აბუ სუფინმა იგი ღალატისათვის სიკვდილით დასაჯა, ხოლო ამიერკავკასიის ქვეყნების ასაკლებად ახალი დამსჯელი ექსპედიცია გამოგზავნა[5]. არაბი ავტორები ამ თავდასხმის შედეგის შესახებ არაფერს ამბობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მათი წარმატებით არ დამთავრებულა. ამას ადასტურებს თუნდაც ი. დრასხანაკერტცის ერთი ცნობა, რომ კათალიკოს ისრაელის (667—677) დროს არაბებმა ბარაბას წინამძღოლობით ილაშქრეს ქართლსა და სომხეთში, მაგრამ გრიგოლ მამიკონიანმა და ქართლის ერისთავმა ნერსემ ისინი უკუაქციესო[6].

ამიერკავკასიის მიმართ უნდობელნი გამოდგნენ ჰუნებიც და ხაზარებიც, არ-რანის გამგებლის დაზავებამ და დანათესავებამ ვერ შეაჩერა მათი სიხარბე და 684/5 წელს სამხრეთში მოაწყვეს ძლიერი ლაშქრობა, რომლის დროსაც გაძარცვეს და დააქციეს არ-რანი, ქართლი და სომხეთი.

სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან გამუდმებული თავდასხმებით შეწუხებულ ქართლს, სომხეთსა და ალბანეთს დასავლეთიდანაც არ ჰქონდათ მოსვენება. 686/7 წელს ისინი დალაშქრა იმპერატორ იუსტინიანე II-ის (685—696, 705—711) სარდალმა ლეონტიმ[7]. 688

---

[4] მათ შექმნეს პოლიტიკური გაერთიანება „ჰუნთა სამეფო" დაღესტანში (VII ს-ში) და იმყოფებოდნენ ხაზარების მორჩილებაში (М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 180, 184).

[5] М. Каланкатваци, დასახ. თხზულება, გვ. 151—152, 185; М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 181 — 183; А. Н. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 49—50.

[6] Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

[7] Theophanis Chronographia, I, გვ. 155—156.

წელს კი მათ დასაქცევად დაიძრა თვით იმპერატორი, რომელმაც ეს ქვეყნები აიკლო და მძიმე ხარკით დაბეგრა[8].

ბიზანტიელთა და ხაზართა გამარჯვება ამავე დროს ნიშნავდა არაბთა მარცხს, რაშიც ისინი ბრალს სდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასაც, დამპყრობლებს შორის გაუთავებელი მტრობით რომ სარგებლობდა და მუდამ დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფოდა. ამიტომ ბიზანტიელთა და ხაზართა ყოველ ლაშქრობას თან სდევდა არაბთა საპასუხო თავდასხმა. ალ-იაკუბის ცნობით, 43(663/4) წლიდან 59 (678/9) წლამდე მათ 16-ჯერ დაულაშქრავთ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნები[9]. ასეთივე თავდასხმები გრძელდებოდა შემდეგაც, კერძოდ 73(692/3), 82(701/2) და 85(704) წლებში[10].

მუჰამმად იბნ მარვანის ლაშქრობა

ჩამოთვლილი ლაშქრობებიდან არც ერთი არ იყო ხელსაყრელი ადგილობრივი მოსახლეობისათვის, მაგრამ თავისი მასშტაბურობითა და მძიმე შედეგებით 701—704 წლების ლაშქრობა მაინც გამოირჩეოდა ყველა მანამდელი სამხედრო ექსპედიციისაგან. იგი განახორციელა 693 წელს აზერბაიჯანის, არმინიისა და ალ-ჯაზირის გამგებლად დანიშნულმა მუჰმმად იბნ მარვანმა თავისი ძმის ხალიფა აბდალ-მალიქის (685—705) ბრძანებით და მიზნად ისახავდა არაბთა წინააღმდეგ ამბოხებული მოსახლეობის დათრგუნვას[11]. მან ცეცხლითა და მახვილით განვლო მთელი სომხეთი, აღმოსავლეთ საქართველო და არ-რანი, გაძარცვა და გადაბუგა ეკლესია-მონასტრები, საცხოვრებელი სახლები, დაატყვევა და ამოწყვიტა მოსახლეობა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის გამო ალ-ია'კუბი და ალ-ბალაზური იუწყებიან: მუჰამმადმა არმინიის გამგებლები, თავიანთ თავს აჰრარებს (ნაჰარარებს) რომ უწოდებენ, ხლათის ოლქის ერთ ეკლესიაში შეიტყუა, გამოამწყვდია, ეკლესიას ცეცხლი წაუკიდა და ყველანი ფერფლად

---

[8] А. Мюллер, История ислама, II, с. 40; Ю. Кулаковский, История Византии III, с. 257—258; М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 191. ზოგან ამ ლაშქრობის თარიღად დასახელებულია 689 წელი (А. Н. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 52).

[9] Ya'qubī, II, 239—240.

[10] იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, IV, გვ. 176—177, 248—249.

[11] Я'куби, История, II. Текст и перевод Л. К. Жузе, Баку, 1927, с. 5.

აქციაო[12]. იგივე შემთხვევა უფრო ვრცლად და მუქად აქვს აღწერილი ალ-ქუფის. მისი გადმოცემით, მუჰამმადის ასეთი არაადამიანური საქციელის მიზეზი ის იყო, რომ არმინიის აჯანყებულმა მოსახლეობამ ბიზანტიელებისა და ხაზარების დახმარებით არაბთა სარდალს უბაიდალაჰ იბნ აბუ შ-შაიხს სულ გაუწყვიტა ათი ათასი სირიელი მეომრისაგან შემდგარი ლაშქარი[13]. არაბთა სისასტიკეს რომ საზღვარი არ ჰქონდა და ის მასობრივ ხასიათს ატარებდა ამას არაბი ავტორების გარდა სომეხი მწერლებიც ადასტურებენ. მოვსეს კალანკატვაცის ცნობით, მუჰამმადს ასეთივე ხერხით 146 წელს სომხური წელთაღრიცხვით, ანუ 697 წელს ევროპული კალენდრით, ქ. ნახჭევნის ეკლესიაში დაუწვავს 1200 სომეხი თავკაცი[14], ხოლო ლევონდი უმატებს და ამბობს, რომ ხანგრძლივი თარეშის შემდეგ ის ქვეყნები, სადაც მუჰამმად იბნ მარვანმა გაიარა, „ნახანძრალს ან ღორის ფეხით გათელილ ძნებს ჰგვანდნენო“[15]. რა თქმა უნდა, ეს დიდი უბედურება იყო დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობისათვის, მაგრამ უფრო მთავარი, რაც ამ ლაშქრობას შედეგად მოჰყვა მაინც ის არის, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდა არმინიის ცალკე პროვინცია[16], ანუ არმინიის საამირო სომხეთ-საქართველო-ალბანეთის (არრანის) შემადგენლობით და არაბობამ განიმტკიცა პოზიციები ამიერკავკასიაში. მისი არაბი გამგებელი ამიერიდან დვინში იჯდა და იქიდან უწევდა კონტროლს მთელ საამიროს.

ამრიგად, აბდ ალ-მალიქმა მიზანს მიაღწია. მუჰამმად იბნ მარვანის ლაშქრობით ჩააქრო სახალხო აჯანყებანი „არმინიაში“, გაწყვიტა არაბთმოძულე ფეოდალების უმრავლესობა, შეასუსტა მათი წინააღმდეგობის ძალა. მოამთავრა ამიერკავკასიის ქვეყნების დამორჩილება, შექმნა „არმინიის“ დამოუკიდებელი საამირო და ყოველივე ამით შეამზადა პირობები ამ რეგიონში როგორც „არაბობის“ დასამ-

---

[12] იქვე, ტექსტი გვ. 3, თარგმანი, გვ. 5—6; Баладзори, Книга завсеваний стран, Баку, 1927, გვ. 15.

[13] ალ-ქუფი, დასახ. თხზულება, გვ. 13—14.

[14] მოვსეს კალანკატვაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე — ტატიშვილმა, თბ., 1985, გვ. 153. ვარდანის ერთი ცნობის თანახმად, ამ შემთხვევას ადგილი ჰქონია აბდ ალ-მალიქის გარდაცვალების (705 წ.) შემდეგ, მეორე ცნობით კი 150(701) წელს (Вардан, Всеобщая история, გვ. 91 — 92), ალბათ, 150(701) წელი უფრო სწორია.

[15] Гевонд, დასახ. თხზულება, გვ. 14.

[16] Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

კვიდრებლად. ისე იქ არაბთმოცილე ბიზანტიელთა და ხაზართა წინააღმდეგ სამოქმედოდ, რაც ახალი ძალით გაიშალა მისი გარდაცვალების შემდეგ, ხალიფების ალ-ვალიდის (705—715), სულაიმანის (715—717), 'უმარ იბნ აბდ ალ-'აზიზის (717—720), იაზიდ II-ისა (720—724) და ჰიშამის (724—743) დროს.

ატ-ტაბარისა და იბნ ალ-ასირის თანახმად, 706/7 წელს არაბებს მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქის სარდლობით, დაულაშქრავთ ხაზართა სამფლობელო დერბენდი. 708/9 წელს იგი ხელახლა აუოხრებია არმინიის მაშინდელ გამგებელს მუჰამედ იბნ მარვანს, ხოლო 713 წელს — ისევ მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქს[17]. ამავე დროს, არაბებს დაუპყრიათ „აბაზგების, ლაზებისა და იბერიელთა" ქვეყნები 98 (716—717 წწ.)[18].

არაბთა მოძალებამ საგონებელში ჩააგდო ხაზარები. ისინი დარწმუნდნენ, რომ, თუ ასე გაგრძელდებოდა, საბოლოოდ დაჰკარგავდნენ ყველაზე გემრიელ ლუკმას — ამიერკავკასიას, რომლის ჩრდილოეთ მხარეს თავიანთ სამფლობელოდ მიიჩნევდნენ. არც ის იყო გამორიცხული, რომ მუსლიმი დამპყრობლები ხაზარეთს დაეუფლებოდნენ, რადგან მარტო ხაზარები მოწინააღმდეგეს ვერ უმკლავდებოდნენ. საჭირო იყო ისეთი მოკავშირის პოვნა, რომელიც მათ არაბების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოადგებოდა. ასეთ ძალას კი მაშინ ბიზანტია წარმოადგენდა და ხაზართა მბრძანებელმა ხაკანმაც ოოლად გამონახა იმპერატორთან საერთო ენა. დაახლოებით 711 წელს მისი აქტიური სამხედრო დახმარების წყალობით ბიზანტიის სამეფო ტახტზე ასულმა სომეხმა წარჩინებულმა ვარდანმა, რომელიც აღზევების შემდეგ ფილიპე იმპერატორად მონათლეს, იუსტინიანე II-ის სიკვდილით დასჯისთანავე, მოლაპარაკება გამართა თავის კეთილისმყოფელთან და შეთანხმდნენ, რომ ამიერიდან ერთად იბრძოლებდნენ არაბთა წინააღმდეგ. ამ გარიგების ძალით მათ გაინაწილეს ამიერ-

---

[17] Tabarī, Annales..., II, 1200; ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, IV, 255.

[18] A. M ю л л е р, დასახ. ნაშრომი, გვ. 95—96. ლევონდისა და მოვსეს კალანკატვაცის თანახმად, ამ ლაშქრობის ხელმძღვანელი უნდა იყოს მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქი (Г е в о н д, დასახ. თხზულება, გვ. 28; M. К а л а н к а т в а ц и, დასახ. თხზულება, გვ. 263), მაგრამ როგორც არაბული, ისე ბიზანტიური წყაროებიდან ჩანს, რომ მასლამა 718 წლის 15 აგვისტომდე კონსტანტინეპოლის ალყას ხელმძღვანელობდა (A. M ю л л е р, დასახ. ნაშრომი, გვ. 94) და, ბუნებრივია, 717 წელს ის კავკასიაში ვერ იქნებოდა (M. И. А р т а м о н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 205; ვ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 29).

კავკასია გავლენის სფეროებად[19]. ალმოსავლეთი ერგო ხაზარებს, ხოლო დასავლეთი — ბიზანტიას. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა როგორც ბიზანტია-ხაზარეთის ურთიერთობის ისტორიაში, ისე ამიერკავკასიის ქვეყნების ცხოვრებაშიც. აწი ეს ორი დამპყრობელი დადებული შეთანხმების შესაბამისად მოქმედებდა.

არაბი ავტორების ცნობებით, 99(717/8) წელს 20-ათასიანი ლაშქარი ხაზარებისა შეიჭრა ალბანეთში, ხოლო 104(723/3) წელს მათ სასტიკად დაამარცხეს საბით ან-ნაჰარანის სარდლობით სომხეთიდან წამოსული მუსლიმთა ჯარი და ხელთ იგდეს დიდძალი ალაფი[20].

ალ-ჯარრაჰის პირველი ლაშქრობა

ამიერკავკასიის დაკარგვას არაბები ვერ ურიგდებოდნენ. ამიტომ ბაზიდ იბნ ალ-აზიზმა „არმენიის“ გამგებლად ალ-ჯარრაჰ იბნ აბდ ალლაჰ ალ-ჰაქამი გამოგზავნა ჯარით და ხაზარებისა და მათი მოკავშირეების (კასპიისპირა ჰუნების, ყივჩაღების, ალანების) წინააღმდეგ გალაშქრება უბრძანა. იბნ ალ-ასირის ცნობით, 105(723/4) წელს ალ-ჯარრაჰი ამიერკავკასიისაკენ დაიძრა და ის უბრძოლველად დაიკავა, რადგან ხაზარებმა და მათმა მოკავშირეებმა როგორც კი შეიტყვეს არაბთა გამოსვლის შესახებ, დაპყრობილი ტერიტორიები დატოვეს და დარუბანდისაკენ დაიხიეს[21].

ჯარრაჰი თავისი 30 ათასი მხედრით ბარდავში შეჩერდა და ხაზართაგან მიტოვებულ ტერიტორიაზე საქმეთა მოწესრიგებას შეუდგა. ატ-ტაბარის თქმით, მან თავისი ლაშქარი მუღანსა და გილანს დაგზავნა ყველას გასაწყვეტად[22], ხოლო მას, როგორც ალ-ბალაზური იტყობინება, ამ დროს უნდა შემოეღო ბარდავში ახალი საწონ-საზო-

---

19. М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 196—201.

20 Tabarī, Annales..., II, 1437; იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, ტ. V, გვ. 52; В. Дорн, Известия о хазарах восточного историка Табари, с отрывками и Гафис—Абру, Ибн-Аазем-Эль-Куфи и др. (Журнал министерства народного просвещения, часть XIII, СПб., 1844, 18 (შემდეგ მოკლედ: В. Дорн, Известия о хазарах...).

21 იბნ-ალ-ასირი, დასახ. თხზულება, ტ. V, გვ. 52, 59.

22 B. Dorn. Tabaris Nachrichten über die Chasaren, nebst, Auszugen aus Hafis Abru, Ibn Asam el—Kufī, U. A. Mél. VI. Ser. Sc. Politiques ets. t. VI. გვ. 517 და შმდ.

მი ერთეულები, რომელთაც შემდეგ მოსახლეობამ ალ-ჯარრაჰული უწოდა[23].

ბარდავში მცირე დროით შეჩერების შემდეგ არაბი სარდალი თავისი ჯარით მდ. მტკვარზე გადავიდა და ხაზარებისაკენ გაემართა. მოწინააღმდეგის სიფხიზლის მოდუნების მიზნით, წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე ხმა დააგდო, რომ ის კარგა ხანს ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა[24]. ხერხმა გასჭრა. იგი დერბენდში ისე შევიდა, წინააღმდეგობა არავის გაუწევია. მხოლოდ მეორე დღეს გამოვიდა მის წინააღმდეგ ხაზართა დიდი ლაშქარი ხაკანის ვაჟის ბარჯიქის სარდლობით, მაგრამ მტრის შეჩერება ვერ შეძლო. ჯარრაჰმა სასტიკად დაამარცხა იგი და აიძულა უკუქცეულიყო. თვითონ კი ბალანჯარისაკენ გაემართა.

ბალანჯარი ხაზართა მთავარი ციხესიმაგრე იყო, რომელიც ახლა კიდევ უფრო გაემაგრებიათ ერთმანეთზე გადაბმული ეტლებით, რათა არაბთა მხედრიონისათვის თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა მოესპოთ. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, ხაზართა ლაშქარი აქაც დამარცხდა. ჯარრაჰი ბალანჯარს დაეუფლა და ის თავის ჯარს მიუგდო საძარცვავად. შემდეგ ალ-ვაბანდარის ციხესიმაგრე შემუსრა და ამით დაასრულა ლაშქრობა. დაპყრობილი ტერიტორიები ალ-ჯარრაჰმა დახარკა, მოსახლეობა აჰყარა და, როგორც ალ-ბალაზური იუწყება, არ-რანის ტერიტორიაზე, ყაბალაში გადაასახლა[25].

არაბთა მხედართმთავარი დარწმუნებული იყო, რომ ასეთი ღონისძიებების გატარების შემდეგ დაპყრობილი ადგილების მოსახლეობა, თუ სამუდამოდ არა, დიდხანს მაინც ვეღარ გაბედავდა მორჩილებიდან გამოსვლას, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა.

სანამ არაბთა ლაშქარი უკან გაბრუნებას მოასწრებდა დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობა აღსდგა და მას დასახევი გზა მოუჭრა. ჯარრაჰი იძულებული გახდა მლის[26] რუსთაკში გამოეზამთრა და სახალიფოდან მაშველი რაზმები გამოეთხოვა[27].

---

23 Баладзори, დასახ. თხზულება, გვ. არაბ. ტექსტისა 11, თარგმანი—16.

24 Ал-Куфи, დასახ. თხზულება გვ. 17.

25 Баладзори, დასახ. თხზულება, გვ. 194.

26 ზ. ბუნიათოვის მიხედვით კი შაქში (З. Бунятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 110), ქ. ნუხის ახლოს (М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 209).

27 იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, V, გვ. 53; Ал-Куфи, დასახ. თხზულება, გვ. 21.

724 წელს, 28 იანვარს (105 წ. 25 შა'ბანს), იაზიდ II, რომელსაც ალ-ჯარრაჰი დახმარებას სთხოვდა, გარდაიცვალა. მისმა შემცვლელმა ხალიფამ ჰიშამ იბნ აბდ ალ-მალიქმა ჯარრაჰი დაკავებულ თანამდებობაზე დაამტკიცა და მას მაშველი ლაშქრის გაგზავნა აღუთქვა. შეასრულა თუ არა მან ეს დაპირება, ამაზე წყაროები უარყოფითად პასუხობენ. მას დახმარება არ მიუღია და დამარცხებულა. დაკისრებული ამოცანა ვერ შეუსრულებია. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს ის გარემოებაც, რომ 107(725/6) წელს ხალიფამ იკი თანამდებობიდან გადააყენა და არმინიის გამგებლად თავისი ძმა მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქი გაგზავნა[28].

სახალიფოს მბრძანებლის ეს გადაწყვეტილება უდავოდ ნაკარნახევი იქნებოდა ჩრდილოეთის საგანგებო კუსტაკში შექმნილი რთული ვითარებით, რაც ძირითადად ხაზართა მოძალებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მასლამა იყო სახელმოხვეჭილი სარდალი, ლეგენდარული პიროვნება, რომელმაც ძალიან ბევრი გაალეთა უმაიელთა სახალიფოს ძლიერებისათვის და ასეთი კაცის გამოგზავნა ამიერკავკასიაში იმას ნიშნავდა, რომ სახალიფოს მესვეურნი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ მხარეს ხაზარების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც ახლა ეს გამოცდილი მხედართუფროსი უდგებოდა სათავეში.

108(726/7) წელს მასლამამ შეძლო ხაზართა გაძევება აზერბაიჯანიდან და საომარი მოქმედება გადაიტანა მათ ტერიტორიაზე. იბნ ალ-ასირის თანახმად, მასლამამ ორჯერ მოაწყო ლაშქრობა ხაზარეთში: 109(727/8) წელს აზერბაიჯანიდან და 110(728/9) წელს ალანთა კარიდან, ანუ დარიალიდან. ორივე ოპერაცია არაბთა გამარჯვებით დამთავრებულა[29], მაგრამ, ჩანს, ეს წარმატებაც ხანმოკლე ყოფილა. 111(729/30) წელს ხაზარები კვლავ აზერბაიჯანში ჩანან[30]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასლამამაც მასზედ დაკისრებულ ამოცანას, რომელიც ხაზართა წინააღმდეგობის საბოლოოდ გატეხვას გულისხმობდა, თავი ვერ გაართვა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნების, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალი ხაზართა უსასრულო შემოსევების გამო, არაბთა პირობით სამფლობელოს წარმოადგენდა.

---

28 იბნ ალ-ასირი, V, გვ. 64—65. მასლამა აბდ ალ-მალიქის უკანონო შვილი იყო მონა ქალისაგან ნაყოლი.

29 იბნ ალ-ასირი, V, გვ. 68, 72.

30 იქვე, გვ. 73.

111(729/30) წელს მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქი ხალიფამ უკან გაიწვია კონსტანტინეპოლზე სალაშქროდ და მისი თანამდებობა ისევ ჯარრაჰ იბნ აბდ ალ-ლაჰ ალ-ჰაქამის ჩააბარა. არმინიის ახალი გამგებელი იმავე წელს სირიელთა ლაშქრით თბილისში მივიდა და იქ რამდენიმე ხანი დაჰყო.

თბილისში ყოფნისას ქალაქის მოსახლეობას არაბი სარდლებისათვის არაბებთან მათი ურთიერთობის იურიდიულ-უფლებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი საბუთი — ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ უჩვენებია და ჯარრაჰს იგი დაუმტკიცებია[31]. თანაც თავისი ხელით საკუთარი წიგნიც დაუწერია და მათთვის უბოძებია. ბალაზურის თხზულებაში დაცული ეს „წიგნი“, ისტორიულ მეცნიერებაში „ჯარრაჰის დაცვის სიგელის“ სახელწოდებით რომაა ცნობილი, ასეთი შინაარსისაა: „სახელითა ალლაჰისა მოწყალისა (და) მწყალობლისა! ესაა ჯარრაჰ იბნ აბდ ალლაჰის წიგნი ქართლის ოლქის მანგლისის თემის თბილისის მოსახლეობისადმი მასზედ, რომ მომიტანეს ჰაბიბ იბნ მასლამას შიერ მათთვის ბოძებული შეუვალობის წიგნი ჯიზიით დამცირების აღიარებისა და იმის შესახებ, რომ იგი დაუზავდათ მიწებზე, ვენახებზე და წისქვილებზე, რომლებსაც ეწოდება ავარი და საბინა მანგლისის თემში, ტა'ამი და დიდუნა კუჰუვიტის თემში, ქართლის ოლქში იმ პირობით, რათა ამ წისქვილებზე და ვენახებზე ყოველწლიურად გადაიხდიდნენ 100 დირჰემს ერთდროულად. მე ძალაში დავტოვე მათი უშიშროებისა და ზავის შეთანხმება და ვბრძანე: „არც მათ და არც სხვას, ვისაც ჩემი წიგნი წაეკითხება, ამაზე მეტი არ გადაახდევინონ, თუნდაც ალლაჰმაც რომ ინებოს.

დაწერა ალ-ჯარრაჰ იბნ აბდ ალლაჰ ალ-ჰაქამიმ“.

ალ-ბალაზურის თხზულებაში[32] შემონახული სიგელის ეს ტექსტი დიდი ხანია მეცნიერულ მიმოქცევაშია. იგი თარგმნილია ინგლისურ,

---

31 მ. ლორთქიფანიძის მიხედვით ეს ამბავი 724—725 წელს მომხდარა (მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, გვ. 75), ხოლო ტ. სიპენკოვას თქმით, კიდევ უფრო ადრე 720—724 წლებში იაზიდ იბნ აბდ ალ-მალიქის ხალიფობისას (Т. М. С и п е н к о в а. დასახ. ნაშრომი, გვ. 149). სიგელის დამტკიცების თარიღად VIII ს. 20-იან წლებს მიიჩნევს ე. სიხარულიძეც (ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან... გვ. 172),

32 Материалы по истории Азербайджана, вып. III, Баку, 1927, с. 8—9.

რუსულ, ქართულ და სხვა ენებზე. ინგლისური თარგმანი ეკუთვნის ფ. ჰიტტის[33], რუსული — ბ. ეუზესა[34] და ტ. სიპენკოვას[35], ხოლო ქართული თარგმანები შეასრულეს მ. ლორთქიფანიძემ[36] და ე. სიხარულიძემ[37].

თავისი შინაარსით ეს სიგელი მნიშვნელოვანი იურიდიული საბუთია. იგი გვუხმარება საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების გარკვევაში. როგორც ცნობილია, დღემდე დომინირებს შეხედულება იმის შესახებ, რომ ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი გაცემული იყო არა მარტო თბილისის, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილების, კერძოდ მანგლისის, არმაზისა და საერთოდ შიდა ქართლისა და გუგარეთის მცხოვრებთათვის[38]. მაგრამ როგორც ჰაბიბის, ისე ჯარრაჰის სიგელიდანაც ჩანს, რომ „დაცვის სიგელი" გაცემულია მხოლოდ თბილისელებზე. ირკვევა ისიც, რომ ჰაბიბის „დაცვის სიგელის" იმ ვარიანტში, რომელიც თბილისელებს ალ-ჯარრაჰისათვის წარუდგენიათ, საუბარი ყოფილა ხარაჯის შესახებ[39], თუმცა ეს ჩვენამდე მოღწეული 4 ვარიანტიდან აღარც ერთში არაა გამოკვეთილად ფიქსირებული. მართალია, ამ ფაქტს იმის დასამტკიცებლადაც იყენებენ, რომ ჰაბიბის სიგელში ხარაჯაზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი, თორემ ერთ-ერთ ვარიანტში მაინც აისახებოდა იგი[40], მაგრამ, გამორიცხული არაა, რომ ყველა ეს ვარიანტი მომდინარეობდეს ერთი რომელიღაც არასრული რედაქციიდან. ყოველ შემთხვევაში ალ-ჯარრაჰის სიგელიც ამაზე მიგვანიშნებს. მას არ შეეძლო ჰაბიბისათვის

---

33 Philip Khuri Hitti. დასახ. ნაშრომი.

34 Материалы по истории Азербайджана, III, с. 12—13.

35 Т. М. Сипенкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 149,

36 მ. ლორთქიფანიძე, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი". მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, გვ. 61—64.

37 ე. სიხარულიძე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თსუ შრომები, 73, გვ. 172.

38 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965., გვ. 75; მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61; ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 364; ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში. თბ., 1979, გვ. 92—93; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24—25.

39 Т. М. Сипенкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 152. თაკის დროზე ასეთი მოსაზრება გამოთქვა ს. ჯანაშიამ (ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 371).

40 ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

მიეწერა ის, რაც მის სიგელში არ იყო. იგი არც იმას დამალავდა, თუ ადრინდელ შეთანხმებაში რაიმე ცვლილებები შეჰქონდა. ანდა როგორ უნდა დაერწმუნებია თბილისელები იმაში, რომ ის ამტკიცებდა მხოლოდ იმას, რაც ჰაბიბის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, თუკი ასეთი რამ მასში ნამდვილად არ იყო; მეორე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არაბებს დაპყრობილ ქვეყნებში მიჰქონდათ ორი სახის ძირითადი გადასახადი; ხარაჯა, ანუ საადგილმამულო (ქონებრივი) გამოსაღები და ჯიზია — სულადი გამოსაღები არამუსლიმებზე. ბალაზურისთან იგივე ჰაბიბ იბნ მასლამის მიერ დვინისა (დაბილისა) და ნახჭევნის (ნაშავას) მოსახლეობისადმი ბოძებულ „დაცვის სიგელებში", რომლებიც აგრეთვე ხალიფა უსმან იბნ აფანის ზეობის დასაწყისშია გაცემული, ჯიზიასთან ერთად დასახელებულია ხარაჯაც[41]. შეიძლებოდა ეს გარემოება იმით აგვეხსნა, რომ დვინი და ნახჭევანი არაბებმა ხმლით დაიკავეს, ხოლო თბილისი და მისი შემოგარენის მოსახლეობა მათ უბრძოლველად დანებდა და ამიტომ თბილისელებს შეღავათი მისცეს. მაგრამ ასეთი რამ გამორიცხული ჩანს, რადგან თბილისელებისადმი ბოძებულ „დაცვის სიგელში" ჯიზია სულადი კი არა, საკომლო გადასახადია. მაშ რით უნდა აიხსნას, რომ ერთი და იგივე პირის ხელიდან, თითქმის ერთდროულად გამოსულ იურიდიულ საბუთებში — „დაცვის სიგელებში" ზოგში მხოლოდ ჯიზიაა მოხსენიებული და ისიც საკომლო გამოსაღების მნიშვნელობით, ხოლო ზოგში — ჯიზიაც და ხარაჯაც? საბუთის გამცემმა, ალბათ, კარგად იცოდა ვისთვის რა შინაარსის „სიგელი" უნდა მიეცა და ამდენად მისი შეცდომა გამორიცხულია. თუ ეს ასეა, მაშინ ან თბილისელთათვის ბოძებული და ჩვენამდე მოღწეული „დაცვის სიგელი" არის ნაკლული, ანდა ის, რაც განსხვავებად მიგვაჩნია მოჩვენებითია, ამასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც უკვე ითქვა, გამოთქმულია ორი სხვადასხვა აზრი. ტ. სიპენკოვას მიხედვით ჰაბიბის მიერ თბილისელთათვის მიცემული და ჩვენამდე მოღწეული სიგელის ტექსტი დეფექტურია, ე. ი. არაა სრული[42]. მისგან განსხვავებით ე. სიხარულიძე კი ვარაუდობს, რომ ალ-ჯარრაჰმა ძალაში დატოვა ჰაბიბის საზავო ხელშე-

---

[41]. Liber expuginationis, ed. M. J. de Goeje, Lugduni — Batavorum, 1863, c. 200; З. Буннятов, Азербайджан в VII—IX вв., Баку, 1965, с. 82; Т. М. Сипенкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

[42] Т. М. Сипенкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

კრულების პირობები სრულად და თავის მხრივ დაუმატა: 1. მუხლი იმის შესახებ, რომ თბილისის ახლოს არსებული ვენახები და წისქვილები იბეგრებოდნენ ერთდროული გადასახადით წელიწადში 100 დირჰემის ოდენობით; 2. კუხეთს არაბებისათვის უნდა ეხადა ნატურალური გადასახადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახით. მაშასადამე, ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიქრის „დაცვის სიგელის“ დღემდე შემონახული ტექსტი სრულია[43].

ჩვენ კი ვფიქრობთ, თბილისელთათვის ჰაბიბის მიერ ბოძებულ და წყაროებში დღემდე შემონახულ „დაცვის სიგელში“ ხარაჯის შესახებ ცალკე მუხლის არარსებობა არ უნდა ნიშნავდეს მის დეფექტურობას და ამდენად ტ. სიპენკოვას ვარაუდის სისწორეც საეჭვოა. უფრო მისაღები ჩანს ე. სიხარულიძის აზრი იმ შესწორებით, რომ ხარაჯა ჰაბიბის სიგელის ტექსტში „ჯარრაჰის დამატებული პუნქტების“ გარეშეც იგულისხმებოდა ჯიზიას სახით.

ჯიზია ძველთაძველი საგადასახადო ინსტიტუტია და სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. სასანურ ირანში (226—642) ის წარმოადგენდა ისეთ გადასახადს, რომლითაც იბეგრებოდა პიროვნებაც და ყოველგვარი უძრავ-მოძრავი ქონებაც, ე. ი. ერთდროულად ჯიზიაც იყო და ხარაჯაც. ასეთი ჯიზიით იბეგრებოდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ძირითადად ებრაელები, ქრისტიანები, ზოროასტრები (ზოროასტრული რელიგიის მიმდევარნი) და ინდუსები. გადასახადი იყო ყოველწლიური და აიღებოდა წელიწადში ერთხელ ფულით, ნატურით ან ფულითაც და ნატურითაც. მისი ოდენობა განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ ვინ რა შეძლების იყო[44]. ასე რომ, სასანურ ირანში ჯიზია ერთგვარ კომბინირებულ, ანუ შერეულ გამოსაღებს წარმოადგენდა.

ასეთ შინაარსს ინარჩუნებდა იგი აგრეთვე ისლამის გამარჯვებისა და არაბთა სახალიფოს წარმოქმნის პირველ ხანებშიც[45] ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ გადასახადით იბეგრებოდა ყოველი სრულწლოვანი (20-იდან 50 წლამდე ასაკის) არამუსლიმი მამაკაცი (მოხუცების, დავ-

---

43 Э. Т. Сихарулидзе. Из истории арабо-грузинских отношений (ლენინგრადში წაკითხული მოხსენება. იხ. Т. М. Сипенкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 153).

44 И. П. Петрушевский, Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV веков. М.—Л., 1960, გვ. 387 და შდრ; Т. М. Сипенкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 145—146.

45 სანამ მუსლიმური სამართალი ჩამოყალიბდებოდა.

„ოდომილი ავადმყოფების, არაფრისმქონე მათხოვარ-მაწანწალებისა“ და ბერმონაზვნების გამოკლებით), თუ ის არ მონაწილეობდა ისლამის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში[46].

ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ თბილისელთათვის ბოძებული „დაცვის სიგელის“ ჯიზიაც, სწორედ, ისეთი გადასახადია[47], რომლითაც იბეგრებოდა პიროვნებაც და მისი მეურნეობაც. ასე რომ არ იყოს, „სიგელის გამცემი არაბი სარდალი, ალბათ, აღარ იტყოდა: „თქვენ არ გაქვთ უფლება გააერთიანოთ კომლები ჯიზიას შესამცირებლად, ჩვენ კი უფლება არა გვაქვს გავყოთ ისინი მის გასადიდებლადო“. ცხადია, აქ რომ ჯიზია მხოლოდ და მხოლოდ სულად გადასახადად იგულისხმებოდეს, კომლების გაყოფა ან გაერთიანება გადასახადით მიღებული შემოსავლის ოდენობის გაზრდა-შემცირებაზე ვერ იმოქმედებდა. ამიტომ ეჭვი არაა, მასლამას „დაცვის სიგელში“ ფიქსირებული ჯიზია სულადი გადასახადის გარდა საადგილმამულო გამოსაღებსაც, ანუ ხარაჯსაც აღნიშნავს. მაშასადამე, მასლამას მიერ თბილისელთათვის ბოძებული „დაცვის სიგელი“ იმთავითვე ავალდებულებდა მოსახლეობას ხარაჯის გადახდას და ამდენად, ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს მუხლი მასში ჯარრაჰის მიერაა შემდეგ დამატებული, ვფიქრობთ, არ იმსახურებს ნდობას[48]. იგივე ითქმის მ. ლორთქიფა-

---

46 განმარტება ემყარება აზერბაიჯანის, მუღანის, ნაშავას (ნახიჭევნის) დაბილის (დვინის), ბაილაკანის მოსახლეობისადმი მიცემული „დაცვის სიგელების“ შინაარსის ანალიზს (იხ. ალ-ბალაზური, გვ. 326; ატ-ტაბარი, I, გვ. 2662, 2666—2667; იბნ ალ-ასირი, III, გვ. 21 — 22; З. М. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 80—83. შდრ. ე. სიხარულიძე, ჯიზია, ქსე, ტ. XI).

47 ამის საწინააღმდეგოდ ლ. ნადირაძე აღნიშნავს: „ჰაბიბის... „დაცვის სიგელს“ ჯიზია სულაც არ არის სასანურით“ (Л. И. Надирадзе, Джизья в „Охранной грамоте Хабиба ибн Масламы, „მაცნე“, ისტორიის... სერია, თბ., 1986, № 3, გვ. 114).

48 ე. სიხარულიძე ამ „დამატებას“ სულჰის მიწების კატეგორიას მიაკუთვნებს და განმარტავს, რომ მუსლიმური სამართლის მიხედვით, არაბების მიერ ნებით დაპყრობილი ტერიტორია ითვლებოდა სულჰის მიწებად, რომლებზეც გადასახადი ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული და განსხვავდებოდა როგორც ჯიზიას, ისე ხარაჯისაგან, იგი არ წარმოადგენდა სპეციალურად არც სულად, არც მიწაზე დაწესებულ გადასახადს, არამედ ხარკს, ქალაქში — ჯიზიას, მის ირგვლივ მდებარე მიწებზე — ხარაჯს. „ვიდრე ეს ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა, რა. ცვლილებებიც არ უნდა მომხდარიყო სახელმწიფოში საგადასახადო საკითხთან დაკავშირებით, დასახელებულ ტერიტორიებს იგი არ ეხებოდა“ (ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 180). ამ განსაზღვრების განხილვა ჩვენი მიზანი არ არის, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ითქვას. თუ სულჰის მიწებზე დადგენილი გადა-

ნიძის იმ მოსაზრებაზეც, რომლის თანახმად თითქოს ალ-ჯარრაჰს კომლებრივი გადასახადის მაგივრად ქართლის მოსახლეობისათვის დაეკისრებინოს სულადობრივი გადასახადი („გადიდებული ჯიზია“) და საადგილმამულო გადასახადი („ხარაჯა“)[49]. თუკი ჯიზია და ხარაჯა ქართლში ჯარრაჰმა შემოიტანა, მაშინ რაღა იყო ის საკომლო „ჯიზია“, ჰაბიბმა რომ დაუდგინა თბილისისა და მისი შემოგარენის მოსახლეობას გადასახდელად? ამ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად საჭიროა ვიცოდეთ, რომ ის საგადასახადო ცვლილებები, რაც არაბებმა VIII ს. 20-იან წლებში საქართველოში (საერთოდ ამიერკავკასიაში) განახორციელეს და საისტორიო მწერლობაში ჯარრაჰ იბნ აბდ ალლაჰის სახელთანაა დაკავშირებული, ჯიზიასა და ხარაჯის შემოღებას კი არა, სახარაჯო გადასახადის გადიდებას ითვალისწინებდა თბილისში დაბანაკებულ არაბთა შესანახად ან სახელმწიფო ხაზინის შემოსავლის გასაზრდელად. ჯარრაჰის „სიგელში“ ერთი სიახლეც შეინიშნება. მასში იმ ობიექტების ჩამოთვლა, რომლებიც „ხარაჯით“ იბეგრებიან იმაზე მიგვითითებს, რომ VIII ს. 20-იან წლებში სახალიფოში უკვე მოქმედებს მუსლიმური, ანუ ყურანული „ჯიზია“[50], საიდანაც, სასანური ჯიზიისაგან განსხვავებით, საბოლოოდ გამოყოფილია „ხარაჯა“. როგორც დამოუკიდებელი ქონებრივი (სამეურნეო) გადასახადი.

როგორც „სიგელიდან“ ჩანს, ჯარრაჰს მანგლისისა და კუჰუვიტის თემების მიწები, ვენახები და წისქვილები, რომელთაც ეწოდებოდა „ავარი“, „საბინა“, „ტა'ამი“ და „დიდუნა“ დაუბეგრავს წელიწადში 100 დირჰემის (დრაჰმის) ოდენობით ადრე დაწესებული ერთი დი-

---

სახადის ოდენობა სამუდამო იყო, მაშინ როგორ მოხდა, რომ ჰაბიბის მიერ დადგენილი საკომლო გადასახადი ერთი დინარი (12 დირჰემი) ჯარრაჰმა 100 დირჰემამდე გაზარდა? ასეთ კითხვას ისიც ბადებს, რომ ალ-ფაკიჰის ცნობით, ჰაბიბ იბნ მასლამა ნებით დანებებულ ჯურრაჰის, ქასფარის, ქისალის, ხუნანის, სამსხის; ჯარდმანის, ქასფი ბისის, შავშეთის და ბაზალეთის მოსახლეობას შეუთანხმდა ეხადათ როგორც სულადი, ისე მიწის გადასახადი (Сведения арабских писателей о Кавказе... СМОМПК, вып. XXXI. Тифлис, 1902, с. 26—27). ე. ი. ჯიზიაც და ხარაჯაც.

[49] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საქართველო არაბთა ბატონობის უღელქვეშ (ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ვ. გ უ ჩ უ ა, მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, შ. მ ე ს ხ ი ა, საქართველოს ისტორია, VIII—IX კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1988, გვ. 90).

[50] ვრცლად ამის შესახებ იხ. Л. И. Надирадзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 114—115.

ნარის (12 დირჰემის) ნაცვლად, მაგრამ დოკუმენტში არც წისქვილების რაოდენობაა მითითებული და არც ვენახების ზომა. ასევე გაურკვეველია ისიც, ამ ოდენობის (100 დირჰემი) სახარაჯო გამოსაღები ერთ წისქვილსა და ვენახს ეწერა, ერთი თემის წისქვილებსა და ვენახებს თუ ჩამოთვლილი პუნქტების ზვრებსა და წისქვილებს ერთად აღებულს. მიუხედავად ამისა დაახლოებით მაინც შეიძლება გაეცეს პასუხი ამ კითხვას არაპირდაპირი ცნობების მოშველიებით.

უმაიელთა ბატონობის ხანაში (661—750) სახალიფოს ცენტრალურ ნაწილში — ერაყში — ფართობის გავრცელებული საზომი ერთეული ჯარიბი იყო. ერთი ჯარიბი (جريب — ფხვიერი სხეულისა და ფართობის საწონ-საზომი ერთეული) ვენახიდან 6 დირჰამი აიღებოდა[51], დირჰამი კი იყო ფულისა და წონის ერთეული. როგორც წონის ერთეული, იგი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიდიდის იყო. VII—VIII სს. მიჯნაზე მისი წონა 2,97 გრამს უდრიდა. რაკი ვიცით, რომ ალ-ჯარრაჰის სიგელის თანახმად საერთო გადასახადი 100 დირჰამს შეადგენდა, 2,97 გრამი გამრავლებული 100-ზე მოგვცემს 209 კილოგრამსა და 700 გრამს, ანუ დაახლოებით 13,13 ფუთს. ცხადია, ეს გადასახადი თემზე ძალიან ცოტა იქნებოდა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ერთი პუნქტის წისქვილებზე ან ერთ წისქვილზე შეწერილი გადასახადი.

იგივე შეიძლება ითქვას ვენახებზედაც. უმაიელთა დროს ერაყში ჯარიბი ვენახიდან აიღებოდა 6 დირჰამი. თუ დავუშვებთ, რომ საქართველოშიც ამდენს აიღებდნენ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ დაბეგრილი ვენახის საერთო ფართობი იქნებოდა (100×6) 16,4 ჯარიბი, ანუ დაახლოებით 4,9 ჰექტარი, რაც ასევე მიგვანიშნებს, რომ აქაც საქმე გვაქვს ერთი პუნქტის ან ერთი კომლის ვენახებზე დაწესებულ გამოსაღებზე.

ალ-ჯარრაჰის სიგელში რამდენიმე პუნქტია დასახელებული: ავარი, საბინა, ტა'ამი და დიდუნა. მაგრამ ასეთი ადგილები ქართლში არ იძებნება. ამიტომ ფიქრობენ, რომ აქ საქმე გვაქვს ქართული გეოგრაფიული ადგილების სახელთა დამახინჯებასთან და ცდილობენ

---

51 История Ирана с древнейших времен до конца XVIII века. Л., 1958, с. 91; Т. М. Сипенкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 153. „ჯარიბის" როგორც საწყაოს შესახებ იხ. გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 156.

იმის დადგენას თუ სიგელში მოცემული პუნქტის სახელწოდება რომელ ქართულ სახელს შეესაბამება და რა უნდა ყოფილიყო იგი. მაგალითად, მარი ბროსეს მიაჩნია, რომ ალ-ჯარრაჰის სიგელში მოხსენიებული „კუჰუვიტი“ კოგოვიტია[52]. მ. ბროსეს ეს განმარტება გაიზიარა ალ-ბალაზურის თხზულების გამომცემელმა დე გუემ და იმანაც შენიშვნებში მიუთითა, „კუჰუვიტი“ „კოგოვიტი“ არისო[53]. ასე გაჩნდა თავდაპირველად დასავლეთ ევროპაში ვერსია „კუჰუვიტ“ — „კოგოვიტის“ იგივეობის შესახებ, რამაც შემდეგ რუსულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში მოიკიდა ფეხი (პ. ჟუზე და მ. ლორთქიფანიძე „კუჰუვიტს“ „კოგოვიტად“ თარგმნიან) და გამოიწვია სერიოზული გაუგებრობა. საქმე ისაა, რომ ალ-ჯარრაჰის სიგელის თანახმად, „კუჰუვიტი“ ქართლის ოლქშია. „კოგოვიტი“ კი სომხური გეოგრაფიის მონაცემებით, საქართველოდან შორს მყოფი აირარატის პროვინციის ერთ-ერთი ოლქი იყო სომხეთში[54]. ამიტომ ე. სიხარულიძე ვარაუდობს, რომ „კუჰუვიტი“ არის არა „კოგოვიტი“, არამედ თბილისის ჩრდილოეთით მდებარე კანტონის, „ხვეთის“ არაბული ფორმა[55], სადაც ქართული „ჯ“ გადმოცემულია არაბული „კ“ (ق)-ით, ხოლო „ით“ დაბოლოება „იტ“ (يط) -ით. ამით ე. სიხარულიძემ უარყო ზემოაღნიშნული შეხედულება „კუჰუვიტ“-„კოგოვიტის“ იდენტიფიკაციის შესახებ და კუჰუვიტი საქართველოს ფარგლებში შემოიტანა[56], რითაც ნაწილობრივ მოხსნა ის წინააღმდეგობა, რომელიც სიგელის ტექსტსა და მის ჟუზე-ლორთქიფანიძისეულ თარგმანებში შეინიშნება. მანვე წამოაყენა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ „ტა'ამი“ უნდა იყოს დიღომი, ხოლო „დიდუნა“ — დიდუბე[57]. მართლაც, რაკი სიგელში საუბარია თბილისის მიწებზე, ცხადია, ისინი ქალაქის ახლოს იქნებოდნენ და ამდენად გამორიცხული არაა, რომ „ტა'ამი“ და „დიდუნა“ შესაბამისად დიღომი და დიდუბე იყოს. მაგრამ საეჭვოა, რომ ეს ტოპონიმები „ხვეთის“ კანტონში ყოფილიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არსებობს სხვა, ჩვენი აზრით, უფრო მისაღები მოსაზრება.

---

52 M. Brosset, I. 142.

53 Liber expuginationis regionum,... გვ. 202.

54 Моисей Хоренский (Мовсес Хоренаци). Армянская география VII века. Текст и пер. издал К. П. Патканов. СПб., 1877, с. 53.

55 ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.

56 იქვე.

57 იქვე.

ტ. სიპენკოვა „კუჰუვიტს“ უკავშირებს „კხოეთს“ (Кхоэт)[58], რო
მელიც ს. ერემიანის მიხედვით, თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთი
მდებარეობდა და წარმოადგენდა კახეთის ნაწილს — „კუხეთს“[5
„კუხეთი“ კი ქართულ წყაროთა მონაცემების თანახმად, ზედ ეკვრო
და თბილისს. მისი დასავლეთი საზღვარი გასდევდა არაგვსა დ
მტკვარს დაახლოებით ჟინვალიდან წითელ ხიდამდე[60]. ასე რომ, თუკ
„კუჰუვიტი“ ნამდვილად „კუხეთია“ და ამ უკანასკნელის საზღვარ
მდ. მტკვრამდე აღწევდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ „დიდუნა
(დიდუბე) და „ტა'ამი“ (დიღომი) ხვეთის ხევში, ანუ თემში კი არ
„კუხეთის“ ფარგლებში შედიოდნენ.

შედარებით რთული გასარკვევია „საბინას“ ადგილმდებარეობ
ალ. ჯარრაჰის სიგელის მიხედვით იგი მანგლისის თემში ფიგური
რებს. იქ კი ასეთი პუნქტი არ იძებნება. ს. ერემიანი მას აიგივებს წო
ბენთან, რომელიც „სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით, თბილისი
ჩრდილოეთით იმყოფებოდა[61] და არა მის სამხრეთ-დასავლეთით, ე. ი
მანგლისის მხრიდან. ამიტომ თუ სიგელის ტექსტში არაა დაშვებუ
ლი შეცდომა, ს. ერემიანის იდენტიფიკაცია არ გამოდგება. იგივ
ითქმის „ავარი“-ს შესახებაც. ტ. სიპენკოვა ვარაუდობს, რომ „ავარი
„აგარის“ დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს[62]. გ. წერეთელს კი შე
საძლებლად მიაჩნია, რომ „ავარი“ მდ. ვერეს აღნიშნავდეს[63]. მართ
ლაც, ერთი შეხედვით ეს იდენტიფიკაცია სწორი უნდა იყოს, რად
გან მდ. ვერე თბილისთანაც ახლოსაა, წისქვილებისთვისაც მოსახერ
ხებელი ადგილია და მოსახლეობა და სახნავ-სათესიც ბლომად ყო
ფილა. ამას ადასტურებს არქეოლოგიური მასალებიც: ნასოფლარ
ნამოსახლარები, სასაფლაოები, სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურ
ნეო ინვენტარი, ბოლო მოხსნილი და მუჯუროიანი ქვევრები, რომ-

---

58 Т. М. Сипенкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

59 С. Т. Еремян, Карта «Армения по Ашхарацуйцу (Армянской географии VII века)», Ереван, 1960.

60 ვახუშტი, აღწერა... (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 523—524; დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35—36; ე. ხოშტარია, ძველი ქართველ-საისტორიო წყაროების „კახეთის მთის“ ლოკალიზაციისათვის. „კავკასიის ხალხთ ისტორიის საკითხები“, 1966, გვ. 170 და შმდ; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუ-თავი, თბ., 1958, გვ. 10—13.

61 С. Т. Еремян დასახ. ნაშრომი.

62 Т. М. Сипенкова, დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

63 გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1952, გვ. 20.

ლებიც აღმოჩნდა თანამედროვე საბურთალოს საცხოვრებელი მასივის მიდამოებში (სამწუხაროდ, მისი შესწავლისათვის თავის დროზე არავის უზრუნვია), მაგრამ „ავარის“ გაიგივება მდ. ვერესთან და მის ხეობასთან მაინც შეუძლებელი იქნება თუ არ დავუშვებთ, რომ მდინარე სკვირეთს უკვე VIII ს-ში ვერე ეწოდებოდა.

თბილისიდან ალ-ჯარრაჰი ჩრდილოეთისაკენ გაემართა, დარიალის კარი განვლო, ხაზარეთში გადავიდა, მას დიდი ზარალი მიაყენა და დიდძალი ალაფით უკან გამობრუნდა. ხაზარები რევანშისათვის ემზადებოდნენ. როგორც ატ-ტაბარი აღნიშნავს, მათ არაბთა წინააღმდეგ საბრძოლველად უხმობდა ქართლის გამგებელიც, რომელიც, ეტყობა, შეწუხებული იყო არაბობით და დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვოდა.

მემატიანის თქმით, ქართველმა „მალიქმა“ ხაკანს კაცი გაუგზავნა და ურჯულოთა სახელით მუსლიმთა წინააღმდეგ სალაშქროდ მოუწოდა. თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა. ხაკანსარ ხაკანმა 300 ათასი კაცი თავისი ვაჟიშვილის ბარჯიქის[64] სარდლობით, ჯარრაჰის წინააღმდეგ აზერბაიჯანისაკენ დასძრა. ბარჯიქი ჯერ ვარკანს[65] მიადგა და იგი სასტიკად დალაშქრა, შემდეგ კი ჯარრაჰთან შესაბრძოლებლად გასწია და აზერბაიჯანის ქალაქებში გაფანტული მისი ჯარი მოსპო. ამასობაში ჯარრაჰი საილანს[66] მივიდა და იქ დადგა. ხაზარები რიცხობრივად დიდად სჭარბობდნენ არაბებს. ამიტომ ჯარრაჰს მისმა თანმხლებმა აზერბაიჯანელმა მარდანშაჰმა ურჩია, ბრძოლაზე თავი შეეკავებინა, საილანის მთასთან დაბანაკებულიყო და სირიიდან ლაშქრის მოსვლას დალოდებოდა. მაგრამ ამირმა ეს სიმხდალედ მიიჩნია და ალლაჰის მტრებთან შებმა არ მოიშალა. ბრძოლა უსასტიკესი გამოდგა. მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, არაბები და-

---

[64] სხვაგან წერია: „ბარჰაბაქ“, „ბარჰილ“, „ნარსთიქ“, „ბარჯან“ (B. Dorn, დასახ. ნაშრომი, გვ. 517—522), „პაშენქ“, „პაშენაქ“ (Тарихи дербанд наме, Тифлис, 1898, с. 74, 104, 107), „ბარჯნქ“ (В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия. СПб., 1900, ч. II, с. 79), „ტარმაჩ“ (Гевонд, История халифов, СПб., 1862, с. 71), „ბარჯილ“ (М. И. Артамонов, История хазар, Л., 1962, с. 211).

[65] იგივეა, რაც სხვაგან მოხსენიებული „ვარსანი“ და „ვარზანი“ ქალაქი ვარდანაკერტი მდ. არაქსზე.

[66] იგივე „საბალანი“ — დიდი მთა, რომელიც გადაჰყურებს ქ. არდაბილს აზერბაიჯანის მიწაზე (ბაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, არაბული ტექსტი ქართული თარგმანით და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ, თბ., 1964, გვ. 61).

მარცხდნენ. მათი ლაშქრიდან მხოლოდ ასმა კაცმა უშველა თავს გაქცევით, სხვები დაიღუპნენ. დახოცილთა შორის იყვნენ გამუსლიმებული შარდანშაჰი, რომელიც ხაზარებს მამაცურად ერკინებოდა, და თვით ჯარრაჰი. არაბთა მთელი სიმდიდრე, აგრეთვე ჯარრაჰის თავი, მისი ცოლები, შვილები და ჰარამხანა მტრის ხელში აღმოჩნდა. ხაზარები არდებილს დაეუფლნენ და მის მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდნენ. მუსლიმებს ყველგან სდევნიდნენ, ძარცვავდნენ, კლავდნენ, ატყვევებდნენ[67].

ატ-ტაბარის ამ ცნობას ზუსტი თარიღი არ უზის. თუ მასში მოთხრობილი ამბის მიხედვით ვიმსჯელებთ, ხსენებული ლაშქრობა ჰიშამის ხალიფობის დასაწყისში, ე. ი. 724—725 წლებში უნდა მომხდარიყო. მაგრამ ამას სხვა წყაროები არ ეთანხმებიან. როგორც უკვე დავინახეთ, იბნ ალ-ასირ ალ-ჯაზირის თანახმად, ატ-ტაბარის ცნობაში ნახსენები არაბთა თავდასხმა ხაზართა ქვეყანაზე და ამის საპასუხო ხაზართა ლაშქრობა, რომლის დროსაც არმინიის გამგებელი ალ-ჯარრაჰი დაიღუპა, ჰიჯრის 111—112 წლებში მომხდარი ამბავი ჩანს: „ამ (111) წელს — აღნიშნავს იბნ ალ-ასირი, ალ-ჯარრაჰი თბილისის მხრიდან ხაზართა ქვეყანაში შევიდა, მათი ქალაქი ალ-ბაიდა დაიპყრო და შინ მშვიდობით დაბრუნდა... მას შემდეგ, რაც ალ-ჯარრაჰმა ხაზარები და თურქები უკუაქცია, ისინი შეიკრიბნენ და 112 წელს ისევ ალანთა მხრიდან გამოჩნდნენ. ალ-ჯარრაჰ იბნ აბდ ალლაჰი მასთან მყოფი სირიელებით მათ შეეგება. გაიმართა არნახული ბრძოლა. ორივე მხარე თავდადებით იბრძოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ხაზარები მუსლიმებს სჭარბობდნენ, ალ-ჯარრაჰი და მასთან მყოფნი მოწამებრივი სიკვდილით დაეცნენ არდებილის ველზე... გამხნევებული ხაზარები კი ქვეყანაში ისე ღრმად შეჭრნენ, რომ მოსულამდე მიაღწიეს[68].

ზემოხსენებული ლაშქრობები რომ ჰიშამის ხალიფობის დასაწყისში კი არა, უფრო გვიან, 111—112 წლებში ყოფილა, ეს ჩანს ატ-ტაბარის თანამედროვე ალ-იაკუბის ცნობიდანაც, რომელშიც ნათქვამია: „112 წელს თურქები არდებილის მიწა-წყალში შეიჭრნენ, მათ

---

[67] B. Dorn, დასახ. ნაშრომი, გვ. 468—471 და 516—520; Дорн, Известия о хазарах восточного историка Табари с отривками из Гафис-Абру, Ибн ал-Азем-эл-Куфи и др. (Журнал министерства народного просвещения СПб., август 1844, с. 67—69). ვინაიდან ცნობა ვრცელია და აქ დიდ ადგილს დაიკავებდა, მის ზუსტ თარგმანს, მოკლე შინაარსის გადმოცემა ვამჯობინეთ.

[68] ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, დასახ. თხზულება, V, გვ. 73—74.

თავს დაესხა ალ-ჯარრაჰ იბნ აბდ ალლაჰ ალ-ჰაქამი და თურქთა მეფესთან შეტაკებისას დაიღუპა[69]. მართალია, აქ საუბარია მხოლოდ 112 წლის ლაშქრობაზე, რომლის დროს ალ-ჯარრაჰი მოკლეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იბნ ალ-ასირისა და თვით ატ-ტაბარის ცნობებს იმის შესახებ, რომ ეს შემოსევა ამიერკავკასიაში იყო პასუხი არაბთა მიერ საქართველოდან, დარიალის გზით, ხაზართა ქვეყანაზე განხორციელებული ამას წინანდელი თავდასხმისა, მაშინ, ეჭვი არაა, ეს უკანასკნელი 111 წელს მოხდებოდა.

ჰიჯრის, ანუ მუსლიმური წელთაღრიცხვის 111 წელი ევროპული კალენდრით 729 წლის 5 აპრილს დაიწყო და 730 წლის 25 მარტს დამთავრდა, ხოლო 112 წელი — 730 წლის 26 მარტიდან 731 წლის 14 მარტამდე გაგრძელდა. გამორიცხულია, რომ ზამთარში, და ისიც დარიალის გზით, რომელიმე მებრძოლი მხარე სალაშქროდ წასულიყო. ამიტომ ხაზარებზე არაბთა თავდასხმის თარიღად უნდა მივიჩნიოთ 729 წელი, ხოლო ხაზართა ლაშქრობის დროდ 730 წელი. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს მ. კალანკატვაცის თხზულების ის ადგილიც, სადაც აღნიშნულია: „სომხური წელთაღრიცხვის 178 (729) წელს ჯარრაჰი აფხაზიიდან (საქართველოდან) მეორედ შეიჭრა ხაზარეთში, ხოლო მომდევნო წელს ხაზართა მბრძანებლის ვაჟი გამოვიდა და იგი მოკლაო"[70].

არსებობს ვერსია, რომ ალ-ჯარრაჰი ბალანჯარში მოკლეს[71], მაგრამ ეს არ არის სწორი. იგი დაიღუპა არდებილის ახლოს[72] მდებარე საილანის ველზე, სოფელ „შაჰარანთან" (შაჰრავარანთან)[73].

---

[69] Я 'К у б и, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 5. სინამდვილეში ჯარრაჰი მეფესთან კი არა, მის ვაჟთან ბრძოლაში დაიღუპა. იხ. А л - К у ф и, დასახ. თხზულება, გვ. 22—23 და შმდ.

[70] История Алван Моисея Каланкатваци писателя X века. Перевод с древнеармянского К. Патканова, СПб., 1861, с. 261; მ ო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ ვ ა ც ი, ალვანთა ქვეყნის ისტორია, გვ. 155; Г е в о н д, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

[71] ი ბ ნ ალ-ა ს ი რ ი, დასახ. ნაშრომი, ტ. V, გვ. 74.

[72] იქვე; Я ' К у б и, დასახ. ნაშრომი, გვ. ტექსტისა 5, თარგმანის—7.

[73] Д о р н, Известия о хазарах, с. 66—69; М. К а л а н к а т в а ц и, დასახ. ნაშრომი, გვ. 210, 261; А л - К у ф и, დასახ. თხზულება, გვ. 22 — 23; З. Б у н и я т о в, Азербайджан в VII—IX вв., Баку, 1965, с. 111.

ხაკანის ბრძანებით[74] აზერბაიჯანისაკენ წამოსულ ხაზართა ლაშქარს ამიერკავკასიაში შემოსვლა შეეძლო ორი გზით. ერთი იყო ბაბუ ლ-აბვაბის (დარუბანდის) გზა, მეორე — ალანთა (დარიალის), რომელიც გვიან შემოდგომიდან ცაზაფხულამდე ჩაკეტილი იყო (თოვლით) და არ მოქმედებდა.

მ. არტამონოვს მიაჩნია, რომ ხაზართა ეს ლაშქრობა დარუბანდის გზით განხორციელებულა[75] და იმოწმებს ლევონდის ცნობას, სადაც, მართლაც ნათქვამია: „ტარმაჩმა ურიცხვი ჯარით განვლო ჰუნთა ქვეყანა, ჩორის გასასვლელი[76], მასკუტთა მიწები[77] და ფაიტარაკანი დაარბიაო"[78]. მაგრამ არსებობენ ისეთი, ჩვენი რწმენით არანაკლებ სანდო, წყაროებიც, სადაც ვითარება რამდენადმე სხვანაირადაა წარმოდგენილი. აბუ ალი მუჰამმად ალ-ბალ'ამის თანახმად, ხაზარები დარიალიდანაც მოსულან[79]. ხოლო იბნ ალ-ასირის ცნობაში, ზემოთ რომ მოვიტანეთ სრულად, პირდაპირაა მითითებული, „ხაზარები და თურქები ალანთა მხრიდან გამოჩნდნენო"[80], ე. ი. ალბანეთიდან დარიალის გზით შემოვიდნენო. ისინი რომ დარიალიდანაც უნდა მოსულიყვნენ ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ხაზარები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს „მალიქს" მოუწვევია[81].

არაბული სიტყვა „მალიქუნ" (ملك) ჩვეულებრივ მეფეს, იმპერატორს, მფლობელს (იშვიათად ერისმთავარსაც) ნიშნავს. მაშინ

---

74 ლევონდის ცნობით, ხაკანი მაშინ ცოცხალი აღარ ყოფილა და ჯარი დედამისს „პარსბიტს" გამოუგზავნია (Гевонд, с. 71).

75 М. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

76 იგივე დარუბანდის (დერბენდის) გასასვლელი.

77 მასკუტა (მასაგეტთა) მიწები დარუბანდის სამხრეთით იყო გაშლილი.

78 Гевонд, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

79 B. Dorn. დასახ. ნაშრომი. გვ, 517; З. Буниятов. დასახ. ნაშრომი, გვ. 110—111.

80 იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, ტ. V, გვ. 74.

81 و ملك جرز بخاقان كسر فرستاد و بهمه اصناو (كفره) و ايشانرا (بحرب مسلمانان) (خوان و) اجابت كردند و بيامدند (و خاقاسر) (خاقان پسر) خويسر رابرايشان امير كرد و برفتند... „საქართველოს მალიქმა ხაკანს კაცი გაუგზავნა და ურჯულოთა სახელით მუსლიმთა წინააღმდეგ საომრად მოუწოდა. ხაზარები დათანხმდნენ და მოვიდნენ. ხაკასარ ხაკანმა თავისი ვაჟი უფროსად განაწესა და გაისტუმრა..." (B. Dorn, დასახ. ნაშრომი, გვ. 516). სპარსული ტექსტის თარგმანი ეკუთვნის კ. ტაბატაძეს.

ვინ იყო ის ქართველი მეფე თუ ერისმთავარი (იმპერატორები ხომ საქართველოს არ ჰყოლია), ვინც VIII ს. 20—30-იანი წლების მიჯნაზე არაბების წინააღმდეგ ამიერკავკასიაში ხაზარები იხმო? არაბი მემატიანე მის სახელს არ ასახელებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში კი ამ საკითხის შესახებ, ერთმანეთის გამომრიცხველი და ბუნდოვანი ცნობების გამო, ერთიანი, საბოლოოდ დადგენილი და მიღებული მოსაზრება ჯერ არ გაგვაჩნია.

1977 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ატენის სიონის ფრესკული წარწერისა და სხვა მონაცემების საფუძველზე გ. აბრამიშვილი ამტკიცებს, რომ 719—745 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს მართავდა არჩილ II[82], რომელიც ლეონტი მროველთან მეფედაა მოხსენიებული[83]. ქართული წიაღსვლების შედეგად მიღებულ ამ დასკვნას რამდენადმე მხარს უჭერს კიდევ ერთი ცნობა. „ქართლის ცხოვრების“ მოსე ჯანაშვილისეული ნუსხის მიხედვითაც არჩილი „ქ“ს აქეთ ღ. ი. ᲩᲗ (718) წელს“ გამეფებულა[84]. მართალია, როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, ეს შემდეგაა ტექსტში ჩამატებული „სხვა ხელითა და მელნით“, მაგრამ ამას, ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი აქ ისაა, რომ ჩამატება შემთხვევით არაა. ჩამჩატებელს უსათუოდ ხელთ ჰქონია რომელიღაც წყარო, რომელშიც ზუსტად ყოფილა მითითებული არჩილის აღზევების თარიღი. თუ არჩილი II ნამდვილად 718—719 წლებში გამეფდა[85] და 745 წლამდე[86] იყო ტახტზე, მაშინ, ცხადია, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (ე. ი. 729—730 წლებში) არაბი მწერლის მიერ მოხსენიებული ქართველი „მალიქი“ მხოლოდ ის უნდა იყოს[87]. მის მიერ გადამთიელ ხა-

---

82 გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1979, გვ. 35,53.

83 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, ტ. 1, გვ. 245.

84 ქართლის ცხოვრება, გვ. 245.

85 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს ვარაუდით, არჩილი უფრო ადრეც, კერძოდ 705 წ. უნდა გამეფებულიყო (დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, ივერია-ალბანეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 95).

86 დ. მუსხელიშვილის მიხედვითაც ამ წელს აწამეს არჩილი (დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95).

87 თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც. 1979 წ. დაიბეჭდა ა. ბოგვერაძის წიგნი: „ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში“, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ არჩილის მოღვაწეობა მურვან ყრუს საქართველოში ლაშქრობას (735 წ.) არ უნდა უსწრებდეს

ზართა მოწვევა კი, უეჭველად, მძიმე მდგომარეობით იქნებოდა ნაკარნახევი.

აჯანყებები და მათი მიზეზები

ზემოთ ითქვა, რომ არაბები პირველ ხანებში დაპყრობილ ქვეყნებში, მათ შორის საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანშიც, უცვლელად ტოვებდნენ იმ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულსა და საგადასახადო სისტემას, რაც ირანელთა და ბიზანტიელთა ბატონობის დროს მოქმედებდა. ისინი მათ ახლევინებდნენ „ხარაჯას", ანუ ხარკს, საადგილმამულო გადასახადს, რომლითაც იბეგრებოდა ქვეყანა, მიწა. საამისო მაგალითად შეიძლება გამოდგეს ხალიფა 'ალის (656—661) წერილი, რომელიც 658 წელს გაეგზავნა ეგვიპტის არაბ გამგებელს ალიშტარს. ხალიფა თავის ამირს აფრთხილებს: „უდიდესი ყურადღებით მოეკიდოს არა ხარაჯის აკრეფას, არამედ მიწის დამუშავებას, რადგან ხარაჯა მხოლოდ დამუშავებული მიწიდან აიღება. ვინც ამ წესს არღვევს და ხარაჯას ითხოვს მიწის დამუშავების გაუთვალისწინებლად, ის ქვეყანას აქცევს, ხალხს ანადგურებს და ასეთი კაცის მოღვაწეობა ხანმოკლე იქნება. თუ სტიქიური უბედურების, რწყვის შეწყვეტის, ნიადაგის დაჭაობების ან გამოფიტვის გამო გადასახადი დამძიმდეს და ხალხმა უკმაყოფილება გამოთქვას, შეამსუბუქე მათი მდგომარეობა ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევ. იცოდე, ეს არ არის ისეთი ტვირთი, რომელსაც არ შემოევლება"[88]. ამ წერილის შინაარსიდან ვგებულობთ არა მარტო იმას, თუ რას ედებოდა გადასახადი, არამედ იმასაც თუ რაოდენ ლმობიერნი იყვნენ დამპყრობლები გადასახადებით დაბეგრილი დაპყრობილი მოსახლეობის მიმართ პირველ ხანებში. ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა ხალიფა აბუ

(გვ. 101). იგი „მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგდროინდელი მოღვაწეა" (გვ. 102), მანამდე კი ქვეყანას განაგებდა არჩილის მამა სტეფანოზ II, რომელიც 739 წელს გარდაიცვალა (გვ. 98, 101). ჩვენ ამ მოსაზრებას, უსათუოდ, მივიღებდით, რომ მას არ ეღობებოდეს არჩილის ვაჟის ჯუანშერის ვრცელი ცნობა, საიდანაც აშკარად ჩანს, ჯერ ერთი, რომ სტეფანოზი დასავლეთ საქართველოში მურვანის ლაშქრობამდე დიდი ხნის წასულია; მეორე რომ მის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მართავდა არჩილი; მესამე, სტეფანოზი გარდაცვლილა მურვანის საქართველოში მოსვლამდე; და მეოთხე, მურვანს მხოლოდ სტეფანოზის ვაჟები მიჰრი და არჩილი ებრძვიან (ქართლის ცხოვრება, 1, თბ., 1955, გვ. 232—239).

[88] على ابن ابو طالب، نهج البلاغة، بيروت، ج—٢، ص—٢٣—٢٥

ბაქრის (632—634) მიმართვა თავისი სარდლებისადმი. ხალიფა მათ აფრთხილებდა: არ დაესახიჩრებიათ მტერი; არ გაეწყვიტათ ახალგაზრდები, ქალები და ღრმა მოხუცები; არ მოესპოთ პალმები და ნაყოფის მომცემი სხვა მცენარეული; არ დაეკლათ იმაზე მეტი ცხვარი, ძროხა და აქლემი, ვიდრე მათ საკვებად სჭირდებოდათ; მორიდებოდნენ სენაკებში მყოფ მოდღესასწაულენთ, ნუ შეუშლით მათ ხელს საქმიანობაში[89], ყველა ქალაქსა და ხალხს, ვინც თქვენ მიგიღებთ, დაუდეთ ხელშეკრულება და იყავით ნაკისრი ვალდებულებანის ერთგული. დაე, იცხოვრონ მათ თავიანთი ძველი წეს-კანონების მიხედვით. დაუდგინეთ ხარკი როგორც ზღვარი თქვენს შორის, რათა შეინარჩუნონ თავიანთი რელიგიური მრწამსი და ტერიტორია (მიწა). ომი გამოუცხადეთ მხოლოდ იმათ, ვინც უარს გეტყვით მიღებაზე (მორჩილებაზე)[90].

ხარაჯით იბეგრებოდა მიწის ნაყოფი: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რის აწონაც შეიძლებოდა. ხალიფა უ'მარ იბნ ალ-ხატაბის (634—644) დროს ჯარიბი ვენახიდან აიღებოდა 10 დირჰემი (დირჰემი 15 კაპ.), პალმიდან — 8, ლერწმიდან — 6, ინდისხურმიდან — 5, ხორბლიდან — 4, ქერიდან — 2 დირჰემი[91].

ხარაჯასთან ერთად სახალიფოში მოქმედებას განაგრძობდა ჯიზიაც, ოღონდ მუსლიმური სამართლის ჩამოყალიბების შემდეგ მან გარკვეული შინაარსობრივი მოდიფიკაცია განიცადა. მას უკვე იმდენად ფისკალური მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რამდენადაც იდეურ-პოლიტიკური და იურიდიული. სასანურისაგან განსხვავებით, მუსლიმური, ანუ ყურანული ჯიზია სუფთა სულადობრივ გამოსაღებად იქცა და ისლამის სწრაფად გავრცელების მიზნით, ეწერებოდა ყველა არამუსლიმს თანაბრად მინიმალური ოდენობით ნიშნად მუსლიმთა წინაშე მორჩილება-დამცირების აღიარებისა. მაგრამ ეს შინაარსობრივი დატვირთვა მას დიდხანს არ შერჩენია. დაახლოებით VII ს.

---

[89] Tabarī, I, 1850; იბნ ალ-ასირი, II, 310; Н. А. Медников, Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов, СПб., 1902, II (I) გვ. 139—140; З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.

[90] Из анонимной сирийской хроники 1234 г. Перевод Н. В. Пигулевской, в книге «Византия и Иран на рубеже VI—VII веков», М.—Л., 1945, с. 270—274.

[91] ე. სიხარულიძე, არაბთა სახალიფოს სოციალურ-ეკონომიური ვითარება VIII—IX საუკუნეებში (ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 88).

60-იან წლებში, როცა არაბთა დაპყრობითი ომები და დამორჩილებული ქვეყნების მოსახლეობის ისლამიზაციის პროცესი თითქმის დამთავრდა, რის შედეგადაც ნადავლი შეწყდა, ხოლო სულადი გამოსაღების შემოსავალი არამუსლიმი მოსახლეობის მნიშვნელოვნად შემცირების გამო საგრძნობლად დაეცა და სახელმწიფოში მძიმე ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა, აუცილებელი გახდა მორიგი საგადასახადო რეფორმის გატარება, რაც ჯიზიასაც შეეხო. მან სასანური ჯიზიას მნიშვნელობა აღიდგინა, სულადი გადასახადის გარდა ის ქონებრივ-კომლობრივ გადასახადადაც იქცა, თანდათანობით ხარაჯას შეერწყა, მის სინონიმად იქცა[92] და ბოლოს ხარკის მნიშვნელობა მიიღო. ამის დასტურად სხვა რომ არა, ქართული წყაროს „მატიანე ქართლისაის“ ის ადგილიც გამოდგება, სადაც საუბარია სელჩუკ თურქთა სულთნის, ალფარსლანის (1063—1072) მიერ საქართველოში ლაშქრობაზე და ბაგრატ IV-თან 1068 წელს გამართული საზავო მოლაპარაკების შესახებ[93].

ფისკალური ცვლილებების გამო საგრძნობლად გაიზარდა გადასახადები, თანაც უკვე იბეგრებოდა ყველაფერი, ხელოსნური ნაწარმიც კი. სამუელ ანეცის ცნობით, უმაიელი გამგებლები ამიერკავკასიაში თითოეული კომლიდან იღებდნენ 4 დირჰემს, 3 მუდ (9,792 კგ.) ვაცხრილულ-გასუფთავებულ ხორბალს, თითო თოკს და ხელთათმანს. ამ საყოველთაო გადასახადიდან თავისუფლდებოდნენ მხოლოდ სასულიერო პირნი, აზატები და მხედრები[94].

კიდევ უფრო მკაცრი გამოდგა 90-იან წლებში გატარებული საგადასახადო რეფორმა. ხალიფა აბდ ალ-მალიქის (685—705) ბრძანებით ყველა უნდა დაბრუნებოდა დაბადების ადგილს, რათა დავთარში გატარებულიყო და გაეტარებინა თავისი შეურნეობა: ვენახი, ზეთისხილის ნარგავები, ქონება, შვილები და ყველაფერი, რასაც კი

---

[92] J. Wellhausen, Das arabische Reich und sein sturz, Berlin, 1902, გვ. 151—153, 169—187, 297—300; D. C. Dennet, Conversion and the Poll-tax in Early Islam. Oxford. 1959; Л. И. Надирадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

[93] ქართლის ცხოვრება, 1, თბ., 1955, გვ. 309—314. იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 157; ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 247; ე. სიხარულიძე, ხარაჯა (ქსე. თბ., 1987, ტ. 11); ლ. ნადირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114—117,

[94] სამუელ ანეცი, რჩეული ადგილები ისტორიკოსთა თხზულებებიდან (სომხურ ენაზე), ვაღარშაპატი, 1893, გვ. 82.

ფლობდა. ამ აღწერას, რომელიც დიონისე ტელ-მაჰრის მიხედვით 691—692[95], ხოლო მიხეილ სირიელის თქმით, ერთი წლით გვიან ჩაუტარებიათ[96] შედეგად მოჰყვა „ურჯულოთა“, მათ შორის ამიერ-კავკასიის ქრისტიანი მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება. ამიერიდან მდიდრებს წელიწადში უნდა გაეღოთ 48 დირჰემი, საშუალოებს — 24, ხოლო ღარიბებს 12 დირჰემი[97]. მუსლიმებს შეწერილი ჰქონდათ „უშრი“ (მეათედი), რომელიც ქრისტიანებსაც უნდა გადაეხადათ, იმ შემთხვევაში თუ საქონელს სავაჭროდ გაიტანდნენ ბაზარზე. 200 დირჰემის ან 20 მისკალის ღირებულების საქონელზე ქრისტიანთათვის გადაკვეთილი იყო ნახევარი უშრი ან 10 დირჰემი, მუსლიმებზე — 1/4 უშრი ან 5 დირჰემი[98]. ატ-ტაბარის ცნობით, ამ გადასახადების აკრეფა ხდებოდა ძალდაუტანებლად, დადებული შეთანხმების საფუძველზე[99], ე. ი. მისი გადაუხდელობა გამორიცხული იყო.

აბდ ალ-მალიქის მიერ გატარებული ეს ღონისძიება ხელს უწყობდა ცენტრალური ხელისუფლების ეკონომიკური (უმთავრესად ფინანსური) მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ აუარესებდა მოსახლეობის საარსებო პირობებს, აჩქარებდა გამუსლიმების პროცესს და იწვევდა სახალიფოს მშრომელი მასების, უფრო მეტად მისი არამუსლიმი ნაწილის მზარდ უკმაყოფილებას. მდგომარეობა რომ ნაწილობრივ მაინც გაუმჯობესებულიყო, VIII ს. 10-იან წლებში ხალიფა უმარ იბნ აბდ ალ-აზიზმა (717—720) გააუქმა ძველი სასანური „გადასახადები, „ნოვრუზისა და მაჰრაჯანის“ შეწირულობას რომ

---

[95] Chronique de Denus de Tell—Mahre, 4-e parte. Publ. par I. B. Chabot, Paris, 1895, გვ. 10.

[96] La Chronique de Michel le Sirien. Trad. par Chabot, Paris, 1895, t. II, გვ. 473.

[97] Адам Мец, Мусульманский ренессанс. Перевод с немецкого предисловие, библиография и указатель Д. Е. Бертельса, М., 1966, с. 49; З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

[98] ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, არაბთა სახალიფოს სოციალურ-ეკონომიური ვითარება VIII—IX საუკუნეებში (ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 95).

[99] الطبرى، تاريخ الرسل و الملوك، اثناء عشر جزءا، القاهرة، المطبعة الحسينية، ج—٢، ص—١٣٦٦—١٣٦٧

ეხებოდა[100], და ამით ერთგვარი შეღავათი მიეცათ ამიერკავკასიის ქრისტიანებს, მაგრამ ეს „წყალობა“ ხანმოკლე გამოდგა. იაზიდ II-ის ხალიფობისას (720—724) მათი მდგომარეობა კვლავ გაუარესდა. ლევონდის, სტეფანოს ტარონაცის (ასოლიკის) და ვარდან დიდის დახასიათებით, ამ ბოროტმა, ვერაგმა და მძვინვარე ხალიფამ სახალიფოში ღორის სინსილის ამოწყვეტა[101] და ქრისტიანთა ჯვრისა და ხატის მოსპობა განიზრახა[102]. მისი განკარგულებით, სახელმწიფოს სახარაჯო საქმეთა გამგებელმა (საჰიბ ალ-ხარაჯ) უსამა იბნ იაზიდ ატ-ტანუჰიმ 103(721/2) წელს „ქრისტიანებს გაუზარდა ხარაჯა, გადაახდევინა დიდძალი თანხა და ბერებს ხელები დაუდალა“[103].

განსაკუთრებით ძნელბედობის ხანა იყო ქრისტიანებისათვის ჰიშამის ხალიფობის (724—743) წლები. ალმაკრიზის ცნობით, მის დროს ამიერკავკასიაში მკვეთრად „გაიზარდა ქრისტიანთა ჩაგვრა და გადიდდა ხარაჯა“[104], რასაც ადასტურებს სტეფანოს ტარონეციც[105].

ბოროტი ზრახვებით შეპყრობილმა ხალიფამ, თავისი ზეობის პირველ წლებში, სომხეთს სარდალი ჰარის იბნ ამირი[106] მიავლინა საყოველთაო აღწერის მოსახდენად და „მოსახლეობის კიდევ უფრო დასამონებლად“[107]. ამავე მიზნით, ჰიშამის მიერ არმინია-აზერბაიჯანის გამგებელად დამტკიცებულმა ალ-ჯარრაჰმა ზოგიერთი ცვლილება შეიტანა საგადასახადო სისტემაში. ალ-ბალაზურის თანახმად, მას არრანში შემოღო ახალი საწონ-საზომი ერთეულები, რომლებ-

---

100 В. В. Бартольд, Халиф Омар II и противоречивые известия о его личности. Христианский Восток, 1920, VI, с. 228.

101 ამ მიზნით შემოღებულ იქნა გადასახადი თითო ღორზე 4 დინარი (Адам-Мец, დასახ. ნაშრომი, გვ. 49).

102 Гевонд, დასახ. ნაშრომი, გვ. 70—71; Степанос Таронский, Асохик по прозванию, Всеобщая история. Перев. с арм. Н. Эмина, М., 1864, с. 96; Всеобщая история Вардана Великого, Перев. с арм. Н. Эмина, М., 1861, с. 94.

103 المقريزى، المواعظ و الاعتبار بذكر الخطط والاثار، القاهرة; ج، ص ٤—٣٩٥ З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 118. მოსახლეობის დადაღვის ფაქტს ადასტურებს დონისე ტელმაპრელიც (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 148).

104 ალ-მაკრიზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 395.

105 Степанос Таронский, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

106 ლევონდთან: „გერტი“ (Гевонд, დასახ. ნაშრომი, გვ. 71).

107 იქვე.

საც თურმე „ალ-ჯარრაჰული ეწოდებოდა[108]. ცხადია, ეს ერთეულები ძველზე ნაკლები არ იქნებოდნენ.

ჰიშამის დროს მოწყობილი საყოველთაო აღწერის შემდეგ დაწესებული საგადასახადო სისტემა ითვალისწინებდა საქორწინო გადასახადის შემოღებას, ხალიფა უმარ II-ის მიერ გაუქმებული საანური გადასახადების აღდგენას[109] და ბერების დაბეგვრას ჯიზიით[110].

მოსახლეობის, მიწის, პირუტყვისა და ყოველგვარი ქონების ამ საყოველთაო აღრიცხვამ, რომელიც მ. კალანკატვაცის თქმით 174 (725.V.29—726.V.28) წელს მოეწყო, „ხალხი და მთელი ქვეყანა მონობის უღელქვეშ მოაქცია"[111]. სწრაფად იკლო პირუტყვის სულადობამ, მოსავლიანობამ, დაიწყო ხანგრძლივი შიმშილიანობა. ამასთან, ამიერკავკასიის ქრისტიან მოსახლეობას სარწმუნოებისა და ეროვნული გაჭრობა-გადაშენების აშკარა საფრთხეც დაემუქრა. დიდი და პატარა, ერი და მთავარნი განსაცდელში იყვნენ. ერისმთავრებს ყველაზე მეტად ის აღონებდათ, რომ არაბები აღარ სჯერდებოდნენ დაპყრობილ ხალხებთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების (გადასახადის გადახდისა და მაშველი ჯარის გამოყვანის) შესრულებას და უხეშად ერეოდნენ ქვეყნის უზენაეს მართვა-გამგეობაშიც. ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ ნიშნავდნენ, ხსნიდნენ, სახალიფოს დედაქალაქში იბარებდნენ და სჯიდნენ კიდევაც ქართველ მთავრებს[112]. პოლიტიკურმა დევნამ, სარწმუნოებრივმა და ეკონომიკურმა შევიწროებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ, ლევონდის ცნობით, მეტის ატანა აღარ შეიძლებოდა, „ყველა კვნესოდა"[113].

---

108 Баладзори, Книга завоевания стран. Текст и перевод. Перевод с арабского П. К. Жузе, Баку, 1927, с. 16.

109 ატ-ტაბარი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 1366—1667, ტ. VIII, გვ. 129,

110 ალ-მარკიზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 394.

111 История Алван Моисея Каланкатваци, с. 261; Гевонд, დასახ. ნაშრომი, გვ. 71; Хронологическая история, составленная отцом Мехитаром Вардапетом. Перев. с древнеармянского К. Патканова. Труды Восточного отдела Российского археологического общества, СПб., 1869, т. XIV, с. 399. ქართველი ხალხის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ ქართულ წყაროებშიც არის ცნობები, მაგრამ ისინი მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ შექმნილ ვითარებას ასახავენ.

112 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1965, ტ. II, გვ. 87.

113 Гевонд, დასახ. ნაშრომი, გვ. 71. არაბები მოხერხებულად იყენებდნენ აგრეთვე ამიერკავკასიის დიოფიზიტ და მონოფიზიტ ქრისტიანთა შორის არსებულ

ასეთ ვითარებაში მოსახლეობა ან იყრებოდა და სხვაგან იხიზნებოდა, ანდა დამპყრობთა ძალადობას აჯანყებით პასუხობდა. ცნობილია, რომ ერთ-ერთ ასეთ მძლავრ აჯანყებას არაბ მოძალადეთა წინააღმდეგ ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონია ხალიფა აბდ ალ-მალიქის ზეობის მეორე, ე. ი. 686 წელს. ეტყობა, მსგავსი გამოსვლები გრძელდებოდა VIII ს. 20-იანი წლების დასასრულსაც. ამაზე უნდა მიგვითითებდეს ატ-ტაბარის ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ვრცელი ცნობის ის ადგილი, სადაც აღნიშნულია: ალ-ჯარრაჰმა „ჯარები მუღანსა და ჯილანს დაგზავნა ყველას გასაწყვეტ-დასატყვევებლადო“. მუღანსა და ჯილანში, ანუ გილანში კი იმ დროს ადგილობრივი მოსახლეობის მეტი სხვა არავინ იყო.

ამბოხებული ამიერკავკასიის მოსახლეობა ხშირად საკუთარი ძალით ცდილობდა არაბთა მძიმე უღლიდან თავის დაღწევას და, როგორც ფაქტები მეტყველებენ, ზოგჯერ ახერხებდნენ კიდევაც განთავისუფლებას, მაგ., 686—689 წლებში აჯანყების მოთავე ნერსე ქართლის ერისთავმა[114], იოანე დრასხანაკერტლის გადმოცემით, დაამარცხა არაბთა სარდალი „ბარაბა“ და გააძევა არმინიიდან[115].

მაგრამ ძლიერი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღმდგარ ამიერკავკასიის ქვეყნების მოსახლეობას საკუთარი ძალა ყოველთვის არ ჰყოფნიდა გამარჯვების მისაღწევად და მაშინ ის დამხმარეს ეძებდა. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე VIII ს. 20-იანი წლების ბოლოს. თანამედროვის გადმოცემით, ამ დროს „არავითარი შესაძლებლობა აღარ არსებობდა აუტანელი ტანჯვისაგან თავის დახს-

---

უთანხმოებას. ერთმანეთს უსისინებდნენ, მაგ., ალბანელებსა და სომხებს, რათა ისინი დასუსტებულიყვნენ (История Алван Мойсея Каланкатваци. Перевод с древнеармянских К. Патканова. СПб., 1861, с. 238—239; А. Н. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 81; З. Бунятов, დასახ. ნაშრომი, გვ. 92—93).

114 ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 366—368; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა..., საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1958, გვ 115—116; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973, II, გვ. 287; გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

115 იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი შენიშვნებითა და საძიებლითურთ ილია აბულაძისა, თბ., 1937, გვ. 14; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77; Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 51; ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

ნისა"[116]. ამიტომ გასაკვირი არაფერია, თუ ქართლის ხელისუფალმა (შესაძლოა ბიზანტიის წაქეზებითაც) არაბთმოძულე ხაზარებს უხმო და მათ მიუსია.

ალ-ბალაძის ცნობით, ქართველი მეფე ხაკანის სარდალს აძლევდა სასარგებლო რჩევა-დარიგებას, უჩვენებდა არაბი რაზმების ადგილსამყოფელს[117], რითაც მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა ხაზართა ლაშქარს, რომელმაც იოლად სძლია მოწინააღმდეგეს და გაძევა ის ამიერკავკასიის გარეთ[118].

მართალია, ეს წარმატება ხანმოკლე გამოდგა, არაბებმა სულ მალე შეძლეს ამიერკავკასიაში თავიანთი ბატონობის აღდგენა და, ვინ იცის, ეგების ამან აიძულა არჩილი დასავლეთ საქართველოში გადახვეწილიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა 730 წლის გამარჯვებას მთლად უქმად მაინც არ ჩაუვლია. მან არაბებს ერთხელ კიდევ აგრძნობინა, რომ მათი მდგომარეობა ამიერკავკასიაში მყარი ვერ იყო, ხოლო დაპყრობილი ადგილობრივი მოსახლეობა კი დაარწმუნა, რომ ერთიანი, ორგანიზებული და თავდადებული ბრძოლით შეიძლებოდა დამპყრობთა უღლიდან თავის დახსნა.

დასასრულ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: 1. ხაზართა ლაშქრობა, რომლის დროსაც დაიღუპა არმინია-აზერბაიჯანის არაბი გამგებელი ალ-ჯარრაჰი, მოეწყო 730 წელს; 2. ლაშქრობის ინიციატორი იყო ქართველთა მეფე-მთავარი არჩილ II, ხოლო ჯარის სარდალი ხაზართა ხაკანის ვაჟი ბარჯიქი[119]; 3. ნაწილი ბარჯიქის ლაშქრისა ამიერკავკასიაში შემოვიდა დერბენდიდან, ნაწილი — დარიალიდან და გაემართნენ აზერბაიჯანისაკენ. მაშასადამე, დარიალის გზით მოსულ ხაზართა რაზმებს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაევლოთ და გაეთავისუფლებიათ იგი მუსლიმებისაგან; 4. ლაშქრობაში უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს გამგებელი, რომლის დახმარებით ბარჯიქმა იოლად დაამარცხა არაბები და განდევნა ისინი ამიერკავკასიიდან, თუმცა მცირე ხნით.

---

116 Гевонд, დასახ. ნაშრომი გვ. 71.

117 М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 213; З. Буниятов, დასახ. ნაშრომი, გვ. III.

118 كتاب الدول الاسلام للحافظ الذهبى، حيدرباد، ١٣٣٧، ص ٥٦— Amer Ali, A Short History of the Saracens, London, 1834, გვ. 140.

119 ალ-ქუფის მიხედვით, „ნარსთიკ" (ალ-ქუფი, დასახ. თხზულება, გვ. 22).

ხაზარების გაძევება ამიერკავკასიიდან, არჩილ მეფის გახიზვნა ეგრისს, სამთა კავშირი არაბთა წინააღმდეგ და მურვან ყრუს ლაშქრობა

შეიტყო თუ არა ალ-ჯარრაჰის დამარცხება-დაღუპვის ამბავი, ხალიფა ჰიშამმა (724—743) მაშინვე ჯარი შეკრიბა და სა'იდ ბენ 'ამრ ალ-ჰარაშის სარდლობით კავკასიისაკენ გამოგზავნა. ატ-ტაბარისა და იბნ ალ-ასირის ცნობებით, ალ-ჰარაშიმ დაამარცხა თავიანთი ქვეყნიდან შორს მყოფი, რიგებშეთხელებული, სურსათ-სანოვაგეს მოკლებული ხაზართა ლაშქარი და ერთმანეთზე მიყოლებით დაიკავა ხლათი, არდებილი, მუღანი, კარსანი, ბაჯარავანი (ბაღრავანი), ბარზანდი, ბაილაკანი, ბარდავი და შარვანი, ხოლო მასლამა იბნ აბდალაჰმა, რომელმაც 732 წელს[120] ალ-ჰარაში შესცვალა, დაასრულა ამიერკავკასიის დაპყრობა და საომარი მოქმედება დერბენდის მიღმა, ხაზართა ტერიტორიაზე გადაიტანა[121].

არაბთა გამარჯვება ხაზარებზე, ამავე დროს ნიშნავდა ანტიარაბული მოძრაობის მარცხს ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში და რეაქციის გაძლიერებას, რაც მთელი ძალით უნდა დასტეხოდა თავს ამ მოძრაობის ინციატორებს, პირველ რიგში ქართლის ქართველ გამგებელს (არჩილს?). ცხადია, მას თავის სახელოში აღარ ედგომებოდა და როგორც ჯუანშერი იუწყება „დაჰფლა საგანძური უფროსი ჴევსა კახეთისასა; ხოლო სამსახურებელნი ოქროსა და ვერცხლისანი ჴევსა უჯარმისასა, და საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი დასხნა გორს... რომელ არს ტონთიო... თარგმანებით „მთა ოქროსა“... ხოლო საგანძურნი ყოველთა ქართლისა ეკლესიათანი დაფლნა აჩრდილსა დიდისა სიონისასა მცხეთას. და შემდგომად მცირედთა ჟამთა შევიდა... ეგრადვე“[122].

მიუხედავად რეაქციის თარეშისა, ანტიარაბული მოძრაობა ამიერკავკასიის ქვეყნებში, კერძოდ კი საქართველოში ოდნავაც არ შესუსტებულა, რაშიც, როგორც ყოველთვის, ახლაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბიზანტია, რომელიც მაშინ სერიოზული საფრთ-

---

120 Гевонд, დასახ. თხზულება, გვ. 74 და 155, შენიშვნა 169.

121 Б. А. Дорн, Известия о хазарах восточного историка Табари, с отрывками из Гафис-Абру, Ибн Аазем Эль-Куфи и др. (Журнал министерства народного просвещения, СПб., 1844, август, часть XIII, отд. I, с. 70—86); იბნ ალ-ასირი, გვ. 74—82.

122 ქართლის ცხოვრება, ტომი 1, თბ., 1955, გვ. 233.

ხის წინააღმდეგ ომი. მის წინააღმდეგ ახალ ომს ამზადებდა სალიფატო. პიშპის ბრძანებით 731 წელს დაიწყო არაბთა სამხედროსამხედროთა ძალებმა თავმოყრა ხაზარეთსა ხლეთში და სირიაში. ქალაქ ალეპოს სიმაღლეზე ბანდების ბანაკში კაიწყეს მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქი თავისი ჯარის ნაწილებით.

ბიზანტიის იმპერატორი ლეონ ისაურიელი, რომელმაც იცოდა ხალიფას ვერაგული განზრახვის შესახებ, თავის მხრივ ყოველ ზომას ხმარობდა არაბთა მუქარის მოსაგერიებლად. იგი ჯარების თავმოყრა-მოშზადების გარდა ცდილობდა გაეაქტიურებინა ანტიარაბული მოქმედება ჩრდილოეთში, სადაც ის იმედებს ამყარებდა ამიერკავკასიის მოსახლეობაზე და მათ მეზობელ ხაზარებზე. ხაზარებთან კავშირის განამტკიცებლად 732 წელს იმპერატორმა თავისი ვაჟი კონსტანტინე ხაკანის ქალიშვილზე ჩიჩაკზე (ყვავილი) დააქორწინა, ხოლო ალბოსავლეთ საქართველოს გამგებელი თავისი კალთის ქვეშ შეიფარა ეგრისში და ასეთი პოლიტიკის შედეგად დაახლოებული ხაკანიც და ქართლის მეფეც არაბთა წინააღმდეგ აამოქმედა[123]. ხაზარებმა თავდასხმები განაახლეს და არაბები ჩრდილო კავკასიიდან გაიძევეს. ქართლმა კი მისი ემიგრანტი გამგებლის თანამზრახველ აგენტთა საქმიანობის წყალობით, განდგომა იწყო. ასეთივე ვითარება სუფევდა მეზობელ სომხეთშიც. ასე რომ, თუ მდგომარეობა არ შეიცვლებოდა, არაბები ამიერკავკასიაში დიდხანს ვერ იბოგინებდნენ. მაგრამ მოვლენები შემდეგში ისეთნაირად წარიმართნენ, რომ ამ რეგიონის მოსახლეობას სულ მალე თავს დაატყდა ახალი უბედურება, ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთობ გახმაურებული მურვან ყრუს ლაშქრობის სახელით რომაა ცნობილი.

732 წელს ბიზანტიის შესამუსრად გამგზავრებული არაბთა საზღვაო გემების უზარმაზარი armada უეცრად ამოვარდნილმა ქარიშხალმა კონსტანტინეპოლის კარიბჭესთან მთლიანად მოსპო. შემთხვევით გადარჩენილი მთავარსარდალი მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქი, რომელმაც ლაშქრობის დაწყების წინ ხალიფას შეფიცა, რომ სურვილს აღესრულებდა — ბიზანტიას დაიპრობდა, მის დედაქალაქს გააცამტვერებდა და აია სოფიის ტაძარს თავლად აქცევდა, შერცხვენილი დაბრუნდა დამასკოში, და თავის დღეში (გარდაიცვალა დაახლ. 735 თუ 738 წელს) ფარხმალისათვის ხელი აღარ მოუკიდია[124].

---

123 არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი რომ არჩილი იყო ეს აღნიშნული აქვს ა. ბოგვერაძესაც იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

124 Г е в о н д, დასახ. ნაშრომი, გვ. 74, 79.

ეს მარცხი და ამის გამო სახალიფოს მბრძანებლის მიერ მასლამას მისამართით გამოთქმული გულისწყრომა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ხალიფას ბიძაშვილმა მ ურ ვ ან ი ბ ნ მ უ ჰ ა მ მ ა დ ი ბ ნ მ ურ ვ ა ნ მ ა. ის ამ დროს უკვე სახელმოხვეჭილი სარდალი იყო. ხაზართა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში იგი მასლამას ლაშქრის ერთ-ერთ ფრთას ხელმძღვანელობდა, ხოლო დამასკოში მასლამას გაწვევის შემდეგ მას სცვლიდა[125]. როდესაც მურვანმა მასლამას გადაყენების ამბავი შეიტყო, კავკასია დატოვა, სასწრაფოდ სირიას მიაშურა, ხალიფასთან მასლამა დააბეზღა და არმინია-აზერბაიჯანის გამგებლად დანიშვნა სთხოვა. თანაც აღუთქვა, რომ თუ თხოვნას დაუკმაყოფილებდა კავკასიასაც დაიმორჩილებდა და ხაზართა სახელმწიფოსაც მოსპობდა. სახალიფოს მბრძანებელმა მურვანის წინადადება მიიღო, იგი აზერბაიჯან-არრან-ჯურზან-სომხეთის ამირად დაამტკიცა და 120-ათასი მხედრით ჩრდილოეთისაკენ გამოისტუმრა[126].

იბნ ალ-ასირის ცნობით, მურვანი არმინია-აზერბაიჯანისაკენ გამოემართა 114(732/3) წელს[127]. იგი პირველად თავს დაესხა ალანებს, ხაზართა მეფეს კი (კაცები) გაუგზავნა და ზავი შესთავაზა. ხაკანმა თანხმობა განაცხადა და მას თავისი ელჩი აახლა ზავის დასადებად, მაგრამ მურვანმა ხაკანის წარმომადგენელი დააკავა და თავისთან ჰყავდა, სანამ საომარ მზადებასა და სხვა რამეს, რაც სურდა, არ მორჩა. შემდეგ იგი შეურაცხყო და ხაზარებს ომი გამოუცხადა, რის შესახებაც მათ მეფეს აცნობა ამავე ელჩის მეშვეობით, რომელიც გამცილებლებმა შორი გზით გაგზავნეს. მურვანი კი იმ დროს მოკლე გზით მიდიოდა. ამიტომ მოხდა ისე რომ, როცა ელჩი თავის ბატონთან

---

125 Б. А. Дорн, დასახ. ნაშრომი, გვ. 86. სხვაგან მასლამის შემცვლელად მოხსენიებულია სა'იდ იბნ 'ამრ ალ-ჰარაში (Гевонд, с. 79), რომელიც 2 წლის შემდეგ შეცვალა მურვანმა.

126 იბნ ალ-ასირი, V, გვ 83. მან ამ თანამდებობაზე ალ-ჰარაში (733—734 წწ. მეორედ) შესცვალა (ალ-ქუფი, დასახ. თხზულება, გვ. 49).

127 იბნ ალ-ასირი, V, გვ. 83; ამასვე იტყობინებიან ატ-ტაბარი, ალ-იუნინი, ა. მიულერი (Tabarī, II, 1562; Китаб ал-Йуниний, გვ. 90. მითითებულია ზ. ბუნიატოვის მიხედვით, გვ. 112; Мюллер, История ислама, т. II. СПб., 1895, с. 135). საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კი ალბათ ალ-ია'კუბის ცნობის გავლენით (Я'Ку б и, „История", Баку, 1927, გვ. 7) დომინირებს მოსაზრება, რომ ეს ლაშქრობა მოეწყო 735 წელს (М. И. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 218; ა. ბ ო ბ ვ ე რ ა ძ ე, არაბთა დაპყრობები და ბრძოლა მათ წინააღმდეგ VII—VIII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 289).

მივიდა, მურვანი უკვე იქ იყო. ელჩმა მბრძანებელს აუწყა მის წინააღმდეგ წამოსული მურვანის ურდოს შესახებ, ხოლო ხაზართა მეფემ რჩევისათვის მიმართა თავისიანებს, რომლებმაც განუცხადეს: „მურვანმა მოგატყუათ და თქვენს სამფლობელოში შემოიჭრა. თუ თქვენ ლაშქრის შეგროვებამდე აქ დარჩებით, იგი მოვა და მიიღებს იმას, რაც სწადია. ხოლო თუ შეებმებით იმ ძალით, რაც ამჟამად გაგაჩნიათ, იგი დაგამარცხებთ. ჩვენი რჩევაა: „უკუიქცეთ სამეფოს უკიდურეს (ჩრდილოეთ) საზღვრამდე და მან აკეთოს რაც სურს“.

მეფემ რჩევა მოიწონა, იქაურობა დატოვა და ის იქით წავიდა, საითკენაც მიუთითეს. მურვანი კი ქვეყნის სიღრმემდე შევიდა და სულ აოხრა იგი, კიდიდან კიდემდე გავიდა და აურაცხელ ტყვესა და ნადავლს დაეუფლა.

მან იქ რამდენიმე დღე დაჰყო, დაამარცხა მტერი, შურიც იძია და შემდეგ პირი ას-სარირის (ტახტის მფლობელის) ქვეყნისაკენ იბრუნა, აიკლო მისი მოსახლეობა და დაიკავა ციხესიმაგრენი. მეფემ თავი დამარცხებულად სცნო. მურვანს დაუზავდა და აღუთქვა, რომ მიართმევდა 1500 ჭაბუკს, 500 შავთმიან ასულს და ალ-ბაბში მიუტანდა 100 მუდ[128] ხორბალს. მურვანი დაუზავდა თუმანის მოსახლეობასაც იმ პირობით, რომ მიართმევდნენ მას 100 ჭაბუკსა და ქალიშვილს და 20 ათასს მუდ ხორბალს[129]. თუმანიდან მურვანი გადავიდა ზარიქირინის ქვეყანაში, დაუზავდა მის მეფეს[130] და შემდეგ გაემართა ჰამზინისაკენ, რომელმაც უარი თქვა დაზავებაზე. მურვანმა დალაშქრა ეს ქვეყანა და დაიპყრო მისი ციხესიმაგრე[131], უომრად დაიკავა სულდანი[132] და აიძულა ტირშანშაჰი ალ-ბაბში მიეტანა

---

128 ج -ფხვიერ სხეულთა საწონი ერთეული. იგი ერთნაირი არ იყო. ერაყში ერთი მუდი უდრიდა 2 რიტლს (896, 56 გრ).

129 ბალაზურის ცნობით, თუმან შაჰს მურვანისათვის უნდა მიეცა 150 ქალიშვილი, 50 ტანმაღალი, შავთმიანი, შავთვალწარბა ჭაბუკი და 100 ათასი მუდი მარცვალი (Баладзори. დასახ. ნაშრომი. გვ. 18).

130 მეფემ ივალდებულა წელიწადში 50 ჭაბუკისა და 10 ათასი მუდი მარცვლეულის გადახდა (Баладзори, დასახ. თხზულება, გვ. 18).

131 ბალაზურის ჩვენებით, ხამზინმა იკისრა ერთდროულად 500 ჭაბუკისა და ქალიშვილის მიყვანა და 30 ათასი (მუდი) მარცვლეულის მიტანა ყოველ წელს (Баладзори, დასახ. თხზულება, გვ. 18).

132 ბალაზურთანაა „სუდან“ (سدان), რომლის გამგებელს ერთბაშად უნდა გადაეხადა 100 ჭაბუკი და ქალიშვილი, აგრეთვე, 5000 მუდი მარცვალი ყოველ წელს (Баладзори, დასახ. თხზულება, გვ. 19).

ყოველწლიურად 10 ათასი მუდი ხორბალი. იქიდან მურვანმა ილაშქრა ალ-ლაქზის მფლობელის წინააღმდეგ და აიღო მისი ციხე-ქალაქი. მიზეზი ამისა ის იყო, რომ მან უარი თქვა ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. (ალ-ლაქზის) გამგებელი მეფე (მალიქი) ხაზართა ხაკანთან წავიდა დახმარების სათხოვნელად, მაგრამ გზაში დაიღუპა მწყემსების ხელით. ალ-ლაქზის მოსახლეობას ისღა დარჩენოდა, რომ დაზავებოდა მურვანს, რომელმაც მათ ახალი გამგებელი დაუნიშნათ[133]. ალ-ლაქზის ქვეყნიდან არაბი სარდალი (კასპიის) ზღვის პირას მდებარე შირვანისაკენ დაიძრა, მშვიდობიანად დაიკავა იგი[134] და ეწვია დუდანიას, რომელიც საშინლად დაარბია და (ალ-ბაბს) დაუბრუნდა"[135].

არაბი მემატიანის ცნობით, ამით მთავრდება მურვანის პირველი ლაშქრობა. მეორე ლაშქრობა კი იწყება 118(736) წელს. ამ დროს მან დალაშქრა ალ-ლანისა და თუმანშაჰის ქვეყნები და აიძულა მოსახლეობა მიეღოთ ზავის პირობები[136].

118(736) წელსვე მურვანმა არმინიიდან ილაშქრა ვარნისზე[137]. იგი წინ მიიწევდა სამივე კარიდან, მაგრამ ვარნისის შეპყრობა ვერ მოახერხა. იგი ხაზარეთში გაიქცა. მაშინ მურვანმა ალყაში მოაქცია ციხე. მიზიდა იქ ქვის სატყორცნი მანქანები და მისი დაქცევა დაიპირა, მაგრამ ვერ მოასწრო. ვარნისი ვიღაც გამვლელმა გზაში მოკლა და მისი თავი მურვანს მიართვა, ხოლო მურვანმა იგი ხალხის დასანახად ციხის წინ გამოჰკიდა. ამან მოსახლეობის წინააღმდეგობა გატეხა. მათ შეწყვიტეს ბრძოლა და მიიღეს მის მიერ შემოთავაზებული საზავო პირობები. მურვანმა მეციხოვნეები ამოწყვიტა, ხოლო მათი ოჯახები დაატყვევა[138] და 119(737) წელს ალანთა ქვეყანას მიაშურა,

---

133 ბალაზურის გადმოცემით, ეს ახალი გამგებელი იყო ხაშრამა ას-სულამი, რომელმაც მურვანს აღუთქვა, რომ გადაუხდიდა წელიწადში 20 ათასს მუდ მარცვალს (Баладзори, დასახ. თხზულება, გვ. 19).

134 ბალაზურის მიხედვით, მურვანმა შარვანს შეაწერა 10 ათასი მუდი მარცვლეული წლიურად (Баладзори, დასახ. თხზულება, გვ. 19).

135 იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, ტ. V, გვ. 83—84. ატ-ტაბარის ცნობით, ალ-ბაბიდან (დერბენდიდან) მურვანი ქისალს სწვევია და იქ გამოუზამთრია, ხოლო გაზაფხულზე სარმარს დასხმია, შაქი აუღია და მოსახლეობა გაუწყვეტია (იქვე, გვ. 88—89).

136 იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, ტ. V, გვ. 87.

137 ატ-ტაბარის ცნობით მას 'უბასი ერქვა (Б. А. Дорн, დასახ. ნაშრომი, გვ. 92).

138 იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, ტ. V, გვ. 93.

გაიარა იგი, ფეხი დადგა ხაზართა მიწა-წყალზე, გვერდი აუარა ბალანჯარს, სამანდარს და მიაღწია ალ-ბაიდას. ეს იყო ხაკანის ადგილსამყოფელი, მაგრამ ხაკანმა გაქცევა მოაწყო[139].

„121(739) წელს არმინიის გამგებელმა, მურვანმა ისევ მოაწყო ლაშქრობა. მან ალყაში მოაქცია ას-სარირის (ტახტის მფლობელის) ციხე, ამოწყვიტა და დაატყვევა (მრავალი). შემდეგ მიაშურა მეორე ციხეს, სადაც ასევე გაწყვიტა და დაატყვევა მრავალი, აიღო მეფის ტახტისა და ქალიშვილის ადგილსამყოფელი, ღუმიშის ციხესიმაგრე. მეფემ გაქცევა მოაწყო, თავი შეაფარა ხაზანის ციხეს, რომელშიც ინახება ოქროს ტახტი. მურვანი დაედევნა ლტოლვილ მეფეს და მთელი ზამთარ-ზაფხული მას ებრძოდა. შემდეგ ას-სარირის მეფემ ზავი შეკრა მასთან და ვალდებულება იკისრა, რომ ყოველ წლიურად გადაუხდიდა 1000 სულ პირუტყვს და 100 ათას მუდ (ხორბალს). ასსარირიდან მურვანმა ილაშქრა აზრუბატრანის ქვეყნისაკენ და დაუზავდა მის მეფეს. იქიდან გასწია თუმანისაკენ და მის მეფესთან დაზავების შემდეგ ააოხრა ჰამზინის ქვეყანა. ერთთვიანი ალყის შემდეგ აიღო მისი ციხე და აიძულა ჰამზინი დაედო ზავი. მას დაუზავდნენ აგრეთვე ქირანი, ტაბარ-სარანი და ფილანი. ყველა ეს ოლქი განლაგებულია ზღვის ნაპირას არმინიიდან ტაბარისთანამდე.

126(743/4) წელს მურვან იბნ მუჰამმად იბნ მურვან იბნ ალ-ჰაქამი ხალიფა იაზიდ იბნ ალ-ვალიდს (743—744) განუდგა... და ალ-ჯაზირის სარდალს ალ-ამრ იბნ იაზიდ იბნ აბდ ალ-მალიქსაც შეუთვალა, რომ აღმდგარიყო თავისი ძმის ალ-ვალიდის სისხლის ასაღებად... იმავე წელს მურვანი სირიისაკენ გაემართა... ხოლო 127(744/5) წელს დაეუფლა სახალიფოს ტახტსა[140].

ასეთია XII ს. არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის ცნობები მურვან იბნ მუჰამმად იბნ მურვანის ლაშქრობებისა და საერთოდ არმინია-აზერბაიჯანის გამგებლად ყოფნისას კავკასიაში მისი საქმიანობის შესახებ. ეს ცნობები წარმოადგენენ IX ს. არაბი მწერლების ალ-ბალაზურის, ატ-ტაბარის და ალ-ქუფის ვრცელ ცნობათა მოკლე რეზიუმეს, რომელიც იმითაც გამოირჩევა, რომ მასში თითოეულ ლაშქრობას, ბრძოლასა თუ სხვა მოვლენას უზის თავისი თარიღი. სწორედ ამიტომ ვამჯობინეთ ამ ცნობის სრულად მოტანა. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშოთ, რომ, ვინაიდან იბნ ალ-ასირის ცნობები წარმოადგენენ ბალაზურისა და ატ-ტაბარის ცნობათა რეზიუმეს,

139 იქვე, გვ. 101.

140 ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, V, გვ. 113, 145, 152—153.

შასში აუსახველი დარჩა ზოგიერთი დეტალი, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს მურვან მუჰამმადის ძის ამიერკავკასიაში მოქმედების სრული სურათის შესაქმნელად.

ატ-ტაბარის მიხედვით, სირიიდან 120 ათასი კაცით გამოსული მურვანი არმინიაში, ბარდავის ახლოს მდებარე დასახლებულ პუნქტში, ქისალში შეჩერებულა და მოკლე დროში მთელ არმინიას დაუფლებია. შემდეგ დარიალის გზით ხაზარეთისაკენ დაძრულა და გზაში ყველაფერი მოუსპია[141]. მურვანის ცბიერება და სიმკაცრე სხვაგანაც არა ერთგან აქვს ხაზგასმით აღნიშნული ატ-ტაბარის. მისი თქმით, ამ არაბი სარდლის ხანგრძლივი, გამანადგურებელი საბრძოლო მოქმედების ბოლო აკორდი იყო ლაშქრობა აზერბაიჯანსა და არმინიაში, სადაც მან დაამარცხა მუღანისა და გილანის მოსახლეობა, ამოწყვიტა მრავალი, დაატყვევა 10 ათასამდე კაცი და დაურიგა მუსლიმებს[142]. „მთელი აზერბაიჯანი და არმინია გაიწმინდა, ყველა მოწინააღმდეგე დაეცა, ყველა მურვანს დაემორჩილა“[143].

ისე როგორც ატ-ტაბარი, ალ-ბალაზურიც აღნიშნავს, რომ არმინიის გამგებლად დანიშნული მურვანი ქისალში დაბანაკდა და ააშენა იქ ქალაქი, რომელიც ბარდავიდან 40, თბილისიდან კი 20 ფარსახით[144] იყო დაშორებული. შემდეგ მან დარიალის კარის გავლით ხაზარეთში ილაშქრა, ხოლო უსაიდ იბნ ზაფირ ას-სულამის, აბუ იაზიდსა და მათთან მყოფ მთიელთა მეფეებს უბრძანა (ხაზარეთში) ბაბუ ლ-აბუაბის მხრიდან შეჭრილიყვნენ. მურვანი თავს დაესხა ხაზართა ტერიტორიაზე მყოფ სლავებს და 20 ათასი ოჯახი მან ჯერ კახეთში (خاخط) გადმოასახლა[145], ხოლო შემდეგ, როცა მათ თა-

---

141 Б. А. Дорн, დასახ. ნაშრომი, გვ. 86—87.

142 ალ-იაʿკუბის ცნობით მურვანს ეს ლაშქრობა 122—123 (740—741) წლებში მოუწყვია (Я ʿ Куби, История, Баку, 1927, с. 8).

143 Б. А. Дорн, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

144 ფარსახი (فرسخ) —სიგრძის საზომი ერთეული, სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო. არაბების დროს ფარსახი უდრიდა დაახლოებით 6—7 კილომეტრს. ვრცლად მის შესახებ იხ. გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 143—145.

145 ცნობა სლავებზე თავდასხმის შესახებ ატ-ტაბარისთანაცაა (Б. А. Дорн, დასახ. ნაშრომი, გვ. 87), მაგრამ იგი არაფერს ამბობს კახეთში მათ გადასახლებაზე. ალ-ქუფის თქმით, მურვანს ისინი მდ. მტკვრის ნაპირას დაუსახლებია (ალ-ქუფი, დასახ. თხზულება, გვ. 50).

ვიანთი ბელადი მოკლეს და უკან დაბრუნება სცადეს, ისინი მთლიანად მოსპო[146].

თუ ამას დავუმატებთ ლევონდის ცნობას იმის შესახებ, რომ სირიიდან გამოსული მურვანი პირველად დვინში შეჩერდა, სომხეთი დაიმორჩილა და მისი გამგებლის აშოტ ვასაკის ძე ბაგრატუნის თანხლებით შემდეგ ჰუნთა მიწა-წყლისაკენ გაემართა[147], მაშინ კავკასიაში მისი მოქმედების მარშრუტი ზოგადად ასეთი იქნება: დამასკო, დვინი, ქისალი, ალანეთი, ხაზარეთი, სარირის ქვეყანა, თუმანი, ზარიქირინის ქვეყანა, ჰამზინი, სუღდანი (სუდანი) ალ-ლაქზი, შირვანი, დუდანია, ალ-ბაბი; შემდეგ ისევ ალანეთი, თუმანშაჰის სამფლობელო. ვარნისი, ალანეთი (მესამედ), ხაზარეთი, ას-სარირის სამეფო, აზრუბატრანის ქვეყანა, თუმანი, ჰამზინის მიწა-წყალი, ქირანი, ტაბარსარანი, ფილანი, მუღანი, გილანი, ბარდავი და სირია.

არაბ მწერალთა აღწერილ მურვანის ამ ლაშქრობებში არსად საქართველო ნახსენები არ არის და ამდენად მათზე არც უნდა შევჩერებულიყავით, რომ ქართულ წყაროებში იგივე ამბები სულ სხვანაირად არ იყოს წარმოდგენილი. ჯუანშერის თანახმად, ხალიფა ჰიშამის (724—743) მიერ მოვლენილმა მურვანმა მოსრა მთელი ქვეყანა, მოვლო კავკასია, დაანგრია ყოველი ქალაქი და ციხე საზღვართა ქართლისათა. იგი ეწვია აგრეთვე არგვეთსა და ეგრისს, დაეუფლა ციხე გოჯს, გარშემოადგა კლისურს და აფშილეთის ქალაქ ცხუმს, მათაც დაეპატრონა და ქართველი მეფეების, მირისა და არჩილის თავშესაფარ ანაკოფის ციხეს მიადგა; იქიდან კი ჩაიარა ყრუმან ზღვის პირი და ოხერ ჰყო ყოველი ქვეყანა ვიდრე კონსტანტინეპოლამდე. ასე რომ, „იქმნა მას ჟამსა გარყუნილ ქვეყანა ქართლისა, სომხითისა და რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვე"[148]. სუმბატ დავითის ძეც ხაზს უსვამს, რომ ყრუმან ბალდადისამან შემუსრა ყოველი ციხენი, მოვლო შავშეთი და ღადონი; იავარ ჰყო შავშეთი, კლარჯეთი და მოსპო მათ მოსახლეობა[149].

---

146 Баладзори, დასახ. თხზულება, გვ. 17—18.

147 Гевонд. დასახ. თხზულება, გვ. 79—80.

148 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა (ქართლის ცხოვრება, დასახ. გამოცემა, ტ. 1, გვ. 233—235, 239).

149 სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა (ქართლის ცხოვრება, დასახ. გამოცემა, ტ. 1, გვ. 376).

როგორც ვხედავთ, განსხვავება არაბ და ქართველ მემატიანეთა ცნობებს შორის საქართველოში მურვანის ლაშქრობის შესახებ მეტად თვალსაჩინოა. ამიტომ ისმის კითხვა, რით შეიძლება აიხსნას ეს გარემოება? ასეთი კითხვა დიდი ხანია დასმულია ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილისა და სხვათა მიერ, მაგრამ პირდაპირი, მეცნიერულად დასაბუთებული პასუხის გაცემა მასზე ჯერჯერობით არ ხერხდება, სათანადო მასალების უქონლობის გამო. ივ. ჯავახიშვილი და მეტადრე ს. ჯანაშია ვარაუდობენ, რომ ქართულ წყაროთა ცნობები საქართველოში მურვან ყრუს ამ ლაშქრობის შესახებ სრულიად რეალურ ვითარებას ასახავენ და ამდენად ნდობის ღირსნი არიან[150]. შეიძლება ეს მართლაც დადასტურდეს, როდესაც მიკვლეული იქნება ახალი წყაროები, მაგრამ ამჟამად არსებობენ ისეთი ანგარიშგასაწევი გარემოებანი, რომელთა გათვალისწინება საშუალებას მოგვცემდა მკირე კორექტივი მაინც შეგვეტანა ზემოაღნიშნულ ვარაუდში.

მურვან მუჰამმადის ძის აღნიშნული ლაშქრობა საქართველოში, თავისი მასშტაბურობითა და დამაქცეველი შედეგებით რომ ნამდვილად ისეთი ყოფილიყო როგორადაც მას ქართული წყაროები წარმოგვიდგენენ, შეუძლებელია იგი აღუნუსხველი დარჩენოდათ არაბ მწერლებს, რომლებიც ასე ვრცლად აღწერენ მის მოქმედებას კავკასიის სხვა ქვეყნებსა და ადგილებში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სრულიად საქართველოს მოსრვა რამდენადმე მაინც უნდა ასახულიყო სომეხ და ბიზანტიელ მწერალთა თხზულებებში, მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, მათში ამის შესახებ ერთი სიტყვაც კი არსადაა ნათქვამი[151]. ამდენად, არსებობს ერთგვარი საფუძველი ეჭვის თვალით შევხედოთ ქართველ მემატიანეთა ნაამბობს. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ნაამბობში ზოგი რამ აშკარად გაზვიადებული ჩანს, ზოგიც—მცდარი. გაზვიადებულია, მაგალითად, ცნობის ბოლო ნაწილი, სადაც ჩართულია ღვთის მიერ მოვლენილი სასწაულებრივი შემთხვევები, რაზეც ივ. ჯავახიშვილიც მიუთითებს[152], ხოლო მცდა-

---

150 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79—80; ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 373, 375.

151 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80. მართალია იოანე კათალიკოსი, ისე როგორც ჯუანშერი, მურვანს კი წარმოგვიდგენს მკაცრ მეომრად და მმართველად (იქვე, გვ. 79), მაგრამ მისი ნაამბობიდან არ ჩანს, რომ ამ არაბ სარდალს საქართველო მოესრას.

152 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 80.

რია ის, რომ ჯუანშერის მიხედვით, მურვან ყრუს ლაშქრობა იყო არაბთა პირველი შემოსევა საქართველოში[153] და რომ საქართველოს მოთარეშების შემდეგ იგი კონსტანტინოპოლისაკენ გაემართა და იქვე გარდაიცვალა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართულ წყაროთა მონაცემები მოგონილი არ უნდა იყოს. ისინი უდავოდ რეალურად მომხდარ ვითარებას ასახავენ ოღონდ რამდენადმე არაზუსტად. უზუსტობა იმაში მდგომარეობს, რომ მათში სხვადასხვა დროს მომხდარი ამბები ჩანს გაერთიანებული. გ. აბრამიშვილის ვარაუდით, „ჯუანშერის წყაროში მოთხრობილი ეს ექსპედიცია მუჰამმად იბნ მურვანს უნდა შეეხებოდეს... და არა მის ძეს — მურვან იბნ მუჰამმადს"[154]. საყურადღებო მოსაზრებაა ბიზანტიური წყაროებიდანაც დასტურდება, რომ არაბები დასავლეთ საქართველოს (ეგრისს) ფლობდნენ 705—711 წლებში[155], მაგრამ მას ერთგვარად წინ ეღობება ის გარემოება, რომ ქართველი მემატიანის გადმოცემით, მის მიერ აღწერილი ამბავი მომხდარა ხალიფა „ეშიმის" (-ჰიშამის) დროს[156], ჰიშამი კი სახალიფოს განაგებდა 724—743 წლებში. ამიტომ, საეჭვოებელია, რომ ქართული წყარო მურვან ყრუს მამამისის ნამოქმედარს კი არ მიაწერს, არამედ მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქის 731 (113) წლის ლაშქრობას, რომლის მიზანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, იყო ამიერკავკასიიდან ხაზართა განდევნა და ამ რეგიონის ქვეყნების, კერძოდ ქართლის მოსახლეობის და მისი მეთაურის, ხაზართა მომხმობი მეფის დასჯა, რაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა თვით მურვან მუჰამადის ძე, როგორც მასლამას ლაშქრის ერთ-ერთი სარდალი. ჩვენ ვარაუდს მხარს უჭერს ისიც, რომ სრულიად კავკასიის მორბევის შემდეგ კონსტანტინეპოლისაკენ მუჰამად იბნ მურვანი ან მისი ვაჟი მურვან იბნ მუჰამმადი კი არ წასულა, როგორც ეს ქართულ წყაროებშია აღნიშნული, არამედ მასლამა[157] იბნ აბდ ალ-

---

153 იქვე, გვ. 79, 86.

154 გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

155 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 368. ა. მიულერის მიხედვით, აფხაზეთს, ლაზეთსა და იბერიას არაბები ფლობდნენ 716—717 წელსაც (A. M ю л л е р, დასახ. ნაშრომი, გვ. 95—96). ხოლო თეოფანე ქამთააღმწერელის ჩვენებით, ბიზანტიის წინააღმდეგ აჯანყებულ ლაზიკის პატრიკიოსს სერგი ბარხუკის ძეს თავისი ქვეყანა არაბებისათვის ჩაუბარებია 697 წელს (ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 368; ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96).

156 ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 233.

157 მატიანე ქართლისა (ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 252).

მალიქი. რომელიც 731 წელს გაიწვია ხალიფამ კავკასიიდან და ბიზანტიის დედაქალაქის ასაკლებად გამზადებულ ლაშქარს ჩაუყენა სათავეში. რაც შეეხება მურვანს, იგი 126(743/4) წლამდე კავკასიაში იყო, შემდეგ კი დამასკოს წავიდა, 127(744) წელს დაეუფლა ხალიფას ტახტს და ექვსწლიანი ზეობის შემდეგ, კერძოდ 132 წლის ზულ-ჰიჯას თვის გასვლამდე 3 დღით ადრე (ე. ი. 750 წლის 5 ივლისს) გარდაიცვალა ეგვიპტის ერთ-ერთ პროვინციაში — ბუსირში[158].

---

158 იბნ ალ-ასირი, V, გვ. 152—153, 202.

მ ე ხ უ თ ე თ ა ვ ი

საქართველო VIII ს. II ნახევარში

არაბთა ბატონობის გაძლიერება

ა) თ ბ ი ლ ი ს ი ს ს ა ა მ ი რ ო ს წ ა რ მ ო ქ მ ნ ა

მურვანის ლაშქრობით დასრულდა ჩვენში არაბობის პირველი პერიოდი, რომლის დროსაც საქართველოსა და ხალიფას შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობის (დამოკიდებულების) სტატუსი ზუსტადაა განსაზღვრული ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელით“: საქართველო სცნობს თავს სახალიფოს მორჩილად და უხდის მას ყოველწლიურ ხარკს ძირითადად გადასახადების სახით. სხვა მხრივ არაბობა საქართველოს არ შეხებია.

მურვანის ლაშქრობის შემდეგ კი ამ ურთიერთობაში საგრძნობი ცვლილება მოხდა: საქართველო გამოცხადდა ცალკე საამიროდ, რომელსაც განაგებდა ამირა. იგი იჯდა თბილისში და ჰყავდა მოხელეთა მთელი შტატი, კერძოდ, შ უ რ ტ ა — ქალაქში წესრიგისა და უშიშროების პასუხისმგებელი; მ უ ჰ თ ა ს ი ბ ი — ბაზრების, ქუჩებისა და საზომ-საწონი ერთეულების ზედამხედველი; ა მ ი დ ი — მდივან-მწიგნობარი, ამირას კანცელარიის ხელმძღვანელი, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლებისათვის გასაგზავნი ქაღალდების შედგენა ევალებოდა; რ ა ‘ ი ს ი — მაჰმადიანი მოსახლეობის ზედა ფენის წარმომადგენელი ამირას კარზე; მ უ შ რ ი ბ ი — საბაჟო-საგაჭრო გადასახადების საკითხთა მომწესრიგებელი, ზედამხედველი და სხვა მოხელენი.

საამიროს ჩამოყალიბებასთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოში ჩაყენებული იქნენ ამ სანაპირო ზოლის დამცველი შეირაღებული რაზმები (რუსთავში, დმანისში, თბილისში და სხვ.), რომელთა შევსება-გაძლიერების მიზნით დაიწყო არაბთა ინტენსიური ჩამოსახლება.

ცხადია, ამ რაზმებისა და სამოხელეო შტატის შენახვა ადგილობრივ მოსახლეობას ეკისრებოდა, რამაც გამოიწვია საგადასახადო სისტემის კვლავ გადასინჯვის აუცილებლობა. თუ ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა იხდიდა ორი სახის გამოსაღებს: ხარაჯას და ჯიზიას, VIII ს-ში, თბილისის საამიროს შექმნის დღიდან, გადასახადების ოდენობაც და რიცხვიც გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო გააუარესა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა.

ახალი ცვლილებები შეეხო მთავრის ხელისუფლებასაც: იგი დაკცრობილი იქნა, სუვერენული გამგებლობიდან იქცა ამირას მოადგილედ. ამირას იგი ადგილობრივი მოსახლეობის დასამორჩილებლად სჭირდებოდა და ამიტომ ერისმთავრობას ხელუხლებლად ტოვებდა.

სიახლეს წარმოადგენდა ისიც, რომ, თუ ადრე არსებული წესის თანახმად არც ერთ არაბს უფლება არ ჰქონდა არაბეთის ფარგლებს გარეთ შეეძინა მიწა და ხელი მოეკიდა სოფლის მეურნეობისათვის, VIII ს-ში ეს ძველი წესი მივიწყებულ იქნა და, როგორც წყაროები ადასტურებენ, ამიერკავკასიაში მათ ხელი მიჰყვეს მამულების შეძენას. მუსლიმთა მომრავლებამ განაპირობა მათი საკულტო დაწესებულებებისა და ვაკუფების გაჩენა. ვაკუფის მიწები კი, ისე როგორც არაბთა მამულების დამუშავება, ადგილობრივ მოსახლეობას მართებდა. მათვე ეკისრებოდა საბეგარო სამუშაოებიც.

ასე რომ, VIII ს-ში განსაკუთრებით კი მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ არაბთა მოძალების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა წინანდელთან შედარებით საგრძნობლად გაუარესდა.

აღმოსავლეთ საქართველოს ცალკე საამიროდ ჩამოყალიბებაზე რომ ფიქრობდნენ, სახალიფოს პოლიტიკური მესვეურნი ვარაუდობდნენ, რომ ამით ისინი შეძლებდნენ ამიერკავკასიიდან ბიზანტიელებისა და ხაზარების ფეხის ამოკვეთას, ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილებას და ამ რეგიონში თავიანთი ბატონობის შენარჩუნებაგანმტკიცებას. თუ ქართული წყაროს ჩვენებას ვენდობით, მათ მიზნისათვის მიეღწევიათ, მურვანის ლაშქრობის შემდეგ „ქართლში სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა დამყარებულა არაბთა მფლობელობის ქვეშ"[1]. მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ

---

1 ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 376.

მურვანის დესპოტურ პოლიტიკას ამიერკავკასიის ხალხების დამონებისა და არაბთა განუყოფელი ბატონობის თვალსაზრისით მაინცდამაინც დიდი შედეგი არ მოჰყოლია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო და არაბებს თავიანთი სანუკვარი ოცნება აღესრულებინათ, ცხადია, თბილისში მუდმივი მოხელის (ამირას) დასმა აღარ დასჭირდებოდათ. ამ ღონისძიებას მათ სწორედ იმიტომაც მიმართეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის ალაგმვა ვერ შეძლეს, ანტიარაბული მოძრაობა დღითიდღე იზრდებოდა და ხაზარებიც არ ცხრებოდნენ. როგორც ა. ტერ-გევონდიანი აღნიშნავს, ხალიფა, „ჰიშამის გარდაცვალებიდან უმაიელთა ბატონობის დამხობამდე დარჩენილი ექვსი წლის განმავლობაში მთელი არმინია შფოთითა და მღელვარებით იყო მოცული"[2]. ეტყობა, ასე გრძელდებოდა შემდეგაც, და თანაც არა მარტო არმინიაში, მეზობელ აზერბაიჯანშიც. ისიც ირკვევა, რომ სახალხო მღელვარებაში აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივი ძირეული მოსახლეობის გარდა მოსული ელემენტიც ღებულობდა. ალ-იაკუბის ცნობით, ერთ-ერთ ასეთ მძლავრ აჯანყებას საბით იბნ ნეაიმ ალ-ჯაზამის მეთაურობით ადგილი ჰქონია მურვანის დროსვე[3]. ხოლო სირიაში მისი წასვლისა და ხალიფად გახდომის შემდეგ ასეთივე მღელვარებას აზერბაიჯანში სათავეში ჩაუდგა მუსაფირ იბნ ქასირ ალ-კასაბი, რომელმაც დაამარცხა მურვანის შემცვლელი ასიმ იბნ იაზიდი და დაიკავა არდებილი და ბარდავი[4].

ქართლის ამირას, რომლის რეზიდენცია თბილისში იმყოფებოდა, სწორედ ასეთი საქმეებისათვის უნდა მოეევლო, მაგრამ როგორც სანდო მონაცემებიდან დასტურდება, მან არათუ ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მისიას, თავადაც ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომაზე ფიქრობდა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის იმედით.

'უმაიელთა ბატონობის ბოლო პერიოდში წარმოქმნილმა სეპარატისტულმა ტენდენციამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო აბასელი ხალიფების დროს, როცა სამ კონტინენტზე (აზია–აფრიკა–ევროპა) გადაჭიმული არაბების უზარმაზარი სახელმწიფო საყოველთაო კრიზისმა მოიცვა.

---

[2] А. Н. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.
[3] Я. Кубн, დასახ. თხზულება, გვ. 6.
[4] ალ-ქუფი, დასახ. თხზულება, გვ. 60.

ამიერკავკასიაში დაწყებული სახალხო მღელვარება დიდხანს გრძელდებოდა. მის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპნენ ამირები აბიმ იბნ იაზიდი და მისი შემცვლელი აბდ ალ-მალიქ იბნ მუსლიმ ალ-'უკაილი. მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ პირველი აბასელი ხალიფა აბუ აბბას ას-საფაჰი (749—754) იძულებული გახდა საგანგებო ზომები მიეღო. მან თანამდებობიდან გადააყენა დაღუპული 'უკაილის ვაჟი ისაკ იბნ მუსლიმი, რომელიც მამის შემდეგ ამბოხებულთა წინააღმდეგ მოქმედ არაბთა რაზმებს სარდლობდა და მის ნაცვლად ამიერკავკასიაში დიდი ლაშქრით მუჰამმად იბნ სულა გამოგზავნა. წყაროს თანახმად, ამ არაბ სარდალს ხალიფას ბრძანება შეუსრულებია. მუსაფირ იბნ ქასირი დაუმარცხებია და მოუკლავს, არმინია დაუპყრია და დაუშოშმინებია, მაგრამ ეტყობა იქ დიდხანს არ დარჩენილა. 134(751—752) წელს აბუ ლ-აბბასს ალ-ჯაზირის (მესოპოტამიის) სასაზღვრო ზონის (ას-სუღურის), არმინიისა და აზერბაიჯანის გამგებლობა თავისი ძმის აბუ ჯა'ფარ ალ-მანსურისათვის უბოძებია[5], ხოლო ამ უკანასკნელს თავის მხრივ არმინია სამართავად იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამისათვის გადაუცია. მის დროს, არმინიაში ადგილი ჰქონდა ხაზართა დიდ თავდასხმას რას ტარხანის სარდლობით.

ბ) რას ტარხანის ლაშქრობა

ალ-ია'კუბი იუწყება: „ხაზარები არმინიისაკენ დაიძრნენ და თავს დაესხნენ იაზიდ იბნ 'უსაიდ ას-სულამის, რომელმაც ამის შესახებ აბუ ჯა'ფარს მისწერა და შეატყობინა, რომ ხაზართა მალიქი რას ტარხანი მას დიდი ლაშქრით უტევდა და, რომ (იაზიდის) მოადგილე გაიქცა. აბუ ჯა'ფარმა მას უმალ მიაშველა ჯიბრაილ იბნ იაჰია ალ-ბაჯალი სირიელთა, ჯაზირელთა და მოსულელთა ოციათასიანი მეომრით. ისინი შეებძოლნენ ხაზარებს, მაგრამ იძლივნენ. მრავალი მუსლიმი დაიღუპა, ხოლო ჯიბრაილ და იაზიდ იბნ 'უსაიდი გაიქცნენ და ხირსს[6] მივიდნენ"[7].

---

[5] ალ-ქუფი, დასახ. თხზულება, გვ. 60—62.

[6] ალ-ბალაზური წერს خرش („ხირშ"-გაში? — ბ. ს.) — ზღვისპირა ციხესიმაგრე შირვანში (Баладзори, დასახ. თხზულება, გვ. 19).

[7] Я'Куби, დასახ. თხზულება, გვ. 6.

შედარებით ვრცლად აქვს აღწერილი იგივე ამბავი ატ-ტაბარის, მისი თქმით, „... ასორმოცდა შვიდ წელს... ასთარხან ხვარაზმი თურქთა ურდოთი თავს დაესხა მუსლიმებს არმინიაში, შეიპყრო, მრავალი მუსლიმი, ზიმია და შევიდა თაფლისში. მათ შეება ჰარბ იბნ 'აბდ ალლაჰ არ-რავანდი, რომელმაც ბაღდადიდან მიიღო მიწერილობა (მტერთან) შებრძოლების შესახებ. ჰარბი მაშინ ორიათასი მეომრით მოსულში იდგა და ალ-ჯაზირის ხარიჯიტებს უთვალთვალებდა. აბუ ჯა'ფარმა როგორც კი შეიტყო თურქთა თავდასხმა, მაშინვე გაგზავნა მათთან ბრძოლის გასამართავად ჯიბრაილ იბნ რაჰრა და ჰარბისაც წერილობით უბრძანა, გაჰყოლოდა ჯიბრ'აილს თურქთა წინააღმდეგ სალაშქროდ. იგი ჯიბრა'ილთან ერთად წავიდა და დაიღუპა, ხოლო ჯიბრა'ილი უკუიქცა"[8].

თითქმის მთლიანად იმეორებს ამ ცნობას იბნ ალ-ასირი. ისიც მოგვითხრობს, რომ „... ასორმოცდაშვიდ წელს... ასთარხან ხვარაზმი თურქთა ურდოთი თავს დაესხა მუსლიმებს არმინიაში, წაასხა მუსლიმები, ზიმიები და შევიდა თაფლისში. ჰარბი მაშინ თავისი ორიათასიანი რაზმით მოსულში იდგა ალ-ჯაზირის ხარჯიტების სათვალთვალოდ. თურქებთან შესაბრძოლებლად ალ-მანსურმა გაგზავნა ჯიბრა'ილ იბნ რაჰრა და ჰარბ იბნ აბდ ალლაჰი. ისინი შეებნენ მტერს, მაგრამ ჯიბრა'ილი უკუიქცა, ხოლო ჰარბი დაიღუპა. დაიღუპა აგრეთვე ჯიბრა'ილის მრავალი მუსლიმი"[9].

იბნ ალ-ასირი ხშირად სარგებლობს ალ-ია'კუბისა და ატ-ტაბარის შრომებით. ამიტომ ეჭვი არაა, რომ მას ეს ცნობაც იმათგან აქვს ნასესხები, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ია'კუბისა და ატ-ტაბარის ცნობათა ურთიერთ დამოკიდებულებაზე. მართალია, ატ-ტაბარიმ ია'კუბის გარდაცვალების შემდეგ კიდევ 31 წელი იცოცხლა და მას შეეძლო მისი ნაშრომით სარგებლობა, მაგრამ, დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ასეთი რამ გამორიცხულია, რადგან, ჯერ ერთი, ისინი ცხოვრობდნენ ერთმანეთისაგან საკმაო დიდი მანძილით დაშორებულ ქვეყნებში (ერთი ეგვიპტეში, მეორე — ერაყში) და, მეორე, მათი ცნობები რა'ს ტარხანის (იგივე ასთარხანის) ლაშქრობას რომ ეხება საქართველოში, დეტალებითა და მოცულობითაც ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდებიან. ალ-ია'კუბი არ ასახელებს ლაშქრობის თარიღს და თბილი-

---

8 ა ტ-ტ ა ბ ა რ ი. დასახ. თხზულება, ტ. III, გვ. 328.
9 ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, დასახ. თხზულება, ტ. V, გვ. 273.

სის აღებას, არაფერს ამბობს მუსლიმთა ქვეშევრდომი ქრისტიანი და ებრაელი მოსახლეობის („აჰლუ ზ-ზიმმიი“-ს) დატყვევება-წაყვანაზე, ჰარბ იბნ აბდ ალ-ლაჰ არ-რავანდის რაზმის ოდენობაზე და თვით ჰარბის დალუპვაზე. ხოლო ატ-ტაბარისთან ყველაფერი ეს მოცემულია, მაგრამ არ ჩანს ვინ იყო მაშინ არმინიის (სომხეთის, ალმოსავლეთ საქართველოსა და ალბანეთის) გამგებელი, მის მისაშველებლად ხალიფა აბუ ჯა'ფარ ალ-მანსურის (754—775) მიერ გაგზავნილი ჯიბრა'ილ იბნ იაჰია ალ- ბაჯალის რაზმის ოდენობა, ვისგან შედგებოდა იგი და რომელ ადგილს შეაფარეს თავი რას ტარხანის მიერ უკუქცეულმა იაზიდმა და ჯიბრაილმა.

ალ-ია'კუბისა და ატ-ტაბარის ცნობათა ამგვარი სხვაობა რას ტარხანის ლაშქრობის შესახებ საქართველოში, უთუოდ იმას მოწმობს. რომ მათ საფუძვლად უნდა ედოთ ადრე არსებული და ჩვენამდე მოუღწეველი, თუ ჯერ მიუკვლეველი წყარო ან წყაროები. ეს გარემოება კი ზრდის ამ ცნობათა სანდოობასა და მნიშვნელობას. მათი უტყუარობის დადასტურებაა აგრეთვე ისიც, რომ საქართველოში რას ტარხანის ლაშქრობის შესახებ დაახლოებით ასეთსავე ცნობას იძლევა VIII ს. სომეხი მწერალი ლევონდი, რომელიც ამბობს: „ხაკანმა შეკრიბა ჯარი, ჩააბარა თავის სარდალს რაუტარხანს, რომელიც ხატირლიტბერის ჩამომავლობას ეკუთვნოდა და ეზიდის გამგებლობაში მყოფ ჩვენს ქვეყანაში გამოგზავნა, დიდი მდინარის, მტკვრის ჩრდილოეთ მხარეს გაფანტულმა ხაზარებმა დაიპყრეს ბევრი ოლქი: ხეჯარი[10], კაგა[11], ოსტანი[12], მარზპანიანი[13], ჰაბანდი[14], ჰეგავი[15], შაკე[16], ბიესი[17], ხენი[18], კამბეხჩანი[19], ხოზმასი[20] — ესენი ყველა აღვანთა

---

10 ხეჯარი (ჰეჯერი) — თემის სახელწოდება შირვანში.

11 კაგა (ქაღადაშთ) — მოიცავდა თანამედროვე აღდაშ-მინგეჩაურის რაიონებს.

12 ოსთანი — ალბანეთის დედაქალაქის კაპადაციის ცენტრალური ნაწილი.

13 მარზპანიანი (მარზპანი) — თემი ქ. კაპადოკიის სამხრეთ აღმოსავლეთით.

14 ჰაბანდი — ქალაქი და თემი შამახაში.

15 ჰეგავი (ჰეღავი, ჰეგაუგე) — თემი დღევანდელი აღსუს რაიონში. დაღესტანის სამხრეთით.

16 შაკე (შაკაშენი) — თემი მტკვრის ხეობაში მდანარეებს ზეგამსა და ქურაქჩაის შორის.

17 ბიესი, ბეხი, ბეღი) — თემი მდ. მურღალსა და მდ. ყარაჩაის შორის, კახის რაიონში.

18 ხენი (ღენი, ეხნი, ეხნიბუდი) — ადგილი ზაქათალის რაიონში.

19 კამბეხჩანი (კამბეჭანი) — შირაქს ეწოდებოდა.

20 ხოზმანი (ხოღმასი) — ხაჩმაზი ვარდაშენის რაიონში.

თემია. დაიკავეს ბალასანის შესანიშნავი ველიც[21] და წაასხეს აურაცხელი ჯოგი, ცხენის რემები. დაიპყრეს აგრეთვე საქართველოს შვიდი თემი: შუჩქი[22], კვეგ-გაპორი[23], ჩელტი[24], წუქეთი[25], ველის ციხე, თიანეთი, ერკი[26] და შეაგროვეს რა დიდძალი ნადავლი და ტყვეები, თავიანთ საცხოვრის ადგილებს დაუბრუნდნენ. არმინიის მაშინდელმა სნეულმა და ტრაბახა მმართველმა გამოჩენაც კი ვერ გაბედა, საკუთარ ნაჭუჭში გამოხვეულიყო და გულგრილად უცქერდა ჩვენი ქვეყნის დაქცევას[27].

როგორც ვრწმუნდებით არაბი და სომეხი მწერლების ცნობები საქართველოში რას ტარხანის ლაშქრობის შესახებ ავსებენ და მთლიანად ეთანხმებიან ერთმანეთს, ისინი, უეჭველად, გადმოგვცემენ ნამდვილად მომხდარ ამბავს — ერთ-ერთ ლაშქრობას იმ ლაშქრობათაგან, რასაც ადგილი ჰქონდა არაბებსა და თურქ-ხაზარებს შორის კავკასიაში VIII საუკუნეში.

* * *

ცნობილია, რომ ამ დროს არაბები განაგრძობდნენ დაპყრობით ომებს დასავლეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით. დასავლეთში იმპყრობდნენ პირინეის ნახევარკუნძულს და ემუქრებოდნენ საფრანგეთს; აღმოსავლეთში შეიჭრნენ ირანში, ხვარაზმში, დაიკავეს მავარანაჰრი და ფეხი შედგეს ინდოეთში; ხოლო ჩრდილოეთში უტევენ ბიზანტიასა და ხაზართა სამეფოს. მაგრამ მათ ყველგან მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ ბიზანტიელები და მათი მოკავშირე ხაზარები, რომლებსაც ხშირად შუა აზიის თურქები და კარლუკი თურქებიც ეხმა-

---

21 ბალასანის (ბაღისაკანის) ველი — დღევანდელი მილის ველი მტკვარ-არაქსის შესაყართან.

22 შუჩქი (შურჩქი, შალაქი) — შემდეგდროინდელი სუჯეთი ივრის ხეობაში.

23 კეგ — გაპორი (ქველდაბა) — თემი თიანეთის აღმოსავლეთით, თანამედროვე ძველდაბა.

24 ჩელტი (ჩელეთი) — დღევანდელი ერწო.

25 თემი ივრის ხეობაში, ერწოსა და კუხეთს შორის.

26 ერკი (ხერკი, ერცა) — თემი თეძმის ხეობაში. ჩამოთვლილ გეოგრაფიულ სახელთა განმარტება მოცემულია ს. ერემიანის ნაშრომის სომხეთი „აშხარაცუიცის“ მიხედვით (ერევანი, 1963). სომხურიდან თარგმნისას გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებ ა. აბდალაძეს.

27 Гевонд, დასახ. თხზულება, გვ. 92—93.

რებოდნენ. სწორედ მათმა შეუპოვარმა ბრძოლამ და ამასთანავე სახალიფოში დაწყებულმა საშინაო აშლილობამ დაასუსტეს არაბები და VIII ს. 40-იან წლებში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ხაზარები თანდათან აქტიურდებიან და თავს ესხმიან არაბებს ამიერკავკასიაში. ერთ-ერთ ასეთ ძლიერ თავდასხმას, რომელმაც სერიოზულად ჩააფიქრა სახელმწიფოს მბრძანებელი, ატ-ტაბარის მიხედვით, ადგილი ჰქონდა ჰიჯრით 145 წელს, რაც ქრისტიანული კალენდრით მოიცავს დროს 762 წლის პირველი აპრილიდან 763 წლის 20 თებერვლამდე. ატ-ტაბარი იუწყება, რომ ამ (145) წელს თურქებმა და ხაზარებმა ბაბულ-აბუაბიდან (დარუბანდიდან) მოახდინეს თავდასხმა „არმინიაზე" და მრავალი მუსლიმი ამოწყვიტესო[28]. თურქებისა და ხაზარების თავდასხმა, რომ ნამდვილად 145 წელს მომხდარა, ამას ადასტურებს იბნ ალ-ასირის ცნობაც, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ დროს (145 წ.) ბაბულ-აბუაბში აღსდგნენ თურქები და ხაზარები და ამოწყვიტეს ბევრი მუსლიმი არმინიაში[29]. არაბ მწერალთა მონაცემებს მთლიანად უჭერენ მხარს მიხეილ სირიელი და ალაპი მენბიჯი. მიხეილი ხაზართა ამ ლაშქრობის თარიღად ასახელებს 1074 წელს, ხოლო ალაპი — ალ-მანსურის (754—775) ხალიფობის მე-9 წელს[30], ე. ი. 145 წელს (136+9=145).145 წელი კი, როგორც ზემოთ ვთქვით, ქრ. წელთაღრიცხვით შეესაბამება პერიოდს 762 წ. აპრილიდან 763 წლის თებერვლამდე. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ხსენებულ ლაშქრობას ადგილი ექნებოდა არა 763 წლის ზამთარში (იანვარ-თებერვალში ხაზარები ალბათ ომს არ დაიწყებდნენ), არამედ 762 წელს, რაშიც კიდევ უფრო დავრწმუნდებით ქვემოთ.

არსებული ცნობების თანახმად, 762(145) წელს მოწყობილი ლაშქრობისას ხაზარებს დაუბრუნებიათ ჰამზინის, ლაკზისა და ალანთა ქვეყნები, რომლებიც „მურვან ყრუს" ლაშქრობის დროს (733—742) არაბებმა დაიპყრეს.

ხაზართა ისტორიის მკვლევრის მ. ნ. არტამონოვის აზრით, ეს უნდა იყოს თურქ-ხაზართა ის ლაშქრობა, რომელიც, არაბულ და სომხურ წყაროთა მიხედვით, რას ტარხანის (იგივე ასთარხანი და რაჟ-

---

28 ატ-ტ ა ბ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 318.

29 ი ბ ნ ალ-ა ს ი რ ი, დასახ. ნაშრომი, ტ. V, გვ. 271.

30 Michele sirien Chronique, t. II; Histoire Universalle par Agapius de Menbidji, trad. par A. Vasiliev, გვ. 543.

ტარხანი) მეთაურობით მოეწყო[31], მაგრამ, ვფიქრობთ, ეს აშკარა შეცდომაა. ამ დასკვნამდე მივყეევართ არა მარტო თარიღს, რომელიც პირდაპირაა მითითებული არაბი მწერლების მიერ, არამედ სულ სხვა გარემოებასაც.

ხაზართაგან ძლეული არაბები უკვე თავდაცვაზე გადადიან და დერბენდ-დარიალის გასასვლელებს ამაგრებენ. ამავე დროს ხალიფა აბუ ჯა'ფარ ალ-მანსური ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცდენის სხვა საშუალებაზეც ფიქრობს. არმინიის გამგებლად 725/3 (135) წელს დანიშნულ იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში, რომელსაც ატ-ტაბარის თანამედროვე აბუ მუჰამად იბნ ასამ ალ-ქუფი იხსენიებს, ხალიფა წერს: სანამ არსებობს ამიერკავკასიაზე ხაზართა თავდასხმის საშიშროება, მათ კი ყოველთვის შეუძლიათ შემოიჭრან ამ მხარეში, მანამდე არმინიის აყვავება გამორიცხულია. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მათთან დაზავება, ხოლო ამის მისაღწევად კი ხაკანის ქალიშვილზე შენი დაქორწინება და მასთან დანათესავება[32].

ლევონდის ცნობით, იაზიდმა ხალიფას რჩევა მიიღო, ჩრდილოეთის მეფეს დეპუტაცია აახლა და ასულის ხელი სთხოვა[33], ხოლო ხაკანმა, რომელსაც, ალ-ქუფის თქმით, სახელად ბალათური ერქვა, დააკმაყოფილა იაზიდის თხოვნა და მას თავისი ქალიშვილი ხათუნი მიათხოვა. ქალიშვილის მამამ თან გააყოლა წარჩინებულ ხაზართა ათასკაციანი რაზმი და გაატანა მდიდრული მზითვი: 100 ათასი დირჰამი, 4 ათასი კვიცი, ათასი ჯორი, ათასი მსახური, 10 ათასი ხაზარული ჯიშის პატარა ტანის აქლემი, ათასი ბაქტრიული ჯიშის თურქული ორკუზიანი აქლემი და 20 ათასი ცხვარი. გარდა ამისა სპატარძლოს ბარგში შედიოდა აგრეთვე ოქროსა და ვერცხლის ფურცლებით შეჭედილი 10 დახურული ძვირფასი ოთხთვალა (რომლებიც შიგნით მოფარდაგებულ-მოჩითული იყო ბეწვეულითა

---

31 М. Н. Артамонов, История хазар, с. 242.

32 Akdes Nimet Kurat, Abū Muhammed Ahmed b. A'tham al-Kufi's kitab al-Futuh and its Importance Conserning the Arab Conquest in Central Asia and the Khazzars. Ankara Universitesi Die ve Tarih—Coğrafia Fakültesi Dergisi, 1949, t VII, № 2 გვ. 271; Я'Кюби, с. 8; Баладзори, с. 20; Гевонд, с. 92; D'ohsson, Les Peuples du Caucase, გვ. 70—71.

33 Гевонд, с. 92.

და შავი ფარჩით) და 20 სხვა ოთხთვალა დატვირთული ოქრო-ვერცხლის ჭურჭლითა და სხვა ძვირფასი საოჯახო ნივთებით[34].

ხაზართა ხაკანის, ბალათურის ასული თავისი ბარგითა და ამალით ბარდავს მივიდა, ქალაქის კარიბჭესთან კარვები გააშლევინა და იქ დარჩა სანამ იაზიდის მიერ გამოგზავნილი პირები მას არაბთა წეს-ჩვეულებებს, სარწმუნოებასა და ყურანს გააცნობდნენ. შემდეგ მან ფარ-ხმალი აიყარა[35] და იაზიდს მასთან ცხოვრების ნება დართო[36]. მ. არტამონოვს მიაჩნია, რომ ეს ამბავი 759—760 წლებში მომხდარა[37], მაგრამ ირკვევა, მას სხვა დროს ჰქონია ადგილი. აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის გადმოცემით, ხათუნს იაზიდთან სულ ორი წელი და 4 თვე დაუყვია, მისგან ორი შვილი ჰყოლია, მაგრამ ორივე დახოცია და თვითონაც მომკვდარა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბავს იაზიდი ძლიერ შეუწუხებია, ხაზარებს ხაკანის ასულის სიკვდილი არაბთა ვერაგობით აუხსნიათ და მშვიდობა დაურღვევიათ. „ხაკანმა ჯარი შეჰყარა, თავის სარდალს რაჟ-ტარხანს ჩააბარა და ეზიდის საგამგებლო არმენიას მიუსიაო“ — გვამცნობს ლევონდი[38]. ხოლო ატ-ტაბარი და იბნ ალ-ასირი კი ზუსტ დროსაც ასახელებენ და ირწმუნებიან, რომ ეს შემოსევა 764/5 (147) წელს მოხდაო. რაკი ცნობილია ლაშქრობის ზუსტი თარიღი, მისი მიზეზი და იაზიდთან ხაკანის ასულის ცხოვრების ხანგრძლივობა, ძნელი არაა დავრწმუნდეთ, რომ არაბი სარდლისა და ხაკანის ასულის ქორწინება 762 წელს შემდგარა და არა 759 ან 760 წელს, როგორც ამას მ. არტამონოვი ვარაუდობს.

* * *

„რას ტარხანის ვინაობა საიდუმლოებითაა მოცული. ატ-ტაბარი და იბნ ალ-ასირი მას „ასთარხან“-ად მოიხსენიებენ, ლევონდი კი „რაჟ-თარხანს“ წერს, რაც ახლოსაა იაკუბის „რას ტარხან“-თან. ალ-იაკუბი მას უწოდებს „მალიქუ ლ-ხაზარ“-ს, რასაც ბ. ჟუზე თა-

---

[34] Akdes Nimet Kurat, დასახ. ნაშრომი, გვ. 272; М. А. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 241—242; ال-قوفي, დასახ. თხზულება, გვ. 63.

[35] ფარ-ხმალს ხაზარი ასულები უმანკოების დასაცავად ატარებდნენ (М. А. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 242).

[36] იქვე, გვ. 244.

[37] М. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 244—245.

[38] Гевонд, დასახ. თხზულება, გვ. 93; ال-قوفي, დასახ. თხზულება, გვ. 63.

რგმნის „ხაზართა მეფედ“ („Царь Хазар“)[39]. მაგრამ ლევონდის ცნობიდან ჩანს, რომ ის ხაზართა მეფე კი არა, სარდალია. ხაზართა მეფედ მაშინ აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის მიხედვით, ბალათური (ტა'-ატური) არის.

ატ-ტაბარისა და იბნ ალ-ასირის მიხედვით, ასთარხანი ხვარაზმელია. ლევონდი კი იმის ხვარაზმელობაზე არაფერს ამბობს. სამაგიეროდ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „რაჟ-ტარხანი ხატირლიტბერის ჩამომავლობისაა“. ის 764 წლის ლაშქრობისას გამოჩნდა და მის დამთავრებისთანავე გაუჩინარდა[40]. კ. ცეგლედი, რომელიც ლევონდის ცნობას იმოწმებს, ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ რაჟ-ტარხანს შემდეგ ხაზართათვის უღალატნია, თავისი ვაჟი არაბებთან გაუგზავნია მძევლად, ხოლო თვითონ ალბანთა კარებთან, ანუ დერბენდში ხმლით დალუპულა[41]. მაგრამ მის მიერ დამოწმებული სომეხი მწერლის ცნობა ასეთი დასკვნის უფლებას არ იძლევა. ლევონდი რომ იუწყება „რამდენიმე ხნის შემდეგ იგივე ბოროტმოქმედი, რომელმაც აღვანთა მიწა (ქვეყანა. — ბ. ს.) ჩრდილით დაფარა, ისმაილტიანთა მბრძანებელს შეუერთდა, ვაჟი მძევლად სირიაში გაგზავნა, ხოლო თვითონ აღვანთა კარებთან ხმლით მოიკლა თავი“[42], ეს როგორც მ. არტამონოვი შენიშნავს, რაჟ-ტარხანს კი არ ეხება, არამედ არმინიის მაშინდელ გამგებელს, იაზიდ იბნ 'უსაიდ ას-სულამის, რომელმაც, მემატიანის თქმით, სულმოკლეობა გამოიჩინა, მტერს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ქვეყანა ააოხრებინა[43].

ვ. ბარტოლდის ვარაუდით, ხატირლიტბერი უნდა იყოს ძველი თურქული ტიტული „ილტივარი“, რომლითაც იწოდებოდნენ ვასალი მთავრები (князья)[44]. ს. მალოვისა და ა. კოვალევსკის მიხედვით, იგივე ტიტული „ბალტავარის“ ფორმით ცნობილი იყო ვოლგის

---

39 Я ' К у б и, დასახ. თხზულება, გვ. 38.

40 ჩვენთვის ცნობილი მწერლებიდან არავინ რაჟ-ტარხანის შესახებ არაფერს არ იტყობინებაო ამბობს ქ. პატკანიანი (Г е в о н д, დასახ. თხზულება გვ. 158. შენ. 190).

41 K. G. Z e g l e d, Khazar Reidsin Transcaucasia in A. D. 762 — 764. Acta Orientalia, 1960, t. XI. გვ. 75—88.

42 Г е в о н д, დასახ თხზულება, გვ. 93..

43 იქვე, გვ 93.

44 В. В. Б а р т о л ь д. Киргизы. Фрунзе, 1928, с. 11.

ბულგარეთშიც[45]. კ. ცეგლედი, რომელიც აგრეთვე იმ საკითხს იხილავს, „ხიტირლიტბერთა“, ანუ „ალტებერთა“ გვარის არსებობას აღნიშნავს დაღესტნის ჰუნებში[46]. ხოლო ვ. არტამონოვი „ხიტირს, რომელიც „ხაზირს“ და „ხაზარს“ უნდა უკავშირდებოდეს, სამეფო გვარად მიიჩნევს ხაზარეთში[47]. მაშასადამე, გამოდის, რომ რას ტარხანი უნდა ყოფილიყო ხაზარი ან ხაზართა ხაკანისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი რომელიმე ტომის (ჰუნის, ბულგარის) წარმომადგენელი, რომელსაც სამეფო კარზე ეკავა ერთ-ერთი დიდი თანამდებობა. მაგრამ არაბულ წყაროებში შემონახული პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ იგი იყო ხვარაზმელი (ხვარაზმი) გამორიცხავს ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. ამიტომ მ. არტამანოვი შეეცადა საკითხის სხვანაირად ახსნას. მან ასთარხანი მიიჩნია „ასთა“, „არსთა“ თუ „აორსთა“ თარხნად, ანუ უფროსად, ბელადად, ხოლო „ასები“, „არსები“ დაუკავშირა „ლარსის“ („ალ-არსის“) ტომს, რომელიც ხვარაზმიდან იყო მისული ხაზარეთში და წარმოადგენდა ხაკანის დაქირავებულ რჩეულ რაზმს.

საკითხის ამგვარი ახსნა შესაძლოა დამაჯერებელი ყოფილიყო, რომ მას ხელს არ უშლიდეს ორი რამ: პირველი, ის, რომ ხაზართა ლაშქრის სარდალს ლევონდი ხატირლიტბერთა გვარის ჩამომავლად მოიხსენიებს. და, მეორე, ხაკანსა და მის სამსახურში მყოფ ლარისის მუსლიმ ტომს შორის დადებული იყო გარიგება, რომლის თანახმად ხაკანს არ შეეძლო მისი გაგზავნა ერთმორწმუნეთა წინააღმდეგ საომრად: ამ უხერხულობათა გამო ავტორი გვერდს უვლის ასთარხანის თუ რას-ტარხანის ხვარაზმელობას და საბოლოოდ იმის მომხრეა, რომ იგი იყო თარხანი კონსტანტინეპოლელი ებრაელის წერილში მოხსენიებული იმ „ასებისა“, რომლებიც რუსული მატიანის მიხედვით, მდინარე დონეცთან ცხოვრობდნენ[48]. მაგრამ ხაზართა ლაშქრის სარდლის ვინაობა-სადაურობის ამგვარ ახსნასაც ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს. თუ მას მაინცდამაინც ტომის ბელადად მივიჩნევთ, მაშინ ვფიქრობთ, უფრო მისაღები იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ

---

[45] С. Е. Малов, Памятники древнетюркской письменности, М. — Л., 1951, с. 31, 42; А. П. Ковалевский, Книга Ахмеда Ибн Фадлана его путешествии на Волгу в 921—922 гг. Статьи переводы и комментарии. Харьков, 1956, с. 122.

[46] K. G. Zegled, დასახ. ნაშრომი, გვ. 80--88.

[47] М. А. Артамонов, с. 246.

[48] იქვე, გვ. 244—246.

ის იყო იმ „ასების“ („ას“) უფროსი, რომლებიც ალ-ბირუნის (XI ს.) ცნობით, ოდითგანვე არალისა და კასპიის ზღვებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე (ე. ი. შუა აზიაში — ხვარაზმში) ცხოვრობდნენ[49], იქიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ[50] და ხაზართა მბრძანებელს მორჩილებდნენ. თუ ეს ასეა (ამას კი ჯერ დამატებითი კვლევა სჭირდება). მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ასთარხანი (რას-ტარხანი) იყო წარმოშობით ხვარაზმელი, ხატირლიტბერთა[51] ჩამომავალი, სამშობლო დაგდებული არამუსლიმი[52], რომელიც ხაზართა ხაკანს მსახურებდა და თარხანთ უფროსის, ანუ რა'ს[53]-თარხნის ტიტულს ფლობდა. მაგრამ სრულიად შესაძლებელია ისიც, რომ რ'ას ტარხანი (ასთარხანი) იყო ამ სარდლის არა ტიტული, არამედ საკუთარი სახელი ან სახელი იმ ტომისა, რომელსაც იგი მეთაურობდა. ამას გვაფიქრებინებს თვით თარხნის ბუნება, მისი შინაარსი.

* * *

თარხანი ჩვენთვის გაურკვეველი ძველი წარმოშობის ტერმინია, გვხვდება თურქული მოდგმის ხალხებში, მონღოლებში, ხაზარებში, ვოლგისა და კამის ბულგარეთში, ამიერკავკასიაში, ირანსა და სხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მნიშვნელობით.

---

[49] В. В. Бартольд, Киргизы (Сочинения, т. II, ч. I, М., 1963, с. 550).

[50] ი. მარქვარტის მტკიცებით „ასი“ („ას“) ალანის ძველი სახელწოდება უნდა იყოს (J. Marguart, Osteuropäische und Ostasiatishe streifzüge, Leipzig, 1909, გვ. 114—115; В. В. Бартольд, დასახ. ნაშრომი, გვ. 550), ხოლო ალანები IV ს. ძვ. წ. ხვარაზმის ახლოს ცხოვრობდნენ (А. П. Новосельцев, К вопросу о македонском владычестве в древней Грузии, ივ. ჯავახიშვილი დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1976, გვ. 105).

[51] რაკი ხატირლიტბერი იგივეა, რაც ძველი თურქული ტერმინი ილტივარი (რომლითაც ვასალი მთავრები, მეფეები იწოდებოდნენ), ხოლო თურქები ძველთაგანვე შუა აზიაში— ხვარაზმში ცხოვრობდნენ, გამორიცხული არაა, რომ ასეთი წარჩინებული გვარი იქაც არსებულიყო.

[52] არამუსლიმი, რადგან მუსლიმი მუსლიმთა წინააღმდეგ არ იომებდა.

[53] რა'ს (არაბ. رأس) ნიშნავს თავს, მეთაურს. რა'ს თარხანი იქნება თარხანთა თავი, წინამძღოლი, რომელიც (ე. ი. „რა'ს“ თარხანი) მ. არტამონოვის (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ 26) აზრით, ხაზარეთში შეიძლებოდა ყოფილიყო ხაზარიც და არა ხაზარიც, ანუ უცხო. ყოველ შემთხვევაში, წყაროებიდან დასტურდება, რომ ხაკანს ჰყავდა თარხანთა სპეციალური რაზმი, ცვარდია.

სულხან საბა ორბელიანის, დ. ჩუბინაშვილისა და ი. იაგელის განმარტებით თარხანი „სხვათა ენაა“ და თავისუფალს ნიშნავს[54]. ასევე იგი ახსნილი თანამედროვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც[55] შედგენილი საკუთარი სახელის სახით თარხანი გავრცელებული იყო ხაზარებში. ერთ-ერთ მათ წინამძღოლს VII ს-ში ჩორბან-თარხანი ერქვა[56]. თარხანი, რომ ხაზარებში ნამდვილად გავრცელებული სახელი იყო ჩანს ქართული და არაბული წყაროებიდანაც. ჯუანშერი, როცა ეხება ვახტანგ გორგასლის ბრძოლას ოსთა წინააღმდეგ აღნიშნავს: „ბრძოლა იყო ბუმბერაზთა მდინარესა მას ზედა. მაშინ ოვსთა რომელ ჰყვეს ნიჯადნი ხაზართანი, მათ თანა ერთო კაცი ერთი გოლიათი, სახელით თარჯან. გამოვიდა ეს თარჯან ხაზარი... და თქუა... ვინც არს თქვენ შორის უძლიერესი გამოვიდეს ბრძოლად ჩემდა[57]. ხოლო ხალიფა ალ-ვასიკის (842—847) ელჩი ხაზარეთში ასალამი იუწყება, რომ ხაკანს, როცა მე მასთან ვიყავი, სახელად თარხანი ერქვაო[58]. ამავე დროს საკუთარი სახელის სახით თარხანი დამოწმებულია ირანის აზერბაიჯანში[59].

გარდა ზემო აღნიშნულისა თარხანი იყო აგრეთვე ტიტული და თავისუფლების მაუწყებელი სპეციალური სიგელი[60]. ტიტულის მნიშვნელობით იგი გავრცელებული იყო ვოლგისა და კამის ბულგარებში, არაბი მწერლები და მოგზაურები მას თარგმნიან როგორც „მალიქ“

---

[54] სულხან საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928; დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб., 1887; И. Ягелло, Полный персидско-арабско-русский словарь. თავისუფალს უწოდებს თარხანს „დასტურლამალი მეფე ვახტანგ მეექვსისა“ (ტფ., 1886, გვ. 34, პ. უმიკაშვილის გამოცემა) და ბ. ვლადიმირცოვი (Б. Я. Владимирцов, Общественный строй Монголов. Л., 1934, с. 50). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV. თბ., 1955, გვ. 343.

[55] იქვე.

[56] К Патканян, Опыт истории династии Сасанидов по сведениям, сообщаемым армянскими писателями. «Труды Восточного отделения Русского археологического общества», СПб., 1889, т. XIV, с. 79.

[57] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, ტ. 1, გვ. 151—152.

[58] С. М. Шапшал, К вопросу о тарханных ярлыках (Академику Владимиру Александровичу Гордлевскому к его семидесятипятилетию. Сборник статей, М., 1953, с. 303).

[59] Cl Huart. Babek Ensyclopedie de Islam, t. V, გვ. 557.

[60] პ. იოსელიანი, დიდი მოურავი გიორგი საakაძის ცხოვრება, თბ., 1973, გვ. 14.

(ملك) ანუ „მეფე“, რომელიც, ვ. გრიგორიევის ვარაუდით, უნდა იყოს არასრულუფლებიანი ვასალი მასზე დიდი ხელმწიფისა[61]. ამ გაგებით ხმარობს სიტყვა მულქს, მაგალითად, ალ-იაკუბი ზემოთ მოტანილ მის ცნობაში, როცა რას-ტარხანის ტიტულს ეხება[62]. ვ. გრიგორიევის ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ XI ს. მწერალ მუჰამმად ყაშღარისთან თარხანი გვხვდება „ამირის“ (امير) ანუ მთავრის, გამგებლის, სარდლის მნიშვნელობით[63].

თარხანი როგორც თავისუფლების დამადასტურებელი საბუთი, სიგელი ეძლეოდა მაღალი თანამდებობის სასულიერო და საერო პირებს. მათარხნება ხდებოდა როგორც ცალკეული პირების, ასევე მთელი ოჯახის[64], გვარის[65], სოფლისა და ტომის[66]. იბნ ბატუტას (XIV ს.) ცნობით, ასე უნდა იყოს წარმოშობილი ასტრახანი (ქალაქის სახელი ვოლგაზე). თარხანთან უშუალო კავშირში უნდა იყოს ტმუტარაკანიც[67].

თარხნობა რომ მიეღო კაცს, ამისათვის აუცილებლად საჭირო იყო თავი გამოეჩინა ბრძოლაში[68], სპორტულ შეჯიბრებებში და სხვ. ვინც ამას შეძლებდა ის სამხედრო არისტოკრატიაში შედიოდა, თარხნად იწოდებოდა[69] და განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. XIII ს. სპარსელი ისტორიკოსის, ჯუვეინის მიხედვით, ეს პრეროგატივა იმაში მდგომარეობდა, რომ თარხანი თავისუფლდე-

---

61 В. В. Григорьев, Волжские булгары, Сб., «Россия и Азия», СПб., 1876, с. 91.

62 Я. Кубы, დასახ. ნაშრომი, გვ. 6. თარგმანი, გვ. 3.

63 С. М. Шапшал, დასახ. ნაშრომი, გვ. 304.

64 В. В. Бартольд, Сочинения, т. III, М., 1965, с. 441.

65 ვ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14; Тарханные Ярлыки-Тохтамыша, Тимур-Кутлука и Саадеть—Гирея, с введением, переписью, переводам и примечаниями, изданные И. Березиным, Казань, 1851, с. 2.

66 ვ. ველიამინოვ ზერნოვის ცნობით, ჯალტაელთა ულუსის ერთ-ერთ ტომს სახელად თარხანი ეწოდებოდა (Distiomnaire djaghataiture publie par V. Veliamiof-Zernof. S. P. 1869, გვ. 167). თარხანი რომ ტომის სახელი იყო, ამას ი. იაგელიც აღნიშნავს (Н. Ягелло, დასახ. ნაშრომი).

67 С. М. Шапшал, დასახ. ნაშრომი, გვ. 306—307.

68 ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის მეფე გიორგი X-ს აზნაურ გიორგი საკაძეს თარხნის წოდება უბოძა (ვ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 14).

69 В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, СПб., 1900, т. III, с. 854.

ბოდა გადასახადისაგან[70], მთელი სიმდიდრე, რომელსაც ომისა და ნადირობის დროს ჩაიგდებდა ხელში, მის საკუთრებაში რჩებოდა; მას შეეძლო სასახლეში უნებართვოდ შესვლა; მეცხრე დანაშაულამდე ვერავინ დასჯიდა; ნადიმის დროს ეკავა საპატიო ადგილი და უმასპინძლდებოდნენ ღვინით სავსე ფიალით[71].

თარხანი, როგორც სამხედრო არისტოკრატი, რომ ნამდვილად დიდი უფლებებით სარგებლობდა და ხელმწიფის გვერდით იჯდა, ეს აღნიშნული აქვს ჯუვეინის თანამედროვე მეორე სპარსელ მწერალს რაშიდ ად-დინსაც[72], ხოლო აბუ ლ-ლაზი ალ-ბაღათური (XIII—XIV სს.), რომელიც ჯუვეინის ცნობას იმეორებს, ბოლოს უმატებს; მეცხრე დანაშაულამდე დაუსჯელობის უფლებით სარგებლობდა არა მარტო თვითონ თარხანი, არამედ მისი ჩამომავლებიც პირველიდან მეცხრე თაობამდეო[73].

თარხნის პრივილეგიების შესახებ ყველაზე სრულად მოგვითხრობს XVIII ს. თურქი მწერალი სა'იდ მუჰამმად რიზა. მისი განმარტებით „თარხნის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ვინმე სრული ძალის პატრონი, ასპარეზობაში გამოავლენდა ვაჟკაცობას: გულადობას, მოხერხებულობას, ენერგიას, კუნთების ძალას, სიმამაცეს ჩოგანში[74], აგრეთვე თავს გამოიჩენდა ძნელად მისაღწევ რაიმე საქმეში და ამით აჯობებდა თავის ტოლებს და მეფის ჯილდოს დაიმსახურებდა, —მაშინ ასეთი კაცი, ჯერ ერთი, ჩადენილი ცხრა დიდი დანაშაულისათვის პასუხისგებაში არ მიეცემოდა და ვერც საყვედურს ეტყოდა ვინმე; მეორე, მისი შთამომავლობა მეცხრე თაობამდე თავისუფლდებოდა სახელმწიფო გადასახადებისაგან; მესამე, ნამდვილად არ გადაიხდიდა მეათედს, რომელსაც ეწოდებოდა საუგ[75]; მეოთხე,

---

70 თარხნის მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლება გადასახადებისაგან და მისი შეუვალობა აღნიშნული აქვთ ს. კაკაბაძეს (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იმერეთის ს. ბუთები თარხნობის შესახებ, საისტორიო მოამბე, 1950, № 5, გვ. 165—166) და ვ. გაბაშვილს (ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 290, 297).

71 В. В. Б а р т о л ь д, Туркестан в эпоху монгольского нашествия. СПб., 1898, ч. I, с. 104.

72 Сборник летописей История монголов. Сочинение Рашид Эддина. Перевод с персидского И. Н. Березина, СПб., 1858, с. 198; Б. Я. В л а д и м и р ц е в, Общественный строй монголов, Л., 1934, с. 50.

73 «Родословное древо тюрков». Сочинения Абуль-Гази, Хивийского хана, Перевод и предисловие Г. С. Саблукова, Казань, 1906, с. 50.

74 იგულისხმება მხედრული სპორტის ერთ-ერთი სახეობა — ჩოგბურთი.

75 საუგ იგივეა, რაც საური (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 166).

შეეძლო უნებართვოდ შესულიყო ხანის სასახლეში; მეხუთე, ჰქონდა პატივი დასწრებოდა ხანის დივანს; მეექვსე, შეეძლო შეესვა ხანის ხელით მიწოდებული გამამხნევებელი ღვინით სავსე ცხრა ფიალა და გაეჭარვებინა ამქვეყნიური ჭირ-ვარამი; მეშვიდე, ლაშქრობისას ხანთან ერთად მდგარიყო ავანგარდში; მერვე, შეეძლო ჰარემში შეეყვანა და შეერთო, რომელიც გნებავთ, ასული მისი მშობლების უკითხავად, გარდა ხანის ქალიშვილისა; მეცხრე, შეეძლო ამაღლებულიყო სახელისა და დიდების მეცხრე ცამდე, მიეღო ჯილდოდ ცხენები, ხალიჩები და კიდევ სხვა დასახელების ცხრა საგანი თითო ცხრა-ცხრა ცალის ოდენობით"[76]. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ თარხანს ეძლეოდა მამული („პომესტიე") მასში მსხდომი მოსახლეობითურთ, რომელსაც იგი ბეგრავდა თავის სასარგებლოდ[77].

როგორც ირკვევა, თარხანი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა იყო. იგი აღნიშნავდა თავისუფალს, უფროსს, ტიტულს, წოდებას, მოწმობას, პიროვნების, ადგილისა და ტომის სახელებს. ამიტომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებით არ ხერხდება იმის დადგენა თუ რა მნიშვნელობითაა ნახმარი ზემოთ მოტანილ ტექსტში რას ტარხანი და ასთარხანი. გამორიცხული არაა, რომ ია'კუბისთან, ატ-ტაბარისთან, იბნ ალ-ასირთან და ლევონდისთან ის პიროვნების საკუთარი სახელი ან „თარხანთა რაზმის უფროსი" იყოს.

764 წელს ხაკანის ბრძანებით მას ხაზართა დიდი ლაშქრით დაუპყრია ალბანეთი, ქართლი და თბილისი, მაგრამ სულ მალე დაუტოვებია დაკავებული ადგილები. როგორც ატ-ტაბარი იუწყება, შემდეგ წელს მის წინააღმდეგ საბრძოლველად მოსულ არაბთა სარდალს ჰუმაიად იბნ კაჰტაბს იგი ადგილზე აღარ დახვედრია[78]. უამრავი ტყვითა და სხვა ნალაფარით ხაზარეთში დაბრუნებულა[79].

---

[76] С. М. Шапшал, დასახ. ნაშრომი, გვ. 310. რიცხვი ცხრა, თურქებში ბედნიერებისა და სიმრავლის სიმბოლოა. მიუთითებს აგრეთვე სიმრავლე-სიუხვესა და სიშორეზე. ამ გაგებით ის ქართულმაც შეითვისა.

[77] იქვე, გვ. 311.

[78] ტ ა ბ ა რ ი, დასახ. თხზულება, გვ. 328; М. А. Артамонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 244; З. Бунятов. დასახ. ნაშრომი, გვ. 115. უფრო ვრცლად ამ ლაშქრობის შესახებ იხ. კ. ცაგლედის, დასახ. ნაშრომი, გვ. 83—88.

[79] ა. ტ ე რ-გ ე ვ ო ნ დ ი ა ნ ი „Очерки истории ССР. III-IX вв"-ის (გვ. 508) საფუძველზე აღნიშნავს, რომ ხაზარებს ამ ლაშქრობისას დაუტყვევებიათ ქართლის ერისმთავარი (А. Н. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 113), რაც საეჭვო ჩანს.

ქართველი ისტორიკოსები ხაზართა ამ ლაშქრობას უკავშირებენ ბლუჩანის სარდლობით მოწყობილ თავდასხმას[80], რომლის მიზეზისა და შედეგის შესახებ „მატიანე ქართლისა“ გვამცნობს: მიესმა სიშუენიერე ქართლის ერის მთავრების იოანესა და ჯუანშერის დის შუშანისა ხაზართა ხაკანს: მოუგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად... რა ჟამს მოიწია მოციქული ხაკანისა მიუმცნო ჯუანშერ ძმასა თჳსსა და დედასა. ხოლო მათ არა ინებეს და უთხრეს: „უკეთუ უღონო იქმნეს ყოფა ჩუენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრეღარა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ“. და შუშანცა აგინა ხაზართა მეფესა (მეფემან იწყინა ესე და) შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა... სპასალარი თჳსი ბლუჩან: გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყვნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან, და მცირედთა დღეთა წარიღო და ტყუე ყვნა იგინი; შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანა. და ვითარ წარემართა გზასა დარიალანისასა... შუშან.,, მოწოა,,, წამალი სასიკუდინე და... მოკუდა.

წარვიდა ბლუჩან ხაკანსა, მიჰგუარა ჯუანშერ და მიუთხრა სიკუდილი დისა მისისა შუშანისა. ხოლო განუწყრა იგი არამიტანებისათჳს გუამისა მისისა... და მოსწყჳდეს თავი მისი ბოროტად“...[81]

ქართული წყარო ბლუჩანის ლაშქრობის თარიღს არ ასახელებს, არც სხვა წყაროები იძლევიან ამისათვის საჭირო ცნობას. მიუხედავად ამისა ივ. ჯავახიშვილი ხაზართა ხაკანის შუამავლის მოსვლისა და შუშანის უარის თქმის თარიღად 761 წელს დებს, ხოლო ბლუჩანის ლაშქრობის თარიღად 764 წელს. ამოსავალს მეცნიერისათვის როგორც თვითონ ამბობს, წარმოადგენს არაბი მწერლების (ატ-ტაბარის, იბნ ალ-ასირის) ცნობები 147(764) წელს ხაზართა მიერ არმინიის დალაშქვრისა და თბილისის აღების შესახებ. მაგრამ არა გვგონია ეს საბუთად გამოდგეს, რადგან იგივე ავტორების ცნობები ეხებინ ასთარხანის და არა ბლუჩანის ლაშქრობას. რაც შეეხება ბლუჩანის ლაშქრობას, თუკი ასეთი რამ საერთოდ არსებობდა და ფაქტი ადრეული არაა ან იგი ასთარხანის ლაშქრობის გვიანდელ გამოძახილს არ წარმოადგენს, მაშინ სხვა დროს მომხდარ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

---

80 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 80—81; ა. ბოგვერაძე, ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI—VIII საუკუნეებში (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 292—293).

81 მატიანე ქათლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 249—250.

ხაზართა ლაშქრობებს ამიერკავკასიაში შემდეგაც ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა 176(792/3) წელს აღინიშნა[82]. მეორე — VIII ს. დასასრულს, 796, თუ 799 წელს[83]. ალ-ია'კუბის ჩვენებით, ამ თავდასხმის მიზეზი ის იყო, რომ 796(7/180) წელს ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის (786—809) მიერ არმინიის გამგებლად გაგზავნილმა სა'იდ იბნ სალმა იბნ კუთაიბ ალ-ბაჰილიმ თავისი უხეირო მოქმედებით აიმხედრა პატრიკიოსნი, ბაბუ ლ-აბვაბის მოსახლეობა და მისივე ბრძანებით მოკლული ამ ციხესიმაგრის მაშინდელი პატრონის ან-ნაჯიმ ალ-იბნ ჰაშიმის ვაჟი ჰაიუნ იბნ ან-ნაჯიმი. მამის დასჯით უკმაყოფილო ჰაიუნმა დახმარება სთხოვა ხაზართა ხაკანს, რომელიც დიდი ლაშქრით მოვიდა, მუსლიმებს დაედევნა და მტკვრის ნაპირამდე მოსვენებას არ აძლევდა. მემატიანის თქმით, ხაზარებმა ამ ლაშქრობისას უამრავი ხალხი გაწყვიტეს, ბევრი დაატყვევეს, ქვეყანა დააქციეს და 70 დღიანი თარეშის შემდეგ თავიანთ მხარეს მიაშურეს[84]. აზ-ზაჰაბის გადმოცემით, ასეთი უბედურება მოსახლეობას მანამდე არ უნახავს. ხაზარებმა მარტო ტყვეთა სახით 100000 კაცი წაიყვანესო დასძენს ას-სუიუტი. მაგრამ თავისი მასშტაბურობით რას-ტარხანის ლაშქრობა მაინც ყველაზე დიდი და შთამბეჭდავი იყო. მართალია, ხაზარებმა ამიერკავკასიაში დამკვიდრება ვერ შეძლეს, მაგრამ მათ თავდასხმებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ამ საშინელმა საომარმა მოქმედებამ, ერთი მხრივ, სერიოზული ზიანი მიაყენა „არმინიის" მოსახლეობას, ხოლო მეორე მხრივ, დაასუსტა არაბი დამპყრობლები და ამით ერთგვარი ხელსაყრელი პირობა შეუმზადა ადგილობრივ ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, მურვან ყრუს დამაქცეველი თარეშის დროს რომ დაიწყო და თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე არ შენელებულა. ნიშანდობლივი ისაა, რომ ამ ბრძოლებში სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ერთად გამოდიოდა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ორი ძირითადი ძალა: ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი ფეოდალების წინამძღოლო-

---

82 იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, VI, გვ. 65—66.

83 ა ზ - ზ ა ჰ ა ბ ი. დასახ. თხზულება, გვ. 285; History of the Caliphs, by Jalaladdin as-Suyuti, გვ. 216.

84 Я ' К у б и, დასახ. თხზულება, ტექსტი გვ. 8, თარგმანი, გვ. II; ა ტ - ტ ა ბ ა რ ი, III, გვ. 648; დერბენდ ნამე, გვ. 129—130; V. M i n o r s k y, A history of Sharvan, გვ. 69, 105,

ბით და არაბი ამირები, რომლებიც ცნობილნი არიან „მუთაღალიბეების“[85] სახელწოდებით[86].

ამ ამირებს სეპარატისტული ტენდენცია ამოძრავებდათ. მათი მიზანი იყო სახალიფოსაგან გამოყოფა და დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს შექმნით სრულუფლებიან მეფეებად გახდომა.

რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, მათ არაბთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ უბიძგებდა „არაბობის“ ისედაც მძიმე უღლის კიდევ უფრო დამძიმება, რაც უმთავრესად ბეგარა-გადასახადების გაზრდაში, ისლამიზაციისა და არაბთა მასობრივი ჩამოსახლების გამო არაბიზაციის დაჩქარებაში მდგომარეობდა.

ეტყობა, „არაბობის“ გამო ყველაზე მეტად შევიწროებულ-შეწუხებულნი მაშინ, აღმოსავლეთ საქართველოში მტკიცედ დამკვიდრებული წანარები (الصنا ر يّة) ყოფილან.

2. ქართველი ხალხის ბრძოლა არაბობის წინააღმდეგ.

ა) წანარების აჯანყება

წანართა ვინაობა-სადაურობის შესახებ ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული აზრი ჯერ არ არსებობს. ა. გენკოს ვარაუდით, წანარები ჩეჩნურ-ინგუშური წარმოშობისა და შემდეგ გაქართველებული ხალხია[87]. ამ თეორიის ზეგავლენით ვ. მინორსკისაც მიაჩნია, რომ წანარები ჩერქეზული წარმოშობისანი არიან და თავიდან კავკასიონის ზეკარის ხეობაში ცხოვრობდნენ[88]. მათი პირველსაცხოვრი-

---

[85] متغلّب ამბოხი, მოძალადე, ძლევამოსილი.

[86] მათ შესახებ იხ. П. К. Жузе, Мутагаллибы в Закавказье в IX-X вв. (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. III, თბ., 1937).

[87] А. Генко, Из культурного прошлого Ингушей (Зап. Ком. Востоковедцев, т. V, с. 710); В. Дондуа, А. Генко. Из культурного прошлого Ингушей (Язык и мышление, II, Ч., 1934, с. 146, რეცენზია). წანარებს ვეინახებად აცხადებს ა. მკრტუმიანიც (А. Г. Мкртумян, К вопросу об образовании феодального княжества Кахети. Историко-филологический журнал, Ереван, 1972, № 1, с. 231).

[88] V. F. Minorsky, Caucasica IV (BSOAS) Vol. XV. parte 3, 1935, с. 505—512; В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, М., 1963, с. 211,, прим. 100.

სის შესახებ ასეთივე აზრის არიან მ. ლორთქიფანიძე და თ. პაპუაშვილი. მათი დაკვირვებითაც წანარები დარიალის ხეობაში მოსახლეობდნენ, მაგრამ ა. გენკოსა და ვ. მინორსკისაგან განსხვავებით მათ ჩრდილოეთ კავკასიურ ხალხად კი არა, „ერთ-ერთ კახურ ტომად" მიიჩნევენ[89].

სულ სხვა აზრისაა ნ. მარი. მისთვის წანარები სვანები არიან[90]. მათ ეთნიკური ნიშნის მიხედვით სვანებად თვლის ს. კაკაბაძეც, ოღონდ მათ ადგილსამყოფელად ის აცხადებს არა დარიალის, არაფერად არაგვის ხეობას[91]. ამ ვარაუდის საპირისპიროდ წანართა პირველსაცხოვრისად დარიალის ხეობას, დაახლოებით დღევანდელი ყაზბეგის რაიონს უთითებენ ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, დ. მუსხელიშვილი, თ. პაპუაშვილი, შ. ბადრიძე, ჯ. გვასალია და სხვ.[92].

ზოგადად წანართა მთიელობას მხარს უჭერს ზ. ბუნიათოვიც, რომლის თანახმად ისინი არაგვის ხეობის აღმოსავლეთით, „მდინარე ალაზნის ჩრდილოეთით და შაქიდან ჩრდილო-დასავლეთით, ილისუს

---

89 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან („მასალები"..., ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 12—32); საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 390—391; თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, წანარები (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 11. 1987).

90 Н. Я. М а р р, Из поездок в Сванетию (Христянский Восток. СПб., 1913. т. II, вып. 1, с. 32).

91 С. Н. К а к а б а д з е, О племени Цанар (Исторический сборник. III, 1928, გვ. 111—113). წანარების სვანურ წარმოშობას მხარს უჭერს ჯ. გვასალიაც. (ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, წინარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის. საქართველოს მეცნ. აკადემიის „მოამბე", 59, № 3, თბ., 1970, გვ. 753; მისივე. „Историческая география Восточной грузии (автореферат). Тбилиси, 1986, с. 44. ნ. მარი — ს. კაკაბაძის შეხედულების საწინააღმდეგოდ ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ წანარების იგივეობა სვანებთან „ყოვლად საეჭვოა" (ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 623).

92. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხუზულებანი, II. თბ., 1983. გვ. 43; С. Н. Д ж а н а ш и а, К. критике Моисея Хоренского („მასალები"..., VI. თბ., 1937, გვ. 500); С. Т. Е р е м я н, Расселение горских народов Кавказа по Птолемею и «Армянской географии» VII в. (Труды VII Международного конгресса антропологических и этнографических наук. т. 8. М., 1970, с. 406; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ცოხე ქალაქი უჯარმა, თბ., 1966, გვ. 202—207; თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 290; მისივე რანთა და კახთა სამეფო (VIII—IX სს), თბ., 1982 გვ. 33; შ. ბ ა დ რ ი ძ ე, მმართველი ქორეპისკოპოსის ინს-

ოლქში“ ცხოვრობდნენ[93]. ბუნიათოვის ამ მოსაზრებას არ იზიარებს და წანარებს ქართლში მცხოვრებ ქრისტიანებად თვლის ო. ცქიტიშვილი[94].

ო. ცქიტიშვილის ეს დაკვირვება მთლიანად ემყარება არაბი მწერლის აბუ მუჰამმად აჰმად იბნ ა'სამ ალ-ქუფის ცნობას, რომელშიც ნათქვამია: წანარები „ჯურზანის“ ურწმუნო (არა მუსლიმ. — ბ. ს.). ტომთა ერთ-ერთი ტომიაო[95]. მართალია, „ჯურზანი“ არაბულ ლიტერატურაში ვიწრო გაგებით კი არის ქართლი, მაგრამ ფართო გაგებით იგი საქართველოს ან მთელ აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნავს. ამიტომ აჰმად იბნ ა'სამ ალ-ქუფის ცნობიდან გარკვევით არ ჩანს, რომ თავიდანვე წანარები მაინცდამაინც ქართლში ცხოვრობდნენ ან ქართლელები იყვნენ. ამ ეჭვს კიდევ უფრო საფუძვლიანს ხდის ალ-ქუფის თანამედროვე მეორე არაბი მოგზაურის, გეოგრაფისა და ისტორიკოსის აბუ ლ-ჰასან 'ალი ალ-მას'უდის (გარდაიცვალა 956 წ.) ჩვენება იმის შესახებ, რომ წანართა სამეფო მდებარეობდა ალანთა კარის ციხესიმაგრესა და თბილისის სასაზღვრო ოლქს შორის, შაქის სამეფოს მეზობლად[96]. შაქი კი ჰერეთს აღნიშნავდა[97].

ტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში („მაცნე“, ისტორიის... სერია, თბ., 1964, № 5, გვ. 100); ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 753.

93 А х м а д и б н А. С а м а л - К у ф и. Книга завоеваний (извлечения по истории Азербайджана VII—IX вв.). Перевод с арабского языка З. М. Буниятова, Баку, 1981, с. 83.

ნ. ემინის განმარტებითაც „წანართა ქვეყანა იმყოფებოდა ივერიის აღმოსავლეთით, დერბენდის მეზობლად“ В а р д а н, დასახ. თხზულება, გვ. 145, შენიშვნა 492).

94 ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, რაბთა მფლობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან („მაცნე“, ისტორიის..., სერია, თბ., 1986, 1, გვ. 73).

95 ა ლ-ქ უ ფ ი, დასახ. თხზულება, გვ. 65. ალ-ქუფის ცნობის არაბული ტექსტი ქართულ თარგმანთან ერთად დაბეჭდა ო. ცქიტიშვილმა (იხ. „მაცნე“, ისტორიის..., სერია, თბ., 1986, 1, გვ. 79—81).

96 المسعودى، مروج الذهب و معادن الجوهر، المجلد الاوّل، المطبعة الثالثة، بيروت، ١٩٧٨—م، يوسز اسعاد داغر، ج—١، ص; Al-Macudi, Les Proiries d'or.. Texte et traduction par. C. Barbier de Meynard, I—IX, Paris, 1861—1877, II, c. 67—68; Н. А. К а р а у л о в. Сведения арабских географов IX—X веков... (СМОМПК, вып. 38, с. 57); Ф. М и н о р с к и н, История Ширвана... с. 210—211. ეტყობა ბუნიათოვი ალ-მასუდის ამ ცნობის საფუძველზე ახდენს წანართა საცხოვრისის ლოკალიზაციას

97 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 85, 106/7; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ჰერეთი (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 404, შენ. 1).

როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, წანართა განფენილობის არიალი სცილდებოდა საკუთრივ ისტორიული ქართლის ტერიტორიას[98]. ვერ ვიტყვით, რომ წანარების საცხოვრისი VIII ს-ში ნამდვილად ამოდენა ტერიტორიაზე ყოფილიყო გადაჭიმული, თუმცა, არც ამის უარყოფა შეიძლება, რადგან არაერთი სანდო ცნობით დასტურდება, რომ წანარების სახით არაბთა სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას საქართველოში საქმე ჰქონდა ისეთ ძალასთან, რომლის დათრგუნვა ვერა და ვერ მოხერხდა. თქმა არ უნდა, რომ მცირერიცხოვანი დამცირესამფლობელოიანი ხალხი სახალიფოს ესოდენ მედგარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ვერც მეზობლებს გაიყოლიებდა მტერთან ბრძოლაში. წანარები კი ამას თავისუფლად ახერხებდნენ. როგორც მემატიანენი იუწყებიან, ისინი თავიანთ სამეფოში ბატონობდნენ მრავალ ადგილობრივ ხალხზე[99] და არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოდიოდნენ თანამორწმუნე (ქრისტიან) ხალხებთან ერთად[100].

თუ ალ-ქუფის ეს ცნობა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში წანარ-კახელთა მოკავშირეობის შესახებ სწორია და ამ „კავშირის" ინიციატორები წანარები იყვნენ, მაშინ სწორი უნდა იყოს ალ-მასუდის ზემოთ დამოწმებული ცნობაც, რომ წანარები ბევრ ადგილობრივ ქართულ ტომზე ბატონობდნენ და მათი სამეფო შაქის ან ჰერეთის სამეფოს ებჯინებოდა. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ დასაზუსტებელი რჩება კახეთის პოლიტიკური სტატუსი. დამოუკიდებლობის მოპოვების წინ (VIII ს. დასასრულს)[101] იგი თბილისის საამიროში შედიოდა და ამირას მორჩილებდა, თუ არაბთა ბატონობის დასამხობად ალმდგარ წანართა მეფის, რომელსაც მემატიანის ვადმოცემით „კურისკესი" ეწოდებოდა, ხელქვეითი იყო?

ვფიქრობთ, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ VIII ს. II ნახევარში კახეთი უკვე გამოსულია თბილისის ამირას და მაშასადამე, სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების მორჩილებიდან და წანარებთან გაერთიანებული მისი მოსახლეობა ქმნის ერთიან პოლიტიკურ

---

98 ჯ. გვასალიას ვარაუდით, არაბობის დროს „წანარეთი ფარავდა არაგვის ხეობაში მცხოვრებ ტომებსა და გარდაბნელებს" (ჯ. გვასალია, არაგვის კარი. კრებ. „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან", თბ., 1976, გვ. 146)).

99 Al-Macoudī, (ბარბიე დე მენარის გამოცემა), ტ. II, გვ. 67; В. ф. Минорский, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

100 ალ-ქუფი, დასახ. თხზულება, გვ. 234; ო. ცქიტიშეილი, დასახ. ნაშრომი, არაბული ტექსტი, გვ. 80, თარგმანი, გვ. 81.

101 მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 373).

ერთეულს — წანართა სამეფოს, რომლის ცენტრი ამ დროს თვით კახეთი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ამ დასკვნამდე მივყავართ არა მარტო ალ-მას'უდის, არამედ ალ-ბალაზურისა და იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის ცნობებსაც. მათი ჩვენებანი იმის შესახებ, რომ ხალიფა ალ-მანსურის დროს (754—775), იაზიდ იბნ უსაიდმა კახეთისაკენ ილაშქრა, წანარები დაამარცხა და ხარაჯით დაბეგრა[102], ერთნაირად უპერს მხარს ალ-მას'უდის ცნობასაც და ამ ცნობაზე დაფუძნებულ ჩვენ დასკვნასაც[103].

თუ ალ-მასუდის ნაამბობი იმის თაობაზე, რომ წანარები ბევრ ადგილობრივ ხალხზე ბატონობენ, ერთი მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ისინი მრავალნი, ძლიერნი იყვნენ და დიდ ტერიტორიასაც ფლობდნენ, მეორე მხრივ, იმაზეც აშკარად მიგვანიშნებს, რომ თვითონ ამ ადგილის მკვიდრნი კი არა, მოსული ყოფილან. მემატიანის თქმით, ქრისტიანი წანარები იყვნენ ნიზარიან არაბთა ტომის 'უკაილის განშტოების ჩამომავალნი, დიდი ხნის წინათ აქ მოსულნი და დამკვიდრებული[104]. ვ. მინორსკის ამ ვერსიისა არ სჯერა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წანართა სამშობლოდ ჩეჩნეთი მიაჩნია, რადგან თვით მას'უდის მიხედვითაც კი მათი პირველსაცხოვრისი სწორედ ეს რეგიონი, კერძოდ, დარიალანის (ალანთა კარის, ანუ დარიალის) ციხესიმაგრის მიდამოები ყოფილა.

მკვლევართა ხელთ დღეს არსებული მასალები არ არის საკმარისი ამის დასადგენად წანარები ნამდვილად ჩეჩნური მოდგმის ხალხი იყო

---

[102] П. К. Жузе, Из соч. Баладзори, «Книга завоеваний стран», Баку, 1927, გვ. 20; Compendium libri Kitāib al-Buldān auctore Ibn al-Fakih al-Hamadanī ed. M. J. de Goeje, Lugd.—Batavor., 1885, t. V, გვ. 294; А. Н. Караулов, Сведения арабских писателей о Кавказе... (СМОМПК, XXXI, Тифлиси, 1902, გვ. 31).

[103] ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრებით კი VIII ს-ში წანარეთი კახეთის სამთავროში შედიოდა (თ. პაპუაშვილი, წანარეთი, ქსე, 11; მისივე, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982). მაგრამ ეს შედარებით გვიან, VIII ს. დასასრულს შექმნილ ვითარებას უნდა ასახავდეს, როცა არაბებთან უთანასწორო და ხანგრძლივ ბრძოლაში დასუსტებულ-დამარცხებული წანარების შემდეგ ჰეგემონობას კახელები ეუფლებიან და წანართების ბაზაზე თავიანთ დამოუკიდებელ სამთავროს ქმნიან.

[104] В. Ф. Минорский, დასახ. ნაშრომი, გვ. 210; СМОМПК, XXXVIII, გვ. 57. ნ. გ. ვოლკოვას თქმით, არ შეიძლება ეს ხალხი დავუკავშიროთ „ვეინახების, ღალისტნელების ან ქართველების წინაპრებს" (Н. Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. М., 1973, გვ. 126—127).

თუ არა[105]. ამიტომ იმის მთლიანად უგულვებელყოფა, რასაც არაბი მემატიანე „წანართა პირველსაცხოვრისისა“ და ვინაობა-სადაურობის შესახებ იუწყება, სწორი არ იქნება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყობინება, ცხადია, მართალი არ არის. საეჭვოა, წანარებს რაიმე ნათესაური კავშირი ჰქონოდათ იემენიდან წამოსულ და სირიაში დაბინავებულ ნიზარიან არაბთა-უკაილის ტომის განშტოებასთან. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ცნობა ყურადღებას იმით იმსახურებს, რომ მის მიხედვით, წანარები ცენტრალური კავკასიონის რაიონში, კერძოდ არაგვ-დარიალის ხეობაში, მცირე აზიიდან მოსულნი ჩანან. ამ თვალსაზრისით აღნიშნულ ცნობას როგორღაც ეხმიანება და უფრო ფასეულს ხდის სომეხი ავტორის, ვარდანის ჩვენება, რომლის თანახმადაც ბაღდადის ამირას შიშით, თავიანთი პირველსაცხოვრისიდან აყრილი დიდი ჯგუფი ადამიანებისა კავკასიონის მთის ძირას იდებენ ბინას, ქრისტიანდებიან და ვრცელ სამფლობელოს ქმნიან. მისივე თქმით, სამშობლოდან ძალით აყრილი ეს ადამიანები იყვნენ „ხალტები“, რომლებმაც თავიანთ ახალ ადგილსამყოფელს პირველსაცხოვრისის მიხედვით „წანარქ“-ი უწოდეს[106]. დღეს უკვე კარგადაა ცნობილი, რომ სომხური წყაროს „ხალტ“ სატომო სახელია და აღნიშნავს „ხალდს“. ხალდები კი ერთ-ერთ დასავლურ ქართულ ტომს წარმოადგენდნენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, თანამედროვე ანატოლიის ტერიტორიაზე. სტრაბონის, პლინიუსის, ფლავიუს უფროსისა და სხვათა მიხედვით, იქვე ედო ბინა აგრეთვე იმავე ეთნიკური ჯგუფის ხალხს, ქართულ-ბერძნულ სამყაროში „სანები“-ს (//ზანების, //ჭანების), ხოლო სომხურში „წანები“-ს სახელით რომაა ცნობილი[107].

მაშასადამე, როდესაც მემატიანე იუწყება კავკასიონის მთის ძირას მოსულმა ხალტებმა (ხალდებმა) ახალ სადგომს მათი ძველი საცხოვრისის მიხედვით „წანარქ“, ანუ წანარეთი (წანართა ქვეყანა) უწოდესო, ამ ძველ საცხოვრისში, ანუ პირველ საცხოვრისში, უეჭვე-

---

[105] В. Дондуа, А. Генко. Из культурного прошлого ингушей (Язык и мышление, II, Л., 1954, с. 146 და შმდ).

[106] Всеобщая история Вардана Великого, М., 1861, с. 126.

[107] Г. А. Меликишвили, К истории Древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 252; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, XII, 3, 18, თბ., 1957, გვ. 203; მ. ინაძე, სანები. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია თბ., 1985, ტ. 9, გვ. 79; მისივე, ხალდები, ქსე, ტ. II, თბ., 1987, გვ. 417.

ლად, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ტრაპიზონის მახლობ-ლად) მდებარე ტერიტორია იგულისხმება[108].

სანები I საუკუნიდან რომის იმპერიაში შედიოდნენ და აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამიტომ აიყარნენ და მიუვალ მთებ-ში გაიხიზნენ. როგორც პროკოპი კესარიელის (VI ს.) ცნობიდან ჩანს, ნაწილს სანებისას ჭოროხის ხეობაში შეუფარებია თავი[109], ნა-წილს კი ეტყობა, უფრო შორს კავკასიონის მთებამდე მიუღწევია, იქ დაუდევს ბინა და ამ ადგილისათვის უწოდებია წანარეთი[110]. უდავოდ ეს ეპიზოდი უნდა ედოს საფუძვლად სომეხი და არაბი ავტორების გადასხვაფერებულ ვერსიებს წანართა ვინაობა-სადაურობისა და ა/კავ-კასიაში მათი მოსვლის მიზეზის შესახებ. ამავე დროს ისიც ცხადი ხდება, რომ ქართულსა და არაბულში დამკვიდრებული ფორმები „წა-ნარი“, „წანარეთი“, „სანარი“ (صنارى) „სანარეთი“ (صنارية) უნდა მომდინარეობდნენ არა უშუალოდ „სანი“-დან, არამედ მისი შესატყ-ვისი სომხური „წანარ“ და „წანარქ“-იდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართულში უნდა ყოფილიყო „სანი“ (მრ. „სანები“) ან „ს ო ნ ი“, ხო-ლო არაბულში — „სანი“ და „სჳნიათუნ“ ანუ „სანები“ და „სანეთი“, ე. ი. „წ“ და „რ“ თანხმოვნების გარეშე.

ის გარემოება, რომ ქართული ეთნიკური სახელი ქართულ ის-ტორიულ-გეოგრაფიულ წყაროებსა და ლიტერატურაში სომხური ფორმითაა დამკვიდრებული, გამორიცხავს, წანართა პირველსაცხოვ-რისად კავკასიონის რომელიმე რაიონის მიჩნევის შესაძლებლობას და კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ვარაუდს, მცირე აზიიდან, კერძოდ, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სომხური თემების მეზობლად მდებარე ტერიტორიიდან მათი აქ (კავკასიაში) მოსვლის შესახებ.

ამრიგად, თუ სანდო წყაროების მიხედვით გაკეთებული ეს მოკ-ლე ისტორიული ექსკურსი საფუძვლიანია, მაშინ ეჭვი არაა, რომ წა-ნარები (უფრო სწორად „სანები“) არც ჩეჩნურ-ინგუშური მოდგმის

---

108 თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი ს ვარაუდით, იქ წანარები კი არა, მხოლოდ მათი „წინაპრები“ ცხოვრებულან (თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, რანთა და კახთა სამეფო, გვ. 43).

109 მ. ი ნ ა ძ ე, სანები, ქსე, 9, გვ. 79.

110 წანარები ა/კავკასიაში ჩანან II ს-ში, პტოლემაიოსის დროს (ნ. ლ ო მ ო-უ რ ი, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. ცნობები საქართველოს შესახებ“, მასალები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 44.

ხალხია, არც სვანები, არც კახელები და არც არაბები, არამედ განეკუთვნებიან დასავლეთ-ქართულ ტომთა ოჯახს და მოსული არიან სამხრეთიდან[111] რომაელთა ბატონობის დროს და არა არაბობის ხანაში, ბაღდადის ამირას შიშით, როგორც ამას ვარდანი იუწყება. ქ. ბაღდადის ამირა რომ აქ შეცდომითაა მოხსენიებული ეს აშკარაა. წანარები ჰაბიბ იბნ მასლამა ალ ფიჰრის ალმოსავლეთ საქართველოში დახვდნენ 644/5 წელს, როცა ეს არაბი სარდალი ქვეყნის დასალაშქრავად მოვიდა, ხოლო ბაღდადი როგორც სახალიფოს ადმინისტრაციული ცენტრი თავის არსებობის ისტორიას ითვლის მხოლოდ 762 წლიდან. სწორედ ამ დროს, ე. ი. VIII ს. 60-იან წლებში ხდება არაბი ამირების: იუსუფ იბნ რაშიდ ას-სულამის, იაზიდ იბნ მაზიად აშ-შაიბანისა და ალ-ჰარაშის მიერ ნიზარელების, „რაბი'ა"-ს არაბული ტომებისა და ხვარასნელთა ჩამოსახლება არმინიაში (ამის შესახებ ქვემოთ). მაგრამ ისინი არც ხალდები იყვნენ და არც სხვა ქართული ტომები.

ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს ი: ალ-იაკუბის თქმით, წანართა აჯანყება, ხაზართა 764 წლის ლაშქრობიდან ცოტა ხანი რომ გავიდა, მაშინ დაწყებულა[112] და მას იმდენად ფართო ხასიათი მიუღია, რომ ხალიფა აბუ ჯა'ფარ ალ-მანსურს (754—775) მის ჩასაქრობად ალ-ჰასან იბნ ყაჰტაბა ატ-ტა'ი მოუვლენია 50000-იანი ჯარით[113]. მიუხედა-

---

111 წანარები რომ სამხრეთიდან არიან მოსული კავკასიაში ეს თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფიიდანაც დასტურდება. ფ. ქირზიოღლუსა და ქ. ქემალის მიხედვით, წანარები ლაზების წინამორბედები იყვნენ, ხოლო ორივენი ჩაღატაურ-ყივჩაღურ მოდგმას მიეკუთვნებოდნენ და ანატოლიაში ცხოვრობდნენ (F. Kirzioğlu, Osmanli-larin Kafkas-Ellerin fethi,. გვ. 85—86; მისივე, Lazlar//Canarlar, — VIII Türk Tarih Kongresi — 1970 Ankara, 1972. გვ. 421—445; K. K e m a l, Anadollun Doğu ve Cenapdoğusu. Ankara. 1933. გვ. 8. დამოწმებულია ლ. ურუშაძის საკანდიდატო დისერტაციიდან „საქართველოს XV—XVIII საუკუნის პოლიტიკური ისტორიის საკითხები XX საუკუნის თურქულ ისტორიოგრაფიაში", თბ., 1989, გვ. 99 და შმდ.). თურქული ავტორების მოსაზრებების მცდარობა ლაზებისა და წანების თურქული ჩამომავლობის შესახებ აშკარაა. მაგრამ ამ მოსაზრებებიდან საყურადღებო ის არის, რომ მისი მიხედვითაც წანარები და ლაზები ერთი მოდგმის ხალხები იყვნენ და ანატოლიაში ცხოვრობდნენ.

112 Я'К у б и, დასახ. თხზულება, გვ. 9.

113 ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან („მაცნე", ისტ,. ...სერია, თბ., 1986, I, გვ. 75, 79, 81). ყაჰტაბა ორჯერ მართავდა არმინიას: 754—759 და 771—775 წლებში. ა. ტერ-გევონდიანის მიხედვით აღნიშნული აჯანყება დაწყებულა ყაჰტაბა ატ-ტაის ამირობის პირველ პერიოდში (А. Н. Т е р - Г е в о н д я н, დასახ. ნა-

ვად ასეთი დიდი სამხედრო ძალისა, არმინიის გამგებელს წანარებისათვის ვერაფერი მოუხერხებია მათი მრავალრიცხოვნების გამო და ხალიფასათვის შველა უთხოვია.

ამ გარემოებით შეწუხებული ალ-მანსური იძულებული გამხდარა მისთვის მიეშველებია, ალ-იაკუბის ცნობით, 20000 მეომარი 'ამრ იბნ ისმა'ილ ალ-ჰარისის მეთაურობით[114], ხოლო აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფის მიხედვით, 30000-კაციანი რაზმი ოთხი არაბი სარდლის: 'ამრ იბნ ისმა'ილ ალ-ჯურჯანის, ისა იბნ მუსა ალ-ხურასანის, ალ-ფადლ იბნ დინარისა და მუკათილ იბნ სალიჰის თანხლებით[115].

სირიელ და ერაყელ მეომრებისაგან შემდგარი ეს ლაშქარი, რომლის საერთო ხელმძღვანელობა, წყაროს თანახმად, 'ამრ იბნ ისმა'ილს ევალებოდა, საქართველოში მისვლისთანავე წანარებს შეხვდა. ალ-იაკუბის ცნობით, „გააფთრებული ბრძოლა რამდენიმე დღეს გაგრძელდა და აჯანყებულთა მარცხით დასრულდა". ორივე მხარემ სერიოზული ზარალი განიცადა, მაგრამ განსაკუთრებით დიდი იყო აჯანყებულთა დანაკლისი. მარტო ერთ დღეს მათ 16 ათასი კაცი დაკარგეს მოკლულთა სახით[116], მათგან 10 ათასი — ბრძოლაში[117]. თქმა არ უნდა, რომ ეს ციფრები რამდენადმე გაზვიადებულია გარკვეული მოსაზრებით, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ომმა ხანგრძლივი ხასიათი მიიღო და მარტო ამბოხებულებმა ერთ დღეში ამოდენა ზარალი ნახეს მხოლოდ დახოცილთა სახით, — თავისთავად მეტყველებს როგორც აჯანყების მასშტაბურობაზე, ისე იმ მედგარ წინააღმდეგობაზე, რასაც თავისუფლებასმონატრებული წანარები, კახელები და ალბათ სხვებიც უწევდნენ მათზე უკეთ შეირაღებულ არაბთა მრავალათასიან ლაშქარს.

წყაროს თანახმად, გამარჯვებულმა ამირამ ყველა ტყვე გზაში გაწყვიტა თავისი ლაშქარი დამარცხებულ წანარებს დაადევნა და შემდეგ გზა თბილისისაკენ განაგრძო[118].

აჯანყების მიზეზებზე გვქონდა საუბარი, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ მღელვარება კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. ლე-

---

შრომი, გვ. 101), მაგრამ ეს წყაროები არ დასტურდება. მის სავარაუდო თარიღად 771 წელი უნდა მივიჩნიოთ.

114 Я'Кубн, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 6, თარგმანი გვ. 9, ანალოგიურ ცნობებს იძლევიან აგრეთვე ბალაზური და იბნ ფაციჰი.

115 ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75, 80—81.

116 Я'Кубн, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 6, თარგმანი გვ. 9.

117 ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78, 80—81.

118 Я'Кубн, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 6, თარგმანი გვ. 9.

ვონდის ცნობით, არაბ ამირებს უზომო გადასახადი დაუდეევთ მოსახ-ლეობაზე. დაუბეგრავთ არა მარტო ცოცხლები, არამედ მიცვალებულებიც, რომელთა წილი ცოცხლებს უნდა ეზღოთ. ამავე დროს, აბუ ჯა'ფარის განკარგულებით, ყველა გლეხს უნდა ჰქონოდა ჩამოკიდებული ბეჭდიანი ტყვიის ფირფიტა. გადასახადებით უკიდურესობამდე შეწუხებული გლეხები გარბოდნენ, ხევებსა და გამოქვაბულებს აფარებდნენ თავს, მაგრამ იქაც აგნებდნენ და არა მარტო ძარცვავდნენ, არამედ აწამებდნენ და ხოცავდნენ[119]. მერე, განა მარტო გლეხებს ექცეოდნენ ასე? არა, ამგვარად უსწორდებოდნენ სხვებსაც. დასცინოდნენ ეპისკოპოსებს, ამათრახებდნენ მღვდლებს, არ ერიდებოდნენ დიდებულთა შევიწროება-წამებასაც[120]. ამასთან, ჰასანის დროს მთელ არმინიაში გავრცელდა კალია, გახშირდა გადაუღებელი კოკისპირული წვიმები და სეტყვა, ქვეყანა შიმშილმა მოიცვა[121].

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებული წანარები არაბთა დამსჯელმა რაზმებმა დაამარცხეს და დასაჯეს, აჯანყების საბოლოოდ ჩაქრობა და წანართა დამორჩილება მაინც ვერ მოახერხეს; აჯანყება შემდეგშიც გრძელდებოდა, რადგან არსებობას განაგრძობდნენ ის პირობები, რომლებმაც მოსახლეობა მოძალადეთა წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმა. მემატიანის ცნობით, 785—786 წლებში აჯანყებას მთელი არმინია მოუცავს. ამბოხებულთა დასასჯელად გამოგზავნილ სარდალს ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმის მთელი წელი დასჭირვებია არაბთა ძალაუფლების აღსადგენად, ხოლო მის შემცვლელს იუსუფ იბნ რაშიდ ას-სულამის არმინიაში ნიზარელები დაუსახლებია. არაბთა ჩამოსახლების პოლიტიკა განუგრძვნია ას-სულამის შემცველ იაზიდ იბნ მაზიად იბნ ზაიდ აშ-შაიბანისაც, მას აქ ჩამოუსახლებია რაბი'ას ტომი. ხოლო მანამდე ამირა ალ-ჰარაშიმ არმინიაში დაასახლა აგრეთვე ხვარასნელების დიდი რაზმი[122].

არაბ მოხელეთა ასეთი პოლიტიკის მიზანი გასაგებია: მკვიდრი მოსახლეობის კომპაქტურობის დარღვევა, გამუსლიმების პროცესის

---

119 Гевонд დასახ. თხზულება, გვ. 115—116; А. Н. Тер-Гевондян, დასახ. ნაშრომი, გვ. 101—103.

120 ამის დასტურია ისიც, რომ დაახლოებით ამავე ხანებში (772—773) ხალიფამ ბაღდადში დაიბარა ქართლის ერისთავი ნერსე და სამი წელი ტყვეობაში ჰყავდა (ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 402).

121 Гевонд, დასახ. თხზულება, გვ. 95.

122 Я'Куби, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 8, თარგმანი გვ. 9—11.

დაჩქარება და საჭიროების შემთხვევაში თავიანთი ლაშქრის შევსება თუ ეს პროცესი შეუფერხებლივ გაგრძელდებოდა, ქართველობას გარდუვალი განადგურება მოელოდა. ამას აშკარად გრძნობდა ყველა ისიც იგრძნობოდა, რომ ამირების თვითნებობას საზღვარი აღარ ჰქონდა. ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოუჩენია საიდ იბნ სალამა იბნ კუტაიბ ალ-ბაჰილისა და მის შემცვლელ, ზემოთ უკვე ხსენებულ ამირა ხუზაიმ იბნ ხაზიმ ათ-თამიმის, რომელიც ხელმეორედ მოავლინა არმინიაში ხალიფა არ-რაშიდმა (786—809).

ალ-იაკუბის თქმით, ალ-ბაჰილი პატრიკოსებს იმდენად უხეშად ეპყრობოდა, რომ ისინი იძულებული გახდნენ ხაზარები ეხმოთ თავის გადასარჩენად[123].

პატრიკიოსთა ასეთი საქციელი ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმიმ მიუტევებლად მიიჩნია და ისინი, ხაზართა წასვლის შემდეგ, სიკვდილით დასაჯა. ასეთივე განაჩენი გამოუტანა მან მეფე-მთავართა ვაჟიშვილებსაც[124].

ამ ღონისძიებით არაბები ადგილობრივ მოსახლეობის დაშინება დამორჩილებას ცდილობდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით, მათ წინააღმდეგ აღსდგა ქართლ-კახეთი და მთელი წანარეთი. მემატიანის გადმოცემით, აჯანყებულთ დაუმარცხებიათ მოწინააღმდეგე და თბილისი დაუკავებიათ[125]. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ხუზაიმა იბნ ხაზიმი იძულებული გამხდარა ხაზიმ ათ-თამიმი გადაეყენებინა და მის მაგიერ აჯანყებულთა დათრგუნვა საიდ იბნ ალ-ჰაისამ იბნ შუ'ბა იბნ ზაფირ ათ-თამიმისათვის დაუვალებია. მას დიდი ვაი ვაგლახით ქართლი და კახეთი დაულაშქრავს, თბილისიც აუღია, მაგრამ აჯანყების მთლიანად ჩახშობა, ეტყობა, მაინც ვერ მოუხერხებია. ყოველ შემთხვევაში არსებობს ცნობა, რომ წანარები ამის შემდეგაც დიდხანს განაგრძობდნენ ბრძოლას[126].

ხალიფა ალ-მამუნის დროს (813—833) ამირა ხალიდ იბნ იაზიდ იბნ მაზიადმა წანარების მოსპობა გადაწყვიტა და ამ მიზნით დიდი ლაშქრობა წამოიწყო. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დასუსტებულმა აჯანყებულებმა იმ განზრახვით, რომ დაესვენათ, ძალები მოეკრიბათ და მოკავშირეების შეძენაზე ეზრუნათ, ხალიდს ზავი შეესთავაზეს ისინი პირობას დებდნენ, რომ იქნებოდნენ მორჩილნი, გადაიხდიდნენ

---

123 Я'Кубн, დასახ. თხზულება, გვ. 11.

124 იქვე, გვ. 12.

125 იქვე.

126 იქვე. გვ. 15. 18.

300 ულაყს (رمكة) და 20 ათას სულ ცხვარს. ამირა მათ დაუზავდა, მაგრამ, როგორც შემდეგ გახდა ნათელი, მოტყუებული დარჩა. აჯანყებულებმა, მოაგვარეს თუ არა თავიანთი საქმეები, ბრძოლა გაანახლეს და სხვებიც ააჯანყეს. კერძოდ, ამირას წინააღმდეგ ალსდგნენ „კაისინები“ (القيسية)[127]. ამავე დროს მიმდინარეობდა აჯანყებები სომხეთსა და აზერბაიჯანში, განსაკუთრებით საშიშ ხასიათს ღებულობდა ხურამელთა მოძრაობა, რომლის ორგანიზატორები ფართო აგიტაციას ეწეოდნენ მასებში არაბების წინააღმდეგ. ასე რომ, ქართლისა და კახეთის მოსახლეობა ახლა მარტონი აღარ იყვნენ. მათ მხარს უბამდა ამიერკავკასიის თითქმის მთელი მოსახლეობა, არაბებს მძიმე დღეები დაუდგათ, მათ ფეხქვეშ ყველგან, ყველა დაპყრობილ ქვეყანაში მიწა იწვოდა. ქართლის (თბილისის) საამიროს ჩამოყალიბებამ თავისი დანიშნულება ვერ გაამართლა. მემატიანის ცნობით, ამირას ხელისუფლება იმდენად სუსტი იყო, რომ არც ერთი მისი ბრძანება არ სრულდებოდა, ქვეყანა განდგომისაკენ მიექანებოდა[128]. რაც უფრო მეტი დრო გადიოდა ეს პროცესი მით უფრო ძლიერდებოდა, და ბოლოს შედეგად მივიღეთ ის, რომ საამიროს, რომელიც ჩამოყალიბებისთანავე მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა, VIII—IX სს-ში ჩამოშორდა ჯერ კახეთი[129] მერე სამცხე-ჯავახეთი და, ალბათ, ჩრდილო მთიანეთიც. თბილისის ამირას საბრძანებელი ამიერიდან მხოლოდ ქართლის ტერიტორიით შემოიფარგლებოდა და „თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით ადგილობრივი მთავრების დონეზე“ იდგა[130]. მაგრამ არაბების, როგორც პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კრიზისი მარტო ამაში არ გამოიხატებოდა. ხალიფოში ფართოდ გავრცელებული პარტიკულარიზმის საშიში სენი თბილისის ამირებსაც დასჩემდათ.

---

127 Я'Кубı, დასახ. თხზულება, ტექსტი გვ. 10, თარგმანი — 15—16.

128 იქვე, გვ. 12.

129 ს. ჯანაშია კახეთის გამოყოფის დროდ VIII ს. ასახელებს (ს. ჯანაშია, „შრომები, II, გვ. 391).

130 ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 404—405.

მეექვსე თავი

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა IX ს. II ნახევარში

I. თბილისის ამირების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

ალ-ამინის ხალიფობის (809—813) დასაწყისში ცენტრალური ხელისუფლებისადმი მორჩილებაზე უარი თქვა ისმა'ილ იბნ შუაიბმა. ცხადია, მას ასეთ თვითნებობას არავინ აპატიებდა და ხალიფა ალ-მაᲗუნმა (813—833) ტახტზე ასვლისთანავე იგი მუჰამმად იბნ ათაბით შეცვალა. ერთხანს ახალი ამირა მტკიცედ იცავდა სახალიფოს ინტერესებს, მერე ისიც მისი წინამორბედის გზას დაადგა. დაახლოებით 829—830 წელს, როცა წანართა აჯანყებამ კვლავ იფეთქა და არაბებისათვის მძიმე ვითარება შეიქმნა, მუჰამმად იბნ ათაბმა დრო იხელთა და ცენტრალურ ხელისუფლებას განუდგა.

ალ-ია'კუბის ცნობით, ალ-მამუნს ურჩი ამირას დასასჯელად და მისი ადგილის დასაკავებლად აბდ ალ-'ალი იბნ აჰმად იბნ იაზიდ იბნ უსაიდ ას-სულამი გამოუგზავნია, მაგრამ ამბოხ ამირას იგი სასტიკად დაუმარცხებია. მაშინ მუჰამმად იბნ 'ათაბის წინააღმდეგ დაუძრავთ ხალიდ იბნ იაზიდ იბნ მაზიადი. ის დიდი ლაშქრით ქისალს[1] დაბანაკებულა, იქიდან მუჰამმად იბნ ათაბს დაკავშირებია და უთხოვია, მის ბანაკში გამოცხადებულიყო. მუჰამმადს თხოვნა შეუსრულებია, ის ხალიდს ხლებია და დანებებია, რისთვისაც „ამანი" დაუმსახურებია[2].

---

[1] როგორც უკვე ითქვა, ზოგიერთის განმარტებით, ქისალი ქსანია. ვ. მინორსკი და დ. მუსხელიშვილი კი მას „ყაზახად" (Khazah) მიიჩნევენ (V. Minorsky, Kasal. Revue des Etudes Armeniennes, t. X, გვ. 120 — 123; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 28—29.

2 Я'Кубн, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 10, თარგმანი, გვ. 15.

ამავე დროს, ხალიდს უკითხავს: „წანარები შენ გემორჩილებიან თუ არაო“. ამაზე მუჰამადს მიუგია: „არა, ისინი ჩემი მორჩილი არ არიანო“[3]. საინტერესო ცნობაა. იგი იმით იპყრობს ყურადღებას, რომ კახეთი, რომელიც მაშინ წანარების მოქმედების ძირითადი რეგიონი და წანარეთის ცენტრი იყო, უკვე არაბთა ბატონობისაგან თავისუფალ, დამოუკიდებელ, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა.

ს. ჯანაშია მარქვარტის გაანგარიშების საფუძველზე ვარაუდობს, რომ წანართა აჯანყება და ამირ მუჰამმად იბნ ‘თაბის განდგომა 829 წელზე ადრე არ შეიძლებოდა მომხდარიყო[4], რაც მთლიანად დასტურდება არაბულ წყაროთა მონაცემებითაც.

ამ ეპიზოდში, გარდა სახალიფოსაგან თბილისის ამირას განდგომისა, ყურადღებას იქცევს ისიც, რომ განდგომილი უშუალო კავშირშია ადგილობრივ მოსახლეობასთან, ამ შემთხვევაში ასევე მეამბოხე წანარებთან და მათი იმედით მოქმედებს. თუმცა, როგორც სარწმუნო ცნობები მოწმობს, ეს შემთხვევა გამონაკლისი არ ყოფილა მაშინდელ პრაქტიკაში.

მუჰამმად იბნ ათაბის დანებება-დამარცხების შემდეგ ამირა ხალიდმა ქართლი დაიკავა და ერთი წელი რომ გავიდა, თბილისის ამირას პოსტი (830 წ.) ისჰაკ იბნ ისმაილ იბნ შუაიბს გადაულოცა[5] იმ იმედით, რომ ის მუდამ მორჩილებაში იყოლიებდა ქართლის მოსახლეობას და მტკიცედ დაიცავდა სახალიფოს ინტერესებს. მაგრამ იმედი არც ამჯერად გამართლდა. სეპარატისტული ტენდენცია იმდენად ძლიერი იყო, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ისჰაკმაც გატეხა ფიცი. ზურგი შეაქცია ხალიფას და ადგილობრივი მოსახლეობის დახმარების იმედით ცენტრალურ ხელისუფლებას გადასახადი შეუწყვიტა.

გადასახადის შეწყვეტა განდგომას ნიშნავდა, ხოლო ერთიცა და მეორეც უარყოფითად მოქმედებდა სახალიფოს საერთო მდგომარეობაზე. ამიტომ ბაღდადში კვლავ დაისვა საკითხი თბილისის ამირას შესაცვლელად. ალ-მამუნმა საქმის მოგვარება არმინიის ვალის ალ-ჰასან იბნ ‘ალი ალ-ბაზღისის დაავალა. ამ უკანასკნელმა ურჩ ამირას დვინიდან თავისი წარმომადგენლები გაუგზავნა და მისგან ის საგადასახადო თანხა ითხოვა, რომელსაც იგი საამიროში კრებდა და სახა-

---

3 Я‘Кубн, დასახ. თხზულება, ტექსტი გვ. 10, თარგმანი, გვ. 15.

4 ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 405.

5 ასეთივე ცნობა ოდნავი ქრონოლოგიური სხვაობით შემონახულია ქართულ წყაროებშიც (მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 254).

ლიფოს ხაზინაში შეტანის ნაცვლად თვითონვე ითვისებდა. ისჰაკი თავიდან უარს ამბობდა არმინიის გამგებლის წინადადების შესრულებაზე. მაგრამ, როცა მან შეიტყო, რომ ალ-ჰასან იბნ ალ-ბაზღისი დვინიდან გამოსულიყო დიდი ლაშქრით მის დასასჯელად, თავის გადაწყვეტილებაზე უარი თქვა, ჰასანს საზეიმო შეხვედრა მოუწყო, ქალაქგარეთ შეეგება და სახალიფოს ვალიც მიართვა[6].

სხვა ცნობით, რომელიც ალ-ბალაზურის ეკუთვნის, ეს ამბავი ალ-მამუნის დროს კი არა, მისი შემცვლელი მუთასიმ ბილლაჰის ხალიფობის (833—843) პერიოდში ჩანს. ალ-ჰასან იბნ 'ალი ალ-ბაზღისი ამირად მუთასიმმა დანიშნაო, — იუწყება მემატიანე[7]. ასეთი სხვაობა იაკუბისა და ბალაზურის ჩვენებებს შორის იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ბაზღისის თბილისისაკენ გაგზავნა ალ-მამუნის ხალიფობის დასასრულსა და მუთასიმის ზეობის დასაწყისში (833) მომხდარა.

ბალაზური ჰასან იბნ 'ალი ალ-ბაზღისის ლმობიერ გამგებლად წარმოგვიდგენს. მან ისე გაანებივრა ქვეყნის პატრიკოსები და თავისუფალი ადამიანები (აზნაურნი?) და ისე რბილად ეპყრობოდა მათ, რომ ხალიფას ხელისუფლება ალარაფრად მიაჩნდათო. ისეთებს შორის, ვინც ცენტრალურ ხელისუფლებას ალარ სცნობდა, მემატიანე ასახელებს ისჰაკ იბნ ისმა'ილ იბნ შუ'აიბსა და საჰლ იბნ სუნბატ ალ-პატრიკიოსს. ისჰაკს ქართული მიუტაცნია, სუმბატი კი ჰაიდარ იბნ ქავუს ალ-აფშინს დასხმია თავს და არ-რანიდან გაუძევებია[8]. სხვა ცნობით კი ბალაზურის მიერ აღნიშნულ ამ ამბებს ადგილი ჰქონია არა ჰასან იბნ 'ალის დროს, არამედ ცოტა უფრო გვიან, როცა არმინიას მართავდა მუჰამმად იბნ სულაიმან ალ-'აზდი ას-სამარკანდი. ალ-ია'კუბის ცნობით, იგი მაშინ მოვიდა არმინიაში, როცა საჰლ იბნ სუნბატმა არ-რანში აჯანყება მოაწყო და მას დაეპატრონა. მუჰამმადმა დაიკავა თუ არა თანამდებობა, არ-რანისაკენ დაიძრა, მაგრამ საჰლი თავს დაესხა მას ღამით და გააქცია. ეს რომ მუჰამმად იბნ აბდ ალლაჰ ალ-ვარსანიმ შეიტყო თვითონაც აჯანყდა და მის წინააღმდეგ ალ-აფშინმა მინქიჯავრი გაგზავნა. მუჰამმადს დამცველად მოევლინა ა'ლი იბნ იაჰია ალ-'არმანი, რომელმაც პატიება სთხოვა ხალიფა ალ-მუთასიმს და მანაც პატია, ხოლო მის ადგილზე აფშინმა მუჰამმად იბნ ხალიდ ბუხარახუზი დანიშნა.

---

6 Я'Куби, დასახ. თხზულება, ტექსტი გვ. 11, თარგმანი, გვ. 16.

7 Баладзори, დასახ. თხზულება, ტექსტი გვ. 15, თარგმანი, გვ. 21.

8 იქვე.

ამ დროს ისევ ბობოქრობდნენ წანარები. მუჰამმადმა ისინი დაამარცხა და პირი თბილისისაკენ (ქართლისაკენ) იბრუნა, მას იქ გულითადი შეხვედრა მოუწყო და უხვი საჩუქრებიც უბოძა ისჰაკ იბნ იბრაჰიმმა[9].

ბალაზურისა და იაკუბის ცნობები რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ია'კუბი არაფერს ამბობს, ჰასან იბნ ა'ლი ალ-ბაზღისის ლმობიერებასა და თბილისის ამირას განდგომაზე. თავის მხრივ, ბალაზური სდუმს წანარების აჯანყების შესახებ. მიაჩნია, რომ მის მიერ აღწერილი ამბები მოხდა ჰასან იბნ 'ალი ალ-ბაზღისის დროს. ხოლო ია'კუბის თანახმად ყოველივე ამას ადგილი ჰქონდა ჰასან იბნ ალის შემდეგ, კერძოდ მუჰამმად იბნ სულაიმან ალ-'აზდი ას-სამარკანდისა და მუჰამმად იბნ ხალიდ ბუხარაჰუზის მმართველობის ხანაში, დაახლოებით 222—223 (837—838) წლებში. მაგრამ ამ განხვავებებთან ერთად არ შეიძლება არ დავინახოთ მთავარი, რაც ამ ცნობებს აერთიანებს — ესაა სახალიფოს წინააღმდეგ მიმართული ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა, რომელშიც თვით არაბი მოხელეებიც, მათ შორის თბილისის (ქართლის) ამირებიც მონაწილეობენ, რათა დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ. ბალაზურის ცნობის სისწორე საჰაკის განდგომის შესახებ ია'კუბის ცნობითაც დასტურდება. მუჰამმად იბნ ხალიდ ბუხარაჰუზი წანარების დამარცხების შემდეგ თბილისისაკენ ისე არ წავიდოდა და საჰაკიც მას ისეთ შეხვედრას არ მოუწყობდა, რომ დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი ცენტრალური ხელისუფლების წინაშე. ეს დანაშაული კი, როგორც ბალაზური ამბობს, ხარკის გადახდაზე უარის თქმა და განდგომა იყო.

ცენტრალური ხელისუფლებიდან განდგომას ხშირად მარტო იმიტომ კი არ მიმართავდა ესა თუ ის ვალი, რომ აუცილებლად დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა, არამედ მას აიძულებდა და აქეთკენ უბიძგებდა შექმნილი გარემოება. კერძოდ, სანამ სახალიფო დაპყრობით ომებს დაასრულებდა, ნადავლი იმდენად დიდი იყო, რომ ცენტრალურ ხაზინას თავისუფლად შეეძლო იმ კონტიგენტის დაკმაყოფილება ფინანსებით, რომელიც დაპყრობილ ქვეყნებში იდგა არაბთა ბატონობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის. ამ დროს თვით დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობაც კი შედარებით მსუბუქად გრძნობდა თავს, ის მხოლოდ ხარკს უხდიდა დამპყრობელს ჯიზიისა და ხარაჯის სახით. მაგრამ როგორც კი დაპყრობითი ომების ციკლი დასრულდა,

---

[9] Я' Куб и, დასახ. თხზულება, ტექსტი გვ. 12, თარგმანი, გვ. 18.

იმდროიდან შემოსავალმა იკლო, ხაზინამ თანდათანობით დაცლა იწყო და სახალიფო მწვავე ფინანსურმა კრიზისმა მოიცვა. ქრონოლოგიურად ეს პროცესი უმაიელთა ბატონობის დასრულების შემდეგ, VIII ს. 50-იანი წლებიდან დაიწყო და, რაც დრო გადიოდა მით უფრო მწვავდებოდა. ასეთ ვითარებაში ხალიფები იძულებული ხდებოდნენ დანაკლისის ანაზღაურებლად დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობაზე გაეზარდათ გადასახდელი თანხის ოდენობა, რაც ბუნებრივად იწვევდა არაბთა უღლის დამძიმებას და საყოველთაო უკმაყოფილებას. უკმაყოფილების ზრდა იწვევდა დაპყრობილ ქვეყნებში არაბთა ბატონობის დამცველი შეირაღებული რაზმების რაოდენობის გადიდებას (ამის შედეგად შეიქმნა თბილისის საამირო), ხოლო ამას თან ახლდა მათთვის საჭირო ხარჯების გადიდებაც. მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა ცენტრალურმა ხელისუფლებამ იმით სცადა, რომ შეუწყვიტა გასამრჯელოს მიცემა ცალკეული ამირების განკარგულებაში მყოფ ჯარისკაცებს და მათი უზრუნველყოფა უნდა მოეხდინათ თვით ამირებს მათი სახელოს მოსახლეობიდან მიღებული ხარკის ნაწილის გაცემის გზით. მაგრამ ხარკს აღარავინ იხდის და ჯარისკაცებიც გასამრჯელოს აღარ იღებენ, რის გამო უკმაყოფილონი არიან და ამირისაგან თავისას მოითხოვენ. აი რას მოგვითხრობს ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ ალ-ია'კუბი: მუჰამმად იბნ ხალიდ ბუხარაჰუზის შემდეგ არმინიის გამგებლად ალი იბნ ალ-ჰუსაინ იბნ სიბა' ალ-კაისი გაიგზავნა. ის იმდენად სუსტი იყო, რომ მოსახლეობა მას ამის გამო ობოლს ეძახდა. „მას ბარდავში ჯარისკაცები აუჯანყდნენ და გასამრჯელო მოსთხოვეს, მაგრამ მან უპასუხა, რომ არაფერი არ გააჩნია, ყველაფერი ქვეყნის მოსახლეობის ხელთაა"[10]. ჯარისკაცთა დაშოშმინების მიზნით „'ალი იბნ ჰუსაინმა მოსახლეობას გადასახადების გადახდა მოსთხოვა. ისინი კი თავიანთ ციხესიმაგრეებში ჩაიკეტნენ, მერე ერთმანეთს დაუკავშირდნენ, შეგროვდნენ და ბარდავს გარს შემოადგნენ"[11].

ასეთი რთული მიზეზ-შედეგობრივი ნასკვის გახსნა იოლი საქმე არ იყო. ამირები რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. თუ მათ იმის საშუალება არ ჰქონდათ, რომ ჯარისკაცთა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინათ, ცენტრალურ ხელისუფალთ რას გაუგზავნიდნენ. არადა ამას ურჩობად ჩაუთვლიდნენ და დაუსჯელს არ დატოვებდნენ. ეს კარ-

---

10 Я' Куби, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 12, თარგმანი, გვ. 18.

11 იქვე, ტექსტი, გვ. 13, თარგმანი, გვ. 18.

გად ესმოდათ ამირებს და ამიტომ იძულებული ხდებოდნენ გამდგარიყვნენ (რადგან თანამდებობის დაკარგვა არ სურდათ) და თავდაცვის საქმეში მოკავშირედ არაბობის მოწინააღმდეგე ძალა, ადგილობრივი მოსახლეობა გამოეყენებინათ. ასე რომ, განდგომა ყოველთვის ამირთა თვითმიზანი კი არ იყო, არამედ იძულებითი ღონისძიებაც თანამდებობრივი და ქონებრივი მდგომარეობის შესანარჩუნებლად.

* * *

მშვიდობა, მუჰამმად იბნ ხალიდ ბუხარაჰუზსა და თბილისის ამირა საჰაკს შორის ხალიფა ალ-მუთაჯიმის ზეობის (833—842) მეორე ნახევარში რომ იქნა მიღწეული, ხანმოკლე გამოდგა. მუჰამმად იბნ ხალიდის შემცვლელმა, ალი იბნ ალ-ჰუსაინ იბნ სიბა' ალ-კაისიმ გასამრჯელოთი ჯარისკაცების დაკმაყოფილების მიზნით, მოსახლეობას გადასახადები მოსთხოვა. მათ კი ამაზე უარი განაცხადეს და, როგორც უკვე ითქვა, საყოველთაო აჯანყება მოაწყვეს. ქართული წყაროს ჩვენებით, მღელვარება ალმოსავლეთ საქართველოსაც მოსდებია. აჯანყებულან „გარდაბანელნი"[12] და თბილისის ამირა[13]. აჯანყებულთა დასასჯელად და არაბთა ბატონობის აღსადგენად ხალიფამ არმინიის გამგებლობა კვლავ ხალიდ იბნ იაზიდს მიანდო, მაგრამ, ეტყობა, მას ამჯერად წარმატება არ ჰქონია. თბილისის ამირას, გარდაბნელთა აქტიური დახმარების წყალობით, იგი სასტიკად დაუმარცხებია: „შეებნეს გარდაბანელნი, გავაზს; და გააქციენ ხალიდი, და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი. კუალად დაჯდა ამირად ტფილისს საჰაე ისმაილის ძეო", გვაუწყებს „მატიანე ქართლისა"[14]. ამას, როგორც მოსალოდნელი იყო, მოჰყვა ხალიდის ახალი, რიგით მესამე, ლაშქრობა. იგი ამჯერად დიდი ლაშქრით მოვიდა. შეიტყვეს თუ არა ამის შესახებ. არმინია-აზერბაიჯანის განდგომილნი შეკრთნენ და უმეტესობამ მაშინვე აცნობა, რომ ხალიფას ერთგულნი იქნებოდნენ. ამავე დროს საჩუქრებიც გაუგზავნეს, მაგრამ მან განაცხადა, რომ საჩუქრებს მიიღებდა მხოლოდ იმათგან, ვინც პირადად გამოცხადდებოდა მასთან. ხალიდმა ასეთივე ბრძანება გაუგზავნა ისჰაკ იბნ ისმაილსაც და აუწყა, ისიც დაუყოვნებლივ გამო-

---

12 გარდაბანი არს „ბელუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანამდე", „ალაზნის გაღმართი ჩაყოლება" (ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 24 და 254).

13 იქვე. გვ. 254—255.

14 იქვე.

ცხადებულიყო. აჯანყებულნი მიხვდნენ რისთვისაც იბარებდა ხალიდი. თბილისის ამირამ კი პირდაპირ შეუთვალა, რომ ის მასთან არ ვამოცხადდებოდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ვალის განზრახვა, ამბოხი მეთაურების შეპყრობასა და დასჯას რომ გულისხმობდა, ჩაიფუშა. ახლა ეს საკითხი ძალას უნდა გადაეწყვიტა და ხალიდმაც აღარ დააყოვნა. ალ-იაʿკუბის ცნობით, მან თავისი ლაშქარი ისჰაკ იბნ ისმაილისაკენ დასძრა და კინაღამ ხელთ იგდო იგი, მაგრამ ხალიდის ავად გახდომამ და სიკვდილმა თბილისის ამირა გადაარჩინა[15]. ცნობა ხალიდ იბნ იაზიდის საქართველოში მესამედ მოსვლის შესახებ ქართულ წყაროშიც მოიპოვება, მაგრამ ამ ცნობის თანახმად, არაბი სარდალი ავადმყოფობით კი არ გარდაცვლილა, ჯავახეთს მოუკლავთ[16], რაც არ უნდა იყოს სინამდვილეს მოკლებული.

აღნიშნული ლაშქრობის თარიღში წყაროები ერთმანეთს არ ეთანხმებიან. „მატიანე ქართლისას“ ავტორი ამის შემდეგ მომხდარ ამბავს, როცა, ერთი მხრივ, მუჰამმადი და ბაგრატ ამოტის ძე კურაპალატი, ხოლო მეორე მხრივ, თბილისის ამირა საჰაკი თავისი მოკავშირე „კახნა—გარდაბანელი“-თ ერთმანეთს შეებნენ რეხს (გორს), ათარიღებს 841(219) წლით[17]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხალიდის მესამე ლაშქრობა უნდა მომხდარიყო 841 წლამდე. იაკუბის თანახმად კი ივივე ლაშქრობა 842 წელზე ადრე არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ხალიდ იბნ იაზიდი არმინიაში ხალიფა ალ-ვასიკს (842—847) გამოუგზავნია[18]. არაბი მწერლის ცნობას მხარს უჭერს სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ტარონეცის (ასოლიკის) ცნობა. სტეფანოსის მიხედვით ხალიდის მესამე ლაშქრობა 842 წელს გამართულა[19].

ხალიდ იბნ იაზიდის სიკვდილის შემდეგ მისი ლაშქარი დაიფანტა და ამით არაბთა მდგომარეობა საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში კიდევ უფრო გართულდა. მოსახლეობის ბრძოლამ დამპყრობთა წინააღმდეგ საგრძნობლად იმატა და ისეთ დონეს მიაღწია, რომ, თუ სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლება მის ჩახშობას დროზე ვერ მოახერხებდა, ამიერკავკასიას სამუდამოდ დაჰკარგავდა. ამას გრძნობდა ალ-ვასიკი. ამიტომ მან არმინია სამართავად ხალიდ

---

15 Я' Куби, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 13, თარგმანი, გვ. 19.

16 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 255.

17 იქვე.

18 Я' Куби, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 13, თარგმანი, გვ. II.

19 Степанос Таронский (Асолик), Всеобщая история, с. 77; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 498.

იბნ იაზიდის ვაჟს მუჰამმად იბნ ხალიდს ჩაბარა, მას აჰმად იბნ ბისტამი მიაშველა და კავკასიისაკენ გზა დაულოცა. ეტყობა, აჯანყებამ ყველაზე საშიში ხასიათი საქართველოში მიიღო და მუჰამმადმაც სწორედ აქეთკენ მოაშურა. ალ-იაʿკუბის ცნობით, მან იერიში მიიტანა წანარებზე, თბილისის ამირა ისჰაკზე და მანამდე ებრძოდა, სანამ (ისჰაკი) ქვეყნიდან არ გააძევა და წანარები არ უკუაქცია. თვითონ კი განაგრძობდა ქვეყნის მტკიცედ მართვას[20]. იგივე ამბავი სულ სხვანაირადაა მოთხრობილი ქართულ წყაროში. „მატიანე ქართლისაში“ აღნიშნულია, რომ ხალიდ იბნ იაზიდის ძე „მოჰამედ მოვიდა ქართლს. მოერთო მას ბაგრატ ძე აშოტ კურაპალატისა, და მისცა მას ქართლი... მაშინ გამოვიდა საჰაკ, ამირა ტფილელი, ლაშქრითა და დადგა რეკს, ხოლო მოჰამედ და ბაგრატ წარიღეს უფლისციხე. და მოვიდეს კახნი გარდაბნელნი შუელად საჰაკისა; შეიბნეს რეკს და იყო ბრძოლა მათ შორის: არცა იგინი გაიქცეს და არცა იგინი, ვიდრემდის გაიყარნეს. აიყარა მოჰამედ და წარვიდა ბარდავს“[21]. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მუჰამმადის მოსვლამდე მტრული დამოკიდებულება ყოფილა ბაგრატ კურაპალატსა და თბილისის ამირას შორის. როდესაც მუჰამმად იბნ ხალიდი მოსულა ბაგრატს მისთვის უმხრია, რისთვისაც ქართლი მიუღია და ორივეს ერთად დაუკავებია უფლისციხე. ამირა ისჰაკი თავისი ლაშქრით და დამხმარე წანარებით რეხს (ანუ გორს) მისულა. იქ გამართულ ბრძოლაში „არმინიის“ ვალის თბილისის ამირა ვერ დაუმარცხებია და გაწბილებულს საქართველო დაუტოვებია.

ივ. ჯავახიშვილი უპირატესობას ქართული წყაროს ჩვენებას ანიჭებს და სრულიად მართებულად დაასკვნის, რომ თბილისის ამირას დამარცხების შემთხვევაში ბუღა თურქის საგანგებო ლაშქრობა საჭირო აღარ იქნებოდა[22]. მაგრამ ქართულ წყაროში დაშვებულია მცირე ქრონოლოგიური უზუსტობა. ეს ლაშქრობა მოწყობილი უნდა იყოს 842—843 წლებში და არა „მუჰამმადის გამოჩინებითგან... ორას ცხრამეტ“[23], ანუ 841 წელს.

მუჰამმად იბნ ხალიდის ბარდავს წასვლა, უდავოდ, მის დამარცხებას ნიშნავდა. ამას კი, როგორც სანდო ცნობებიდან ვგებულობთ,

---

20 Я' Кубн, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 14, თარგმანი გვ. 19.
21 ქართლის ცხოვრება, 1, თბ., 1955, გვ. 255.
22 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 97.
23 ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 255.

სათანადო რეაქცია გამოუწვევია, ერთი მხრივ, „არმინიის“ მოსახლეობაში, ხოლო, მეორე მხრივ, ხალიფას კარზე. არმინიაში იმატა აჯანყებულ პატრიკიოსთა რიცხვმა, საქართველოში გრძელდებოდა წანართა ანტიარაბული ბრძოლები, კვლავ დამოუკიდებლობას იჩემებდა თბილისის ამირა.

ყოველივე ეს მოსვენებას არ აძლევდა ჯერ ხალიფა ალ-ვასიკს, შემდეგ მის შემცველ მუთავაქილს (847—861). მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მუთავაქილმა დაიკავა თუ არა ხალიფას პოსტი, არმინიიდან გაიწვია შუჰამმადი და მის ნაცვლად აქ მოავლინა აბუ საიდ მუჰამმად იბნ იუსუფი, მაგრამ იგი სანამ სამზადისს მორჩებოდა მოულოდნელად გარდაიცვალა[24]. მის მიერ გამზადებულ ლაშქარს ხალიფამ სათავეში აბუ საიდის ვაჟი იუსუფი ჩაუყენა[25].

იუსუფი არმინიაში დიდი ლაშქრით გამოცხადდა და პატრიკიოსებს შეუთვალა, ყველაფერს აპატიებდა თუ მასთან გამოცხადდებოდნენ ერთგულების შესაფიცად. ალ-ია'კუბის ცნობით, ზოგიერთისაგან თანხმობა მიუღია, ხოლო ბაგრატ ამოტის ძე ხლებია კიდეც, მაგრამ ვალის დაპირება არ შეუსრულებია, ბაგრატი შეუპყრია და დასასჯელად მუთავაქელისათვის გაუგზავნია[26]. ამავე დროს მის ერთ-ერთ სარდალს ალ-'ალა' (العلاء) იბნ აჰმადს სისაჯანის ყველაზე პატივდებული მონასტერი „დირ ალ-აკდაჰი“ (دير الأقداح), სადაც უამრავი შეწირული სიმდიდრე ყოფილა თავმოყრილი, მთლიანად გაუძარცვავს და ამით ყველა გაუნაწყენებია[27].

იუსუფ იბნ აბუ სა'იდ მუჰამმად იბნ იუსუფ ალ-მარვაზის მეხანათობამ მოსახლეობის ახალი მძლავრი მღელვარება გამოიწვია. ალ-ბალაზურის ცნობით, მოთმინებადაკარგული პატრიკიოსნი ერთმანეთს ამბოხებისაკენ მოუწოდებდნენ. ისინი აგულიანებდნენ ხუვაისიანელ[28] (არაბეთიდან ჩამოსახლებული ტომის) „'არტანებსა“ (გაჭირვებულთ) და ყველა „მუთაღალიბს“, რომ მონაწილეობა მიეღოთ

---

24 იბნ ალ-ასირის მიხედვით ეს 236 (850/1) წელს მომხდარა (ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, დასახ. თხზულება, ტ. VII, გვ. 22).

25 Я' К у б и, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 14, თარგმანი, გვ. 20.

26 იქვე,

27 Б а л а д з о р и, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 15, თარგმანი, გვ. 21.

28 ე. ცაგარეიშვილი ვარაუდობს, რომ ისინი უნდა იყვნენ ატ-ტაბარისთან მოხსენიებული „ხუთელები“, შემდეგ თბილისის ამირას დამცველთა რიგებში რომ ჩანან თბილისში (ე. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში ბუღა თურქის ლაშქრობის საკითხისათვის. „მაცნე“, 1968, № 4/43, გვ. 108).

საერთო ბრძოლაში; მათ მოაწყვეს თავდასხმა იუსუფზე ტარუნში, მოკლეს იგი და დაეპატრონენ მის მიერ მიტაცებულ მთელ სიმდიდრეს[29].

2. ბუღა თურქის ლაშქრობა

ალაკი იუსუფის ლაშქრობაც მარცხით დასრულდა, თავიანთი წარმატებით ფრთაშესხმული აჯანყებულნი კიდევ უფრო გააქტიურდნენ და საქმე იქამდე მივიდა, რომ არმინიაში არაბთა ცენტრალურ ხელისუფლებას თითქმის აღარავინ სცნობდა. ასეთ ვითარებაში მუთავაქილმა თავი მოუყარა დიდ ლაშქარს, მას სათავეში ჩაუყენა ბუღა უფროსი, საისტორიო ლიტერატურაში უფრო ხშირად ბუღა თურქის სახელით რომაა ცნობილი, და არმინიისაკენ გამოისტუმრა.

ხალიფას არჩევანის შეჩერება ბუღაზე შემთხვევითი არ იყო. იგი სხვა დროსაც ყოფილა ამიერკავკასიაში, 835—836 (221) წელს წარმატებით იბრძოდა बाबეკის წინააღმდეგ, ჰქონდა მდიდარი საბრძოლო გამოცდილება და კარგადაც იცნობდა ადგილს.

როგორც ბალაზური იუწყება, არმინიის შესამუსრად წასულმა ბუღამ განვლო მოსული, მიადგა ბიდლისს, შეიპყრო ბაგრატ აშოტის ძის სიძე მუსა იბნ ზურარი, რომელიც სიმამრთან ერთად მონაწილეობდა იუსუფის მკვლელობაში, დასაჯა ხუვაისელნი, შემდეგ ალყაში მოაქცია ალ-ბაკი, შეიპყრო ციხესიმაგრეში თავშეფარებული ბუსფურაჯანის პატრიკიოსი აშოტ იბნ ჰამზა იბნ ჯაჯიკი და გაგზავნა „სარ მან რას“ (სამარას) ხალიფასთან, ხოლო თვითონ ქართლში საქმეების მოსაგვარებლად გაემართა[30]. უფრო ადრე ვიდრე თბილისს მივიდოდა, ბუღამ ისჰაკ იბნ ისმა'ილს შეუთვალა მასთან გამოცხადებულიყო[31], მაგრამ თბილისის ამირა მისვლას შიშობდა და არცთუ უსაფუძვლოდ.

---

29 Баладзори, დასახ. თხზულება, არაბული ტექსტი, გვ. 15, თარგმანი, გვ. 21—22. ბალაზურის ჩვენების სისწორეს ადასტურებს თომა არწრუნი, ხოლო რაც შეეხება იოანე დრასხანაკერტცის, სტეფანოს ტარონაცისა და ვარდანს ისინი, შეცდომით, დაღუპული იუსუფის ნაცვლად მამამისს, აბე საიდ მუჰამმად იბნ იუსუფს ასახელებენ (ე. ცაგარეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106; К. Н. Юзбашян, Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX—XI вв., М., 1988, გვ. 97).

30 Баладзори, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 15—16, თარგმანი, გვ. 22. ანალოგიურ ცნობებს ვხვდებით ია'კუბთან და იბნ ალ-ასირთანაც.

31 Я'Куби, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 14, თარგმანი, გვ. 20.

მან ხომ უკვე იცოდა, რომ არმინიის ვალიმ დანაშაულის პატიებისა პირობით თავისთან მიიტყუა ჯერ მუსა იბნ ზურარი, მერე აშოტ იბნ ჰაჰზაკ (ბაგრატ ბაგრატუნი), შეიპყრო ორთავე და დასასჯელად ხალიფას გაუგზავნა. ამიტომ ბუღას წერილი აახლა და აუწყა: „არასდროს ფიქრად არ მომსვლია ხალიფას მორჩილებიდან გამოსვლა. თუ ფული[32] გნებავს ინებეთ, ხალხითაც[33] დაგეხმარებით, მოსვლით კი ვერ მოვალ[34].

ბუღას ნაცადმა ხერხმა ამჯერად არ გაჭრა. ისჰაკის მოტყუება ვერ შეძლო და გადაწყვიტა თბილისი დაელაშქრა.

არაბ, სომეხ და ქართველ მწერლებს დაწვრილებით აქვთ აღწერილი ბუღა თურქის ბრძოლა თბილისის ამირა ისჰაკთან და ამ ბრძოლის შედეგები. ატ-ტაბარი აღნიშნავს, რომ იუსუფ იბნ მუჰამმადის მკვლელთა დასასჯელად არმინიაში მისულმა ბუღამ დაბილს (დვინს) ერთი თვე დაჰყო და თბილისისაკენ გაემართა. 238 წლის რაბიუ'ლ-ავვალის თვის 10 რიცხვს, 852 წ. 31 აგვისტოს, შაბათს, მან ზირრაქ ათ-თურქი გაგზავნა რომ გადაელახა მტკვარი, რომელიც ისეთივე დიდი და კიდევ უფრო დიდი მდინარეა ვიდრე ას-სარრა ბაღდადში. იგი არის ქალაქის შუა: თაფლისი დასავლეთ ნაპირზეა, სუღდუბილი — აღმოსავლეთ ნაპირზე. ბუღას ბანაკი აღმოსავლეთ ნაპირზე იყო. ზირრაქი მტკვარზე თაფლისის მაიდანთან გადავიდა. თაფლისს ხუთი კარი აქვს: მაიდნის კარი, კარის კარი, პატარა კარი, რაბადის კარი და სუღდუბილის კარი. მტკვარი მადინასთანაა[35]. ბუღამ აგრეთვე გაგზავნა აბუ ლ-აბბას ალ-კასი ან-ნასრანი არმინიის არაბი და არაარაბი მოსახლეობისაკენ და მიიყვანა ისინი ზირრაქმა მაიდანთან, ხოლო აბუ ლ-აბბასმა რაბადის კართან. გამოვიდა ისჰაკ ისმაილი ზირრაქის წინააღმდეგ და შეებრძოლა. იმის დასანახავად თუ რას იქმდნენ ზირაქი და აბუ ლ-აბბასი, ბუღა იდგა სუღდუბილის ახლოს ბორცვზე, რომელიც ქალაქს დაჰყურებს. მან ცეცხლის წამკიდებლები გაგზავნა და მათ ფიქვის ხის ქალაქს ცეცხლი დაუშინეს. ფიქვები ქარმა ააგიზგიზა. ისჰაკი ქალაქისაკენ მიბრუნდა იმის გასაგებად თუ რა ხდებოდა და დაინახა, რომ ხანძარს უკვე მოეცვა მისი სასახლე, მხევლები და თითონაც ალყაში მოექცია. თურქებმა და მაღრიბლებმა შეიპყრეს იგი

---

32 საუბარია ყოველწლიურ ხარკზე, რომელიც ამირას მართებდა.

33 იგულისხმება ლაშქარი.

34 Я. Кубн, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 14, თარგმანი, გვ. 21.

35 ჩანს, რომ აქ დაშვებულია შეცდომა. კონტექსტის მიხედვით უნდა იყოს „მაიდანი".

ბის ვაჟ უმართან ერთად და ორთავე ბუღას მიჰგვარეს, რომლის ბრძანებით ისჰაკი ალ-ჰასაქის[36] კართან დააბრუნეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, მოკლეს და თავი ბუღას მიართვეს, ხოლო სხეული ჯვარს აცვეს მტკვარზე. ისჰაკ იბნ ისმა'ილი იყო ზორბა, მოხუცი, ტყლიპით შეღებილი დიდი თავით, მელოტი და ელამი. მისი თავი ალ-ჰასაქის კარზე ჩამოაგეს; დასჯას თვით ხალიფას მოხელე, ბუღა ხელმძღვანელობდა. ქალაქში დაახლოებით 50 ათასი კაცი დაიწვა. ხანძარი ერთ დღე-ღამეში ჩაქრა, რადგან ფიჭვის ცეცხლი დიდხანს არ სძლებს. დილით მოვიდნენ ბაღრიბელნი და ცოცხლები დაატყვევეს, დახოცილები კი გაძარცვეს. ისჰაკის მეუღლე თბილისის პირდაპირ, აღმოსავლეთით მდებარე სულდუბილში იმყოფებოდა. იგი (სულდუბილი) მადინაა[37], ქისრი[38] ანუშირვანმა ააგო და ისჰაკმა გაამაგრა: შემოავლო თხრილი, მოათავსა მასში ალ-ხუვაისი მეომრები და ხხვანი. ბუღამ ისინი შეიბრალა იმ პირობით, რომ იარაღს დაჰყრიდნენ და საითაც უნდოდათ იქით წავიდოდნენ"[39].

ატ-ტაბარის ეს ვრცელი ცნობა ძირითადად სანდო და მნიშვნელოვანია არა მარტო იმის გასაგებად თუ რა შედეგით დასრულდა ბუღას ლაშქრობა თბილისზე, არამედ ამ ქალაქის ისტორიისა და ტოპოგრაფიის რიგი საკითხების გასარკვევად.

როგორც მოტანილ ცნობაშია მითითებული, არაბთა ლაშქარი თბილისს აღმოსავლეთიდან მოადგა, მტკვარზე გადავიდა და ორად გაიყო. ერთი რაზმი, რომელსაც ზირაქი სარდლობდა, ქალაქს მაიდნის მხრიდან უტევდა; მეორე — აბუ ლ-აბბასის მეთაურობით რაბათის კარიდან. თვით ბუღა სულდუბილის მახლობლად მდებარე ბორცვზე იდგა და იქიდან ადევნებდა თვალს ბრძოლის მიმდინარეობას. მათ წინააღმდეგ გამოსული ამირა საჰაკი, ეტყობა, თავს მედგრად იცავდა და მოწინააღმდეგეს ქალაქში შესვლის საშუალებას არ აძლევდა,

---

36 حسك — ეკალი, ნემსი, კბილი. თბილისის ერთ-ერთი კარის ასეთი სახელით მოხსენიება, შესაძლოა, იმით იყოს გამოწვეული, რომ ის წვეტიანი იყო. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ ისჰაკის თავი ამ კარებზე ჩამოაგეს.

37 مدينة — ქალაქის გარდა სიმაგრესაც ნიშნავს, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

38 كسرى — ასე უწოდებდნენ არაბები ხოსროს.

39 ატ-ტაბარის ეს ცნობა მოთავსებულია გ. წერეთლის არაბულ ქრესტომათიაში, თბ., 1949, გვ. 64—66.

რამაც აიძულა ხალიფას მიერ მოვლენილი მთავარსარდალი მიეღო საგანგებო ზომა. მისი განკარგულებით ცეცხლმტყორცნელთა სპეციალურმა რაზმმა ქალაქს ნავთში ამოვლებული სპეციალური ისრები დაუშინა. გაჩნდა ხანძარი, რომელიც ქარმა სწრაფად გაავრცელა. უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილი ურჩი საპაკი შეიპყრეს და სიკვდილით დასჯეს, თბილისს ბუღა დაეუფლა.

ატ-ტაბარის მიხედვით, ბუღას თბილისი დაუწვავს და ისე აუღია „238 წლის რაბი' ალ-ავვალის თვის 10 რიცხვს, შაბათ დღეს", ე. ი. ქრისტიანული წელთაღრიცხვით 852 წლის 30 აგვისტოს. ბუღას ლაშქრობა საქართველოში და მის მიერ თბილისის აღება რომ 852 წ. მომხდარა ამას იბნ ალ-ასირიც აღნიშნავს[40].

გარდა არაბული წყაროებისა, ცნობები ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, ბუღა უფროსის ლაშქრობის შესახებ ქართულ და სომხურ საისტორიო ძეგლებშიც იძებნება.

სომეხ ავტორთა (თომა არწრუნის, იოანე დრასხანაკერტცის, მოსე კალანკატვაცის, სტეფანოს ტარონაცის, ვარდან დიდის, ანუ აღმოსავლეთელის) თხზულებებში, მართალია, პირდაპირი თარიღი თბილისში ბუღას მოსვლის შესახებ მითითებული არ არის, მაგრამ იქ მოცეული სხვა თარიღიანი ამბების ერთმანეთთან მიმართებით განხილვის შედეგად ე. ცაგარეიშვილი ბუღა თურქის მიერ თბილისის აღებას 853 წლით განსაზღვრავს[41], ხოლო ა. ტერ-გევონდიანი მას იგივე თომა არწრუნისა და იოანე დრასხანკერტცის მონაცემთა მიხედვით 852 წელს მომხდარ ფაქტად მიიჩნევს[42].

ქართულ წყაროთაგან მხოლოდ „მატიანე ქართლისაშია" შედარებით ვრცლად მოთხრობილი საქართველოში ბუღას ლაშქრობა. მემატიანე თბილისზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ბუღა თურქი „მოადგა ქალაქსა... რამეთუ არა მორჩილებდა ამირა სააკ: მოკლა სააკ, შემუსრა ტფილისი, დაწუა ცეცხლითა და მოაოჯრა ყოველნი არენი მისნი"[43]. როგორც ვხედავთ, ქართული წყაროს მონაცემები ძირითადად ემთხვევა არაბი მწერლების ცნობებს და ადასტურებს მათ სისწორეს.

---

40 იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, VII, გვ. 22—24. არაბ მწერალთა ამ თარიღს უპერს მხარს ო. ცქიტიშვილი (იხ. მისი „ძველი თბილისის ისტორიიდან". საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე", № 5, თბ., 1963, გვ. 149).

41 ე. ცაგარეიშვილი, საქართველოში ბუღა თურქის ლაშქრობის საკითხისათვის. „მაცნე", № 4, თბ., 1968, გვ. 108.

42 А. Н. Тер-Гевондян. დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

43 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 256.

მაგრამ მათგან განსხვავებით ქართველი მემატიანე ამ ისტორიული ფაქტის თარიღს არ ასახელებს.

ივ. ჯავახიშვილი თბილისში ბუღას მოსვლის თარიღად, ერთ ხანს მიიჩნევდა წყაროს იმ ადგილს, სადაც წერია: „აქა ქამამდის გარდასულ იყვნეს წელიწადნი მოჰამედის გამოჩინებითგან... ორას ცხრამეტნი"[44]. ოღონდ „ორას ცხრამეტნი" მისი აზრით გადამწერლის შეცდომაა და, ამიტომ მის ნაცვლად უნდა წავიკითხოთ „ორას ოცდაცხრამეტნი"[45]. ამ შესწორებით გამოდის, რომ ბუღა თურქს თბილისი 861 წელს დაულაშქრავს და დაუწვავს. მაგრამ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ არის. ქართულ წყაროში ყველაფერი სწორადაა და გადამწერთ ბრალი არაფერში მიუძღვით. შეცდომა ტექსტის გაგებაშია დაშვებული. ზემოთ მოტანილი ცნობა: „აქა ქამამდის გარდასულ იყვნეს წელიწადნი მოჰამედის გამოჩინებითგან... ორას ცხრამეტნი" — თბილისში ბუღას მოსვლას კი არ გულისხმობს, არამედ გაცილებით უფრო ადრე მომხდარ ისტორიულ ფაქტს, კერძოდ, სახალიფოსაგან გამდგარ თბილისის ამირა საჰაკსა და მის დასაჯელად გამოგზავნილ მუჰამმად იბნ ხალიდ ბუხარაჰუზს შორის „რეკს" (გორს) გამართულ ბრძოლას, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, მართლაც 841—842 წელს მოხდა.

თავისი მოსაზრება რომ სხვა ცნობებთან დაეკავშირებინა და დაეცვა, ივ. ჯავახიშვილმა ატ-ტაბარისეული თარიღი — 238(852) წელი ამიერკავკასიაში ბუღას ლაშქრობის მხოლოდ დასაწყისად ჩათვალა და ამდენად მივიღეთ, რომ არაბ სარდალს აქ 10 წელი დაუყვია. ნამდვილად კი ბუღა ამიერკავკასიაში სამი წელი იყო. 241 (855/6) წელს ის აქედან გაიწვიეს[46] და აღარასდროს დაბრუნებულა, რაც გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მას 861 წელს თბილისი აეღო. ამაში თვითონვე დარწმუნდა სახელოვანი მეცნიერი როგორც კი გაეცნო ატენის სიონის სამხრეთ-დასავლეთის შიგნითი კედლის წარწერას, რომელიც საქართველოში, კერძოდ, თბილისში ბუღას საქმიანობას ეხება და მოგვითხრობს: „თთოკესა აგოსტოსსა ე˜სა: დღესა შაბათსა ქორონიკოსა ო˜გსა; ისმაიტელთა წელსა სლ˜თსა: ქალაქი ტფი-

---

[44] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 255.

[45] И. Джавахов, К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам. «Христианский Восток», т. I, вып. III, СПб., 1912, с. 280.

[46] Баладзори, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 16, თარგმანი გვ. 22.

ლისი დაწოკა ბოკლა და შეიპყრა ამირაჲ საჰაკ და მოკლა"[47]. ეს წარწერა ძვირფასია არა მარტო იმით, რომ იგი გადმოგვცემს იმას, რაც ბუღამ მოიმოქმედა თბილისში, არამედ იმითაც, რომ მის თანახმად ყოველივე ეს მომხდარა 853 წლის 5 აგვისტოს, შაბათს.

ამრიგად, წყაროები ბუღა თურქის თბილისში მოსვლისა და მისი აღება-გადაწვის შესახებ ერთმანეთთან დაახლოებულ ორ თარიღს იძლევიან: 852 წლის 30 აგვისტოს და 853 წლის 5 აგვისტოს. ქართველი ისტორიკოსები (დ. ბაქრაძე, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ე. ცაგარეიშვილი) ატ-ენის სიონის კედლის წარწერის ქრონოლოგიას ანიჭებენ უპირატესობას[48]. გამონაკლისს წარმოადგენს ო. ცქიტიშვილი, რომელიც, როგორც ადრე ვთქვით, ატ-ტაბარის თარიღს უპირს მხარს[49].

ბუღა თურქის ლაშქრობა საქართველოში თბილისის აღება-დაქცევით არ დამთავრებულა. იგი შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლებს, მაგრამ ვინემ მათზე ვისაუბრებდეთ, გვინდა ისევ თბილისთან დაკავშირებულ ზოგიერთ სადავო საკითხს შევეხოთ.

* * *

ატ-ტაბარის ცნობა, რომელიც ზემოთ სრულად მოვიტანეთ, დიდი ხანია ისტორიკოს მკვლევართა ყურადღებას იქცევს. იგი თარგმნილი და კომენტირებული აქვთ ვ. მინორსკის (ფრანგულად) და ო. ცქიტიშვილს (ქართულად) ძველი თბილისის ისტორიის საკითხთა შესწავლასთან დაკავშირებით. ნაწყვეტები ამ ცნობიდან ქართულ თარგმანთან ერთად კი მოტანილი აქვს მ. ლორთქიფანიძეს. როგორც ესმით მათ არაბი ავტორის ამ ცნობის შინაარსი?.

---

47 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 98.

48 დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X ს. დასასრულამდე), ტფ., 1889, გვ. 218—219; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99; მისივე, К Вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическими помятникам. „Христянский Восток", т. I, вып. III; გვ. 179; ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 406; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა და სხვ., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 126; მ. ლორთქიფანიძე, არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკე. 35. თბ., 1963, გვ. 93); ე. ცაგარეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

49 ო. ცქიტიშვილი, ძველი თბილისის ისტორიიდან (საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1965, № 5, გვ. 149.

ო. ცქიტიშვილს მიაჩნია, რომ ატ-ტაბარის მიხედვით, თბილისის ამირას სასახლე ბუღას ლაშქრობის დროს მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, „სუღდუბილის მადინაში“ იყო[50]. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ არაბი მწერლის ცნობიდან ასეთი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. მასში ის კი არ არის აღნიშნული, ამირას სასახლე „სუღდუბილის მადინაში“ იმყოფებოდაო (სუღდუბილი თვითონ წარმოადგენდა მადინას, ანუ საფორტიფიკაციო ნაგებობას), არამედ ის, რომ ისჰაკის ცოლი, ას-სარირის ტახტის მფლობელის ასული, მაშინ დაბანაკებული (نازلة) იყო სუღდუბილში, რომელიც ხოსრო (ქუსრი) ანუ-შირვანს აუგია, ხოლო ისჰაკს გაუმაგრებია, თხრილი შემოუვლია და შიგ „ხუვაისი“ მეომრები ჩაუყენებია[51]. მაშასადამე, ამ ცნობის თანახმად, სუღდუბილში არავითარი სასახლის არსებობა არ დასტურდება, ჩანს, რომ იგი თვითონ წარმოადგენდა გამაგრებულ თავდაცვით ნაგებობას, სადაც, იბნ ალ-ასირის ცნობით, ისჰაკს ცოლთან ერთად მოუთავსებია მთელი თავისი ქონება[52], ალბათ, მოახლოებული საფრთხის გამო. რაც შეეხება ამირას სასახლეს, იოანე საბანისძის თხზულების მონაცემებით, VIII ს-ში ის მტკვრის მარჯვენა მხარეს ყოფილა, კალას ტერიტორიაზე, იმ ადგილას, სადაც სომეხთა მთავარანგელოზის ეკლესია იყო ბოტანიკურ ბაღში გოგირდის აბანოებიდან ამყვან გზაზე“[53] და იქვეა საგულისხმევი IX საუკუნეშიც. ყოველ შემთხვევაში სასახლე რომ მტკვრის მარცხენა მხარეს არ ყოფილა, ამაში ქვემოთაც დავრწმუნდებით.

---

50 ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157. ასეთივე აზრისაა შ. ბადრიძეც. მისი განცხადებით, რომელიც მან გააკეთა 1981 წ. 7 მაისს ილია ანთელავას წიგნის განხილვის დროს საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში, ამირას სასახლე ისანში იყო.

51 وكانت امرأة اسحاق نازلة بصغديل و هي . . مدينة بناها كسرى انوشروان و كان اسحاق قد حصنها و حفر خندقها و جعل فيها مقاتلة من الخويثية

52 ი ბ ნ-ა ლ-ა ს ი რ ი, დასახ. თხზულება, ტ. VII, გვ. 26, ია'კუთი სუღდუბილს „ციხესიმაგრეს“ (معقل) უწოდებს (ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ია'კუთის ცნობები... ტექსტი, გვ. 75). თარგმნილია „თავშესაფარად“ (იქვე, გვ. 71). იბნ ალ-ასირი — „ჰისნ“-ს (حصن) — ციხესიმაგრეს ამბობს (ტ. VII, გვ. 26).

53 ი ო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ძ ე, მარტვილობა აბო ტფილელისა, კ. კეკელიძის გამოცემა, ტფ., 1935, გვ. 29; შ. მ ე ს ხ ი ა, დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 31—32.

ბაკი ო. ცქიტიშვილმა სულდუბილი ამირას ადგილსამყოფელად გამოაცხადა, ისჰაკიც იქიდან დასძრა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მაიდნის კართან დაბანაკებული ზირაქის წინააღმდეგ: „თბილისის ამირა. — აღნიშნავს იგი, ზირაქს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადაჰყოლია და იქ გაუმართავს მისთვის ბრძოლაო[54]. ცნობაში კი ვკითხულობთ: „გამოვიდა ისჰაკ იბნ ისმა'ილი ზირაქისაკენ და შეებრძოლა მას"[55] საქმე რომ ნამდვილად ისე ყოფილიყო როგორც ეს ო. ცქიტიშვილს წარმოუდგენია, მაშინ ურჩი ამირას დასასჯელად მოსული და სულდუბილის მიდამოებში დაბანაკებული „არმინიის" ვალი თავის სარდალს, ზირაქს მტკვრის გადალახვას, ე. ი. მარჯვენა ნაპირზე გადასვლას და მაიდნის კართან დადგომას კი არ უბრძანებდა, პირდაპირ სულდუბილისაკენ გაგზავნიდა. მაგრამ რაკი ბუღა ასე არ მოიქცა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის, ვინც მას უნდა დაესაჯა თბილისში იყო და ჯარიც იქითკენ დასძრა. წყაროშიც ამიტომაა აღნიშნული, ისჰაკ იბნ ისმაილისძე მათ წინააღმდეგ საბრძოლველად „გამოვიდაო" (خرج) და არა მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადაჰყვაო.

ეტყობა, ბუღას სარდლებს გაუჭირდათ, ისჰაკის მხრიდან გადაულახველ წინააღმდეგობას წააწყდნენ და ქალაქში ვერ შედიოდნენ. ამიტომ მან საგანგებო ღონისძიებას მიმართა, ცეცხლმტყორცნელთა რაზმი ქალაქისაკენ გაგზავნა ხანძრის გასაჩენად, რომ ამით ამირას წინააღმდეგობა გაეტეხა. მიზანს მიაღწიეს. ხის ნაგებობიან ქალაქში, რომელსაც თომა არწრუნი და სხვა სომეხი ისტორიკოსები „ფაიტაკარანს", ანუ „ხის ქალაქს უწოდებენ[56], ხანძარი გაჩნდა, ქარმა იგი გააძლიერა, სწრაფად გავრცელდა და სულ მალე მთელ დასახლებას მოსდო, რის გამოც 50 ათასი კაცი დაიღუპა. როცა ისჰაკმა ხანძრის გაჩენის შესახებ შეიტყო, „ქალაქისაკენ მიიხედა და დაინახა, რომ ცეცხლი უკვე მოსდებოდა მის სასახლეს, მხევლებს და თვითონ მასაც გარშემორტყმოდა"[57]. ო. ცქიტიშვილი კი ვარაუდობს, რომ ხანძარი

---

54 ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

55 فخرج اسحاق بن اسماعيل الى زيرك فناوشه

56 თბილისის ისტორია, გვ. 33.

57 فاء قبل اسحاق... الى المدينة لينظر فازا النار قد اخذت قصره و جواريه و احا طت به النار

გაჩნდა სულდუბილში და იქ შეიწირა მან 50 ათასი კაცის სიცოცხლე[58], რაც, რა თქმა უნდა, მოკლებულია სინამდვილეს.

ჯერ ერთი, 50 ათას კაცს მაშინდელი სულდუბილი, როგორც სიმაგრე, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაიტევდა; მეორე, ამირა რომ იქ ყოფილიყო ცეცხლის ალყაში, მაიდნის კარებთან მდგარ ზირაქს ვერ შეებრძოლებოდა; და მესამე, ხანძარი რომ სულდუბილს მოსდებოდა, მაშინ მემატიანე ისჰაკს ალმოდებული სასახლისა და მხევლების გვერდით მის ცოლსაც მოიხსენიებდა. მისი მოუხსენიებლობა კი ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ საბრძოლო მოქმედება, ხანძრის გაჩენა და ამით ნირწამხდარი ამირას დატყვევება სულდუბილს გარეთ მოხდა. ამაზე მოგვითხრობს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ისჰაკის მეუღლემ, სარირის (ავართა) მფლობელის ულამაზესმა ასულმა, რომელიც, თვით ატ-ტაბარისავე ცნობით, ქალაქზე ბუღას თავდასხმის დროს სულდუბილში იმყოფებოდა, ქმარ-შვილის დატყვევება რომ შეიტყო, მათი დახსნა თავისი სილამაზითა და ძვირფასი საჩუქრებით განიზრახა[59].

* * *

როგორც ზემოთ დავინახეთ, ატ-ტაბარი თავის ცნობაში სხვათა შორის მოიხსენიებს მდინარე მტკვარსაც (نهر الكر) და აღნიშნავს, რომ و هو ما بين المدينة وتفلس فى الجانب الغربى و صغديل فى الجانب الشرقى ვ. მინორსკის მიხედვით ეს ნიშნავს, რომ „იგი (მტკვარი) ქალაქს შუაში ჩაუდის, დასავლეთ ნაპირზე თბილისია, აღმოსავლეთ ნაპირზე კი სულდუბილი“[60].

ო. ცქიტიშვილი არ ეთანხმება ცნობის ამ ადგილის მინორსკისეულ გაგებას და თვითონ ასე თარგმნის: „ის (მტკვარი) არაა მედინას შუა. თბილისი დასავლეთის ნაპირზეა, სოღდებილი — აღმოსავლეთის ნაპირზე“[61]. როგორც ვხედავთ ამ ორ თარგმანს შორის არსებითი განსხვავებაა. ხოლო მიზეზი ამისა კი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს არაბული „მა“-ს (ما) მნიშვნელობის თავისებურ გაგებაში, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია იქვე მოხსენიებულ „მადინა“-ს مدينة შინაარსის სწორ გააზრებაზე.

---

58 ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154, 157.

59 თბილისის ისტორია, გვ. 22.

60 V. Minorsky, Transcaucasica, Journal Asiatique, CCXVII, Jullet-Seqtember, 1930, გვ. 61.

61 ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

ვ. მინორსკი „მადინა“-ს ქალაქად თარგმნის. ო. ცქიტიშვილს ეს შეცდომად მიაჩნია და ამასთან დაკავშირებით გამართული მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „IX—X სს. არაბულ წყაროებში არსებული ტერმინი „მედინა“ ყოველთვის როდი ნიშნავს „ქალაქს“ იმ გაგებით, როგორც ეს... დღეს გვესმის... „მედინა“ წარმოადგენდა რთულ საფორთიფიკაციო ნაგებობას, (რომელსაც) გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია ეკავა, ვიდრე ციხე-სიმაგრეს“[62]. მართალია, თავდაპირველი „მადინა“ (ისე როგორც კრემლი, რატუშა და სხვ.) მართლაც გამაგრებულ, თავდაცვითი ხასიათის ნაგებობას ან ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდა, მაგრამ ამირა ისჰაკ იბნ ისმა'ილის დროს ან უფრო მოგვიანებით (IX—X სს. მიჯნაზე) რომელი იყო „მადინა“ თბილისი, სულდუბილი თუ არც ერთი და არც მეორე? არაბი მწერლებისათვის (ბალაზური, ატ-ტაბარი, ხურდაზბიჰი, იბნ ალ-ასირი) მადინა სულდუბილია. სულდუბილს აკეთებს მადინად აგრეთვე თვით ო. ცქიტიშვილიც (თუმცა ეს მისი თარგმანიდან არ იგრძნობა), მაგრამ ატ-ტაბარის ზემოთ მოტანილ ცნობაში დამოწმებული „მადინა“ რომ სულდუბილს გულისხმობდეს, მაშინ ავტორი სულდუბილს აღარც კი ახსენებდა, პირდაპირ იტყოდა. „მადინა“ მდინარის აღმოსავლეთითაა, ხოლო თბილისი დასავლეთითო. ალბათ, ასე მოიქცეოდა იგი მაშინაც, რომ ის მადინას ძველი თბილისის მნიშვნელობით ხმარობდეს. ამიტომ „მადინა“ ამ შემთხვევაში აღნიშნავს თანამედროვე ფეოდალურ ქალაქს, რომელიც ხელოსნობა-ვაჭრობის ზრდის წყალობით, დიდი ხანია გასცდა საკუთრივ „მადინის“, ანუ „წინაქალაქის“ ფარგლებს.

სწორედ ასეთი ქალაქი იყო მაშინ თბილისი. მოხერხებულ ადგილას ვახტანგ გორგასლისა და მისი მემკვიდრის მიერ დაფუძნებული ახალი ქალაქი სწრაფად იზრდებოდა. მისი მოსახლეობისა და ტერიტორის ზრდა-გაფართოება გარკვეული დროით შეაფერხა ჯერ ჰერაკლე კეისრისა და შემდეგ არაბთა ლაშქრობებმა, მაგრამ განვითარება არასდროს არ შეწყვეტილა.

ისე როგორც თითქმის ყველა მნიშვნელოვან ფეოდალურ ქალაქს, თბილისსაც გააჩნია თავდაცვითი ნაგებობანი: გალავანი და ციხე-კოშკები. პირველი გალავანი, რომელიც, მემატიანის ჩვენებით, ვახტანგსა და მის ვაჟს დაჩის შემოუვლია ქალაქისათვის, ქვიტკირით იყო ნაშენები[63]. VII ს. დამდეგს თბილისზე ჰერაკლესა და მის მო-

---

62 ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 150,

63 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა (ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 205).

ყავშირე ჯიბღუს თავდასხმისას ეს გალავანი მტერმა დააქცია. სულ მალე თბილისისათვის ახალი ზღუდე შემოუვლიათ, ოღონდ არა ძვირად ღირებული და შრომატევადი ქვიტკირისა, არამედ ძელისა ანუ მესრისა, რომელიც გარდა იმისა, რომ იაფი და სწრაფი ასაგები იყო, იოლადაც გადაიტანებოდა. მაშასადამე, ქვის კედლის შეცვლა მესრით ქალაქის ზრდის ჩქარი ტემპითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მისი ზრდა კი დააჩქარა სამეფო რეზიდენციის მცხეთიდან გადმოტანამ (VI ს.). ვაჭარ-ხელოსნებმა ახალ სატახტო ქალაქში იწყეს გადმოსვლა და დასახლება. აქვე იყრიდნენ თავს შავი მუშებიც.

თბილისი იზრდებოდა ყველა მიმართულებით, მაგრამ ყველაზე მეტად მდინარე მტკვრის აღმა და დაღმა. მტკვრის აღმა ქალაქის საზღვრებმა, ჯერ კიდევ VII ს. დამდეგს, დღევანდელი ბარათაშვილის სახელობის ქუჩამდე მიაღწია. ქალაქური ცხოვრება ისახება მდინარის მარცხენა ნაპირზეც, სულდუბილში[64], რომელიც ხიდით უკავშირდებოდა მარჯვენა ნაპირის თბილისს[65].

კიდევ უფრო გაიზარდა, განვითარდა და დაწინაურდა თბილისი IX—X სს-ში. არაბი მწერლების დახასიათებით, იგი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრია ამიერკავკასიაში. იბნ ჰაუკალის (X ს.) ცნობით, „არ არის არრანში უფრო დიდი ქალაქი, ვიდრე ბარდავი, ალ-ბაბი და თბილისია". თბილისი სიდიდით ალ-ბაბვაბზე პატარაა[66]. ალ-მუკადასი (X ს.) კი ქალაქების ჩამოთვლისას თბილისს ბარდავის შემდეგ ასახელებს[67]. იბნ ჰაუკალიც და ალ-მუკადასიც თვითონ იყვნენ ამიერკავკასიაში და ამდენად მათი ცნობების სანდოობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

IX—X სს-ში თბილისი მარტო სიდიდით კი არ გამოირჩეოდა სხვა ქალაქებიდან, არამედ ეკონომიკური სიძლიერითაც. ისტახრი (X ს.) იუწყება რომ თბილისი „სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიანნათესებიანი; მრავალნაირი საქონელი და თაფლი მტკვრით გააქვთ

---

64 ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

65 თბილისის ისტორია, გვ. 30—31.

66 ე. სიხარულიძე, იბნ. ჰაუკალი თბილისის შესახებ (საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი 1, თბ., 1976, გვ. 35, 37). ანალოგიური ცნობა აქვს ისტახრისაც (იხ. Н. А. Караулов, Сведения арабских писателей..., СМОМПК, вып. XXIX, Тифлис, 1901, с. 17).

67 Н. А. Караулов, Сведения арабских географов IX—X веков, СМОМПК, 38, 1908, с. 6.

იქიდანო"[68]. თბილისის ეკონომიკურ მდგომარეობას ეხება იბნ ჰაუკალიც. ისიც აღნიშნავს, რომ „ეს არის ქალაქი ნაყოფიერი, გამაგრებული, მდიდარი პროდუქტებით, რომლებიც იაფად ფასობენ. თავისი კეთილდღეობით იგი აღემატება სხვა დანარჩენ მდიდარ სახელმწიფოებსა და ქვეყნებს. ერთმა, რომელსაც იქ თაფლი უყიდია თქვა, რომ ერთ დირჰემად ოც რიტლზე მეტი შეუძენია... თბილისში მცურავი წისქვილებია, სადაც ფქვავენ ხორბალსა" და ბერეულ კულტურებს[69].

* * *

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვითა და მათი სიიაფით განთქმული თბილისი, აუცილებლად, მსხვილი სავაჭრო ცენტრიც უნდა ყოფილიყო. ამის ერთ-ერთი მოწმობაა ის, რომ არაბი ისტორიკოსი და გეოგრაფი მწერლების ცნობებით, თიხის ორმაგი კედლით გარშემოვლებულ ქალაქს[70] 5 კარი ჰქონია[71], რომლებითაც ის მეზობელ ქალაქებსა და ქვეყნებს უკავშირდებოდა.

სპეციალისტთა აზრით, „მაიდნის კარი" ციხის მოედანს (შემდეგდროინდელ „თათრის მოედანს") აკავშირებდა ძველ თბილისთან (შემდეგდროინდელი აბანოების უბანთან); სამხრეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან თბილისის დამაკავშირებელი კარიბეი იყო სამხრეთის კედელში დატანებული „კარის კარი", ანუ ყარსის კარი, ციხიდან რაბადში გასასვლელს „რაბადის", ანუ ციხის კარი ეწოდებოდა; ხოლო თბილისიდან სუღდუბილისაკენ (აწინდელი ავლაბარი) გასასვლელი კარი იყო „სუღდუბილის ჭიშკარი"[72], „მცირე კარის" მდებარეობა გაურკვეველია.

ქალაქის ზრდაში გარკვეული როლი უნდა შეესრულებია სხვათა შორის ბუნებრივი თბილი წყლების აბანოებს, რომლებიც გოგირდო-

---

[68] Н. А. Караулов, Сведения .., СМОМПК, вып. XXIX, с. 11. Н. А. Караулов, Сведения..., СМОМПК, вып. XXXVIII, с. 88.

[69] Н. А. Караулов, Сведения..., СМОМПК, 38, с. 88—89.

[70] Н. А. Караулов, Сведения..., СМОМПК, XXIX, с. 11; СМОМПК, вып. XXXVIII, с. 89. ალ-მუკადასი კი აღნიშნავს, რომ თბილისის კედლები ქვისაა ისინი შემოფიცრულია (Н. А. Караулов, Сведения.... СМОМПК, 1908, вып. XXXVIII, с. 8).

[71] ალ-ისტახრი ხუთის მაგივრ 3 კარს ამბობს (Н. А. Караулов, Сведения... СМОМПК, XXIX, с. 11).

[72] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი და სხვ., თბილისის ისტორია, გვ. 34.

ვანი სამკურნალო წყლების ბაზაზე შეიქმნა და ბევრი მომხმარებელი მუშტარიც ჰყავდა. ყოველ შემთხვევაში, არაბ მწერლებს მათთვის (აბანოებისათვის) „ქვეყნიერების საოცრებანი“ მარტო სითბოსათვის არ უნდა ეწოდებინათ.

პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად გადაქცეულ თბილისში, სადაც სხვადასხვა რელიგიური რწმენის ხალხი ცხოვრობდა, შესაფერისი ადმინისტრაციული, სავაჭრო-საქარავნო და საკულტო ნაგებობანიც არსებობდა მრავალრიცხოვანი მომსახურე პერსონალით, რომლებიც თავიანთი არსებობით ხელს უწყობდნენ აგრეთვე ქალაქის ზრდას.

ასე რომ, თბილისი დღითიდღე იზრდებოდა და IX—X სს. მიჯნაზე ქალაქი უკვე აერთიანებდა მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს დიდ ტერიტორიას. „თბილისი გადაჭიმულია მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე და შეერთებულია ხიდითო“[73] — აღნიშნავს X ს. არაბი გეოგრაფი ალ-მუკადასი, რომელმაც თვითონ მოიარა ამიერკავკასია და აღწერა, რაც საკუთარი თვალით ნახა. თუ ალ-მუკადასის ეს ცნობა სანდოა, მაშინ ატ-ტაბარის „მადინის“ ვ. მინორსკისეული გაგება სრულიად მისაღებია, „მადინა“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ქალაქს“ ნიშნავს და მისი გაიგივება სულდუბილთან, როგორც საფორტიფიკაციო ნაგებობასთან, შეცდომაა. ამიტომ შეცდომა უნდა იყოს არაბული „მა“-ს (ما) ო. ცქიტიშვილისეული გაგებაც. მართალია, ის უარყოფას კი გამოხატავს, მაგრამ არა ყოველთვის. მისი გავრცელებული მნიშვნელობაა აგრეთვე „რა“, „რაც“, „როცა“, „რომელიც“, „მაშინ“ და სხვ. ზოგჯერ კი „მა“ (ما) საერთოდ არ ითარგმნება (მაგ.. الحرب عالم ما بعد „ომისშემდგომი მშვიდობა“). ასე რომ و هو ما بين المدينة ქართულად იქნება: „ის ქალაქის შუაა“, ანუ ქალაქს შუაში ჩაუდის. თუ ეს ატ-ტაბარისთან ბუნდოვნადაა თქმული და მისი გაგება ჭირს, ალ-მუკადასი და ალ-იაკუთი პირდაპირ აღნიშნავენ, რომ „თბილისი არის ქალაქი, რომელსაც შუაზე ჰკვეთს მდინარე მტკვარი“[74]. ამის

---

[73] Н. А. Караулов. Сведения арабских географов..., СМОМПК, XXXVIII, с. 8.

[74] Н. А. Караулов, Сведения..., СМОМПК, XXXVIII, с. 8;

იაკუთან ეს ასეა: و هو مدينة... يجرى فى وسطها نهر يقال له الكر
ე. ი. თბილისი „ესაა ქალაქი, რომლის შუაში მიედინება მდინარე მტკვარი“ (ე. ს ი-

შემდეგ საკითხი, მტკვარი ქალაქ თბილისს ჰყოფდა თუ არა, ვფიქრობთ, დავას აღარ უნდა იწვევდეს და ატ-ტაბარის ცნობის სათანადო ადგილის თარგმანი საბოლოოდ ასეთი იქნება: „და ის ქალაქს შუა ჩაუდის. თბილისი[75] მის დასავლეთ ნაპირზეა, სუღდუბილი — აღმოსავლეთ ნაპირზე“[76]. თუ ასეთი თარგმანი რაიმე მიზეზის გამო მიუღებელია და უპირატესობას მაინც ო. ცქიტიშვილისეულ თარგმანს მივანიჭებთ, მაშინ მცირედი კორექტივი უნდა შევიტანოთ „საქართველოს ისტორიის“ სათანადო ადგილას, სადაც საუბარია ბუღა თურქის მიერ თბილისის გადაწვაზე[77]. და ვირწმუნოთ, რომ ამ არაბ სარდალს თბილისი კი არა, მარტო სუღდუბილი დაუქცევია. მაგრამ რა ვუყოთ მაშინ ქართული წყაროს ჩვენებას იმის შესახებ, რომ ბუღა „მოადგა ქალაქს ტფილისსა... შემუსრა (იგი), დაწუა ცეცხლითა და მოაოჯრა“[78]. ესეც ხომ არ შევასწოროთ ან უარვყოთ?

* * *

თბილისის დაპყრობა-დაქცევისა და ამირა ისჰაკის დასჯის შემდეგ, ბუღა ქალაქში დიდხანს აღარ გაჩერებულა. ალ-ია'კუბის ჩვენებით, ის წანარებისაკენ წასულა[79]. ქართული წყაროს მიხედვით კი წანარებამდე მას ბრძოლა გაუმართავს აფხაზთა მეფისათვის და გაუმარჯვნია: „თეოდოსი, მეფე აფხაზთა გამოვიდა წინააღდგომად მისა, და დადგა კუერცხობს. ხოლო ბუღა, ვითარცა ცნა, წარავლინა ზირაქ, სპასალარი თჳსი და ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა: შეიბნეს და გააქცივნეს აფხაზნი... მეფე წარვიდა მეოტი გზასა დვალეთისასა“[80].

ხ ა რ უ ლ ი ძ ე, იაკუთის ცნობები... ტექსტი, გვ. 43). იბნ ჰაუკალიც ამას გულისხმობს როცა ამბობს: ქალაქი მდინარე მტკვარზეაო“ (СМОМПК, XXXVII, с. 89).

75 ავტორი გულისხმობს საკუთრივ თბილისს, ანუ ძველ თბილისს.

76 ასე ესმის ეს ადგილი თ. გამსახურდიასაც (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 352).

77 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე და სხვ., საქართველოს ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო), 1, თბ., 1958, გვ. 126; „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ II, თბ., 1973, გვ. 499.

78 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 256; შდრ. ატენის სიონის კედლის წარწერა (ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 98).

79 Я' К у б и, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 14, თარგმანი, გვ. 21.

80 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 256. „მატიანე ქართლისას“ ავტორი აქ შეცდომას უშვებს, რაც თავის დროზე შენიშნა ივ. ჯავახიშვილმა და

როდესაც ზირაქისა და ბაგრატის ძლევამოსილი ლაშქარი შინ ბრუნდებოდა, ჯუარის — ვუერდს მას გარდაბანელნი (იგივე წანარნი) გადაუდგნენ და არაბებს დიდად ავნეს. დამარცხებული ბუღა ჭართალს გაიქცა და იქიდან გვიან შემოდგომაზე ოსეთზე ილაშქრა, მაგრამ ზამთარმა მოუსწრო, დიდად დაზარალდა და მიზანს ვერ მიაღწია: „მოვიდა თოვლი.... და მოკუდა ურიცხვ ერი სარკინოზთა; და ცხენმან მათმან ძოვა იელი, და დაიკოცა ფრიად.. შეიქცა (ბუღა) გარე და დაიზამთრა ბარდავს“[81].

ბარდავში ბუღა თურქი გაზაფხულამდე დარჩა. შემდეგ გარდაბანი დალაშქრა და აიკლო. ალ-იაკუბის თქმით, ის აპატიმრებდა და სჯიდა ყველას, მათ შორის იმასაც, ვისთვისაც ადრე „ამანი“ ჰქონდა ბოძებული[82]. მაგრამ ზოგიერთმა მიმალვა მოასწრო. ისინი დახმარებას სთხოვდნენ ბიზანტიელთა, ხაზართა და სლავიანთა სახელმწიფოებს, რომლებმაც თავი მოუყარეს დიდძალ ლაშქარს და სალაშქროდ მოამზადეს იგი[83].

ქართული წყაროს თანახმად, გარდაბანზე თავდასხმის შემდეგ, ბუღამ განვლო კარი დარუბანდისა და გამოიყვანნა ხაზარნი, სახლი სამასი, და დასხნა იგინი შანქორს. დარიალანით გამოიყვანნა ოვსნი ვითარ სახლი ასი, და დასხნა იგინი დმანისს და ენება ზაფხულს შესვლა ოვსეთად. ხოლო ამირ-მუმნმან ვითარ სცნა, ვითარმედ ხაზართა, ტომთა მისთა, ზრახავს, მოუვლინა ბუღას, რათა დაუტეოს ქართლი მუმედს, ხალილის ძესა. და წარვიდა ბუღა“[84].

გამოთქვა ვარაუდი, რომ ბაგრატ III-ის „მეფეთა დივანი“-ს თანახმად, ამ დროს აფხაზთა სამეფო ტახტზე დემეტრე II უნდა მჯდარიყო და არა თეოდოსი, რომელიც ამ წყაროს მიხედვით დიდი ხნის გარდაცვლილი იყო (ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98). „მატიანე ქართლისას“, სუმბატ დავითის ძის ქრონიკისა და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცნობათა შესწავლის შედეგად ასეთივე დასკვნამდე მიდის ე. ცაგარეიშვილიც. მან დაასაბუთა, რომ 853 წელს ბუღას წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ჩანს დემეტრე II, რომელიც აფხაზეთის ტახტს განაგებდა 825-იდან 861 წლამდე (ე. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95—96).

81 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 256.

82 იბნ ალ-ასირთან ეს არის ბუღას პირველი ბრძოლა თბილისის აღების შემდეგ და აღნიშნავს, რომ ამ დროს მან შეიპყრო ჰარზმანის (გარდაბნის) პატრიკიოსი; ბაილაყანში, ქაბიშის ციხესიმაგრეში თავშეფარებული ყაის იუსუფის ძე, სუმბატ აშოტის ძე, სუმბატის შვილიშვილი არ-რანის პატრიკიოსი მუ'ავია (და ისჰაკ ალ-ხატინის ვაჟი ადარნასე) (ი ბ ნ ალ-ა ს ი რ ი, VII, გვ. 26).

83 Я' К у б и, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 14, თარგმანი, გვ. 21.

84 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 256.

ალ-იაʿკუბი ბუღა თურქის გადაყენების მიზეზად იმას ასახელებს, რომ მან თავისი მკაცრი მოქმედებით ადგილობრივი მოსახლეობის თავკაცები დააფრთხო და ამით საბოლოოდ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ არაბთმოძულე ბიზანტიელები, ხაზარები და სლავები სალაშქროდ მოემზადნენ, რის გამოც სახალიფო სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა[85].

ალ-ბალაზურის თანახმად, ბუღა უფროსი ამიერკავკასიიდან 241(855/6) წელს გაიწვიეს[86]. არმინიის ვალის თანამდებობაზე მან ხალიფა მუთავაქილის ბრძანებით მუჰამმად იბნ ხალიდ იბნ მაზიად აშშაიბანი[87] დატოვა. ახალი გამგებელი შედარებით ლმობიერი გამოდგა. ყველას პატიების პირობა დაუდო და აჯანყებულნიც უმალ დაწყნარდნენ[88].

ყოველივე ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბუღამ თავისი მისია ვერ შეასრულა. არმინიის გამდგარი ოლქების, მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილება და იქ სახალიფოს ხელისუფლების აღდგენა მთლიანად ვერ მოახერხა. თბილისში მოპოვებული წარმატება ისეთი მნიშვნელობისა არ იყო, რომ რაიმე სერიოზული გავლენა მოეხდინა მიმდინარე პროცესებზე. პირიქით, თბილისის საამირო, რომელიც IX ს-ში ფაქტობრივად ადგილობრივ ფეოდალურ სამთავროს წარმოადგენდა, თვითონ მოექცა ამ პროცესების ორბიტაში და იგი „ისეთსავე როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში, როგორც ამ ხანებში წარმოქმნილი სხვა პოლიტიკური ერთეულები“[89]. საამიროს მაშინდელი მდგომარეობის შესახებ მასუდი აღნიშნავს, რომ ბუღა თურქის ლაშქრობის შემდეგ „თბილისის მუსლიმები მოკლებული არიან ყოველგვარ პატივისცემას, მეზობელი სახელმწიფოები მათ აღარ ემორჩილებიან, მათ თბილისის ჭრავალი სოფელი ჩამოსცილდა და ურთიერთობა თბილისსა და ისლამის მიწებს შორის თბილისზე ყოველი მხრიდან გარშემორტყმული ურწმუნო ტომების ხელში გადავიდა... მოსახლეობა საშიში შეზობლების გარემოცვაში მოექცა“[90]. თუ ამირას ადგილსამყოფელ ქალაქში ასეთი მდგომარეობა იყო, საამიროში, რომლის ტერიტორია საკუთრივ

---

85 Я. Куб и, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 14, თარგმანი, გვ. 21.
86 Балаадзори, დასახ. თხზულება, ტექსტი გვ. 16, თარგმანი, გვ. 22.
87 ქართული წყაროს „მუმედ ხალილის ძე“.
88 Я. Куб и, დასახ. თხზულება, ტექსტი, გვ. 14, თარგმანი, გვ. 21.
89 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 350.
90 СМОМПК, XXXVIII, 1908, с. 56—57.

თბილისითა და ქვემო ქართლით შემოიფარგლებოდა, ცხადია, უკეთესი ვერ იქნებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან თბილისის საამირო ებმება იმ ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელიც „ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებს"[91], თბილისის საამირო ამ ბრძოლაში თავს იცავს. ბაღდადის სახალიფოს, რომელიც მუთავაქილის შემდეგ თანდათან დაშლის გზას დაადგა, მისთვის საჭირო დახმარების გაწევა აღარ შეეძლო. ასეთ ვითარებაში ამირას ხელისუფლების დამხობა და საამიროს შესვლა საქართველოს შემადგენლობაში გარდუვალი იყო[92], მაგრამ როდის მოხდებოდა ეს? ყველაფერი დამოკიდებული იქნებოდა იმაზე თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები შემდგომში.

3. არაბობის დასასრულის დასაწყისი

არაბთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და ადგილობრივ ამირათა სეპარატისტული მოძრაობა ერთმანეთის პარალელურად რომ მიმდინარეობდა, მარტო „არმინიაში" (საქართველო-სომხეთ-ალბანეთში) არ ხდებოდა. ჰარუნ არ-რაშიდის (786—809) დროიდან მოყოლებული ეს ტენდენცია საერთო „სენად" დასჩემდა მთელ სახალიფოს. მის დასავლეთ ნაწილში ერთმანეთის მიყოლებით იქმნებიან ისეთი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები როგორიცაა. მაგალითად. თულუნიანთა (788) და აღლაბიანთა (800) სახელმწიფოები, კორდოვის სახალიფო (929—1031), ფატიმელთა სახალიფო ეგვიპტეში (910—117); აღმოსავლეთ ნაწილში — სამანიანთა სამეფო (819—1005) შუა აზიაში, თაჰერიანთა (821) — ხორასანში, საფარიანთა (867) — სისთანში და სხვ.

სეპარატისტულ მოძრაობას კიდევ უფრო მძლავრ ბიძგს აძლევდა სახალხო აჯანყებანი. რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უჭი-

---

91 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 35, თბ., 1963, გვ. 93.

92 ჟაკუთის ცნობით. მუთავაქილის (827—861) შემდეგ ქართველებს შეუწყვეტია ხარაჯის მიცემა ამირასათვის (ე. სიხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42). ამასვე იუწყება ალ-მას'უდიც (ა ლ-მ ა ს' უ დ ი, დასახ. თხზულება, ბეირუთი, 1978, ტ. 1, გვ. 226; ბარბიე დე მეინარის გამოცემა, ტ. II, გვ. 65; СМОМПК, XXXVIII, с. 56; В. М и н о р с к и й, История Ширвана и Дер-бенда X—XI веков. с. 210).

რავთ აზერბაიჯანის გლეხთა აჯანყებას ბაბეკის (ჰასანის) ხელმძღვანელობით 816—837 წლებში. 839 წლის აჯანყებას ტაბარისტანში, ზინჯების აჯანყებას ერაყში 869—883 წლებში და შემდეგ კარმატების მოძრაობას, რომელმაც IX ს. დასასრულს მოიცვა სახალიფოს დიდი ტერიტორია: ბაჰრეინი, ერაყი, სირია, იემენი და ეგვიპტე.

ასეთ ვითარებაში, როცა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის გამო სახალიფო საყოველთაო აშლილობით იყო მოცული და სახელმწიფოს მისი დამთრგუნველი ძალა აღარ გააჩნდა, აბასელმა ხალიფებმა თავიანთი მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით, მორჩილებიდან გამოსული პროვინციების იჯარით გაცემის წესს მიმართეს. რომელიმე ურჩ პროვინციას თუ ქვეყანას გადასცემდნენ მეორე ადმინისტრაციული ერთეულის გამგებელს იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი სახელმწიფო ხაზინას ვადაუხდიდა დაგირავებულის სავალდებულო გადასახადს. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სახელმწიფოს საერთო მდგომარეობის რადიკალური გაუმჯობესების საშუალება, მაგრამ მაინც ჭკვიანურ ღონისძიებას წარმოადგენდა, მთავარი სიკეთე, რაც შექმნილ ვითარებაში ამ სიახლეს სახალიფოსათვის შეეძლო მოეტანა იმაში მდგომარეობდა, რომ, ჯერ ერთი, არ უარესდებოდა მისი ფინანსური მდგომარეობა. მეორე, იმისათვის, რომ მიერთებულზე თავისი ძალაუფლება გაევრცელებია იმას, ვისაც გადაეცა, იგი უნდა დაემორჩილებია. ეს კი დასუსტებულ ცენტრალურ ხელისუფლებას სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ერთგვარ გარანტიას აძლევდა. მესამე, რაკი შემერთებელს თავისი ხელისუფლება შეერთებულზე ძალით უნდა დაემყარებინა, ეს თავისთავად გულისხმობდა ცალკეულ პროვინციებს (ვილაიეთებს) შორის ომებს, რაც გამოიწვევდა მეომარ მხარეთა დასუსტებას, მათი ცენტრიდანული სწრაფვის მნიშვნელოვნად შენელებას და ამის გამო სახალიფოს პოლიტიკური მდგომარეობის ერთგვარ სტაბილურობას. ამიტომ, რაკი „არმინიაში“ არაბთსაწინააღმდეგო მოძრაობამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ მისი დათრგუნვა ვერც ბულა თურქისა და ვერც სხვათა ლაშქრობებმა ვერ შეძლო, ხალიფამ ის აზერბაიჯანს შეუერთა და ამ გაერთიანებული ადმინისტრაციული ერთეულის მმართველობა 898(285) წელს მუჰამმად იბნ აბუ საჯის უბოძა[93] იმ პირობით, რომ ბოლოს მოუღებდა მღელვარებას და სახელმწიფო ხაზინაში ყოველწლიურად შეიტანდა დადგენილ თანხას.

---

93 ატ-ტაბარი, III, გვ. 2185; იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, V, გვ. 194.

ამ თანამდებობაზე ყოფნისას მუჰამმად იბნ აბუ საჯიმ, რომელიც „აფშინის“[94] ტიტულს ატარებდა, „არმინიის“ საკითხის მოგვარებას დიდი დრო, მოანდომა. მას ხანგრძლივი ბრძოლა ჰქონდა სომეხთა ბაგრატუნ მეფე სმბატ I-თან (890—914), რომელიც უკვე სომხურ თემებს მთლიანად დაუფლებოდა და პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილის დაპყრობასაც ცდილობდა.

894 წელს მან დალაშქრა სმბატ I-ის სამფლობელო, ორი წლის შემდეგ დაამარცხა იგი, შეიპყრო მისი მეუღლე, მთელი საგვარეულო, დაიკავა სომხეთი და იქიდან საქართველოს ეწვია.

წყაროთა მონაცემები ცხადყოფენ, რომ ალ-აფშინ მუჰამმად იბნ აბუ ს-საჯის ლაშქარს დაურბევია თბილისი, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქები და კვლავ სომხეთისაკენ წასულა იქ დაწყებული მღელვარების ჩასაქრობად, მაგრამ სომხების დასჯა ვეღარ მოუსწრია, შავი ჭირით შეპყრობილი ალ-აფშინი 901 წელს გზაში გარდაცვლილა,

მისი გარდაცვალების შემდეგ აზერბაიჯანში დაიწყო ბრძოლა მუჰამმად იბნ აბუ ს-საჯის ვაჟს დივდადსა და ბიძამის იუსუფ იბნ აბუ ს-საჯის შორის იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ალ-აფშინის შემცვლელი. 901 წლის ზაფხულში დივდადი დამარცხდა და ხალიფა ალ-მუთადიდმა (892—902) იუსუფი თავის მოადგილედ დაამტკიცა არმინია-აზერბაიჯანში.

ერთი წლის შემდეგ ხალიფა ალ-მუთადიდი გარდაიცვალა და სახალიფოს ტახტი ალ-მუკტაფიმ (902—908) დაიკავა. ამ ცვლილებით

---

94 ატ-ტაბარის, ხურდაზბიჰის, იბნ რუსთეს, ალ-ისთაჰრის, ალ-მასუდისა და სხვათა ცნობით, აფშანი იყო უსრუშანის ოლქის უფროსის უძველესი ტიტული. 822 წელს, როცა ეს ოლქი არაბებმა საბოლოოდ შეიერთეს, მის გამგებელს ჰაიდარს ხალიფამ თავისი ტიტული დაუტოვა და სამართავად აზერბაიჯან-არმინია უბოძა (В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, ч. 2, 1900, с. 216—217; В. И. Абаев. Среднеазиатский политический термин «Афшин». Вестник Древней истории, 1959, № 2, с. 112—113; Н. Негматов. Усрушан в борьбе с арабским нашествием. «Изв. Отдел. Общественных наук Таджикской А. Н. 5(1954), გვ. 117—125; W. Barthold—N. A. R. Gibb, The ensyclopaedia of Islam. London. 1960).

95 ატ-ტაბარი, III, გვ. 2202—2203; იბნ ალ-ასირი, VII, გვ. 201; ابن تغرى بردى، النجوم الزاهرة فى ملوك مصر والقاهرة، ج—٢، ص—١٢٩ (შემდეგ: იბნ თაღრიბირდი); عبد الرحمن ابن خلدون، كتاب العبر و ديوان المبتداء فى الخبر فى ايام العرب و العجم و البربر، ج—٣، ص—٣٦٩ (შემდეგ. იბნ ხალდუნი).

ისარგებლა იუსუფ იბნ აბუ ს-საჯიმ და ახალ მბრძანებელს მორჩილებაზე უარი განუცხადა. ხალიფა იძულებული გახდა შეეცვალა დამოკიდებულება როგორც იუსუფ იბნ აბუ ს-საჯის, ისე სომხეთის მეფე სმბატისადმი. იუსუფი თანამდებობიდან გადააყენა, ხოლო სმბატს აცნობა სალაშქროდ მომზადებულიყო და იუსუფი დაესაჯა.

სომეხთა მეფე ლაშქრის შეგროვებას შეუდგა. არც იუსუფი მდგარა უქმად. მან თავის მხარეზე გადაიბირა სმბატის უკმაყოფილო ძალები: ქართლის მეფე ადარნასე (881—923), ვასპურაკანის გამგებელი გაგიკ არწრუნი, შაჰუხ ბაგრატუნი და მათი დახმარებით 907(295) წელს დაამარცხა სმბატი[96]. ამასობაში სახალიფოს ტახტზე კვლავ მოხდა ცვლილება. ხალიფა მუკტაფი შეცვალა მუკთადირ ბილლაჰმა, რომელიც დარწმუნებული იმაში, რომ იუსუფის დამარცხება-დამორჩილებას ძალით ვერ შეძლებდა, შეურიგდა შექმნილ ვითარებას და საქმის მოწესრიგებას მშვიდობიანი გზით შეუდგა. მან ამბოხ ამირას აცნობა, რომ დაკავებულ თანამდებობაზე დაამტკიცებდა, თუ ყოველწლიურად სახელმწიფო ხაზინას 120 ათას დინარს გადაუხდიდა. იუსუფ იბნ აბუ ს-საჯიმ მიიღო შეთავაზებული წინადადება და ხალიფამაც თავისი სიტყვა შეასრულა. 908(296) წელს მას მარაღა-აზერბაიჯანარმინიის გამგებლად დამტკიცების ბრძანება გაუგზავნა[97].

როდესაც მუკთადირ ბილლაჰის ამ გადაწყვეტილების შესახებ სმბატ I-მა შეიტყო, პროტესტის ნიშნად ხალიფას თავისი წარმომადგენელი აახლა და აცნობა, თუ იუსუფს არმინიას ჩამოართმევ, მუდამ თქვენი ერთგული ვიქნებიო. მაგრამ სანამ სომხეთის მფლობელი ბაღდადიდან რაიმე პასუხს მიიღებდა, მის წინააღმდეგ ბარდავიდან წამოსულმა იუსუფმა დალაშქრა თბილისი, ტაშირი, შირაქი და დვინს გარს შემოადგა.

რაკი სმბატმა თავის თხოვნაზე ხალიფას რეაგირების შესახებ ჯერ არაფერი იცოდა, იუსუფთან საქმის გართულებას დაზავება ამჯობინა და 908 წელს მიზანს მიაღწია; იუსუფ იბნ აბუ ს-საჯი თავისი ლაშქრით მარაღს დაბრუნდა, თუმცა დროებით.

ზავის თანახმად, სმბატს იუსუფისათვის ყოველწლიურად უნდა მიეცა 60 ათასი დინარი. ამან გამოიწვია გადასახადების გადიდება

---

[96] К. Н. Юзбашян, დასახ. ნაშრომი. გვ. 107; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 104.

[97] ატ-ტაბარი, III, გვ. 2280—2284; იბნ ალ-ასირი, VIII, გვ. 21; იბნ-თაღრი ბირდი, დასახ. თხზულება, გვ. 171.

ხუთჯერ, მოსახლეობის უკმაყოფილება და ბოლოს საყოველთაო მღელვარება. ამასობაში ცნობილი გახდა ისიც, რომ სმბატ I-ს თხოვნაზე ხალიფამ უარით უპასუხა და ყოველივე ამის გამო იუსუფ იბნ აბუ ს-საჯის საბაბი მიეცა განეახლებინა თავდასხმა არმინიაზე. 909 წელს ის დიდი ლაშქრით შეიჭრა სომხეთში, დაარბია შირაქის მხარე, დვინი და იქიდან საქართველოსაკენ გაემართა. საქართველოში მოარბია თბილისი, მთელი ქართლი, კახეთი, სამცხე და ჯავახეთი, სამცხეში დიდი ბრძოლა გაიმართა ყველის ციხესთან. მიუხედავად ქართველების მედგარი წინააღმდეგობისა ერთთვიანი ალყის შემდეგ იუსუფმა მაინც შეძლო ციხესიმაგრის აღება და იმათი მთელი სისასტიკით დაჯა, ვინც ციხეში იმყოფებოდა.

ეს დამსჯელი ექსპედიცია ქართულ საისტორიო მწერლობაში აბუ ლ-კასიმის ლაშქრობის სახელითაა ცნობილი. „მატიანე ქართლისას" ავტორი ვრცლად აღწერს საჯი ამირის თავდასხმას და ადასტურებს არაბ მწერალთა ნაამბობს იმის შესახებ, რომ სომხეთის დალაშქვრის შემდეგ იგი ნამდვილად სწვევია თბილისს, რომელსაც მაშინ ჯა'ფარ 'ალის ძე მართავდა. ერთმანეთზე მიყოლებით დაუფლებია უჯარმას, ბოჭორმას, ქართლს, სამცხე-ჯავახეთს და შეუპოვრობისათვის უწამებია ყველის ციხის მცველი ქართველები ჰაბუკი გობრონის მეთაურობით[98]. ქართველი მემატიანე არაფერს იუწყება აბუ ლ-კასიმის (იუსუფის) ლაშქრობის მიზეზსა და მიზანზე საქართველოში, რამაც შეიძლება დაგვაეჭვოს კიდეც არაბ ავტორთა მონათხრობის სისწორეში იმის შესახებ, რომ იუსუფ იბნ აბუ ს-საჯი „არმინიაში" სომხეთ-საქართველოს მეფე-მთავართა საყოველთაო ურჩობამ მოიყვანაო. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ხალიფას ნაცვალმა დალაშქრა ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, მოსპო ხალხი და დააქცია ციხეები, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ქართველი ანონიმი ავტორი, მხოლოდ იმის დადასტურებაა, რაზეც უცხოელი ისტორიკოსები წერენ, სხვანაირად ეს ლაშქრობა არც შედგებოდა.

ყოველი თავდასხმა საქართველოსათვის დიდი უბედურება იყო და, რა თქმა უნდა, ამ მხრივ გამონაკლისს არც იუსუფ იბნ აბუ ს-საჯის ლაშქრობები წარმოადგენდა. მათ სერიოზული ზარალი მიაყენეს ქართლ-კახეთსა და სამცხე-ჯავახეთს. მოისპო მოსახლეობა, დაინგრა

---

98 მატიანე ქართლისა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 262—264); ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX—XI საუკუნეებში, თბ., 1988, გვ. 48, 62.

ციხე-ქალაქები, განადგურდა სოფლის მეურნეობა, შეფერხდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებაც, მაგრამ აღნიშნულმა საომარმა აქციებმა საბოლოო მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. მათ ვერც ქვეყნის მოსპობა მოახერხეს და ვერც იმ ეროვნული მოძრაობის შეჩერება. დამოუკიდებლობისა და საქართველოს კონსოლიდაციის ნიშნით რომ მიმდინარეობდა. არაბობა თავის დასასრულს უახლოვდებოდა, ხოლო არაბთა ბატონობის ქვეშ მყოფი ქვეყნები, მათ შორის საქართველო, სახალიფოს დასუსტების შესაბამისად სულ უფრო ძლიერდებოდა და ტაოკლარჯეთისა და ეგრის-აფხაზეთის პოლიტიკურ მესვეურთა თაოსნობით ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ცდილობდა. მართალია, ამ იდეას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა თვით საქართველოში, მაგრამ განვითარება მაინც თავისი გზით მიდიოდა და მისი შეჩერება აღარავის შეეძლო.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში არაბობის დასასრულიდან სელჩუკობამდე

1. ურთიერთობა ბიზანტიასთან დავით III კურაპალატის დროს

თუ აქამდე ძირითადად მაინც აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ ვმსჯელობდით, არაბულ წყაროთა შემდეგ ცნობებს დასავლეთ, უფრო კი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გადავყავართ. ეს ცნობები ქართულ-სომხურ-ბერძნულ წყაროთა სათანადო მონაცემებთან ერთად გვეხმარებიან უკეთ გავერკვეთ იმ საკმაოდ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში, რომელიც არაბთა ერთიანი სახელმწიფოს დაშლის ჟამს შეექმნა და შემდეგაც დიდხანს გაგრძელდა. ამ ვითარების ძირითადი მახასიათებელი იყო ბრძოლა დამოუკიდებლობა-პირველობისათვის, რისთვისაც ერთნაირი მონდომებით იღვწოდნენ ბიზანტია, სახალიფოს დასუსტების შედეგად წარმოქმნილი ცალკეული მუსლიმური პოლიტიკური გაერთიანებები, საქართველოსა და სომხეთის სამეფო-სამთავროები.

სარგებლობდა რა სახალიფოს საერთო კრიზისით, ბიზანტია ცდილობდა ხელიდან არ გაეშვა ხელსაყრელი მომენტი და მცირე აზიაში თავისი ოდინდელი დიდების აღსადგენად ჯვაროსნულ ომს უცხადებდა მაჰმადიანურ სასულთნო-საამიროებს, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარ იმედს ერთმორწმუნე საქართველოსა და სომხეთის სამეფო-სამთავროებზე ამყარებდა.

ქართველი და სომეხი მეფე-მთავრები კი უარს არ ამბობდნენ ანტიმუსლიმურ აქციებში მონაწილეობაზე, მაგრამ ამას აკეთებდნენ არა ბიზანტიის გასაძლიერებლად, არამედ ამ უკანასკნელის მოკავშირეობით თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მისაღწევად. რაც შეეხება სახალიფოს და მის წიაღში წარმოქმნილ ცალკეულ მუსლიმურ პოლიტიკურ ერთეულებს, სასულთნო-საამიროებს, ისინი ყველაფერს ღო-

ფო

ხელისუფალნი დაჟინებით მოითხოვდნენ იმასაც, რომ ბიზანტიელებს ბასიანიც დაეტოვებინათ. მათი ასეთი კატეგორიული მოთხოვნა ემყარებოდა იმპერატორების რომანოზ I-ისა (920—944) და კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (913—945) „ხრისოვულებს" (სიგელებს), რომლებშიც ფიქსირებული იყო, რომ 1. ბიზანტია ხელს არ ახლებდა ქართველთა სამფლობელოს და 2. ქართველებს შეუძლიათ დაიკავონ ბასიანის მხარე თვითონ ან ბიზანტიელებთან ერთად[1].

მართალია, ქართველ ბაგრატიონთა წინაალმდეგობამ გარკვეული შედეგი გამოიღო, X ს. შუა ხანებში ტაო-კლარჯეთი შენარჩუნებული იქნა და საზღვარი არაქსზე გადიოდა[2], მაგრამ ბიზანტია თავისას მაინც არ იშლიდა, თვალი ქართველთა სათვისტომოსაკენ ეჭირა. მის მორიგ ცდას ტაოს ხელში ჩასაგდებად ადგილი ჰქონდა 980-იან წლებში, იმპერატორ ბასილ II-ის (976—1025) დროს, როცა ტაოს დავით III კურაპალატი მართავდა.

დავით ადარნასეს ძე ხელისუფლებას სათავეში მოეჭცა თავისი ძმის ბაგრატის გარდაცვალების (966) შემდეგ. მის სახელოს წარმოადგენდა ზემო, ანუ იმიერ ტაო, ჯავახეთი, კოლა-არტაანი, შავშეთი და ბასიანი. მოღვაწეობა დაიწყო მაგისტროსის ტიტულით და დაასრულა კურაპალატის პატივით. მის კარიერაზე და სამფლობელოს შემდგომ ბედზე მკვეთრი გავლენა იქონია იმ პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომლებიც ბასილ II ბულგართმშემუსვრელის ზეობისას მოხდა ბიზანტიაში.

ცნობილია, რომ X ს. უკანასკნელ მეოთხედში ბასილ II-ის ხელისუფლებას სერიოზული საფრთხე შეექმნა. მცირე აზიის მეტისმეტად აღზევებულმა სამხედრო-ფეოდალურმა არისტოკრატიამ ახალგაზრდა იმპერატორს ზურგი შეაქცია და ბარდა სკლიაროსის მეთაურობით აჯანყება წამოიწყო.

კედრენეს ცნობით, სკლიაროსი იოანე ციმისხის (969—976) დროს ხალიდიის დუკა იყო[3], მაგრამ, როგორც იაჰია ანტიოქიელი და

---

[1] К. Н. Юзбашян, დასახ. ნაშრომი, გვ. 133. უფრო ვრცლად იხ. Constantine Porphyrogenitus. De administrando Imperio, Englishtranslation by R. J. H. Jenkins, 1967, Vol. I. გვ. 105—127.

[2] К. Н. Юзбашян, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

[3] Н. С. Кабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, 1884, с. 204.

იბნ ალ-ასირი იუწყებიან, ბასილ II-ს იგი დაუქვეითებია და სწორედ ეს გამხდარა მისი ამბოხების მიზეზი[4]. აჯანყება 976 წელს დაიწყო და ისეთი წარმატებით ვითარდებოდა, რომ ორი წლის შემდეგ მცირე აზიის უდიდესი ნაწილი აჯანყებულთა ხელთ იყო.

სკლიაროს შეუერთდნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ გრიგოლ და ბაგრატ ტარონიტები, ანტიოქიის დუკა მიხეილ ვურცი და ამიდ-მარტიროპოლის მუსლიმი ამირები. ასეთ ვითარებაში იმპერატორი იძულებული გახდა გადასახლებიდან გამოეთხოვა სკლიაროსის ძველი მეტოქე ბარდა ფოკა[5] და იგი აჯანყების დასათრგუნავად გაიგზავნა, მაგრამ არც ამ ღონისძიებას მოჰყოლია სასურველი შედეგი. 978 წლის 19 ივნისის პანკალიის ბრძოლაში იმპერიის ჯარები კვლავ დამარცხდნენ და უკუიქცნენ. ამან ბასილ II-ის მდგომარეობა იმდენად უიმედო გახადა, რომ მასთან ურთიერთობა თითქმის აღარავის უნდოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც მას ამ განსაცდელის ჟამს დახმარების ხელი გაუწოდეს და ამით მოვლენების შემდგომ განვითარებას სულ სხვა მიმართულება მისცეს. გამონაკლისთა ამ მცირე ჯგუფში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ტაო-კლარჯეთის ქართველ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელს დავით III-ს, რომელმაც თავი მოუყარა 12000 კაცს და იოანე თორნიკესა და ჯოჯიკ ერისთავთერისთავის მეთაურობით იმპერატორს მიაშველა მისივე მოწიწებითი თხოვნით[6].

ცხადია, ტაო-კლარჯეთის გამგებლის ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა ბასილ II-ის ხათრითა და ბიზანტიის გაძლიერების სურვილით არ იყო ნაკარნახევი. როგორც ცნობილია, ამბოხებული სკლიაროსი აშკარა საფრთხეს უქმნიდა არა მარტო იმპერიას, არამედ

---

4 Император Василий Болгаробойца (Извлечения из летописи Яхьи Антиохийского. Издал, перевел и объяснил барон В. Р. Розен,), СПб., 1883 გვ. 1, 80, შენიშვნა 12 (შემდეგ; В. Р. Розен); ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 971—972 წლებში, თბ., 1969, გვ. 29.

5 971—972 წლებში ფოკა იმპერატორ იოანე ციმისხის ტახტიდან ჩამოგდებას უპირებდა, მაგრამ მაშინ ის ბარდა სკლიაროსმა დაამარცხა, ხოლო იოანემ ბერად აღკვეცა და კუნძულ ქიოსზე გადაასახლა.

6 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (IX—XV), თბ., 1967, წიგნი II, გვ. 48; ე. ცაგარეიშვილი, სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X—XI საუკუნეებში („მრავალთავი", თბ., 1973, II, გვ. 171); К. Н. Юзбашян, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

„ქართველთა სამეფოსაც"[7]. ამიტომ დავითი გულგრილი ვერ იქნებოდა იმპერატორის თხოვნისადმი. ბასილ II მას ამ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ სჭირდებოდა მოკავშირე საშიში ბარდა სკლიაროსის დასამარცხებლად და თავისი სამფლობელოს შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, როცა ის იმპერატორს ჯარს უგზავნიდა და ამით მის თხოვნას აკმაყოფილებდა იმასაც ითვალისწინებდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში მადლობის ნიშნად რაღაც კომპენსაციას მიიღებდა. ასე რომ, შექმნილ სიტუაციაში დავითის მიერ გადადგმული ნაბიჯი, სამეფო ხელისუფლებისადმი სამხედრო დახმარებას რომ ითვალისწინებდა, სრულიად გამართლებული იყო. სხვაგვარი გადაწყვეტილება საკუთარი ინტერესებისადმი ღალატის ტოლფასი მოქმედება იქნებოდა.

979 წელს ბასილ II-ის ჯარებმა, რომელსაც ბარდა ფოკა სარდლობდა, ზედიზედ დაამარცხეს აჯანყებულნი და გაათავისუფლეს მათ მიერ დაკავებული მთელი ტერიტორია. როგორც წყაროთა მონაცემები მოწმობენ, ამ გამარჯვებაში თავი უსახელებია დავითის ჯარს თორნიკესა და ჯოჯიკის სარდლობით. სტეფანოს ტარონაცს თუ დავუჯერებთ, მათ ტაოდან დაწყებული დაუნგრევიათ და აუოხრებიათ ბიზანტიელთა მთელი ქვეყანა, სკლიაროსის ხელთ რომ იყო[8]. დამარცხებული სკლიაროსი ბაღდადს გაიქცა და დიდხანს თავს მუსლიმურ სამყაროში აფარებდა.

აჯანყების ჩაქრობით ბასილ II-მაც და დავით III ტაოელმაც მიზანს მიაღწიეს. ბასილმა იმპერია და ტახტი შეინარჩუნა, დავითმა კი თავისი სამფლობელო იხსნა გარედან ხელყოფის საშიშროებისაგან და ამასთანავე იმპერატორისაგან მიიღო „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი, რაიცა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ"[9]; არიჭი და მასთან

---

[7] Н. Ломоури. К истории восстания Барды Склира (თსუ „შრომები", თბ., 1957, ტ. 67, გვ. 37 — 39); შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X—XIII სს.). თბ., 1954. გვ. 4.

[8] Всеобщая история Степаноса Таронского, გვ. 135; ე. ცაგარეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171. სტეფანოსის თხზულების ნ. ემინისეულ რუსულ თარგმანში დაშვებულია უზუსტობა. ორიგინალისეული „ტაიკ" თარგმნილია „ტარონად". ეს უზუსტობა ქართულ თარგმანში აღარ მეორდება (იხ. ე. ცაგარეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171), რაზეც საგანგებოდ მიუთითებს შ. ბადრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

[9] ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად გამზადებული ივ. ჯავახიშვილის მიერ და გამოცემული ა. შანიძის მიერ, თბ., 1946, გვ. 19; გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი (ძველი ქართული აგიოგ-

მდებარე კლისური დასავლეთ ევფრატის ხეობაში; ჩორმაირის თემი მდინარე ჭოროხის სათავეებთან; კარინი (არზრუმი) თავისი თემით, ევფრატის ხეობში რომ მდებარეობდა; სამხრეთ ბასიანი; მდინარე არაქსის სათავეში არსებული მარდალიის კანტონის ციხე სევუქი და ჰარქ-აპაჰუნიქის პროვინციები ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში[10].

ასეთმა პატივმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დავით III-ის მდგომარეობა. ერთი მხრივ, საგრძნობლად გააფართოვა მისი სამფლობელო—ტაო-კლარჯეთის საზღვრები, ხოლო, მეორე მხრივ, გაზარდა ძალა და ავტორიტეტი. დავითი ამიერიდან თავს სრულუფლებიან დამოუკიდებელ მეფედ თვლიდა[11] და იმაზეღა ფიქრობდა, ეს მდგომარეობა როგორმე შეენარჩუნებინა. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ის პოლიტიკური კურსი, რასაც დავითი ატარებდა, ერთი მხრივ, მოსაზღვრე მუსლიმური ქვეყნების, ხოლო, მეორე მხრივ, ბიზანტიის სამეფო ხელისუფლების მიმართ X ს. 80-იან წლებში, როცა იმპერიაში ვითარება კვლავ დაიძაბა ამჯერად უკვე ბარდა ფოკას აჯანყების გამო.

მაგრამ ბიზანტიის სამეფო ხელისუფლება თავის მხრივ კონტრლონისძიებებს ახორციელებდა. „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი" რომ მან დავითს გადასცა ამით მისი ამაგი მარტო კი არ დაუფასებია, თავისი მდგომარეობაც გაიუმჯობესა და აი რატომ. ის ქვეყნები, რომლებიც კეისარმა ტაოს შეუერთა, ადრე მაჰმადიანთა მფლობელობაში იყო და ისინი ამ ტერიტორიის დაბრუნებას შეეცდებოდნენ. მაშასადამე, ბიზანტიას მარტო უნდა დაეცვა ის გარეშე ხელყოფისაგან. ახლა კი როცა ეს ქვეყნები ბიზანტიამ ტაოს მფლობელს გადაულოცა, ამით დავითი აიძულა თვითონ ეზრუნა მათ უშიშროებაზე. ეს კი ფაქტობრივად იმას ნიშნავდა, რომ ტაო-კლარჯეთის გამგებელი უსათუოდ უნდა ყოფილიყო ბიზანტიის ერთგული მოკავშირე მცირე

რაფიელი ლიტერატურის ძეგლები (XI—XV) ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1967, II, გვ. 48).

[10] Всеобщая история Степаноса Таронского, М., 1864. გვ. 135; ე. ცაგარეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1949, გვ. 152. თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანი იყო ეს ტერიტორია დავითისათვის ამის შესახებ იხ. ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43—45.

[11] ამის დასტურია საკუთარი სახელით ფულის მოჭრა (დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1950, გვ. 42). დავით III კურაპალატის ავტორიტეტს კიდევ უფრო ზრდიდა ის გარემოება, რომ 977 წლიდან მისი გავლენის ქვეშ მოექცნენ ანის — შირაკ — ვანანდის სომეხი მეფეები (ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX—XI საუკუნეებში, თბ., 1988, გვ. 246).

აზიაში მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან მარტო დავითს გაუჭირდებოდა ბოძებული ქვეყნების დაცვა-შემომტკიცება. და მართლაც ალეპოელი არაბი მწერლის, ქემალ ად-დინის ცნობით, ქართველთა ლაშქარი ბარდა სკლიაროსოს დამარცხების შემდეგაც დიდხანს განაგრძობდა მცირე აზიაში ბრძოლას. მისი თქმით, X ს. 80-იანი წლების დასაწყისში ბარდა ფოკა სირიაში შეიჭრა და ალეპოს მიმართულებით უტევდა. ბერძენთა ლაშქარს წინ მიუძღოდა ქართველთა რაზმი მათი მალიქის[12] მეთაურობით, როდესაც ბარდა ფოკა ალეპოს გარემოცვას შეუდგა, მისმა გამგებელმა სად ად-დავალმა თავისი ლაშქარი საბრძოლველად მოამზადა და კონტრიერიში წამოიწყო. ცხარე ბრძოლაში დაიღუპა ბერძენთა ჯარის მთავარი ბურჯი ქართველთა მალიქი"[13].

არაბი მემატიანის ეს ცნობა, რომელიც 983—984 (373) წლით თარიღდება, მრავალმხრივაა საინტერესო, მასში გამოკვეთილად ჩანს არა მარტო ის, რომ ქართველთა ლაშქარი X ს. 80-იან წლებშიც იმყოფებოდა ბიზანტიის ჯარში და ამ უკანასკნელთან ერთად მონაწილეობდა მუსლიმური სამფლობელოების წინააღმდეგ ბრძოლებში, არამედ ისიც თუ რა შორს წაუწევიათ სამხრეთისაკენ[14].

ალეპოს ალყა თავისთავად იმის მაუწყებელიცაა, რომ მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია უკვე თავისუფალი იყო მუსლიმი დამპყრობლებისაგან და დავით III-ის მიზანი, კეისრის მიერ ნაბოძები ქვეყნების დაცვა-შემომტკიცებას რომ ითვალისწინებდა, მიღწეული იყო. ეს კი საშუალებას აძლევდა მას შემოერთებულ ადგილებში თავი-

---

12 ის გარემოება, რომ „მალიქუნ" არაბულად მეფესაც აღნიშნავს, შთავარსაც და საერთოდ დიდებულსაც შეუძლებელს ხდის იმის ზუსტად დადგენას, თუ ვინ იყო დაღუპული ქართველი სარდალი. მაგრამ ის, რომ წარჩინებულთა გვარიდან უნდა იყოს ეს ეჭვს არ იწვევს. ვ. როზენის ვარაუდით, იგი „ჩორტვანელთა -(?ჩორ-ჩანელთა) გვარიდანაა (В. Р. Розен. დასახ. ნაშრომი. გვ. 166).

13 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი. გვ. 163. შენიშვნა 117. ქემალ ად-დინის ცნობის სანდოობას ჩორტვანელის დაღუპვის თარიღის შესახებ საეჭვოს ხდის სტეფანოს ტარონაცის ჩვენება. რომლის თანახმად, ფოკასთან ერთად მებრძოლი მაგისტროსი ჩორტვანელი გარდაიცვალა ფოკას შემდეგ (989), კერძოდ 990 წელს ტარონის ქვეყანაში, ბაღარინჯის ველზე, ბასილ II-ის მიერ გაგზავნილ პატრიკოს ჟანის წინააღმდეგ ბრძოლაში (Всеобщая история Степаноса Таронского, გვ. 15[illegible]) და მისივე ცნობით იყო თორნიკეს ძმისშვილი.

14 ბიზანტიელთა დიდ საბრძოლო წარმატებებს ხაზგასმით აღნიშნავს იბნ ალ-ასირიც. მისი თქმით, მათი „ძლევამოსილება იმდენად გაიზარდა, რომ მუსლიმები ყველგან შიშით კრთოდნენ და ქვეყანა დაუცველი იყო. ასე რომ, ისინი იქ შეიჭრებოდნენ, სადაც სურდათ (იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, VIII, გვ. 238).

სი მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგი საფეხურის განხორციელებას, კერძოდ, იქ ქართველებისა და სომხების ჩასახლებას შედგომოდა, რაც მან ასევე წარმატებით გადაწყვიტა.

ამ გამარჯვებების შემდეგ, რასაც დავით III-მ X ს. 80-იანი წლების I ნახევარში მიაღწია, მისი კავშირი ბიზანტიასთან აღარ იყო აუცილებელი. მისთვის ახლა ის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ მისგან სრულიად დამოუკიდებლობა მიეღო. ამისათვის კი კონსტანტინეპოლის სამეფო კარს დავითისათვის უნდა დაებრუნებინა მძევლები, რომლებიც, გიორგი მთაწმინდელის ცნობით, ბერძენთა მეფემ ტაოს გამგებელს გამოართვა მაშინ, როცა მას „ზემონი ქვეყანანი" უბოძა[15].

რა თქმა უნდა, ბასილ II ასეთ დათმობაზე არ წავიდოდა, რადგან იცოდა, რომ ამას მოჰყვებოდა ტაოს ჩამოცილება და ბიზანტიის პოზიციების შესუსტება. ამიტომ დავითმა უარი მიიღო და, როგორც ჩანს, ეს დაედო საფუძვლად განხეთქილებას, რამაც საბოლოოდ გამოიწვია დავითის გადასვლა ანტისამთავრობო შეთქმულების მონაწილეთა ბანაკში.

შეთქმულების მზადება-მიმდინარეობის ისტორიის გადმოცემა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, მით უმეტეს, რომ ეს საკითხი საკმაო სისრულითაა დამუშავებული ქართულ ისტორიოგრაფიაში[16]. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ქამალ ად-დინის გადმოცემით, ბასილ II-ის საწინააღმდეგო შეთქმულებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ X ს. 80-იანი წლების I ნახევარში და მისი ინიციატორი, როგორც იაჰია ანტიოქიელი იტყობინება, იყო კეისრის პარაკიმანოსი ბასილი[17], ხოლო აქტიური მხარდამჭერნი, ანტიოქიის მმართველად კეისრის მიერ დანიშნული მაგისტროსი ლეონ მელისინი, იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის დუკა, ყოფილი დომესტიკოსი ბარდა ფოკა და სხვ. მემატიანის თქმით, შეთქმულებისათვის ბრძოლება მაშინ დაიწყო, როცა იბერთა რაზმი მათი მალიქის (ჩორჯანელის?) მეთაურობით ბარდა ფოკას ბანაკში იმყოფებოდა და ავანგარდის როლს ასრულებდა. ამიტომ ვ. კოპალიანი აკეთებს დას-

---

15 ცხოვრება იოვანესი და ეფთვმესი, გამოსაცემად გამზადებული ივ. ჯავახიშვილის მიერ და გამოცემული ა. შანიძის მიერ, თბ., 1946, გვ. 16.

16 ყველაზე ვრცლად და დასაბუთებულად ეს საკითხი წარმოდგენილია ვ. კოპალიანის ნაშრომში „საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970—1070 წლებში". თბ., 1969, გვ. 49—55.

17 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

კვნას, რომ შეთქმულების გეგმა ქართველთა ლაშქრის მეთაურისთვისაც უნდა ყოფილიყო ცნობილი[18]. ჩვენც ვეთანხმებით მკვლევრის დასკვნას და დავსძენთ, რომ ასეთი გეგმის არსებობა უნდა სცოდნოდა თვით დავით III-საც. ამის საფუძველს გვაძლევს იაჰია ანტიოქიელის ცნობა დავითის მიერ გაწეული უყოყმანო დახმარების შესახებ ფოკასადმი, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით.

ბარდა ფოკა ბიზანტიის ისტორიაში კარგად ცნობილი სამხედრო პიროვნებაა. მას არა ერთხელ უსახელებია თავი როგორც გაბედულ და ნიჭიერ მხედართმთავარს. როგორც მცირე აზიის სამხედრო, ფეოდალური არისტოკრატიის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებს, მასაც იმპერიის სამეფო ტახტის დაპატიმრება ეწადა. ამ მიზნით, მან ჯერ კიდევ იოანე ციმისხის (969—976) მოუწყო აჯანყება, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მაშინ (971/2) წელს) ის სკლიაროსმა დაამარცხა, ხოლო იმპერატორმა დასაჯა მთავარსარდლობა ჩამოართვა, ბერად აღკვეცა და კუნძულ ქიოსზე გადაასახლა. 978 წელს ბასილ II-მ მას დიდი სიკეთე უყო. გადასახლებიდან დააბრუნა და თავისი ლაშქრის მთავარსარდლობაც მიანდო, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავის ძველ განზრახვაზე ხელი მაინც არ აუღია. იგი ამის განსახორციელებლად მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდა და დადგა თუ არა ასეთი დრო, მანაც აღარ დააყოვნა.

X ს. 80-იანი წლების II ნახევარში იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების მდგომარეობა კვლავ მკვეთრად გაუარესდა. 986 წელს ბასილ II ბულგარელებთან ბრძოლაში დამარცხდა. როგორც კი ეს ბაღდადში შეიტყვეს, იქ ტყვეობაში აყვანილი ბარდა სკილიაროსი გაათავისუფლეს და ისიც ბედუინ არაბთა რაზმის თანხლებით მაშინვე ბიზანტიისაკენ დაიძრა[19]. მემატიანის თქმით, 21 დღის სავალი გზა განვლო და მელიტინს მივიდა. იქ მას გვერდში ამოუდგა ქვეყნის მთელი შეირაღებული ძალები, მათ შორის აპაპუნიკისა და ნეპერკერტის ამირა ბადიც[20].

ბასილ II-მ სასწრაფო ღონისძიება განახორციელა საშიშროების თავიდან ასაცილებლად. ბარდა ფოკას, რომელიც მაშინ აღმოსავლეთის დუკა და ანტიოქიის გამგებელი იყო, დომესტიკობა დაუბრუნა,

---

18 ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

19 სკლიაროსის განთავისუფლება ტყვეობიდან და პირობები აღწერილი აქვს იბნ ალ-ასირს (ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, დასახ. თხზულება, IX, გვ. 17—18).

20 Всеобщая история Степаноса Таронского, с. 177.

ლაშქარი მისცა და სკლიაროსის წინააღმდეგ საომრად წასვლა უბრძანა. ფოკა მაშინვე სკლიაროსისაკენ დაიძრა, მაგრამ ბრძოლა არ გამართლდა, ტახტის მოცილე ორივე სარდალი ერთმანეთს შეხვდნენ და შეთანხმდნენ, რომ ერთად იბრძოლებდნენ იმპერიის მბრძანებელ მაკედონელთა დინასტიის წინააღმდეგ[21].

იაჰია ანტიოქიელის თანახმად, ამ შეხვედრისას, რომელიც ჯაიჰანს გამართულა, მათ წინასწარ გაუნაწილებიათ იმპერია გავლენის სფეროებად. გამარჯვების შემთხვევაში „ფოკა იქნებოდა კონსტანტინეპოლში, ხოლო სკლიაროსი მის გარეთ“[22]. ამ პირობით, ერთმანეთის ერთგულებაზე დაფიცებული აჯანყების ეს ორი ლიდერი ერთმანეთს დაემშვიდობენ და დათქვეს, რომ აჯანყების სრული გეგმის შესამუშავებლად ისინი კვლავ შეხვდებოდნენ. იაჰიას ჩვენებით, ასეთი შეხვედრა სულ მალე მომხდარა, მაგრამ არავითარ შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია. ფოკას სკლიაროსი დაუტყვევებია და იმ ციხესიმაგრეში გაუგზავნია ჩასაკეტად, სადაც თავისი მეუღლე ჰყავდა დაბანაკებული[23].

ციხესიმაგრის სახელწოდებას არაბი მწერალი არ ასახელებს. სტეპანოს ტარონაცის მიხედვით კი ფოკას სკლიაროსი ჟერავსის (ტიროპეა?) ციხეში გაუგზავნია[24]. უნდა ვიფიქროთ, რომ იაჰიაც, ალბათ, ამ სიმაგრეს გულისხმობს.

სტეფანოსი ფოკას ჰკიცხავს ასეთი საქციელისათვის. მას „ფიცის გამტეხს უწოდებს“[25]. მაგრამ იაჰიას ერთი ცნობიდან ჩანს, რომ ფოკას ჰქონდა სკლიაროსის შეპყრობის საფუძველი. საქმე ისაა, რომ შეთანხმების მიხედვით, შეთქმულების შესახებ არავის უნდა სცოდნოდა. სკლიაროსმა კი იგი თავის ვაჟს რომანოზს გაუმხილა.

---

[21] Всеобщая история Степаноса... с. 178.

[22] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 21, თარგმანი, გვ. 23. იაჰიას ეს ცნობა რამდენადმე ბუნდოვანია. მასში გარკვევით არაა მითითებული, რას პირდებოდა ფოკა სკლიაროსს. ამ საკითხში თითქოს ერთგვარი გარკვეულობა შეაქვს იბნ ალ-ასირს. მისი ცნობით, სკლიაროსი მისულა ფოკასთან და შეთანხმებულან, რომ სრეტის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია კონსტანტინეპოლითურთ დარჩებოდა ფოკას, ხოლო მის სამხრეთით მყოფი მთელი ტერიტორია გადავიდოდა სკლიაროსის გამგებლობაში (იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, IX, გვ. 17—18).

[23] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 21—23, თარგმანი, გვ. 23—24.

[24] Степанос Таронецн, დასახ. თხზულება, გვ. 178.

[25] იქვე.

რომანოზი შეთანხმების წინააღმდეგ გამოვიდა. იგი აცხადებდა, რომ ყველაფერი ეს იყო ფოკას ოინები, მიმართული ბარდა სკლიაროსის საზიანოდ და მამას ურჩევდა, უარი ეთქვა ფოკასადმი მიცემულ თანხმობაზე. ხოლო როცა შეიტყო, რომ მამა ყურს არ უგდებდა, რომანოზი კეისარს ეახლა და ყველაფერი შეატყობინა. მაშასადამე, ბარდა სკლიაროსმა შეთქმულება გასცა და სასჯელიც დაიმსახურა. ფოკამ იგი კლიტულში გაგზავნა, მაგრამ აღუთქვა, რომ, როცა იმპერატორი გახდებოდა, მას გაათავისუფლებდა და დანაპირებსაც პირნათლად შეასრულებდა[26].

რაკი შეთქმულება გაცემული იყო და ბასილ II-მ ყველაფერი იცოდა, ფოკამ აღარ დააყოვნა, თავი მეფედ გამოაცხადა და 377 წ. ჯუმმადა I თვის 17 რიცხვში, ანუ 1228 წ. 14 აილულს[27] (987 წ. სექტემბერს)[28], ოთხშაბათს, ჯვრის დღესასწაულის დღეს, აჯანყება დაიწყო[29].

აჯანყებულებმა, რომელთა მხარეზე სტეფანოსის ცნობით, ქართველთა რაზმიც მონაწილეობდა ჩორტვანელის მეთაურობით[30], შეტევა სწრაფად განავითარეს და, როგორც ლეონ დიაკონი გადმოგვცემს, ბიზანტიის იმპერიის აზიური ნაწილის თითქმის მთელი ტერიტორია დაიკავეს[31]. იაჰიას ჩვენებით, ფოკას მიუღწევია დარვალემდე (درولية) ზღვის ნაპირამდე და ხრისუბილამდე (خرسوبلى), რის გამოც ქშეშფოთებული კეისარი იძულებული გამხდარა შერიგებოდა მის მოწინააღმდეგე ჩრდილოეთელ მეზობელს, რუსთა მთავარს (ვლადიმირს) და ეთხოვა სამხედრო დახმარება.

რუსთა ლაშქრის გამოცხადებამ კეისრის ბანაკში, აჯანყებულთა მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა. ისინი ზედიზედ სთმობენ დაპყრობილ ადგილებს: ხრისუბილს, ზღვისპირეთსა და ტრაპიზუნდს. დამარცხებული ფოკა ევფრატის ნაპირებისაკენ იხევს და იქიდან თავის ვაჟს ნიკიფორეს (მეტსახელად „კისერმოქცეულს“ — العوج الرقبة)

---

26 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 21, თარგმანი, გვ. 23.

27 იაჰია ანტიოქიელი თარიღს თითქმის ყველგან ასახელებს როგორც მუსლიმური (ჰიჯრით), ისე ე. წ. სელევკიანური წელთაღრიცხვით.

28 სტეფანოსი აჯანყების დაწყების თარიღად დებს 435 (-986) წელს (Всеобщая история Степаноса Таронского).

29 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 21, თარგმანი, გვ. 23.

30 Всеобщая история Степаноса Таронского, გვ. 178, 180, 191.

31 История Льва Диакона, перевод Д. Попова, 1820, с. 28.

ალ-თაის (الطائي), ანუ ტაოს გამგებელ დავით კურაპალატთან გზავნის დამხმარე ლაშქრის სათხოვნელად[32].

რაკი დავითი თავიდან უჭერდა მხარს აჯანყებას, უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. გამარჯვების შემთხვევაში კეისარი მას დაუსჯელს არ დატოვებდა. ამიტომ ტაოს მფლობელს ბასილის გამარჯვება არ უნდა დაეშვა და, მიიღო თუ არა ცნობა ფოკას გასაჭირის შესახებ, დახმარებაზე უარი არ უთქვამს, მაშინვე ჯარი შეკრიბა და ნიკიფორეს გააყოლა, რასაც იაჰია ასე გადმოგვცემს: „დავითმა ერთი თავისი მსახური (ﺑﻄﺮﻳﻖ) 1000 მხედრით გაგზავნა. მათ თან გაჰყვნენ აგრეთვე ტარუნის ერთ-ერთი თემის, ალ-ხალდიის პატრიკოსის, ბაგრატის[33] ორი ვაჟი 1000 მხედრის თანხლებით. ისინი ატ-ტარუნელს შეებრძოლნენ და დაამარცხეს, მაგრამ შეიტყვეს, რომ ბასილ მეფეს ხრისუბილში ფოკაზე გაუმარჯვნია და უკან გაბრუნდნენ. დავით ქართველის მსახური და ბაგრატის ვაჟები თავს იმით იმართლებდნენ, რომ შეასრულეს ის, რასაც მათგან მოითხოვდნენ (ე. ი. ტარუნელი დაამარცხეს). ნიკიფორესთან მყოფი ჯარი გაიფანტა, თვით ნიკიფორე დედასთან წავიდა"[34].

საინტერესო ცნობაა. ვფიქრობთ, ის გარკვეულ პასუხს იძლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში დასმულ კითხვებზე: რატომ უნდა გაჯავრებოდა დავითი თავის გამარჯვებულ სარდლებს, რად უნდა დასჭირვებოდა მათ თავის მართლება და რატომ არ შეუერთდნენ ისინი ჩორტვანელის რაზმს, რომელიც კიდევ დიდხანს იბრძოდა კეისრის ხელისუფლების წინააღმდეგ.

ფოკას დამარცხებისა და ნიკიფორეს ლაშქრის გაფანტვის შემდეგ ამ ლაშქარში მოქმედ ქართველთა 2000-კაციანი რაზმის ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ ვალმოხდილნი. ჩორტვანელსაც რომ ასე გაეკეთებინა, აჯობებდა. რაც შეეხება დავითის საყვედურს სარდლებისადმი, გასაგებია. ჩანს, მან არ იცოდა, რაც აჯანყებულთ შეემთხვა და ეგონა, რომ მათ აჯანყებას

---

[32] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 22, თარგმანი, გვ. 24.

[33] ეს უნდა იყოს თორნიკეს ვაჟი, ჩორდვანელის ძმა, რომელიც დავით კურაპალატთან ერთად მონაწილეობდა ხლათის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში და იქვე დაიღუპა 998 წელს (ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63).

[34] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 22, თარგმანი გვ. 24.

ულალატეს და უკუიქცნენ, რის გამოც საფრთხეში ვარდებოდა არა მარტო ფოკა, არამედ თვითონაც. მას კარგად ესმოდა, რომ აჯანყების დამარცხების შემთხვევაში ის ფოკასთან ერთად იმპერატორის რისხვას ვერ გადაურჩებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, სარდლების დაბრუნებას ბრძოლის ველიდან სამშობლოში კმაყოფილებით ვერ შეხვდებოდა. მაგრამ, როცა მათი ახსნა-განმარტება მოისმინა და მათი ნაამბობი სხვა ცნობითაც დადასტურდა, გუნება იცვალა.

989 (379 წლის მუჰარრამის 3 რიცხვში, ანუ 1300 წლის აზარის (მარტის) 8 რიცხვში, შაბათს) წლის 2 მარტს ბასილ II-მ რუსთა ლაშქრის დახმარებით, აჯანყებულთ მორიგი დამარცხება აგემა აბიდუსის (ადგილი კონსტანტინეპოლთან ახლოს) ბრძოლაში, სადაც ფოკა დაილუპა[35]. ცოტა ხნის შემდეგ მისი ბედი გაიზიარა აგრეთვე დარჯანიისა და ტარონის ქვეყნებში მოქმედმა ქართველ მებრძოლთა რაზმის უფროსმა, თორნიკე ბერის ძმიშვილმა, მაგისტროსმა ჩორთვანელმა[36]. იგი დარჯანიის ოლქში, ბალარინჯის ველზე დაეცა 990 წელს[37], ხოლო სკლიაროსი, რომელიც ფოკას დაღუპვის შემდეგ მისმა მეუღლემ ტყვეობიდან გაათავისუფლა და ამბოხებულთ მეთაურობდა, ბასილ II-ს დაუზავდა. ამრიგად, აჯანყება, რომელიც იაჰიას გადმოცემით წელიწადსა და 7 თვეს, ხოლო სტეფანოსის თანახმად, 2 წელიწადს გაგრძელდა მარცხით დასრულდა[38].

ბასილს საშუალება მიეცა შური ეძია ფოკას მოკავშირეებზე. როგორც იაჰია ანტიოქიელი გადმოგვცემს, იგი „განრისხებული იყო ტაოს მფლობელ დავით ქართველთა მეფეზე და ალ-ხალიდიის მფლობელ ბაგრატის ორ ვაჟზე, ბარდა ფოკასათვის გაწეული დახმარების გამო. ამიტომ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა ჯარი პატრიკიოს

---

35 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 23. თარგმანი, გვ. 180; К. Н. Юзбашян, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

36 Всеобщая история Степаноса Таронского, с. 180; К. Н. Юзбашян, დასახ. ნაშრომი, გვ. 138. ქრონიკებში ის იოანე თორნიკეს შვილადაა მოხსენიებული (თ. ჟორდანია, ქრონიკები, 1, გვ. 109). მაგრამ როგორც ნ. ადონცი ვარაუდობს თორნიკეს ვაჟი არ ჰყოლია.

37 სტეფანოსის სხვა ცნობით იგი ცოცხალია ეგვიპტის ფატიმელი ხალიფის ალ-ჰაქიმის (996—102) დროსაც (Всеобщая история, გვ. 190), რაც შეცდომაა. იქვე არაზუსტადაა მითითებული მცირე აზიაში ალ-ჰაქიმის ლაშქრობის თარიღიც 437 წელი ნაცვლად 447(998) წლისა.

38 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი გვ. 23. თარგმანი გვ. 25; Всеобщая история Степаноса Таронского, с. 178.

ჯაქრუსის სარდლობით, რომელმაც დაამარცხა ისინი, მოკლა ბაგრატის უფროსი ვაჟი და გადაასახლა უმცროსი"[39].

ბაგრატის ვაჟების დამარცხებისა და ალ-ხალიდიის დაპყრობა-დამორჩილების შემდეგ ჯერი ტაოზე მიდგა. ბასილი მისი დალაშქრისათვის ემზადებოდა, მაგრამ ყველაფერი უბრძოლველად დამთავრდა. მართალია, დავით კურაპალატს უძლიერესის სახელი ჰქონდა გავარდნილი აღმოსავლეთში, მაგრამ ამ დროს მისი მდგომარეობა გართულებული იყო. სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მისადმი მტრულად განწყობილი მუსლიმი პოლიტიკური ერთეულებით იყო გარემოცული, საქართველო და სომხეთი ფეოდალური შინაომებით იყვნენ დასუსტებული და მათგან ეფექტიანი დახმარების იმედი ტაოს გამგებელს არ ჰქონდა. ამიტომ დავითმა ძლიერ ბიზანტიასთან ომს თავი აარიდა და, როგორც იაჰია აღნიშნავს, „ქართველთა მეფემ თავი დამნაშავედ სცნო. (ბასილს) პატიება სთხოვა და აღუთქვა, რომ ვინაიდან არც შვილი ებადა, არც სხვა ვინმე მემკვიდრე გააჩნდა, ხოლო თვითონ კი უკვე ღრმა მოხუცი იყო, გარდაცვალების შემდეგ თავის სამფლობელოს მას დაუტოვებდა. ამავე დროს იმპერატორს სთხოვა ნებართვა, მის კარზე გაეგზავნა თავისი დიდებულები, რათა (კეისარს) შესაძლებლობა ჰქონოდა მიეღო მათგან ფიცი იმისა, რომ (დავითის) სიკვდილის შემდეგ ქალაქებს[40] მას გადასცემდნენ. ბასილ მეფემ საქციელი მოუწონა, იგი გააკურაპალატა და ძვირფასად შემკობილი მოსასხამითაც დაასაჩუქრა. დავითმა მოსასხამი მოიხურა და თავის სამფლობელოში გამოაცხადა, რომ ელოცნათ ბასილ მეფეზე. აგრეთვე მის კარზე მიავლინა ქართველთა კათალიკოსი[41] და სამეფოს ბევრი

---

[39] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 25, თარგმანი, გვ. 27.

[40] ვ. კოპალიანი ქალაქების მაგიერ კითხულობს და წერს „ქალაქს" და ვარაუდობს, რომ უნდა იგულისხმებოდეს ტაოს დედაქალაქი ოლთისი, (ვ. კოპალიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 66), მაგრამ წყაროში „ქალაქებია და არა „ქალაქი".

[41] ტექსტშია: „ფალიკ" (قلىك), რომელსაც ვ. როზენი ასწორებს „კასალიკ"-ად (قثلىق) და კითხულობს „კათალიკოსად" (В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 27). ჩვენ კი ეფიქრობთ, რომ იაჰიასეულ ხელნაწერში იქნებოდა قثلىق(კათოლიკ და არა „კასალიკ" ფორმა.

სხვა დიდებული[42], რომლებსაც მეფემ ტიტულები დაურიგა, სიკეთე უყო და დავითთან დააბრუნა"[43].

ქართულ ისტორიოგრაფიაში დავითსა და ბასილ II-ს შორის მიღწეულ ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით ორი სხვადასხვა აზრია ფამოთქმული იმის შესახებ, თუ რომელი ტერიტორია უნდა გადასულიყო კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის საკუთრებაში.

იაჰიას ამ ცნობის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი დასძენს, რომ დავითი „სიკვდილის შემდგომ მთელ თავის სამფლობელოს... ბიზანტიის კეისარს უანდერძებდაო"[44]. ს. ჯანაშია კი აღნიშნავს, რომ არაბი მწერლის ცნობაში სიტყვა „მთელი" არ არის. ამიტომ ცნობის ჯავახიშვილისეულ გაგებას არ ეთანხმება და აღნიშნავს: „არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ დავითის ამ იძულებით „ნაანდერძევში", ლაპარაკი იყო ამას წინათ (ე. ი. 979 წ. — ბ. ს.) ბიზანტიისაგან მიღებულ ოლქებზე"[45]

ამ ორი მოსაზრებიდან ვ. კოპალიანი, სრულად მართებულად, პირველს უჭერს მხარს[46]. მართალია ტექსტში სიტყვა „მთელი" (كل) არ გვხვდება, მაგრამ გარკვევით წერია „მელქიჰი" (ملكه) ე. ი. „სამეფო მისი" და არა სამეფოს ნაწილი. ს. ჯანაშიას აზრის უმართებულობაზე მიგვითითებს ის აუცილებლად გასათვალისწინებელი გარემოებაც, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 979 წელს კეისრის მიერ დავითისადმი ბოძებული ტერიტორია პირობის თანახმად ბიზანტიასვე უბრუნდებოდა დავითის გარდაცვალების შემდეგ. ამიტომ მართალია ვ. კოპალიანი, როცა ამბობს, 989 წლის გარიგებაში ამ ტერიტორიის დაბრუნებაზე აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი[47].

---

42 მათ შორის უნდა ყოფილიყვნენ ის ძმები, რომლებიც კედრენესთან თევდატედ, ფერსად და ბაკურიანად არიან მოხსენებული (გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლობის ცნობები საქართველოს შესახებ, V, გვ. 45—46).

43 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 25, თარგმანი, გვ. 27.

44 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 128.

45 С. Джанашия, Об одном примере искажения исторической правды. По поводу книги Н. Токарского «Архитектура древней Армении», თბ., 1947, გვ. 29; ს. ჯანაშიას ამ მოსაზრებას იცავს (შ. ბადრიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71).

46 ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

47 იქვე. ასეთივე მოსაზრებისაა ა. ბოგვერაძეც (ა. ბოგვერაძე, დავით III. ქსე,

როგორც ვრწმუნდებით, დავით III-ის პოლიტიკურმა კურსმა ბიზანტიის ცენტრალური ხელისუფლების მიმართ კრახი განიცადა. თავისი ქვეყნის აბსოლუტური დამოუკიდებლობის მოპოვების მაგიერ იგი იძულებული გახდა მთელი სამეფო უბრძოლველად დაეთმო კეისრისათვის, რომელიც აწი დღე-დღეზე ელოდა ღრმა მოხუცი დავითის აღსასრულს, რათა მის სამფლობელოს დაპატრონებოდა. მაგრამ ტაოს გამგებელი კეისართან მძიმე ვითარებით ნაკარნახევ ასეთ გარიგებას რომ დებდა, მის შესრულებაზე სრულიადაც არ ფიქრობდა. მას ეს აქტი მხოლოდ დროის მოგებისა და თავის გადარჩენისათვის სჭირდებოდა, გუნებაში კი სულ სხვა რამეს ფიქრობდა. მას იმედი ჰქონდა, რომ საკუთარ მამაპაპეულ სამფლობელოს მაინც თავის შვილობილს დაუტოვებდა და გარდაცვალებამდე „აზნაურთა წინაშე მან ბაგრატი ტაოს მემკვიდრედ გამოაცხადა“[48], ამავე დროს იგი კვლავ განაგრძობდა ქმედიურ მოქმედებას თავისი სახელოს გაფართოებისა-განმტკიცებისათვის, რისთვისაც უპირისპირდებოდა მაჰმადიანურ საამიროებს.

როგორც ცნობილია, არაბთა მძლავრობის ხანაში სამხრეთ სომხეთში, კერძოდ ვანის ტბის ჩრდილოეთით მდებარე ოლქებში თურქული მოდგმის ხალხი მომრავლდა. ქალაქები: ხლათი, არჭეში, მანასკერტი, ბერკრი და სხვ. ამირთა ადგილსამყოფელ ცენტრებად იქცნენ და ეს ოლქები მთავარი პუნქტები გახდნენ სომხეთ-საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამიტომ მათი დამარცხება გადაუდებელი საქმე იყო და დავით კურაპალატმაც სწორედ ამით დაიწყო. 990 წელს, როცა აპაჰუნიქისა და მაიაფარიკინის (ნეპერკერტის) ძლიერი ამირა ბადი გარდაიცვალა, ტაოს გამგებელმა მანასკერტი დალაშქრა და იგი სომხებითა და ქართველებით დაასახლა[49]. მაჰმადიან ამირათა ცდამ, გაერთიანებული ძალით დაემარცხებინათ დავითი სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. დავითმა თავისი მოკავშირეების: ქართველთა მეფე ბაგრატ II-ის, ანისის მეფე გაგიკ I-ისა და ვანანდის მეფე აბასის დახმარებით უკუაქცია მოწინააღმდეგე ბაღრევანდში. მანვე იმავე მოკავშირეების მხარდაჭერით

III, თბ., 1978. დავითმა რომ მთელი თავისი სამფლობელო ბიზანტიას უანდერძა, ეს აღნიშნული აქვს ა. აბდალაძესაც (ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 247, 251).

48 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 130. დასახ. ნაშრომი, გვ. 65—66.

49 Всеобщая история Степаноса Таронского..., გვ. 191; ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 65—66.

998 წელს აპაჰუნის ველზე დაამარცხა ადარბადაგანის ამირა მამლანის თაოსნობით მოწყობილი მაჰმადიან გამგებელთა მეორე კოალიციური ლაშქრობაც და მტერს არეშამდე სდია[50]. ამ გამარჯვებას პოლიტიკურის გარდა დიდი ეკონომიკური და ეროვნული მნიშვნელობაც ჰქონდა. დავითმა არა მარტო გააფართოვა თავისი სამფლობელოს საზღვრები, არამედ ხელთ იგდო მთავარი სავაჭრო გზები, ერთი სახალიფოდან არტანუჯზე გავლით ტრაპეზუნდისაკენ, ხოლო მეორე ჩრდ. სომხეთისაკენ რომ მიემართებოდა. აღნიშნულ გამარჯვებათა ეროვნული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა შემოერთებული ტერიტორია ქალკედონი სომხებითა და ქართველებით უნდა დასახლებულიყო და ერთიანი საქართველოს სახელმწიფო ფარგლებში შესულიყო, მაგრამ სიკვდილმა ამ ამოცანის მთლიანად განხორციელება ალარ დააცალა.

იაჰია ანტიოქიელის ჩვენებით, დავითი 999 წლის დასასრულს გარდაიცვალა[51]. მაგრამ არსებობს სხვა თარიღებიც: ასოლიკი მისი გარდაცვალების თარიღად 449 წლის აღდგომას ასახელებს[52]. სომხური კალენდრის 449 წელი კი ევროპული კალენდრით 1000 წ. 21 მარტს დაიწყო და 1001 წ. 20 მარტს დასრულდა, აღდგომა 31 მარტი იყო. მაშასადამე, დავითი 1000 წ. 31 მარტს გარდაცვლილა. მისი გარდაცვალების თარიღად 1000 წელია დასახელებული აგრეთვე სამეულ ანეცისა და არისტაკეს ლასტივერტელის თხზულებებშიც[53]. ქართული წყაროები, კერძოდ, „მატიანე ქართლისა“ და სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“ გვაუწყებენ, რომ დავით კურაპალატი გარდაიცვალა ქორონიკონსა „სკა“ (ე. ი. 1001) წელსა[54].

---

50 Всеобщая история Степаноса Таронского..., с. 199, 192.

51 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 39, თარგმანი, გვ. 41.

52 Всеобщая история Степаноса Таронского, с. 199.

53 Повествование вардапета Аристакэса Лативертци. Перевод с Древнеармянского, вступительная статья, комментарий и приложения К. Н. Юзбашиана. М., 1968, с. 56, 143. (შემდეგში მოკლედ, Аристакес Лативерци). თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1000—1071 წლები და იწყება დავითის გარდაცვალებით.

54 ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ. 266, 382. სარწმენო ცნობებით დასტურდება, რომ დავითის მკვლელობა მოწყობილი იყო ბიზანტიის ხელისუფლების მიერ, (В. П. Степаненко, К датировке получения сана куропалата Давидом II, Багратидам Тао. თსუ „შრომები“, თბ., 1962. გვ. 76—77; ა. ა ბ დ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 247). მიზეზი ამისა ისიც იყო, რომ დავითი აქტიურად ეომდა

არაბი მწერლის თანახმად, ბასილ II-ს დავით კურაპალატის გარდაცვალება 999 წლის 17 დეკემბერს (390 წ. მუჰარრამის 5 რიცხვში, შაბათს) შეუტყვია მაშინ ის ანტიოქიაში ყოფილა და თავისი ლაშქრით ტაოსაკენ გამოუწევია. ბასილი ტაოში მოსულა ანტიოქიის გამგებლის (მაგისტროს ნიკიფორეს) თანხლებით, მიუთვლია დავითის ყველა ქვეყანა და თითოეული სამართავად გადაუცია ბერძენი გამგებლებისათვის[55].

იგივე ამბავი მოთხრობილია სუმბატ დავითის ძის და არისტაკეს ლისტივერტცის თხზულებებშიც. სუმბატი თარიღს არ უთითებს[56]. არისტაკესის მიხედვით კი ბასილი ტაოში მოსულა თავისი ზეობის (976—1025) „ოცდამეხუთე" წელს კონსტანტინეპოლს დაბრუნებულა სომხური წელთაღრიცხვის 450(1001 წ. 21 მარტი — 1002 წ. 20 მარტი) წელს[57]. ნამდვილად ერთი წელი დაჰყო თუ არა კეისარმა ტაოსა და მის შეზობელ სხვა სამეფო-სამთავროებში, ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ტაოში მისი მოსვლის იაჰიასეული და ლიასტივერტისეული თარიღები თითქმის ერთმანეთს ემთხვევიან. ამიტომ გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ ქართული წყაროების ცნობათა სისწორეში დავითის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით.

2. გიორგი I-ის ბრძოლა ბიზანტიის მიერ მიტაცებული დავით III-ის სამფლობელოს დასაბრუნებლად

სუმბატ დავითის ძის ჩვენებით, როცა ბასილ II ტაოს მივიდა მას მიეგებნენ „ბაგრატ აფხაზთა მეფე და მამა მისი გურგენი იმ იმედით, რომ დავითის სამფლობელოს მიიღებდნენ. მაგრამ იმედი გაუმტყუნდათ. კეისარმა, რომლის მიზანს სრულიადაც არ წარმოადგენდა საქართველოს გაძლიერება, მათ მხოლოდ ის აკმარა, რომ მამა-შვილის ერთმანეთის სამტროდ გურგენს მაგისტროსობა, ხოლო ბაგრატ III-ს კურაპალატობა უბოძა. დავითის სამფლობელო კი თავის სამეფოს შეუერთა.

სომხეთის საკითხში და სომეხი მეფეები მის უზენაესობას აღიარებდნენ, რაც ძლიერ აღიზიანებდა ბიზანტიის საკეთმპყრობელს.

[55] В. Р. Розен. დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 39. თარგმანი, გვ. 41.

[56] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 382.

[57] Аристакэс Ластивертци, დასახ. თხზულება, გვ. 56—57.

ტაოს დაკარგვა ქართველთათვის სერიოზული დანაკლისი იყო. ამ ფაქტს, ცხადია, საქართველოს პოლიტიკური მესვეურნი კმაყოფილებით ვერ შეხვდებოდნენ და ადრე თუ გვიან წართმეულის დაბრუნებაზე იზრუნებდნენ.

პირველი, ვინც ამ პრობლემის გადაჭრა სცადა, იყო კეისრის მიერ გამაგისტროსებული და ამით განაწყენებული ჩრდილოეთ ტაოს მმართველი გურგენ ბაგრატის ძე ბაგრატიონი. სტეფანოსის გადმოცემით, ბასილმა კონსტანტინეპოლში მისვლა ვერც კი მოასწრო, რომ გურგენ ივერთა მეფე თავისი ჯარით კეისრის მიერ წართმეულ დავითის ყოფილ სამფლობელოში შეიჭრა და იგი დაიკავა. ბასილმა, შეიტყო თუ არა ამის შესახებ, მაშინვე 450 (1001) წელს თავისი ლაშქარი მაგისტროს კანიკლის (ნიკიფორე ურანის) სარდლობით ტაოსაკენ გამოგზავნა გურგენის დასასჯელად, მაგრამ ვერაფერი დააკლო. კანიკლი ბასიანს მოვიდა და მთელი წლის განმავლობაში ისე იდგა მოწინააღმდეგის პირისპირ, რომ შებრძოლება ვერ გაბედა. შემდეგ მან დაზამთრების შიშით, ივერთა მეფესთან მოლაპარაკება გამართა და შეუთვალა, რომ იმპერატორი თანახმაა შეასრულოს საწადელი. ამ პირობით გურგენი დათმობაზე წავიდა და დაუზავდა[58]. მემატიანე ალარაფერს იუწყება იმის შესახებ თუ რაში გამოიხატებოდა გურგენის საწადელის შესრულება, რას ითხოვდა იგი იმპერატორისაგან. მაგრამ ამ საკითხის გარკვევაში გვეხმარება არისტაკესის ერთი გვიანდელი ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ იმპერატორმა ბასილმა (გურგენის შვილიშვილს ბაგრატის ძეს) გიორგის შეუთვალა: „დატოვე ყოველივე ის, რაც მამათქვენს ვუბოძე დავითის სამფლობელოდან"[59]. როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, ბასილ II-ს ივერთა მეფის, გურგენის თხოვნის საფუძველზე ბაგრატ მესამისათვის მიუცია (ეტყობა დროებით, გარდაცვალებამდე) დავით III კურაპალატის სამფლობელოს ნაწილი[60]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაწილი დავითის სამფლობელოსა ისევ ბიზანტიის ხელში რჩებოდა. ალბათ, ასოლიკიც ამას გულისხმობს, როცა ამბობს: გურგენი დათმობაზე წავიდაო.

დათმობის მიზეზები კარგადაა ცნობილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ვ. კოპალიანის აზრით, აქ მთავარი ის იყო, რომ საქართვე-

---

58 Всеобщая история Степаноса Таронского, с. 101—102.

59 Повествование вардапета Аристакэса Ластивертци, с. 58.

60 ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული კ. იუზბაშიანს ნაშრომში „Аристакэс Ластивертци и его исторический труд» (см. Повествование вардапета Аристакэса Ластивертци, с. 21).

ლოს გაერთიანების პროცესი ჯერ არ დასრულებულიყო; თბილისის საამირო, ჰერეთ-კახეთი და არტანუჯიც კვლავ მის გარეთ რჩებოდნენ და გაერთიანებას მხარს არ უჭერდნენ. ბაგრატ III, რომლის დახმარების იმედი გურგენს ჰქონდა, დამოუკიდებელი ქართული თემების დასამორჩილებლად წარმოებული ბრძოლებით იყო დასაქმებული და გურგენის მისაშველებლად არ ეცალა. დაუხმარებლად კი დავითის სამფლობელოს შენარჩუნებას ვერ შეძლებდა და ამიტომ მცირედით დაკმაყოფილდა[61]. ამდენად, იმიერ-ტაოს, ბასიანისა და სხვა ადგილების მთლიანად შემოერთება ამჯერად ვერ მოხერხდა.

1008 წელს გურგენი გარდაიცვალა. მეფეთ მეფედ დაჯდა ძე მისი ბაგრატ III, რომელმაც სუმბატ დავითის ძის ცნობით, შემოიერთა როგორც მამისეული სამფლობელო ჩრდილოეთ ტაო, ისე კახეთი, ჰერეთი, კლარჯეთი და მიიცვალა ფანასკერტს 1014 წლის 7 მაისს[62]. ტახტი დაუტოვა თავის 12 თუ 18 წლის ვაჟს გიორგი I-ს[63].

გიორგი I-მა მთელი თავისი მეფობა და ენერგია ბასილ II-ის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. ეს ბრძოლა კი სრულიად ტაოს შემოსაერთებლად წარმოებდა.

XI ს. II ათწლეულში ბასილ II-ის მდგომარეობა ჩრდილოეთში კვლავ გართულდა. ბულგარელები თავიანთი გამანთავისუფლებელი მოძრაობის ბელადის სამუელის ხელმძღვანელობით ბრძოლას არ წყვეტდნენ და კეისარი იძულებული იყო მთელი თავისი ყურადღება იქეთკენ გადაეტანა. 1014 წელს, ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, მან შეძლო მოწინააღმდეგის მთავარი ძალების დამარცხება და სასტიკად დასჯა. ყოველი ასი კაციდან მხოლოდ ერთი დატოვა ცალთვალა, სხვები მთლიანად დააბრმავა. მიუხედავად ასეთი სისასტიკისა, აჯანყება ამით არ დამთავრებულა. იგი კიდევ 4 წელიწადს გაგრძელდა.

ბულგარელი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ ერთგვარი ხელსაყრელი პირობა შექმნა ტაოდან ბიზანტიელების ფეხის ამოსაკვეთად

---

61 ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

62 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 382—383.

63 მატიანე „ქართლისას“ ავტორის ჩვენებით, გიორგი I გამეფების ჟამს „თორმეტი“ წლისა ყოფილა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 284), სუმბატ დავითის ძის თანახმად — 18 (ი´ח) წლის (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 383). ხოლო ივ. ჯავახიშვილისა და ვ. კოპალიანის მიხედვით კი „თექვსმეტი წლისა“ (ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 133; ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89).

და გიორგი I თავისი მიზნის განხორციელებას შეუდგა. როგორც იაჰია ანტიოქიელი გადმოგვცემს, „როცა კეისარი ბულგარეთში იბრძოდა, აფხაზთა მეფემ გიორგიმ მისთვის ზიანის მიყენება განიზრახა თავისი სამფლობელოს მოსაზღვრე მხარეებში და დაიკავა ის ოლქები და ციხეები, რომლებიც ბიძამისმა დავით კურაპალატმა ბასილის დაუთმო“[64]. რომელი იყო ეს დათმობილი ტერიტორია? ის, რაც დავითს 979 წლამდე ჰქონდა, თუ მის შემდეგ?“ არაბი მემატიანე ამაზე გარკვეულ პასუხს არ იძლევა. ვ. კოპალიანის ვარაუდით, დათმობილ ტერიტორიაში უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც დავითს 979 წლამდე ეპყრა. ეს დასკვნა იქიდან გამომდინარეობს, რომ 979 წელს ბოძებული მიწები მისი გარდაცვალების შემდეგ ისედაც უნდა დაბრუნებოდა კეისარს. საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს ო. ცქიტიშვილი. არისტაკესის ცნობის გათვალისწინებით იგი აღნიშნავს, რომ კეისარი გიორგის ედავება იმ მამულებს, რომ მან „ძღვნად მიართვა ბაგრატს“[65]. ეს კი იყო დავითის განკარგულებაში 979 წლამდე მყოფი სამფლობელოს მხოლოდ ნაწილი.

მაშასადამე, გიორგი I-ს ჩრდილოეთ ტაო დაუკავებია[66].

იაჰია ანტიოქიელი ქართველი მეფის მიერ ჩრდილოეთ ტაოს დაუფლების თარიღს არ ასახელებს. ივ. ჯავახიშვილი კი ვარაუდობს, რომ ეს 1014—1016 წლებში უნდა მომხდარიყო[67]. ამ დროს ბასილ II ისევ

---

[64] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, არაბ. ტექსტი, გვ. 58, თარგმანი გვ. 61.

[65] ო. ცქიტიშვილი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის ხანაში („მაცნე“, ისტორიის... სერია, თბ., 1968, № 4, გვ. 117).

[66] ო. ცქიტიშვილი ამის საწინააღმდეგოდ ამბობს: „გიორგი I-ის მიერ ტაოში დავით კურაპალატის მიწა-წყლის დაბრუნების... ფაქტს რომ ნამდვილად ჰქონდა ადგილი“, ქართულ წყაროებს ეს აღნიშნავი არ დარჩებოდაო (ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119), მაგრამ ქართულ წყაროებში განა ყველაფერი აღნუსხულია? ანდა, თუ გიორგი მეფეს არაფერი „დაუბრუნებია“, მაშინ რაღა ჰქონდა მასთან სადავო ბასილ II-ს? თუ ასეთ დავას საერთოდ არ ჰქონია ადგილი?

[67] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134. ო. ცქიტიშვილს შესწორება შეაქვს ამ თარიღში და აღნიშნავს: თუ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ აზრს გიორგი I-ის მიერ ტაოს დაკავების შესახებ გავიზიარებთ, მაშინ ასეთ თარიღად უნდა მივიღოთ... 1014—1018 წლები, რადგან ბასილმა ბულგარეთის დაპყრობა მხოლოდ 1018 წ. დაასრულაო (ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ჯავახიშვილის ვარიანტი უფრო სწორია. გიორგის მაშინ უნდა დაეკავებინა ტაო, როცა ბასილი ბულგარებთან ბრძოლით იყო ხელფეხ შეკრული და ტაოსათვის არ ეცალა.

ბულგარეთში იმყოფებოდა და აღმოსავლეთისათვის მას ჯერ არ ეცალა. ხოლო, როდესაც ბულგარელები საბოლოოდ დაამარცხა და 1018 წელს კონსტანტინეპოლს დაბრუნდა, მაშინვე ტაოს საკითხის მოგვარებას შეუდგა. მან გიორგი I-ს შეუთვალა, რომ დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ყოველივე ის, რაც მამამისს ბაგრატ III-ს უბოძა დავით კურაპალატის სამფლობელოდან და მხოლოდ საკუთარი მამული ეკმარა[68]. მაგრამ ქართველმა მეფემ ამ წინადადების მიღებაზე უარი თქვა და კეისარს აუწყა: რასაც მამაჩემი ფლობდა იმისგან ერთ სახლსაც კი არ მოგცემო[69].

არისტაკესის ამ ცნობის საფუძველზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული აზრი, რომ „ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება ახლა იმაზე მეტს მოითხოვდა გიორგი ქართველთა მეფისაგან, რაც ბიზანტიამ 1001 წელს მიიტაცა[70], ე. ი. მთელ ტაოს. ჩვენ კი გვგონია, რომ საქმე სულ სხვანაირად არის. კეისარი გიორგისაგან მოითხოვდა იმ ტერიტორიიდან წასვლას, რაც მან 1001 წლის შეთანხმებით გურგენს დაუთმო ბაგრატისათვის გადასაცემად იმ პირობით, რომ ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ ეს მიწები ბიზანტიას დაუბრუნდებოდა, მაგრამ გიორგი უარზე იდგა და პირობას არ ასრულებდა[71]. ვფიქრობთ, სწორედ ამ აზრს ეხმაურება იაჰიას ის ცნობა, რომელშიც აღნიშნულია: როცა კეისარი „ბულგარეთში იბრძოდა, აფხაზთა მეფე გიორგიმ განიზრახა მისთვის ზიანის მიყენება თავისი სამფლობელოს მეზობელ მხარეებში და დაიკავა ის ოლქები და ციხეები, რომლებიც ბიძამისმა დავით კურაპალატმა ბასილს დაუთმო“[72]. თუ ეს ასეა, მაშინ არაბი და სომეხი ისტორიკოსის ცნობები ერთმანეთს ემთხვევიან.

იაჰიას მიაჩნია, რომ გიორგი მეფის მიერ აღნიშნული ტერიტორიის დაკავება დანაშაული, ხოლო ბასილ II-ის წინადადების მიუღებლობა არასწორი გადაწყვეტილება იყო. მისი აზრით, იგი ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც თავის დროზე მოიქცნენ მამამისი და ბიძა, რომლებმაც თავი დამნაშავედ სცნეს და კვისარს მორჩილება აღუთ-

---

68 Повествования вардапета Аристакэса Ластивертци, გვ. 58; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

69 Повествования вардапета Аристакэса Ластивертци, с. 58.

70 ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

71 ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ო. ცქიტიშვილსაც (ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117).

72 В. Р. Р о з е н, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 58, თარგმანი, გვ. 61.

ქვეს[73]. მართლაც, რაკი ბასილმა 1001 წელს მეფეთ მეფე გურგენის სურვილი ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილა (როგორც ამას ასოლიკი აღნიშნავს)[74] და დავითის ყოფილი სამფლობელოს ნაწილი ბაგრატს გადასცა იმ პირობით, რომ მიეი გაიცვალების შემდეგ იგი კვლავ ბიზანტიას დაუბრუნდებოდა, გიორგის მიერ ამ ტერიტორიის დაკავება პირობის დარღვევა იყო და ამ მხრივ არაბი მწერლის პოზიცია უდავოდ სწორია. მაგრამ მას მხედველობის მიღმა რჩება მთავარი, რომ ეს ტერიტორია საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა და ბიზანტიას მიტაცებული ჰქონდა.

გიორგი მეფემ აღნიშნული მიწა-წყლის შემოერთება მაშინ განიზრახა, როცა საქართველოს მთლიანობა უკვე დარღვეული იყო. ჰერეთ-კახეთი მას აღარ ემორჩილებოდა (რომ აღარაფერი ვთქვათ თბილისის საამიროზე). ცენტრიდანული ძალების გააქტიურება სამეფოს სხვა მხარეებშიც შეიმჩნეოდა. ამის გამო მეფეს აღარ შეეძლებოდა იმ ძალის თავმოყრა, რაც უზრუნველყოფდა ბიზანტიაზე გამარჯვებას. ამდენად, კეისართან საქმის გართულება ნაადრევ, წინასწარ მოუფიქრებელ ნაბიჯად შეიძლებოდა მიგვეჩნია, რომ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება არა: ქვეყნის გათიშვით წარმოებული სიძნელეების დაძლევას იგი გარეშე ძალების დახმარებით იმედოვნებდა. გიორგი I ვარაუდობდა, რომ ბიზანტიის წინააღმდეგ მას ქმედით დახმარებას აღმოუჩენდნენ მეზობელი ქრისტიანული სომხეთის სამეფო-სამთავროები და მუსლიმური საამიროები, რომლებსაც ბიზანტიის გაძლიერება ხელს არ აძლევდათ. ამ რწმენით ქართველთა მეფემ, ჯერ კიდევ ადრე, როცა კეისარი ბულგარეთის საქმის მოგვარებით იყო დაკავებული, კავშირი დაამყარა ეგვიპტის ხალიფა ალ-ჰაქიმთან (996—1020). როგორც იაჰია ანტიოქიელი იტყობინება, გიორგი I ალ-ჰაქიმს მოუწოდებდა, „გაერთიანებულიყვნენ იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად და თითოეულ მათგანს ერთდროულად განეხორციელებინა მასზე თავდასხმა საკუთარი ქვეყნის ტერიტორიიდან“[75].

ამ ცნობიდან აშკარად ჩანს, რომ გიორგი მეფის მიერ შეთავაზებული ასეთი საბრძოლო გეგმა ითვალისწინებდა კეისრის სამხედრო ძალების დაქსაქსვა-დასუსტებას და მათზე იოლ გამარჯვებას, რაც

---

[73] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 58. 61.

[74] Всеобщая история Степаноса Таронского, с. 202.

[75] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 58, თარგმანი, გვ. 61; ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 125, თარგმანი, გვ. 127—128.

ერთნაირად ხელსაყრელი იყო როგორც ქართველი მეფისათვის, ისე ბერძენთმოძულე ეგვიპტის ხალიფისათვის. ამიტომ ქართველი მეფის წინადადებაზე ალ-ჰაქიმს უარი არ უთქვამს და მოკავშირეები ლაშქრობისათვის სამზადის შეუდგნენ. მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განახორციელეს. სანამ ისინი ლაშქრობას დაიწყებდნენ ბასილ II-მ ბულგარები დაამარცხა და თავისი ჯარები სასწრაფოდ კონსტანტინეპოლში დაა-ბრუნა, რათა ისინი გიორგი I-ის დასასჯელად გაეგზავნა. იაჰიას თქმით, ამ დროს კეისარმა უკვე იცოდა ალ-ჰაქიმთან გიორგის საიდუმლო შეთანხმების შესახებ და იგი დედაქალაქში დიდხანს აღარ გაჩერებულა. სურსათ-სანოვაგით დატვირთული აღალი სირიისაკენ გაისტუმრა და თვითონაც თავისი ჯარით იქით გაემართა. მაგრამ, როცა ანტიოქიის მახლობლად მდებარე ქ. ფილიმილს (მერმინდელ აკ-შაჰრს) მივიდა, მიმართულება შეიცვალა და აფხაზეთისაკენ იბრუნა პირი.

აქედან გამომდინარე იაჰია ანტიოქიელი აკეთებს დასკვნას, რომ სირიაში ლაშქრობის გამოცხადებით კეისარს სურდა შეენიღბა თავისი ნამდვილი ზრახვები, თვალი აეხვია ქართველებისათვის და დაერწმუნებინა ისინი იმაში, რომ მათ წინააღმდეგ არაფერს ფიქრობდა[76].

არაბი მწერლის ამ მოსაზრებას მთლიანად იზიარებენ ქართველი ისტორიკოსები[77]. მაგრამ ბასილ II-ის მოქმედების ამგვარად გაგება სწორი არ უნდა იყოს. სირიაში ლაშქრობა რომ გამოაცხადა, ამით ქართველთა თვალის ახვევაზე მეტად კეისარს ის ეწადა, რომ გიორგი I-ის მოკავშირე ალ-ჰაქიმი დაემარცხებინა, კოალიციური ლაშქრობის გეგმა ჩაეფუშა და შემდეგ უმოკავშირეოდ დარჩენილ ქართველ მეფეს იოლად გასწორებოდა. ამ მიზნის მისაღწევად მან მოხერხებულად გამოიყენა მტრული ურთიერთობა ეგვიპტის ხალიფა ალ-ჰაქიმისა მის ქვეშევრდომ სირიის მმართველ აზიზ ად-დავლესთან, რომელიც დამოუკიდებლობისაკენ ილტვოდა და დაახლოებით 1029 წლის გაზაფხულზე, ალეპოს დათმობის პირობით, დახმარებას სთხოვდა ბიზანტიას. ცხადია, კეისარი ასეთი თხოვნის მიღებაზე უარს არ იტყოდა, მით უმეტეს მაშინდელ სიტუაციაში, და სწორედ ამიტომ გაემართა

---

76 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 68, თარგმანი, გვ. 62.

77 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134; ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

სირიისაკენ[78]. მას რომ სხვა განზრახვა ნამდვილად არ ჰქონია ამაში ადვილად დავრწმუნდებით თუ ყურადღებას მივაპყრობთ იაჰიას ერთ ცნობას, რომელშიც ნათქვამია: როდესაც ბასილმა ფილიმილს მიაღწია, ალ-ჰაქიმის გარდაცვალება (გაქრობა) შეიტყო და პირი აფხაზეთისაკენ იბრუნაო[79]. კეისარს რომ მართლა ქართველების სიფხიზლის მოდუნება და შეცდომაში შეყვანა ჰქონოდა გადაწყვეტილი, იგი არც ანტიოქიამდე მივიდოდა და არც ალ-ჰაქიმის გარდაცვალების შემდეგ შეიცვლიდა მიმართულებას, არამედ სირიაში ლაშქრობის გამოცხადებისთანავე დაესხმოდა თავს საქართველოს მიწა-წყალს.

ალ-ჰაქიმი 1021 (411) წლის[80] ზამთარში გარდაიცვალა. მაშასადამე, ბიზანტიელთა ლაშქრობაც საქართველოში ამ დროს (1021 წელს) უნდა მომხდარიყო. ამას ადასტურებს ქართული წყაროებიც, კერძოდ, „მატიანე ქართლისა" და სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა", რომლებშიც პირდაპირაა მითითებული: ბერძენთა მეფე ბასილი გიორგის მეფობის მეშვიდე წელს მოვიდაო[81]. ბიზანტიელთა ამ ლაშქრობის თარიღად 470(1021) წელს დებს არისტაკესიც[82]. ბიზანტიელთა გამობრუნება საქართველოსაკენ დააჩქარა სირიის გამგებლის აზიზ ად-დავლას თავდაპირველი გადაწყვეტილების შეცვლამ, რაკი ალ-ჰაქიმი უგზოუკვლოდ დაიკარგა და მისგან თავდასხმის საშიშროება მოიხსნა, აზიზმა უარი უთხრა კეისარს მიცემული პირობის შესრულებაზე და გააფრთხილა, ხელი აეღო ლაშქრობაზე, თორემ სირია მის წინააღმდეგ აღსდგებოდა[83]. ბასილ II-ს სირიასთან საქმის გართულება, ამჯერად, ხელს არ აძლევდა და, ვინაიდან ეგვიპტეც მას აღარ ემუქრებოდა, საქართველოსაკენ გამობრუნება ამჯობინა.

გიორგი I ბასილის ლაშქრობას მომზადებული დახვედრია. იაჰიას ჩვენებით, როდესაც აფხაზთა მეფემ შეიტყო რომ კეისარი მის წი-

---

[78] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 373; ვ. გაბაშვილი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 65 — 66 (თსუ „შრომები", ტ. 125, ისტორიული მეცნიერებათა სერია VI).

[79] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 58, თარგმანი, გვ. 62.

[80] К. Э. Босворт, Мусульманские династии. Справочник по хронологии и генеалогии. Перевод с английского и примечания П. А. Грязновича, М., 1971, с. 78.

[81] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 284, 383.

[82] Повествование Аристакэса Ластивертци, с. 60.

[83] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 67.

ნაალმდეგ მიემართებოდა, მთელი თავისი ლაშქარი შეყარა. ამავე დროს, დახმარება სთხოვა ყველას, ვისაც შეეძლო მიშველებოდა და თავისი სამფლობელოს საზღვართან დადგა რომ მოწინააღმდეგეს შებრძოლებოდა. მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ კარს მომდგარი მტრის ძალები მისას ბევრად სჭარბობდა და იგი უბრძოლველად უკუიქცა. ბასილმა მას იქამდე სდია, სანამ მდინარის იქით არ გაძევა მდინარის გადალახვა კი ვეღარ შეძლო და დაპყრობილ ადგილებს მიუბრუნდა. გადაწვა და გააუკაცრიელა სოფლები, გაზიდა მთელი სურსათი, დაატყვევა, დახოცა და დააბრმავა 200 ათასზე მეტი კაცი. ამასობაში ზამთარმაც მოაღწია და ბასილი თავისი ჯარით ტრაპიზონს წავიდა რომ იქ გამოეზამთრა და გაზაფხულზე ლაშქრობა გაენეახლებინა[84].

არაბი მემატიანე არც მდინარის სახელწოდებას იძლევა და არც ბიზანტიელთა მიერ დაპყრობილ-გაპარტახებული ადგილების სახელებს გვამცნობს. მაგრამ ამ საკითხის გარკვევაში გვეხმარებიან ქართული და სომხური წყაროები, რომელთა მონაცემების თანახმად ბასილს აღნიშნული ლაშქრობისას დაუპყრია არტაანი (არტანუჯი), სამცხე, ჯავახეთი და თრიალეთი[85] სულ 12 გავარი[86].

ბიზანტიელთა უკან გაბრუნების მიზეზად იაჰია იმას ასახელებს, რომ მდინარემდე მისულთ მისი გადალახვა ვეღარ მოუხერხებიათ. მაგრამ ეს არ შეიძლება მთავარ მიზეზად მივიჩნიოთ. ისეთი დიდი, წყალუხვი მდინარეები, რომელთა გადალახვა გვიან შემოდგომაზე (როცა წყლის დონე მათში ყველაზე დაბალია) ბიზანტიის ლაშქარისათვის შეუძლებელი ყოფილიყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არ იძებნება. ამიტომ ძირითადი დაბრკოლება იქ მდინარე კი არა, ის იყო, რომ ქართულ წყაროთა ჩვენებით, თრიალეთს მოსულმა გიორგი მეფემ „მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა", გაიმრავლა ლაშქარი, გაძლიერდა და მტერთან მეორედ შებმა დააპირა „ხოლო იხილა რა ესე, ბასილი შეიქცა" და დაპყრობილი ადგილების რბევას შეუდგა[87]

აქ ყურადღებას იპყრობს გიორგი მეფის ლაშქარში კახეთ-ჰერეთის ლაშქრის გამოცხადება. როგორც ცნობილია, ეს მხარეები გიორ-

---

[84] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, არაბ. ტექსტი, გვ. 58—59, თარგმანი გვ. 62; ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ 125—126, 128.

[85] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 285, 383.

[86] Повествование Аристакэса Ластивертци, с. 61.

[87] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 285, 383.

გის მისი გამეფებისთანავე განუდგნენ და, ცხადია, მასთან მეგობრული დამოკიდებულება ვერ ექნებოდათ. ამდენად, მათ ინტერესებს არც ის შეადგენდა, კეისრის წინააღმდეგ ბრძოლა სრული გამარჯვებით დამთავრებულიყო, რადგან ეს გიორგი მეფის გაძლიერებას გამოიწვევდა და მათ სერიოზულ საშიშროებას შეუქმნიდა, ამიტომ ვ. კოპალიანი ამ შემთხვევას იმით ხსნის, რომ „გიორგის ხელისუფლებამ, ალბათ, მათი დამოკიდებულება სცნო“, თორემ ისე „შეუძლებელი იყო გიორგი მეფის ხელისუფლებისა და ჰერ-კახთა მმართველობას შორის საერთო ენის გამონახვა[88]. მაგრამ ვინაიდან ეს არის ვარაუდი, რომელსაც დადასტურება არ ეძებნება, უფრო სწორი იქნება თუ დავუშვებთ, რომ გიორგის ბანაკში ჰერ-კახთა ლაშქრის გამოცხადება მოხდა სულ სხვა მიზეზით. კერძოდ, მათი მესვეურნი გრძნობდნენ, რომ გიორგი I-ის დამარცხების შემთხვევაში კეისარი არც მათ დაინდობდა და სწორედ ამ საფრთხემ აიძულა ისინი თანამეტომეს მიშველებოდნენ. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მიგვანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჰერეთ-კახეთის ლაშქარი გიორგი მეფეს ბასილთან შებრძოლებამდე კი არა, მის შემდეგ მოუვიდა, როცა გამარჯვებული კეისარი ქვეყნის სიღრმისაკენ შიიწევდა.

ბასილის ტრაპიზონს მისვლისთანავე მოწინააღმდეგე მხარეთა შორის მოლაპარაკება დაიწყო და როგორც „მატიანე ქართლისა“ გვამცნობს „ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ზავისა და სიყუარულისათჳს“[89]. მაგრამ ბიზანტიის ხელისუფლება ამით არ დაკმაყოფილდა. მან აქტიური საქმიანობა გააჩაღა აგრეთვე იმისათვის, რომ საქართველოსაგან ჩამოეშორებინა მოკავშირეები — სომხეთის პოლიტიკური ერთეულები, რათა დაემარტოხელებინა გიორგი I და იძულებული გაეხადა მიეღო ბიზანტიელთა მოთხოვნა. და უნდა ითქვას, რომ ბასილმა ამ ამოცანის გადაჭრაში გარკვეულ წარმატებას მიაღწია. იაჰია ანტიოქიელის ცნობით, როცა ბიზანტიის კეისარი გამოსაზამთრებლად ტრაპიზონს იმყოფებოდა, „ასფარაჯანის გამგებელმა სანაჰარიბმა და იბნ ალ-დაირანიმ, რომელიც იბნ ალ-ასირის თანახმად ვასპურაკანის ნაწილს: ზავაზანს, ვანსა და ვასტანს ფლობდა[90], მთელი თავიანთი სამფლობელოები მას გადასცეს. ამან ბასილი დიდად გაახარა. შემოერთებული ადგილებიდან (ციხესიმაგრეებიდან თავიანთი შემოგარენით.

---

88 ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

89 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 285.

90 ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, დასახ. თხზულება, VIII, 173, 177.

—ბ. ს.), რომელთა საერთო რაოდენობა ორმოცს აღემატებოდა, მან ცალკე საკატებანო (თემი) შექმნა და თითოეულ (ადგილს) თავისი გამგებელი და მცველი რაზმი მიუჩინა. სანაჰარიბი და იბნ ალ-დაირანი კი თავიანთი ოჯახებითა და ნათესავებით დაასაჩუქრა ვრცელი მამულებით, დიდძალი ფულითა და მაღალი ტიტულებით[91].

ბიზანტიისათვის ვასპურაკანის გადაცემის შესახებ მოგვითხრობს სომხური წყაროც. როგორც არისტაკესი გადმოგვცემს, „სენექერიმმა.„ თავისი სამემკვიდრეო მამული, ვასპურაკანის ქვეყანა, ვასილ თვითმპყრობელს მისცა; სამაგიეროდ ქალაქი სებასტია და მისი მიმდებარე მხარეები მიიღო". მისივე თქმით, ვასპურაკანის გამგებლის ასეთი მოქმედება იმით იყო გამოწვეული, რომ მას „სპარსელები ავიწროებდნენ"[92].

ჰართლაც, 1016 წლიდან მოყოლებული მომთაბარე ტომთა მოძალება ვასპურაკანს მოსვენებას აღარ აძლევდა და ამან, რა თქმა უნდა, საგრძნობლად შეუწყო ხელი მის გადასვლას ბიზანტიელთა ხელში. მაგრამ, ვფიქრობთ, გადამწყვეტი როლი ამ საქმეში მაინც საქართველოს დამარცხებამ და მისი სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის — საკურაპალატოს დაკარგვამ შეასრულა. საკურაპალატოს მიწა-წყლიდან გაძევებული გიორგი I უკვე მოკლებული იყო იმის შესაძლებლობას, რომ საჭირო დახმარება აღმოეჩინა თავისი სიმამრის, სანაქარიმ არწრუნისათვის როგორც მომთაბარე თურქული ტომთა თავდასხმების, ისე ბიზანტიელთა მუქარის მოგერიებაში.

არისტაკესის თხზულებაში თხრობა სანაქარიმის მიერ ბიზანტიისათვის თავისი სამეფო ვასპურიკანის გადაცემის შესახებ მოსდევს ბასილ II-ის წინააღმდეგ ნიკიფორე წარვაზისა (კისერმოქცეულის) და ანატოლიის პატრიკიოსის, ნიკიფორე ქსიფარუსის (ქსიფის) მეთაურობით მოწყობილი აჯანყების ამბის გადმოცემას. ეს აჯანყება კი, მისივე ქრონოლოგიით მოხდა 1022 წელს, ტაოში კეისრის მეორედ ლაშქრობის დროს. ამიტომ „სომხეთის ისტორიაშიც", როდესაც ვასპურაკანის დამოუკიდებლობის დაკარგვაზეა მსჯელობა, ეს თარიღია მითითებული[93]. ამავე დროს, აგაჯანოვ-იუზბაშიანმა და ვ. ისკანიანმა

---

[91] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 59, თარგმანი, გვ. 62; ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 125, თარგმანი, გვ. 128.

[92] Повествование вардапета Аристакэса Ластивертци, с. 64.

[93] История армянского народа, ч. I. Ереван, 1951, с. 151. შდრ. Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, 1884, გვ. 191—192; ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

დაამტკიცეს და დღეს სომხეთში აღარავინ დაობს იმის შესახებ, რომ სანაქარიმი ბიზანტიაში გადასახლდა 1021 წელს[94], როცა მას სამეფო და მეფის პატივი უკვე აღარ ჰქონდა. ამ ორი განსხვავებული თარიღიდან უკანასკნელი უნდა იყოს სწორი. ამის საფუძველს გვაძლევს თვით არისტაკესი. როდესაც ის აღნიშნავს, სანაქარიმმა თავისი სამემკვიდრეო მამული, ვასპურაკანის ქვეყანა, ვასილ თვითმპყრობელს გადასცაო, იქვე დასძენს: „ეს მოხდა არცთუ ისე შორეულ წარსულში, ორი თუ სამი წლის წინათო"[95], რაც ახლოსაა იაჰიასეულ თარიღთან (1021—1022 წწ. მიჯნა). ამ ცნობიდან ისიც გარკვევით ჩანს, რომ არისტაკესთან დარღვეულია მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, კერძოდ, ის, რაც ნიკიფორესა და ქსიფის აჯანყებამდე მოხდა (ესაა სანაქარიმის მიერ ვასპურაკანის გადაცემა ბასილისათვის) მოთხრობილია მის შემდეგ. მიზეზი ამისა ისა, რომ იგი არასწორადაა ინფორმირებული. ზუსტად ვერ ერკვევა ვითარებაში, რაც აშკარად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მას სანაქარიმი და დავითი ერთი პიროვნების სხვადასხვა სახელი ჰქონია („დავითი, რომლის მეორე სახელია სენექერიმი")[96]. ნამდვილად კი დავითი იყო სანაქარიმის ვაჟი, რომელმაც უღალატა აჯანყებულთ და მოკლა მათი მეთაური ნიკიფორე წარვეზი, რომლის მკვლელად, ზემოაღნიშნული გაუგებრობის გამო, არისტაკესი სანაქარიმს აცხადებს[97] და თხრობასაც ამ უკანასკნელის მიერ ვასპურაკანის კეისრისათვის გადაცემის ამბის შესახებ, აჯანყების შემდეგ იძლევა.

ვასპურაკანის ხელში ჩაგდება ბასილ II-ის სერიოზული მონაპოვარი იყო. მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის ეკონომიკურადაც და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ის წარმოადგენდა მეტად მოხერხებულ პლაცდარმს, საიდანაც ბიზანტიას თანაბრად შეეძლო საომარი მოქმედების წარმართვა, ერთი მხრივ, მუსლიმური საამიროების, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს მოკავშირე ანისის სამეფოსა და სომხეთის სხვა პოლიტიკური ერთეულების წინააღმდეგ.

---

94 აგაჯანოვ-იუზბაშიანი, თურქთა თავდასხმების ისტორიისათვის; ვ. კ. ისკანიანი, არწრუნთა გადასახლების შესახებ — „სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი", 1965,3 (სომხურ ენაზე).

95 Повествования Аристакеса..., с. 65.

96 იქვე, გვ. 64.

97 იქვე, გვ. 64—65, 148, შენიშვნა მე-6.

ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გაურთულა მდგომარეობა საქართველოს მეფეს და აიძულა იგი გარკვეულ დათმობაზე წასულიყო, რათა თავიდან აეცილებინა ბიზანტიელთა ახალი ლაშქრობა, კეისარს გაზაფხულზე რომ უნდა დაეწყო.

იაჰია ანტიოქიელის თქმით, გიორგი I თავისი ელჩის მეშვეობით ბოდიშს უხდიდა კეისარს საქართველოს გამო და შეწყალებას ითხოვდა. სამაგიეროდ. პირობას იძლეოდა, რომ დაუთმობდა დავით კურაპალატის კუთვნილ ყველა ციხესა და მთელ სამფლობელოს, მძევლად მისცემდა თავის ვაჟს ბაგრატს და სანამ იცოცხლებდა მუდამ მისი ერთგული იქნებოდა. ბასილმა გიორგი მეფის თხოვნა შეისმინა და მის ელჩს თან გააყოლა თვისი მრავალი წარჩინებული და მოსამართლე, რომლებმაც მეფეს, მის კათალიკოსს, დიდებულებსა და ეპისკოპოსთ მტკიცე ფიცი ჩამოართვეს იმისა, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებდნენ დანაპირებს[98].

ვინაიდან საქართველოს სამეფო ხელისუფლების ასეთი გადაწყვეტილება რთული მდგომარეობით ნაკარნახევი იძულებითი ღონისძიება იყო, ის გულწრფელი ვერ იქნებოდა. ამაში კეისარს ეჭვი არ ეპარებოდა და მიუხედავად მიღწეული შეთანხმებებისა იგი მაინც ქართველი მეფის დანაპირები ადგილების მიღებას და გიორგის ვაჟის წაყვანას ჩქარობდა. ამ მიზნით, გაზაფხულდა თუ არა, იგი მაშინვე საქართველოსაკენ დაიძრა. მაგრამ ვიდრე მიზანს მიაღწევდა დიდი ხიფათი გადაიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ ბასილ II-ს X ს. ბოლო მეოთხედში სისხლში ჩაახშო ჯერ ბარდა სკლიაროსის, ხოლო მერე ბარდა ფოკას აჯანყებები და ამით დიდი ბრძოლა გამართა მისი ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედი ქვეყნის მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის დასათრგუნავად, სასურველ შედეგს მთლიანად მაინც ვერ მიაღწია, აჯანყებების აღკვეთა ვერ მოახერხა. ერთ-ერთ ასეთ აჯანყებას ადგილი ჰქონდა XI ს. 20-იანი წლების დასაწყისში.

როგორც იაჰია ანტიოქიელი იუწყება, ანატოლიის პატრიკიოსი ნიკიფორე, იქსიფარუსის სახელით რომ იყო ცნობილი, შეუერთდა ბარდა ფოკას ვაჟს ნიკიფორე ალ-მუ'ავვაჯს (კისერმოქცეულს) და ორივენი შეთანხმდნენ, ესარგებლათ აფხაზებთან ბასილის გართულებული მდგომარეობის გამო შექმნილი ხელსაყრელი მომენტით და

---

[98] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 59, თარგმანი, გვ. 63.

შას აჯანყებოდნენ[99]. იგივე ამბავი შედარებით უფრო ვრცლად და ოდნავ განსხვავებით მოთხრობილი აქვს არისტაკესსაც. მისი ცნობით, როცა პონტოს ველში გამოზამთრების შემდეგ ტაოსაკენ დაუყოვნებლივ წასული ავტოკრატი ბასიანს მივიდა და დაბანაკდა, იქ თავი მოიყარა ბიზანტიის დიდკაცობამ, რომლებიც იმის გამო, რომ ადრე იმპერატორს სხვადასხვა მიზეზით ჩამოექვეითებინა, უკმაყოფილონი იყვნენ და გალიაში გამომწყვდეული ლომებივით ღრიალებდნენ. მათ ერთხმად გადაწყვიტეს ხელსაყრელი მომენტი გამოეყენებიათ. გამდგარიყვნენ და იმპერატორად აერჩიათ ის, ვისაც თვითონ ისურვებდნენ. თავიანთი გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ ისინი ერთ ვრცელ ველში დაბანაკდნენ. იქ თავი მოიყარა ურიცხვმა ხალხმა და ერთმანეთს სთავაზობდნენ იმპერატორის პატივს. ბოლოს არჩევანი ფოკა წარვიზზე გააჩერეს. იგი თავიდანვე უარს ამბობდა, მაგრამ დაჟინებითი თხოვნის შემდეგ დათანხმდა[100]. გ. კედრენე კი აჯანყების მიზეზის შესახებ აღნიშნავს: „მეფემ მთელი ჯარით გაილაშქრა გიორგის წინააღმდეგ, ხოლო პატრიკიოსი ნიკიფორე ქსიფიასი და პატრიკიოსი ნიკიფორე ბარდა ფოკას ძე შინ დატოვა“. მათ ეს შეურაცხყოფად მიიღეს, ჯარი შეკრიბეს კაპადოკიიდან, როდანტიდან, სხვა მეზობელი მხარეებიდან და აჯანყდნენო[101].

აჯანყების გამომწვევი მიზეზების, მისი მიმდინარეობისა და საბოლოო ბედ-ილბლის გარემოებათა გამოკვლევა ჩვენს მიზანს ამჟამად არ შეადგენს, მაგრამ ვინაიდან მისი გათვალისწინების გარეშე საქართველო-ბიზანტიის ურთიერთთბის სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია, ზოგიერთი რამ მაინც უნდა ითქვას. აჯანყება რომ წარმატებით დამთავრებულიყო, მისმა მოთავეებმა განიზრახეს იმპერატორის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებათ მისი პოლიტიკით უკმაყოფილო ყველა ძალა, მათ შორის საქართველო-სომხეთის სამეფოები: „ნიკიფორე ცდილობდა თავის მხარეზე გადაებირებინა... გიორგი I და გაგიკის ვაჟები იოვანეს სმბატი (1020—1041) და აშოტ IV“-ო —

---

99 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 60, თარგმანი, გვ. 63; ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129. „მატიანე ქართლისას“ ცნობითაც „იქმნა დიდი განდგომილება საბერძნეთს. შეიერთნეს სპასპეტი და წარვეზი ძე ფოკას განდგომილისა და წარიდგინეს ქვეყანა აღმოსავლეთისა“. ამასვე იმეორებს სუმბატ დავითის ძეც (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 285—286, 383).

100 Повествование Аристакеса Ластивертци, გვ. 63—64.

101 გეორგიკა, V, გვ. 46.

იუწყება მათე ედესელი[102] არსებობს სანდო ცნობები იმის შესახებაც, რომ აჯანყების აქტიური მონაწილენი იყვნენ აგრეთვე სანაქარიმის ვაჟი დავითი[103] და ბიზანტიაში მყოფი ზოგი ქართველი, კერძოდ, ჯოჯიკის ვაჟი ფერისი[104], რომელიც 1001 წელს კეისარმა ტაოდან ბიზანტიაში წაიყვანა როგორც მისთვის საშიში პიროვნება[105]. არისტაკესის ჩვენებით, სწორედ ფერისი და მისი სიძე ანდრონიკი იყვნენ რომ გიორგი I-ს (აფხაზს) დაუკავშირდნენ და დავით კურაპალატის სამფლობელოს შეპირდნენ თუ იგი აჯანყებულთ დაეხმარებოდა[106].

ვინაიდან საქართველოსა და ბიზანტიას შორის მტრული დამოკიდებულება არსებობდა, გიორგი მეფე აჯანყებულთა წინადადებას კმაყოფილებით შეხვდა. არც სომხურ სამეფოებს უთქვამთ უარი აჯანყებაში მონაწილეობაზე და ეს ბუნებრივიც არის, რადგან იოანე-სმბატი აჯანყებულთა გამარჯვებით ცდილობდა თავიდან აეშორებინა ბასილის მუქარა, ანისის სამეფოს ჩამორთმევას რომ ითვალისწინებდა, ხოლო დავით სანაქარიმის ძე მამამისის მიერ დაკარგული ვასპურაკანის დაბრუნებას ელოდა.

წყაროთა მონაცემებით, აჯანყების მზადების შესახებ კეისარმა მაშინ შეიტყო, როცა ის ბასიანს მივიდა. იგი დიდად შეძრწუნდა[107]. იმის შიშით, რომ „ვაითუ აბაზგებსა და აჯანყებულთა შუა მოვემწყვდეთ და ცუდი ღღე დაგვადგესო“[108], მან „ყოყმანი იწყო“[109], საქართველოში წასვლა გადადო და არაქსის სამხრეთით არზრუმსა (კარინსა) და ბასიანს შორის მდებარე მაზდატის ციხესიმაგრეში გამაგრდა.

აჯანყება ისეთი მასშტაბის იყო, რომ მის გამარჯვებაში გიორგი I-სა და მის მოკავშირეებს ეჭვი არ ეპარებოდათ, მაგრამ ბასილ II-მ მაინც მოახერხა მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევა და თანაც

---

102 Повествование Аристакеса... გვ. 145, შენიშვნა 6.

103 В. Р. Розен. დასახ. ნაშრომი, გვ. 374—375, შენიშვნა 378.

104 ცხოვრება და მოქალაქეობა წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი ალაპებით, 1901, გვ. 290; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 287 — 384; Повествование Аристакеса... с. 65.

105 Повествование Аристакеса... გვ. 148, შენიშვნა 7; ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112—113.

106 იქვე, გვ. 65—66.

107 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 286, 384.

108 გეორგიკა, V, გვ. 45—47.

109 Повествование Аристакеса..., с. 64.

ისე, რომ დიდი მსხვერპლის გაღება არ დასჭირვებია. კედრენეს ცნობით, რომელიც სკილიცეს გადმოცემას ემყარება, კეისარმა წერილები გაუგზავნა აჯანყების მეთაურებს ქსიფიასს და ფოკას. შიკრიკი, ვინც ამ საქმისათვის იყო წარგზავნილი, გააფრთხილა, რომ წერილები მათთვის ერთმანეთის ჩუმად გადაეცა. დავალება შესრულებული იქნა[110]. ჩვენ არ ვიცით წერილების ზუსტი შინაარსი, მაგრამ თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც შემდეგ მოხდა, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მათ წამქეზებლური ხასიათი ჰქონდათ და შუღლი უნდა ჩამოეგდო ამბოხ ბელადებს შორის, რათა ისინი ერთმანეთისაგან გაეთიშა, აჯანყება დაექსაქსა, დაესუსტებინა და ადვილად ჩაეხშო. კეისარმა მიზანს მიაღწია. როგორც კედრენე იტყობინება, ქსიფიასმა შეიტყო თუ არა ამ წერილების შინაარსი, ფოკა მოსალაპარაკებლად იხმო და წინასწარ ჩასაფრებულ კაცებს მოაკვლევინა[111]. ამით მეამბოხეთა კავშირი მაშინვე დაიშალა. მონაწილენი ჩუმად, ერთმანეთზე მიყოლებით დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. ქსიფიასმა ფოკას მოკვეთილი თავი კეისარს გაუგზავნა, რათა მისთვის ერთგულება დაემტკიცებინა და სასჯელი თავიდან აეცდინა, მაგრამ მოტყუვდა. ბასილმა იგი თეოფილაქტე დალასენოსსის ძის ხელით შეიპყრო, ბერად აღკვეცა და ანტიგონეს კუნძულზე გადაასახლა. ხოლო „მიმდგომთა მისთა მრავალთა თავი მოჰკვეთა, რომელთა თანა იყო ფერის ჯოჯოკის ძე ქართველი“[112]. იაჰიას ცნობით, ქსიფიასისა და ფოკას განდგომა 1022 წ. მომხდარა.

აჯანყების ჩახშობისა და მისი მოთავეების დასჯის შემდეგ, ბასილს საშუალება მიეცა გიორგი ქართველთა მეფესთან სადავო საკითხიც მოეგვარებინა. მან კარგად იცოდა, რომ, როცა აჯანყება მზადდებოდა, გიორგიმ დრო იშოვა, ამბოხებულთ უმხრო და მისთვის მიცემული პირობის შესრულება აღარ მოინდომა[113]. ამის ხაზგასმა გამოხატულება იყო ის, რომ ქართველთა მეფემ ჯერ თანხმობა განაცხადა ზაქარია ბერის ხელით მოტანილ კეისრის თხოვნაზე, დავითის ყოფილი ტერიტორიების გადაცემას რომ ითვალისწინებდა, ხოლო

---

110 გეორგიკა, IV, გვ. 47.

111 გეორგიკა, V, გვ. 47. იაჰიას ცნობით, ეს მოხდა 413 ჯუმადა I-ის 14 რიცხვში (ანუ 1022 წ. 18 ივნისს) (В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 65; ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტექსტი. გვ. 127, თარგმანი გვ. 129).

112 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 287, 384.

113 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 61, თარგმანი 65; ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტექსტი. გვ. 126, თარგმანი, გვ. 128.

შემდეგ დადებითი პასუხით გასტუმრებულ ელჩს მალემსრბოლი დაადევნა და გატანებული თანხმობის წიგნი ჩამოართვა[114]. იაჰიას თქმით, კეისარი დარწმუნდა აფხაზის სიცრუეში, რაშიც ცოტა ბრალი როდი მიუძღოდა გიორგის ვაზირს ზვიადს, რომელიც მეფეს ურჩევდა ფიცი კეისრის თვალის ასახვევად და ხაფანგში გასაბმელად გაშოეყენებინა[115].

იაჰია ანტიოქიელის ცნობით, ამ უკეთურობის საპასუხოდ ბასილმა როგორც კი მიიღო ფოკას მოკვეთილი თავი, იგი გიორგის გაუგზავნა[116], რათა ეგრძნობინებინა მისთვის, რომ, ჯერ ერთი, იმპერატორმა ყველაფერი იცოდა მისი განზრახვის შესახებ და, მეორე, თუ გონზე არ მოვიდოდა, მასაც ისეთი დღე დაუდგებოდა, როგორიც აჯანყების მოთავეს. ამავე დროს კეისარმა თავისი ლაშქარი, რომელშიც დაქირავებული რუსთა დიდი რაზმიც შედიოდა, საბრძოლველად მოამზადა და საქართველოსაკენ გაგზავნა.

---

[114] Повествование Аристакэса... გვ. 66. არისტაკესი აღნიშნავს, რომ ზაქარია იყო ქართველი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვალარშაკერტში (გვ. 60), რომელიც კ. იუზბაშიანის განმარტებით, ვაღარშავანად, აგრეთვე ბასიანადაც იწოდებოდა და მდებარეობა ქ. კარინის (არზრუმის) დასავლეთით, მდინარე არაქსის ნაპირთან, სადაც დღეს ჰასან ყალაა (იქვე, გვ. 146, შენ. 21). თ. ჟორდანიას ვარაუდით, ვალარშაკერტი არის მდ. ევფრატის ხეობაში არსებული ალაშკერტი (თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 155). მისივე თქმით, ზაქარია ვალაშკერტელს შემდეგ ადგილი უნდა გამოეცვალა და „ბანელ სჳნძელოზად" გამხდარიყო (იქვე, 168). მაგრამ ამასთან დაკავშირებით ვ. კოპალიანი სრულიად მართებულად შენიშნავს, რომ თუ ზაქარია ნამდვილად ვალაშკერტელი იყო, შემდეგ „ბანელ სჳნძელოზად" ვეღარ გახდებოდა, რადგან საქართველოში ელჩობიდან დაბრუნებისთანავე მას ბასილმა ენა მოკვეთა (ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116). მიზეზი ამისა, როგორც არისტაკესი იუწყება, ის იყო, რომ საქართველოდან დაბრუნებულ ზაქარიას ბასილმა ჰკითხა გიორგის ჯარების რაოდენობისა და მხედრული წრთობის შესახებ რაზეც ზაქარიამ მიუგო; არავის არა ჰყავს იმდენი ისეთი ძლიერი და საბრძოლველად მომზადებული ლაშქარი, რამდენიც გიორგისო. ასეთი პასუხის გამო განრისხებულმა ბასილმა ზაქარიას უყვირა: შენ აჯანყებულებიდან მოდი და ჩემი დაშინება გინდაო. შემდეგ ბრძანა, იგი კონსტანტინეპოლს წაეყვანათ და ენა ამოეგლეჯათ (Повествование Аристакэса Ластивертци... с. 66).

[115] В. Р. Р о з е н, დასახ. ნაშრომი, არაბ. ტექსტი, გვ. 61, თარგმანი, გვ. 65; ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, არაბ. ტექსტი, გვ. 127, თარგმანი, გვ. 130;

[116] ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 129; В. Р. Р о з е н, დასახ. ნაშრომი, გვ. 61, 65.

გიორგი I-ის მდგომარეობა მძიმე იყო: მოკავშირეები აღარ ჰყავდა: ალ-ჰაქიმი რა ხანია უგზოუკვლოდ გაუჩინარდა, აჯანყება დამარცხდა და მისი მონაწილენი, ვინც სასტიკ სასჯელს გადაურჩნენ, თავიანთ ადგილებში მიიმალნენ ან ბასილის მხარეზე გადავიდნენ, ყერძოდ, ბიზანტიის სიუზერენობა აღიარეს იოვანე სმბატმა[117] და მისმა ძმამ აშოტ IV-მ. მოკავშირეებშემოცლილი გიორგი I მარტო რჩა დარჩენილი მტრის პირისპირ საკუთარი ძალის ამარა, რომელიც სრულიადაც არ კმაროდა გასამარჯვებლად. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, ქართველი მეფე დათმობაზე არ მიდიოდა. პირიქით, იგი ბასილ II-ს რაღაც თავის პირობებს სთავაზობდა დროის მოგების მიზნით, რომ ამასობაში თვითონ ძალები მოეკრიბა და მოულოდნელი თავდასხმებით ბრძოლა მოეგო. უდავოდ, ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს არისტაკესის ცნობა, სადაც აღნიშნულია: როდესაც იმპერატორი „შლპაის"[118] მივიდა, „აფხაზმა ასეთ ხერხს მიმართა: თავის ეპისკოპოსთაგან ყველაზე რჩეული იმპერატორს გაუგზავნა, თვითონ კი ჯარით მას მიჰყვა, რათა მოულოდნელი თავდასხმით შეეშინებია და უკუექცია მოწინააღმდეგე"[119]. გიორგი I-ის მოქმედების შესახებ დაახლოებით ასეთნაირადვე მოგვითხრობენ ქართული წყაროებიც. „მატიანე ქართლისას" ავტორის ცნობით, «ცნა რა გიორგი მეფემან (მოსვლა ბასილისა. — ბ. ს.). წარავლინა ზუადი ერისთავი სპი-

---

117 „იოვანესიკეს შეეშინდა, ვაითუ მეფემ გიორგისთან კავშირისათვის საშინელი რამ დამმართოს, ქალაქის გასაღებებით ეახლა მას და დანებდა (გეორგიკა, V, გვ. 59).

118 კ. იუზბაშიანის განმარტებით, რომელიც არისტაკესის თხზულების მისეულ რუსულ თარგმანს ახლავს, „Шл п'ай", Ширимк" (საძვლე, აკლდამა) და ქართული წყაროების „შირიმი" ან „შირიმნი" იდენტური გეოგრაფიული ტოპონიმებია (Повествование Аристакэса Ластивертцы... გვ. 149, შენიშვნა 1). იგივე თხზულების ფრანგულად მთარგმნელ-კომენტატორი პრუ'ომი კი „შლპაი"-ს ნაცვლად კითხულობს „შერფს", არზრუმის ახლოს რომ არის (Histoire d'Armenie par Arisdagues de Lasdiverd, traduite E—Prud'homme, გვ. 34). ამ წაკითხვას უპერენ მხარს გ. ვასილევსკი, ვ. კოპალიანი, შ. ბადრიძე (Труды В. Г. Василевского. т. I, 1908. გვ. 112; ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118; შ. ბ ა დ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92). რაც შეეხება ქართულ წყაროებში დამოწმებულ „შირიმს", ის „ყოლა-პალაკაციოს სექტორში მდებარეობს და ბასილ II-სა და გიორგი I-ს შორის 1021 წელს გაბართული პირველი დიდი ბრძოლის ადგილს წარმოადგენდა (შ. ბ ა დ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92).

119 Повествование Аристакеса, с. 67.

თა მისითა და უბრძანა, რათამცა ზავის მიპყრობითა მცირედ-ხან დაიმჭირვა ადგილსა და თუთ წარუდგა უკანა სპითა ძლიერითა და განიზრახვიდა ესრეთ: „უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ; (და) უკეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ მისთვისცა»[120]. როგორც ვხედავთ, ქართული და სომხური წყაროების ცნობები ერთმანეთს ავსებენ და აშკარად წარმოგვიჩენენ არა მარტო იმას თუ რა გზით ცდილობდა ქართველთა მეფე ძლიერი მტრის დამარცხებას, არამედ იმასაც, რომ ბიზანტიელთა ბანაკში მივლინებული ელჩი იყო ერისთავი ზვიადი, ხოლო ყოველივე ეს ხდებოდა სოფელ შირიმთან, რომელიც კ. იუზბაშიანის განმარტებით მდებარეობდა მდინარე არაქსის მარცხენა სანაპიროზე არარატის ოლქის არშარუნიკის თემში[121].. ამას აქ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ქართული წყაროს ჩვენებით, შირიმი მიჩნეულია პირველი ლაშქრობის დროს (1021 წ.) გამართული ბრძოლის ადგილად[122]. მაშინ, როცა სომხური წყაროს თანახმად იგივე ბრძოლა მომხდარა პალაკაციოს (ცელის, იგივე ჩალდირის) ტბის ახლოს, ვანანდის გავარში[123].

გიორგის დაბეჯითებითი უარი კეისრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მარტო საკუთარი მოსაზრებით არ იყო ნაკარნახევი. მას აქეთკენ უბიძგებდა დიდებულთა ერთი ნაწილი, რომელიც ეტყობა პირად კეთილდღეობაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე მეფისა და საკუთარი ქვეყნის ბედ-იღბალზე. ამას კარგად ამჩნევს სუმბატ დავითის ძე და ამიტომაა, რომ გულისტკივილით ამბობს: „ორკერძვე მზაკუარნი იგი აზნაურნი არა მიეშუნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდა მშვიდობა, არამედ აზრახეს მას ბრძოლად და „აწვეს იგი ბასილს ზედა“[124].

მათი დაჟინებითი რჩევით, გიორგი I-მა თავისი ჯარი ბიზანტიელთა ბანაკისაკენ დასძრა სანამ ისინი გამაგრებას მოასწრებდნენ.

---

120 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 287. სუმბატ დავითის ძის ცნობით, ამას ადგილი ჰქონია ზამთარში (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 384), ე. ი. 1022 წ. დასასრულს ან 1023 წ. დასაწყისში.

121 Повествование Аристакэса. გვ. 165, შენ. 6; იხ. აგრეთვე ს. ერემიანი, სომხეთი „აშხარაცუიცი“-ს. (VII ს. „სომხური გეოგრაფია“) მიხედვით, ერევანი, 1963, გვ. 81 (სომხურ ენაზე).

122 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 284, 383; ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94; შ. ბ ა დ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 74, 92.

123 Повествование Аристакэса... გვ. 61, 146, შენ. 26 და 28.

124 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 384.

არისტაკეს'ის თქმით, ქართველები სამხედრო ხელოვნების გათვალისწინებით კი არ მოქმედებდნენ, არამედ ერთმანეთის წინგასწრებით მიქროდნენ, თითქოს ნადავლისათვის იღვწოდნენ[125].

ასეთ მოულოდნელ, სწრაფ თავდასხმას გარკვეული დადებითი შედეგი გამოუღია: როგორც „მატიანე ქართლისაში" და დავით სუმბატის ძის ქრონიკაშია აღნიშნული, მათ „იწყეს ბრძოლად და აოტეს ზოგი ლაშქრისა" ბასილისა[126]. მაგრამ ეს წარმატება ხანმოკლე გამომდგარა. კეისარს ლაშქრის თავმოყრა მოუხერხებია და მეორე ბრძოლაში მოწინააღმდეგე საბოლოოდ დაუმარცხებია, ძირითადად იმის წყალობით, რომ, არისტაკესის ჩვენებით, მხედრებით, რკინის შეიარაღებითა და ხანგრძლივი სიარულით დაუძლურებულ ცხენებს მოძრაობა აღარ შეეძლოთ[127]. ალბათ, ამას გულსხმობს იაჰიაც, როცა ამბობს: თუ ბასილმა განსაცდელს თავი დააღწია, ეს მხოლოდ მისი გამჭრიახობისა და მასთან მყოფი მამაცი მეომრების თავდადებული ბრძოლის შედეგად მოხდაო. მან გაწყვიტა გიორგის მეომრები და მრავალი ხალხი. თვითონ გიორგი, მისი ვაზირი და ქვეშევრდომნი უკან მოუხედავად გაიქცნენ. მტერმა ხელთ იგდო მისი აურაცხელი ქონება, სურსათ-სანოვაგე და მახლობლების ბარგი-ბარხანა, აგრეთვე გარეკა საჯდომი და სახედარი პირუტყვი[128]. კედრენე დაღუპულთა შორის იხსენიებს ქართველთა მეფის ჯარების მთავარსარდალს ლიპარიტს. ხოლო თვით მეფის შესახებ აღნიშნავს, თავი იბერიის შიდა მთებს შეეფარაო[129].

როდის მოხდა ეს ბრძოლა"? იაჰია ანტიოქიელი ამის ზუსტ თარიღს არ ასახელებს. კედრენეს მიხედვით, მეორე ბრძოლა გამართულა „სექტემბრის თერთმეტს, მეექვსე ინდიქტიონს, 6531 წელს[130], ანუ 1022 წ. 11 სექტემბერს. ხოლო სუმბატ დავითის ძის ცნობით, სექ-

---

125 Повествование Аристакэса..., с. 67.

126 ქართლის ცხოვრება I, გვ. 287, 384. გ. კედრენე კი ამბობს: მართალია ამ ბრძოლაში ბევრი ბიზანტიელი დაიღუპა, მაგრამ გამარჯვება არავის რგებიაო (გეორგიკა, V, გვ. 47—48).

127 Повествование Аристакэса..., с. 67.

128 В. Р. Розен დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გ. 62. თარგმანი, გვ. 65; ო. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 127, თარგმანი, გვ. 130.

129 გეორგიკა, V, გვ. 48.

130 იქვე; ვ. კოპალიანი, კედრენეს ამ ცნობას შეცდომით არისტაკესს მიაწერს (ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118).

ტემბერში კი არა, უფრო გვიან „რეცა ზამთრის სახედ“[131] ნოემბერ-დეკემბერი[132].

ბადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხებულსა და სამშობლოს შიდა მთებს თავშეფარებულ გიორგი I-ს ისღა დარჩენოდა, რომ ბედის უკეთესობას შერიგებოდა. იაჰიას გადმოცემით, ცოტა ხნის შემდეგ იგი „დაბრუნდა, თავი დაიმცირა და კეისარს დაემორჩილა“. კეისარი კი იმის გაშო, რომ „შიში აქუნდა საბერძნეთით კუალადცა განდგომილებისა“[133], საქმის გართულებას მოერიდა, გიორგისთან დაახლოებას შეეცადა და აუწყებდა: „არ იფიქრო, გამარჯვებულმა შენგან იმაზე მეტი ვითხოვო, რასაც ადრე გთხოვდი. დამიბრუნე კურაპალატის მიერ უართქმული მამული, მძევლად მიბოძე შენი ვაჟი და ჩვენს შორის მშვიდობა დამყარდებაო“[134]. გიორგი I კეისრისაგან, ალბათ, ამაზე მეტის მოთხოვნას მოელოდა და რაკი მან მხოლოდ ეს იკმარა, უყოყმანოდ დათანხმდა და დაუზავდა. იაჰია ანტიოქიელი იუწყება, რომ ეს მოხდა ბასილის მეფობის 48-ე წელს, ანუ 414 წელს ჰიჯრით[135]. 414 წელი კი მოიცავს პერიოდს 1023 წლის 26 მარტიდან 1024 წლის 15 მარტამდე ქრისტიანული კალენდრით. მაგრამ რაკი აქ ნათქვამია, ეს ბასილის გამეფებიდან (976 წ.) 48-ე (და არა 48) წელს მოხდაო, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ საზავო შეთანხმება ბიზანტიასა და საქართველოს შორის დაუდევთ 1023 წელს, რასაც ადასტურებს წყაროს სხვა მონაცემებიც.

როგორც იაჰია აღნიშნავს, შეთანხმების შემდეგ ბასილმა აფხაზთა ქვეყანა დატოვა და რუმისაკენ გაემართა. მან გიორგის პირობა მისცა, რომ მძევლად წაყვანილ ვაჟს 2 წლის შემდეგ დაუბრუნებდა და სიტყვა შეასრულა. გავიდა თუ არა დათქმული ვადა, კონსტანტინეპოლს მყოფი ბაგრატი გაათავისუფლა და მამას გაუგზავნა, თვითონ კი ავად გახდა და რამდენიმე ხნის შემდეგ, კერძოდ, 1337 წლის კანონ I თვის 12 რიცხვში (1025 წ. დეკემბერი. — ბ. ს), 9 საათზე გარდაიცვალა[136]. თუ კი ბაგრატი ნამდვილად ორი წლით იყო წაყვანილი

---

131 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 384.

132 ქართველ-ბიზანტიელთა მეორე დიდი ბრძოლა რომ 1022 წელს გამართულა ამას შ. ბადრიძეც ეთანხმება, მაგრამ მისი დაკვირვებით ბრძოლა მომხდარა „ბასიანის მიწაზე“ — „შლფას“ და არა „შირიმს“ (შ. ბ ა დ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 92).

133 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 384.

134 Повествование Аристакэса..., с. 67.

135 В. Р. Р о з е н, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 62, თარგმანი, გვ. 65; ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნიშრომი, ტექსტი, გვ. 127, თარგმანი. გვ. 130.

136 В. Р. Р о з е н, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 62, თარგმანი, გვ. 65, 70.

მძევლად კონსტანტინეპოლში და ამ ვადის გასვლის შემდეგ, 1025 წელს ბასილის სიცოცხლეშივე, იგი სამშობლოში დააბრუნეს, მაშინ ცხადია, მისი ბიზანტიაში წაყვანა და, მაშასადამე, დაზავებაც კეისარსა და ქართველთა მეფეს შორის 1023 წელს მომხდარა. ეს, არაბული წყაროს ცნობის გარდა, ქართული და სომხური წყაროების არაპირდაპირი ჩვენებებიდანაც კარგად ჩანს. მაგალითად, „მატიანე ქართლისაში" აღნიშნულია, რომ დაზავების დროს მძევლად წაყვანილი ბაგრატი კეისარს საქართველოში 1025 წელს დაუბრუნებია. იქვე ნათქვამია ისიც, რომ მისი დაბრუნება მომხდარა წაყვანიდან „წელსა მესამესა"[137], ე. ი. ორ წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ. თუ ამ დროს გამოვაკლებთ კეისრის გარდაცვალების თარიღს მივიღებთ 1023 წელს[138] დაზავების ასეთსავე თარიღს იძლევა არისტაკესის მონაცემებიც. მისი თქმით ბასილმა იმპერია მართა 50 წელიწადი, ე. ი. 1026 წლამდე, ბაგრატი კი წაიყვანა 3 წლით და დააბრუნა სამშობლოში გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე[139]. მაშასადამე, ბაგრატი მას მძევლად აუყვანია (1026-3) 1023 წელს. ამრიგად, ქართულ-სომხური წყაროების მონაცემები მთლიანად უპერენ მხარს არაბი მემატიანის ცნობას საქართველოსა და ბიზანტიას შორის დაზავების თარიღის შესახებ და ადასტურებენ მის სისწორეს. მიუხედავად ამისა, ვ. კოპალიანი იაპია ანტიოქიელის ამ ცნობის სანდოობას საეჭვოდ მიიჩნევს და აღნიშნავს: რაკი „მეორე დიდი ბრძოლა ბიზანტიელებსა და ქართველებს შორის 1022 წლის 11 სექტემბერს მომხდარა" და ქართველები დამარცხებულან, ხოლო ბასილი, ქართულ წყაროთა ჩვენებით, უკუქცეულთ მაშინვე დასდევნებია და იძულებული გაუხდია ისინი დათანხმებოდნენ მათთვის არახელსაყრელ ზავზე, ამიტომ ომის დამთავრება და დაზავებაც 1022 წლის დამლევს უნდა ვიგულისხმოთ. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, — განაგრძობს მკვლევარი, — რომ იგივე ქართული წყაროების ცნობებით „1025 წლის დეკემბრის თვეში" განთავისუფლებულმა ბაგრატმა ს ა მ ი წ ე ლ ი (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ს.) დაჰყო მძევლობაში[140], მაგრამ ქართულ წყაროებში, კერძოდ „მატიანე ქართლისაში" და სუმბატის ქრონიკაში ასეთი ცნობები არ იძებნება. არის მხოლოდ ერთი ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თჳსი ბაგრატ სამი-

---

137 ქართლის ცხოვრება I, გვ. 288—289.

138 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 136.

139 Повествование Аристакэса..., с. 67—69.

140 ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

სა წლისა ყრმა ჩვლი... და შემდგომად სამისა წლისა მაშინვე წარმოგზავნა აღუთქვა"[141]. მაგრამ სუმბატ დავითის ძის ამ ჩვენებიდან, რომელსაც ვ. კოპალიანი ემყარება თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად, ის კი არ ჩანს, რომ ბასილმა ბაგრატი სამი წლის შემდეგ დააბრუნა, არამედ ის, რომ მძევლად აყვანილი 3 წლის მეფის ძეს სამი წლის შემდეგ პატრონს დაუბრუნებდა. და, როგორც მეორე ქართული წყაროებიდან, „მატიანე ქართლისადან" ვგებულობთ, ბასილ II-ს პირობა შეუსრულებია, ბაგრატ ვადამდე ადრე, „წელსა მესამესა", გამოუგზავნია საქართველოში[142], თვითონ კი რამდენიმე თვეში გარდაიცვალა (1025 წ.) შემდეგ ვ. კოპალიანს მხედველობიდან რჩება ის გარემოება, რომ 1022 წლის გვიან შემოდგომაზე „რეცა ზამთრის სახედ"[143], ე. ი. ზამთრის პირას, კედრენეს თქმით, „გიორგი გაიქცა იბერიის შიდა მთებში" და მაშინვე კი არა, „ცოტა ხნის შემდეგ გამართა მოლაპარაკება მეფესთან და შეკრა ზავი"[144]. ამიტომ მისი ვარაუდი რომ დაზავება ბიზანტიასა და გიორგის შორის 1022 წ. დამლევს უნდა ვიგულისხმოთ, არ დასტურდება.

ბიზანტიასთან ზავშეკრულ გიორგი I-ს შესაძლებლობა მიეცა ყურადღება აღმოსავლეთისაკენ მიეპყრო და განძის მფლობელი, ურჩი ფადლონი მოეთვინიერებინა.

როგორც ცნობილია, შადადიანთა არრანის სახელმწიფო, წარმოქმნისთანავე აგრესიულ პოლიტიკას ანხორციელებდა მეზობლების, მათ შორის საქართველოს მიმართაც. ეს განსაკუთრებით აშკარა და აუტანელი გახდა ამირა ფადლ იბნ მუჰამმადის (985—1031) დროს. „მას ჟამსა განდიდნა ფადლონ, ამირა განძისა, იწყო კირთებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ჟამითი-ჟამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყენვად ადგილითი-ადგილად"[145], რისთვისაც მკაცრად დაიპაჯა. „იხილა რა დიდმან მეფემან ბაგრატ კადნიერებმა მისი, დიდად შეძრწუნდა, და აღივსო შურითა და განემზადა ყოვლითა სპითა მისითა"[146] ამავე დროს წარგზავნა მოციქულნი წინაშე გაგიკ შაჰან-

---

141 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 384—385. შდრ. არისტაკესის ცნობას (გვ. 67).

142 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 289. ბაგრატის ნაადრევი გამოგზავნით ბასილი ბარკვეულ მიზანს ისახავდა. იგი მაშინ სიცილიის დასალაშქრავად ემზადებოდა (Ф. И. Успенский, История Византийской империи, III, 1948, с. 33), და ამიტომ საქართველოსთან საქმის გართულებას ერიდებოდა.

143 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 384.

144 გეორგიკა, V, გვ. 48.

145 ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 279.

146 იქვე.

შა სომეხთა მეფისა; აწყა, რათა იძიოს შური ფადლონისაგან"[147]. ხოლო მან დიდად გაიხარა, ჯარი შეკრიბა და ბაგრატ III-თან მისვლა არ დააყოვნა. ძალმოცემული ქართველი მეფე რანში შეიჭრა, მიადგა ქ. შამქორს, რამდენიმე დღეში იგი აიღო და აიძულა ფადლონი ეთხოვა შენდობა, რისთვისაც „აღუთქვა დღეთა შინა სიცოცხლისა მისისათა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯა და დაუწერა თავისთავითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა"[148], ე. ი. დამარცხებულმა ფადლონმა თავი ბაგრატ III-ის ყმად სცნო, ხარკის გადახდა და ლაშქრობაში მონაწილეობა ივალდებულა[149].

აღნიშნული ლაშქრობის ზუსტი თარიღი უცნობია. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით ეს ბრძოლა 1010—1014 წწ. შორის უნდა მომხდარიყო[150], ხოლო ვ. დონდუა მას 1011—1012 წლებში ათავსებს[151],

განძის ამირას მიერ ბაგრატისადმი ყმადნაფიცობის აღიარება, ხარკის გადახდა და მის ლაშქარში მონაწილეობა, გულწრფელი არ იყო. მისი მიზანი ხელისუფლების შენარჩუნება, დროის მოგება და ძალების მოკრება იყო, რომ შემდეგ ქართველი მეფისადმი მიცემული პირობა გაუქმებულად გამოეცხადებია. ასეც მოხდა. გართულდა თუ არა მდგომარეობა ბიზანტიასა და საქართველოს შორის, ამირა ფადლონმა დრო იხელთა და ნაკისრი ვალდებულებანი მთლიანად დაივიწყა. ამას კი საქართველოს პოლიტიკური მესვეურნი რეაგირების გარეშე ვერ დატოვებდნენ და როგორც მუნაჯიმ ბაში იუწყება „417 (1026) წელს აფხაზეთის პატრონი არანში შეჭრილა და ალყა შემოურტყამს შამქორისათვის", მაგრამ ფადლონი მომზადებული დახვედრია. „დიდი ლაშქრით გამოსულა მის წინააღმდეგ, 10 ათასი კაცი დაუხოცავს, დაუმარცხებია და გაუქცევია"[152]. შემდეგ ეს არ უკმარებია, სა-

---

147 ქართლის ცხოვრება, გვ. 279.

148 იქვე, გვ. 280.

149 ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის საქართველოში. ტერმინი „დაწერილისათვის". საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 237.

150 ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 132.

151 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, 1, თბ., 1958, გვ. 141.

152 باب الشدادية من كتاب جامع الدول لاحمد بن لطف الله الملقب منجم باشى
პარაგრაფი 10. მუნაჯიმ ბაშის თხზულების ეს ნაწილი ინგლისური თარგმანითა და კომენტარებით გამოაქვეყნა ვ. მინორსკიმ 1953 წელს, ხოლო მისი რუსული თარგმანი,

ქართველოს დარბევაც განუზრახავს და დაურბევია კიდევაც, თუმცა მაშინ კი არა, ცოტა მოგვიანებით, ბაგრატ IV-ის ზეობის პირველ წლებში.

3. ბაგრატ IV-ის ლონისძიებანი

იაჰია ანტიოქიელის გადმოცემით, საქართველოში დაბრუნებულ ბაგრატს უკვე კონსტანტინეს მეფობაში, მამა გარდაეცვალა და თვითონ დაჯდა ტახტზე. მაშინ ის ახალგაზრდა, არასრულწლოვანი იყო და ამიტომ სახელმწიფო საქმეებს დედამისი, მარიამ სანაჰარიმის ასული წარმართავდა. სამეფო კარის მოხელენი მცირეწლოვან მეფეს ურჩევდნენ, ესარგებლა მომენტით და მოეთხოვა ის ადგილები, რომლებიც მამამისმა იმპერატორს ბასილს გადასცა[153]. არაბი მემატიანე არც იმას მიუთითებს თუ როდის გარდაიცვალა გიორგი I და როდის, რამდენი წლისამ დაიდგა მეფის გვირგვინი ბაგრატმა, და არც იმას, თუ რაში გამოიხატებოდა ის ხელსაყრელი მომენტი, რომლის გამო კარის მოხელენი ახალგაზრდა მეფეს ურჩევდნენ გიორგი I-ის დროს ბიზანტიისათვის გადაცემული ტერიტორიების მოთხოვნას. მაგრამ ამ კითხვაზე პასუხს იძლევიან ქართული, ბიზანტიური და სომხური წყაროები.

„მატიანე ქართლისას“ ავტორი გვამცნობს, რომ როდესაც მძევლად წაყვანილი ბაგრატი კონსტანტინეპოლიდან ქუთაისს დაბრუნდა, „იყო ქორონიკონი მას ჟამსა ორას ორმოცდახუთი... შემდგომად ორინა წლისა გარდაიცვალა გიორგი მეფე... და მასვე ჟამსა მეფე იქმნა ბაგრატ... წელიწადისა ცხრისასა“[154], მაშასადამე, გიორგი I 1027 წელს გარდაცვლილა და ტახტი მაშინვე დაუკავებია 9 წლის ბაგრატს, რომელიც ქართული წყაროს ამ მონაცემების თანახმად 1018 წელს დაბადებულა[155].

შესრულებული ჯ. მამედოვის მიერ და მინორსკისეული ტექსტის ფოტოპირი დაიბეჭდა აზერბაიჯანის მეცნ. აკად. ისტორიის ინსტიტუტის შრომებში 1957 წელს (Труды Института истории АН. Аз ССР, XIII, 1957).

153 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 67, თარგმანი, გვ. 70.

154 ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 290—291.

155 ივ. ჯავახიშვილთან მცირე უზუსტობა შეიმჩნევა. 1018 წლის ნაცვლად მასთან ბაგრატის დაბადების თარიღად რატომღაც 1020 წელია მითითებული (ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 137).

ხელსაყრელი დრო, რომლის გამოყენებას დაკარგული მიწა-წყლის დასაბრუნებლად მეფეს მისი კარის მოხელენი ურჩევდნენ, როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია ცნობილი, გამოიხატებოდა ბიზანტიის იმპერიის საშინაო მდგომარეობის გაუარესებაში ანტისამთავრობო და სეპარატისტული მოძრაობის კვლავ გაძლიერებით რომ იყო გამოწვეული[156]. ჯერ კიდევ ბასილის სიცოცხლეში გახდა ცნობილი, რომ მაღალი თანამდებობის ფეოდალური არისტოკრატია წინააღმდეგი იყო კონსტანტინეს გამეფების და ამ მიზნით ყოველნაირად აყოვნებდა სულთამბრძოლი იმპერატორის ბრძანების შესრულებას — ნიკეიდან კონსტანტინეს გამოძახებას და მისთვის სამეფო გვირგვინის გადაცემას[157]. ამავე დროს, თავი იჩინა სეპარატისტულმა მოძრაობამ ბასილ II-ის დროს მიტაცებულ აღმოსავლეთის ქვეყნებში. ვასპურაკანის მმართველმა ნიკიფორე კომნენოსმა, კონსტანტინე VIII-ის ზეობის პირველ წელს აღმოსავლეთის მეფედ გახდომა განიზრახა და, როგორც არისტაკესი იტყობინება, გიორგი I-ს დაუკავშირდა[158]. მართალია ყოველივე ეს ბაგრატ IV-ის ტახტზე ასვლამდე მოხდა და კონსტანტინემ მისი სწრაფად ლიკვიდირება შეძლო. მაგრამ საშინაო არეულობის მთლიანად მოსპობა ვერ მოახერხა, რის გამოც იმპერიის დასუსტება და საიმპერიო ხელისუფლების პოპულარობის დაცემა იმდენად შესამჩნევი იყო, რომ ბაგრატის მრჩეველ დიდებულებს შეეძლოთ ის ბიზანტიელთა მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დაბრუნებისათვის ხელსაყრელ პირობად მიეჩნიათ.

ისმინა თუ არა მეფემ დიდებულთა ეს რჩევა, ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ბაგრატს მათთის უარი არ უთქვამს. ამ დასკვნამდე მივყევართ იაჰის შემდეგ ცნობას, რომელშიც აღნიშნულია: „ამის გამო კონსტანტინემ თავისი მეფობის მესამე წელს, მისი მსახური პარაკიმენონი ნიკოლოზი აფხაზეთს გაგზავნა, ჯარი გაატანა და ამ ქვეყნის აკლება დაავალა[159].

---

156 ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 125—128, 133.

157 Повествование Аристакэса, с. 69; Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке. СПб., 1998, с. 6—7.

158 Повествование Аристакэса, с. 70. სკაბალონოვიჩის თქმით ნიკიფორეს გიორგისთან ხელშეკრულებაც კი დაუდეს (Н. Скабаланович, დასახ. ნაშრომი, გვ. 8).

159 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 67, თარგმანი, გვ. 76.

არაბი მემატიანის ეს ცნობა უშუალო აზრობრივ კავშირშია და პირდაპირ მოსდევს მისსავე ზემოთ მოტანილ ცნობას. გამოდის, რომ აფხაზეთის დარბევა კეისარს, თურმე, იმის გამო განუზრახავს, რომ ქართველ დიდებულთა ერთ ჯგუფს თავიანთი მეფისათვის ურჩევია, გიორგი I-ის დროს ბიზანტიის ხელში გადასული მიწების დაბრუნებაზე ეზრუნა. მაგრამ, ეტყობა, ცნობას სიზუსტე აკლია და საქმე სულ სხვანაირად იყო. არა გვგონია, მეფისადმი დიდებულთა მარტო ეს რჩევა გამხდარიყო მიზეზი საქართველოში ბიზანტიელთა დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნისა, თუკი თვით მეფე სხვა აზრისა იყო და მათ არ თანაუგრძნობდა. რაკი კონსტანტინე აფხაზეთში ჯარს აგზავნის, ეს იმას ნიშნავს, რომ ბაგრატმა ყურად იღო დიდებულთა რჩევა და ამიტომ კეისარმაც აღარ დააყოვნა ზომების მიღება, დაარღვია გიორგი I-სა და ბასილ II-ს შორის მიღწეული საზავო შეთანხმება და თავისი ლაშქარი ბაგრატის სახელოს მიუსია. ნიკოლოზ პარაკიმომენის (პარაკიმანოსის, პარკიმანოზის) ლაშქრობა საქართველოში რომ ბაგრატის საქციელით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, ამაში ქვემოთაც დავრწმუნდებით.

კეისრის საწოლთუხუცესს დიდი ზიანი უყვია ბაგრატის სამეფოსათვის. იაჰიას ცნობით, „მან მოსპო იგი, გადასწვა, დახოცა და დაატყვევა მრავალი. გადარჩნენ მხოლოდ ისინი ვინც თავი შეაფარა მიუვალ ადგილებს, სადაც ჯარი ვერ შევიდა“[160].

კონსტანტინე VIII-ის მეფობის პირველსავე წლებში რომ საქართველოს ბიზანტიელთაგან სერიოზული ზარალი მოსვლია, ამას სხვა წყაროებიდანაც ვგებულობთ. სუმბატ დავითის ძის ცნობით, კონსტანტინეს მიერ გამოგზავნილმა ურიცხვმა ჯარმა პარაკიმანოსის სარდლობით მოვლო და მოარბია მთელი ქვეყანა თრიალეთამდე[161]. უფრო კონკრეტულ ცნობას იძლევა „მატიანე ქართლისას“ ავტორი. მისი ჩვენებით, პარაკიმანოზს აუოხრებია ის ქვეყნები, რომლებიც ადრე ბასილს აუკლია და თრიალეთში კლდეკარის ციხემდე მიუღწევია[162]. მაშასადამე, ახლაც ბიზანტიელთა თავდასხმის მთავარი ობიექტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ანუ ტაო-კლარჯეთის საკურაპალატო ყოფილა.

ქართული წყაროები კონსტანტინე VIII-ის პარაკიმანოსის სახელს არ ახსენებენ: ამავე დროს, ისინი ლაშქრობის თარიღად კეისა-

---

160 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 67, თარგმანი, გვ. 70.

161 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 385.

162 იქვე, გვ. 292.

რის ზეობის მესამე წელს კი არა, „მეორე წელს“ მიიჩნევენ[163], რის გამოც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს აქ საუბარი იყოს არა არაბულ წყაროში მითითებულ ნიკოლოზ პარაკიმანოსის წინამძღოლობით მოწყობილ ბიზანტიელთა სამხედრო ექსპედიციაზე, არამედ სულ სხვა ლაშქრობის შესახებ. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოებაც, რომ არისტაკესის მიხედვით, კონსტანტინემ თავისი მეფობის მეორე წელს აღმოსავლეთის გამგებლად ნიკიტა გამოგზავნა, ხოლო მესამე წელს კი საჭურისი სიმონ პარაკიმანოსი[164]. მაგრამ ეს უკანასკნელი არ შეიძლება მივიჩნიოთ ქართულ წყაროებში მოთხრობილი ლაშქრობის ხელმძღვანელად, რადგან, არისტაკესისავე ცნობით, მას საქართველოში ვერაფრის გაკეთება ვერ მოუსწრია. მოსვლისთანავე შეუტყვია, რომ კონსტანტინე გარდაცვლილიყო და თავისი ლაშქრით მაშინვე კონსტანტინეპოლს დაბრუნებულა[165]. ამიტომ მართალია ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ქართულ წყაროებში აღწერილ ზემოაღნიშნულ ლაშქრობის მოთავედ ნიკიტას ასახელებს[166]. კედრენეს ცნობით, ეს არის კეისრის მიერ იბერიის დუკად დანიშნული ნიკიტა პისიდიელი, თავის ბოროტებით განთქმული პიროვნება[167], რომელიც იაჰიას ცნობაში ნიკოლოზის სახელითაა მოხსენიებული.

რაც შეეხება მცირე სხვაობას, რომელიც შეიმჩნევა, ერთი მხრივ, ქართულ-სომხურ წყაროთა მონაცემებსა, ხოლო, მეორე მხრივ, არაბი მწერლის ცნობას შორის ლაშქრობის თარიღთან დაკავშირებით, იგი ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ არაბი მემატიანე, ეტყობა, კონსტანტინეს ზეობის წლებს ითვლის ბასილ II-ის გარდაცვალების დღიდან (ე. ი. 1025 წ. 12 დეკემბრიდან), ხოლო ქართველი და სომეხი მწერლები — 1026 წ. დასაწყისიდან. თუ ეს ასეა, მაშინ იაჰიას ცნობა მთლიანად ემთხვევა ქართულ-სომხურ წყაროთა ცნობებს და ის სანდოა. აღნიშნულ ლაშქრობას ადგილი ჰქონია არა 1028 წელს, როგორც ეს მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში[168], არამედ 1027

---

163 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 291, 385.

164 Повествование Аристакэса, с. 70.

165 იქვე.

166 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 137. ასეთივე მოსაზრებისაა აგრეთვე არისტაკესის თხზულების რუსულად მთარგმნელი და კომენტატორი კ. იუზბაშიანიც (იხ. Повествование Аристакэса გვ. 150).

167 გეორგიკა, V, გ. 53.

168 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138; ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979, გვ. 179. ს. ყაუხჩიშვილის თქმით, თარიღი „1028 წელი“ დასახელებული აქვს არისტაკესს

წლის შემოდგომაზე. გიორგი I-ის გარდაცვალებისა (16 აგვისტო) და ბაკრატის აღზევებისთანავე.

მტერთან ბრძოლაში დამარცხებულსა და მიუვალ ადგილებში თავშეფარებულ ქართველებს იქ დიდხანს დარჩენა არ შეეძლოთ. ბიზანტიელნი კი, ეტყობა, დაპყრობილი ტერიტორიიდან ფეხს არ იცვლიდნენ, რომ თავშეფარებულნი თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს არ დაბრუნებოდნენ. ამიტომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქართველებს, ბოლოს, წინააღმდეგობის შეწყვეტა და ნიკოლოზ პარაკიმანოსთან დაზავება უმჯობინებიათ. ამ მიზნით, როგორც იაჰია იტყობინება, პარაკიმანოსთან „გამოცხადებულა ქართველთა ბევრი ბელადი თხოვნით, ეპატიებინა მას ბაგრატისათვის. სამაგიეროდ აღუთქვამდნენ, რომ იქნებოდნენ კონსტანტინეს ერთგულნი და ამიერიდან არავინ გამოვიდოდა მის წინააღმდეგ. საქმე ამით დამთავრდა და ნიკოლოზი კონსტანტინეპოლს დაბრუნდაო“ — დასძენს დასასრულს მემატიანე[169].

იგივე ამბავი სულ სხვანაირადაა მოთხრობილი ქართულ წყაროებში. „მატიანე ქართლისას“ ავტორი იუწყება, რომ კლდეკარის ციხის პატრონმა, ერისთავთერისთავმა ლიპარიტ ლიპარიტისძემ „შემოიკრიბნა სხუანიცა აზნაურნი, დაუდგეს განძათა და შეებნეს (ბიზანტიელთ) ციხესა ქუეშე. რაჟამს იხილა პარაკიმანოზმან, რომელ ვერას ავნებდა, შეიქცა გარე“[170], ე. ი. კლდეკარის ციხე ნიკოლოზს ვერ აუღია და მას განშორებია. მაგრამ საბოლოოდ რით დამთავრდა კეისრის ამ მოხელის ლაშქრობა საქართველოში, ქართული წყაროს ცნობიდან არ ჩანს. არც სომხურ და ბიზანტიურ წყაროებშია რაიმე აღნიშნული ამის შესახებ. ამიტომ უპირატესობა, პირობითაც მაინც, არაბი მწერლის ჩვენებას უნდა მივანიჭოთ. ნიკოლოზ პარაკიმანოსის ლაშქრობა რომ ნამდვილად სრული მარცხით დამთავრებულიყო და ბაგრატ IV-ის მდგომარეობა მტკიცე ყოფილიყო, მაშინ, ჯერ ერთი, ქართველ მემატიანეს ეს გარემოება, ალბათ, აღუნიშნავი არ დარჩებოდა, და, მეორე, ქართველ აზნაურთა დიდი ნაწილის ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლაზე, რასაც ერთნაირად აღნიშნავენ სუმბატ დავითის ძე და არისტაკესი[171], თავს შეიკავებდა. აღარც სასულიერო პირთ — ეპისკო-

(იხ. გეორგიკა, V, გვ. 54), მაგრამ ეს სომეხი ავტორი 1028 წ. სრულებით არ ახსენებს.

[169] В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, ტექსტი, გვ. 67, თარგმანი, გვ. 70.

[170] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 292.

[171] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 385; Повествование Аристакэса, с. 70.

პოს საბა მტბევარს და მის თანამზრახველთ დასჭირდებოდათ ციხე-სიმაგრეების აშენება და ქვეყნის თავდაცვაზე ზრუნვა[172].

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო იაჰია ანტიოქიელის ცნობას სანდოდ მივიჩნევთ, მაშინ ეჭვი აღარ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ კეისრის პარაკიმანოსის ლაშქრობის მიზეზი საქართველოში ბაგრატ IV-ის ტერიტორიული მოთხოვნები იყო და არა აზნაურთა მოქმედება. თუ ეს არა, სხვანაირად გაუგებარი იქნება, რატომ სთხოვდნენ ნიკოლოზს მასთან გამოცხადებული ქართველი აზნაურები, რომ მას ბაგრატისათვის ეპატიებინა.

შეშფოთება ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა. არისტაკესის მიხედვით, კონსტანტინე VIII-ის გამეფებიდან მესამე წელს დიდძალი ჯარით აღმოსავლეთისაკენ დაიძრა და საქართველოში მოვიდა საჭურისი სიმონ პარაკიმანოსი[173], ხოლო „მატიანე ქართლისაში" კი ვკითხულობთ, რომ „მას ჟამსა გაგზავნა პარაკიმანოზმან და პროედროსმან იოვანე ბანელი ხარტულარი, წარიყვანა თანა ვალანგი ლაშქრითა დიდითა და მიჰკა თანა"[174] „ძე გურგენ კლარჯისა დემეტრე"[175], რომელიც ბაგრატ III-ის დროს, მამის ციხეში ჩამწყვდევის შემდგომ, 1012 წ. კონსტანტინეპოლში გაიქცა, სიკვდილს გადარჩა[176] და ახლა ბაგრატ IV-ისათვის უნდა დაეპირისპირებინათ, რომ ქართულ სამეფოში არეულობა შეეტანათ.

ვინაიდან სხვა წყაროები ამ ამბის შესახებ არაფერს აღნიშნავენ, ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, კონსტანტინე VIII-ის გამეფების მესამე წელს სიმონ პარაკიმანოსი იყო გამოგზავნილი ივერიის თემის (საკატეპანოს) დასარბევად თუ იოანე ბანელი ხარტულარი და ვალანგი, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ლაშქრობას როგორც სომხური, ისე ქართული წყაროების მონაცემებით, ადგილი ჰქონია 1028 წელს და საქართველო მძიმე განსაცდელისაგან უხსნია კეისრის გარდაცვალება[177], რაც 15 ნოემბერს მოხდა.

გაუთავებელმა საომარმა მოქმედებამ, რასაც ქართველი მეფენი ბიზანტიის წინააღმდეგ ეწეოდნენ დაკარგული მიწების დასაბრუნებლად, ცხადჰყო, რომ მიზნის მიღწევა ჯერჯერობით შეუძლებელი იყო

---

172 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 292, 286.

173 Повествование Аристакэса, с. 70.

174 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 292.

175 იქვე, გვ. 386.

176 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 138.

177 Повествование Аристакэса, გვ. 70; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 293.

და ბრძოლის განგრძობას მისი დაუყოვნებლივ შეწყვეტა სჯობდა. მით უფრო, რომ ბიზანტიასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ხელ-ფეხს უხსნიდა დაეწყო მოქმედება კახეთ-ჰერეთისა და თბილისის საამიროს შემოსაერთებლად და მეფის ურჩი მსხვილი ფეოდალების თვითნებობის ასალაგმავად. ამიტომ გადაწყდა ბიზანტიასთან დაზავება და ეს რთული მისია თავს იდო ბაგრატ IV-ის დედამ მარიამმა, რომელიც, იაჰიას ცნობით, კონსტანტინეპოლს ეწვია[178]. ქართულ წყაროთა ჩვენებით, ეს მოხდარა კონსტანტინე VIII-ის გარდაცვალებისა და რომანოზ III-ის (1028—1034) აღზევების მესამე წელს. ამ დროს (ე. ი. 1031 წ.) აღნიშნავს „მატიანე ქართლისას" ავტორი, „წარვიდა დედოფალი მარიამ... საბერძნეთად ძიებად მშჯდობისა და ერთობისა, და კუალად ძიებად პატივისა კურაპალატობისა ძისათვის თჳსისა.. და მოყვანებისათჳს მის ცოლისა"[179].

ოდნავ განსხვავებულია კედრენეს ცნობა. განსხვავება იმაშია, რომ მის თანახმად, ბიზანტიის მპყრობელთან მარიამი პირადად კი არ წასულა, ელჩები გაუგზავნია[180]. მაგრამ ეტყობა ამ ცნობას სიზუსტე აკლია. ყოველ შემთხვევაში, რაკი არაბ და ქართველ მემატიანეთა მონაცემები ამ მხრივ ერთმანეთს ემთხვევიან, უპირატესობაც მათ უნდა მივანიჭოთ.

მარიამის მისია წარმატებით დასრულებულა. „მატიანე ქართლისაში", ნათქვამია, რომ ბერძენთა მეფემ „აღუსრულა ყოველი სათხოველი... მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყუარულისათჳს. დაუწერნა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისათჳს ელენე დედოფალი"[181], რომელიც იყო რომანოზ III-ის ძმის ბასილის ქალიშვილი[182].

როგორც ვხედავთ, ქართულ წყაროთა („მატიანე ქართლისა" და „სუმბატ დავითის ძის ქრონიკის") მონაცემები არა მარტო ადასტურებენ იაჰის ცნობის სისწორეს კონსტანტინეპოლში მარიამის გა-

---

178 В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი, გვ. 70.

179 ქართლის ცხოვრება. 1, გვ. 294, 386.

180 გეორგიკა, V, გვ. 55.

181 ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 294.

182 Н. Скабаланович, Византийское государство и церков в XI веке, СПб., 1884, გვ. 12—13; ს. ყაუხჩიშვილი (იხ. გეორგიკა, V, გვ. 56—57). სკაბალა-

მგზავრების[183] შესახებ, არამედ ზედმიწევნით ავსებენ, გვიხსნიან ამ ელჩობის მოწყობის დროს, მიზანსა და შედეგებს.

ელჩობის წარმატებით დამთავრების მიზეზების ახსნა ჩვენ მიზანს არ შეადგენს, მაგრამ ის მაინც უნდა ითქვას, რომ ამ წარმატებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა იმპერიის მაშინდელმა რთულმა საშინაო და საგარეო სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ, კერძოდ კი რომანოზ არგვიროსის (1028—1034) საწინააღმდეგო შეთქმულებამ, (რომელშიც იმპერიის დასავლეთი ნაწილის სხვადასხვა მხარის მმართველებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართველი მოღვაწენი გიორგი და ვარაზვაჩე) და ალეპოში1029 წ. მოწყობილი ლაშქრობის სრულმა მარცხმა. ასეთ ვითარებაში, თუ კეისარი საქართველოსთან დამოკიდებულებას არ შეცვლიდა, შეიძლებოდა განმეორებულიყო ის, რაც გიორგი I-ის დროს მოხდა სამხრეთ ტაოს მიწა-წყლის დასაბრუნებლად[184].

ასეთი მშვიდობა ცხადია, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა და, მართლაც მალე დაირღვა. როგორც ცნობილია, ელენე დედოფლის სიცოცხლე ხანმოკლე გამოდგა. გარდაიცვალა თუ არა იგი, რომანოზ არგვიროსმა მაშინვე ბაგრატის წინააღმდეგ მისი ნახევარძმა დემეტრე აამოქმედა და გარკვეული ზიანიც მიაყენა. მისი წყალობით ხელთ იგდო ანაკოფიის ციხე და ამით ბიზანტიას საშუალება მიეცა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებშიც შეედგა ფეხი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბიზანტია-საქართველოს შორის მიღწეულ სამშვიდობო შეთანხმებას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. კეისარი თავს იკავებდა პირდაპირ ლაშქრობაზე და ამით ხელსაყრელი ვითარება ექმნებოდა ბაგრატ IV-ს ეზრუნა ქვეყნის გაერთიანება-გაძლიერებაზე, რასაც მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ მიმართებით საჭიროა აღინიშნოს ბაგრატის ბრძოლა თავგასული განძის ამირა ფადლუნის წინააღმდეგ. როგორც უკვე ითქვა,

---

ნოვიჩი ელენეს გათხოვებას ბაგრატზე 1029—1030 წლით ათარიღებს (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 13), რაც ერთი წლით ჩამორჩება სინამდვილეს.

183 ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონსტანტინეპოლს წასულ მარიამს თან უნდა ხლებოდა მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქი (საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1, 1958, გვ. 198; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III. თბ., 1979, გვ. 182), მაგრამ ჩვენ მიერ მოტანილი არც ერთი წყარო ამას არ ადასტურებს.

184 უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 165—177.

ამირამ ფეხქვეშ გათელა ბაგრატ III-ისათვის მიცემული ყველა პირობა და ახლა საქართველოს დარბევასაც აღარ ერიდებოდა. იბნ ალ-ათირის ცნობით, მას ქართველებზე[185] თავდასხმისას გაუწყვეტია მრავალი, დაუტყვევებია რამდენიმე (ათასი) და დიდძალი ნადავლით უკან გამობრუნებულა[186]. ეტყობა ამ თავდასხმისას ქართველებს სერიოზული ზარალი განუცდიათ. ამიტომ, როგორც მემატიანე ამბობს, „თავისი ქვეყნისაკენ გაბრუნებული ფადლუნი, თურმე ნელა მიდიოდა, რადგან თავს უშიშრად გრძნობდა და ფიქრობდა, რომ მან ქართველები საბოლოოდ დაამარცხა"[187]. მაგრამ მისი ვარაუდი მცდარი გამომდგარა. ქართველები ჩქარა დადევნებია მას, დაუხოცავთ ათი ათასამდე კაცი მისი ხალხიდან და მასთან მყოფი მოხალისეებიდან, წაურთმევიათ წაღებული ნადავლი, აგრეთვე მთელი მათი ქონება და ისე დაბრუნებულან[188].

ეტყობა, ამ ლაშქრობას გულისხმობს „მატიანე ქართლისას" ავტორი, როცა წერს: „და დიდი ფადლონ ავად იქცეოდა, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოთა. და ვიდრე ყრმაღა იყო ბაგრატ, შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნენ ლიპარიტ და ივანე აბაზას — ძე; მოვიდა დიდი კკრიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით სომეხთა მეფე, და ჯაფარ ამირა ტფილელი, რამეთუ ესე ყოველნი პირობითა კკრიკესითა შეკრებილ იყვნეს ეკლეცს ფადლონს ზედა; გაქცეულ ფადლონ და აწყვდეს ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხვ ამიერითგან ვიდრე სიკუდილამდე შეჰავდა ფადლონ"[189].

ქართული წყაროები ლაშქრობის თარიღს არ ასახელებენ. ამიტომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია რამდენიმე ვარაუდი. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, აღნი-

---

185 ტექსტშია: الخزر, მაგრამ ბარტოლდის დაკვირვებით, აქ საქმე გვაქვს (ალბათ, გადამწერთა მიერ დაშვებულ.—ბ. ს.) შეცდომასთან და ამიტომ الخزر-ის ნაცვლად უნდა წავიკითხოთ الجرز ან الابخز (В. В. Бартольд, Хазары. Сочинение, т. V, М., с. 601). ბარტოლდისაგან დამოუკიდებლად ასეთივე დასკვნას აკეთებს ირანელი მეცნიერი ქასრავი (იხ. პ. თ ო ფ უ რ ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1975, გვ. 192). ჩვენ ვიზიარებთ რა ამ აზრს, გრაფიკული მოხაზულობის გამო უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია ტექსტისეული الخزر-ის წაკითხვა الجرز-ად.

186 ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, IX, გვ. 171.

187 იქვე.

188 იქვე.

189 ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 296.

შნული ლაშქრობა 1027—1030 წლებს შორის უნდა მომხდარიყო[190]. პ. თოფურია კი საძიებელი თარიღის ფარგლებს უფრო ავიწროებს და მას 1027—1029 წწ.-ში ათავსებს[191]. მაგრამ ორივე ამ თარიღს, ვფიქრობთ სიზუსტე აკლია, რადგან დაუდგენელი რჩება თუ კონკრეტულად როდის ჩატარდა აღნიშნული ლაშქრობა. ამიტომ, ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს იბნ ალ-ასირის ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფადლუნის ამ მარცხიან თავდასხმას საქართველოზე ადგილი ჰქონდა 421 წელს ჰიჯრით[192], ანუ 1030 წელს ქრისტიანული კალენდრით. დაახლოებით ასეთივე დასკვნამდე მივყავართ ქართულ წყაროთა მონაცემების ანალიზსაც.

„მატიანე ქართლისას" ავტორი ირწმუნება, რომ „ამიერიდან ვიდრე სიკუდილამდე შეჰავდა ფადლონ", ე. ი. ფადლონს ამ ლაშქრობის შემდეგ კიდევ უცოცხლია რამდენიმე ხანს და, როგორც ცნობილია, გარდაიცვალა 422 (1031) წელს[193]. მაშასადამე, აღნიშნული ლაშქრობა მართლაც 1030 წელს მომხდარა. ამას თითქოს რამდენადმე ეწინააღმდეგება ერთი გარემოება, კერძოდ, ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილის — კვირიკე კახთა მეფის გარდაცვალების თარიღი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, კვირიკე მოკლა ვინმე ოსმან მონამან... ქ^სა ჩ^ლთ. ქართ ს^ნთ[194] (1039) წელს. მ. ბროსეს გაანგარიშებით კი იგი 1029 წელს დაღუპულა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „შესაძლებელია, ბროსეს თარიღი ... უფრო სწორეც იყოს, ვიდრე ვახუშტისა"[195]. თუ დადასტურდება, რომ ეს ნამდვილად ასეა და კვირიკე 1029 წელს გარდაიცვალა, მაშინ ფადლუნის ლაშქრობის ალ-ასირისეული თარიღი ერთი წლით მაინც უნდა დავსწიოთ უკან. მაგრამ სანამ ეს არ დამტკიცდება, უპირატესობა არაბი ავტორის პირდაპირ ჩვენებას უნდა მივანიჭოთ.

ჭკუა ასწავლა რა განძის ამირა ფადლონს, რომელსაც საქართველოს გაერთიანება არ სიამოვნებდა, ბაგრატმა თბილისის საამიროს შემოერთება გადაწყვიტა.

---

190 ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა (საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 236).

191 პ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

192 იბნ ალ-ასირი, გვ. 115; პ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 192.

193 К. Э. Босворт. Мусульманские династии. М., 1971, с. 132.

194 ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 562.

195 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 236.

ბიზანტიის წინააღმდეგ ქართველ მეფეთა წარმოებული ბრძოლების წარუმატებლად დასრულების მიზეზი იყო საქართველოს სამეფოს სისუსტე, რასაც მისი დაქსაქსულობა განაპირობებდა. ეს მშვენივრად ესმოდა სამეფო კარსაც და სამშობლოს კეთილდღეობის მოსურნე დიდგვაროვანთა გარკვეულ ჯგუფსაც, მოწინავე აზნაურებს. ამიტომ, როგორც კი ბიზანტიასთან მშვიდობა დამყარდა, სრულიად ახალგაზრდა (12 წლის) ბაგრატი, თავისი ერთგული მრჩევლების კარნახით, მაშინვე ცალკეულ საერისთავოებად დანაწილებულ საქართველოს ტერიტორიის გაერთიანებას შეუდგა და ეს აუცილებელი, მაგრამ მეტად რთული საქმე მან, სრულიად მართებულად თბილისის შემოერთებით დაიწყო. თბილისის საამირო ხომ არაბთა ბატონობის დროს (VIII ს-ში) წარმოქმნილ მუსლიმურ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელიც თვითონაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს გაერთიანება-გაძლიერებას და საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილ სხვა სამთავრო-საამიროთა საიმედო მოკავშირის როლსაც ასრულებდა. ამდენად, მისი გაუქმება და საქართველოს სამეფოს ფარგლებში მოქცევა, მაჰმადიანურ საამიროებსაც მოუშლიდა საყრდენს და ქართულ სამთავროთა, კერძოდ, ჰერეთ-კახეთის შემოერთებასაც საგრძნობლად დააჩქარებდა.

როგორც ერქუშაანთ სოფლის (ამბარლოს) ეკლესიის წარწერა იუწყება, ბაგრატ IV თბილისის საამიროს შემოერთებას 1032 წელს შესდგომია, ხოლო ბრძოლის მოთავენი კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ლიპარიტის ძე და ქართლის ერისთავი ივანე აბაზას ძე ყოფილან[196]. „მატიანე ქართლისას“ ცნობით, მათ მუხათგუერდს გამოუტყუებიათ ტფილელი ამირა ჯაფარი, შეუპყრიათ და მისთვის ბირთვისი წაურთმევიათ, მაგრამ მეფის მოულოდნელ გადაწყვეტილებას კარგად დაწყებული საქმე არარაობად უქცევია. დატყვევებული ჯაფარი მას გაუთავისუფლებია და კვლავ „ტფილისის ზედა ამირად“ განუტევებია. მემატიანე ბაგრატის ასეთ მოქმედებას იმით ხსნის, რომ აფხაზთა მეფემ შეიწყალა იგი[197], მაგრამ ეს არ არის სწორი. მას რომ ამირა ასე ძლიერ შეცოდებოდა არც გაილაშქრებდა. ამიტომ მართალია ვ. კოპალიანი, რომელიც ვარაუდობს, რომ მეფემ ეს მოიმოქმედა

---

196 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 140.

197 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 296—297.

„ლიპარტის გაძლიერების მოწინააღმდეგე აზნაურების ჩაგონებით, რათა არ დაეშვათ თბილისის საამიროს ხარჯზე მისი სამფლობელოს გაფართოება[198].

ბაგრატის პოზიციამ ამირასადმი ქართველ მეფეს სარგებლობა არ მოუტანა, მისი მიზანი მიუღწეველი დარჩა, ჯაფარისა და ლიპარიტის ურთიერთ დამოკიდებულება კი მკვეთრად დაიძაბა. კლდეკარის ერისთავი არ ცხრებოდა, წაგებული საქმის თავის სასარგებლოდ შემობრუნებას ცდილობდა და მეფეს არწმუნებდა, ამირას წინააღმდეგ ბრძოლა განეახლებია. მეფე კი თვითონვე მიხვდა, რომ თბილისი ამირასათვის არ უნდა დაებრუნებია და ლიპარიტის რჩევას სიამოვნებით შეხვდა.

იბნ ალ-ასირის ცნობით, „429 (1037/8) წელს[199] აფხაზთა მეფემ ქალაქი თბილისი ალყაში მოაქცია და მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის მხრიდან მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა, გარემოცვას და შევიწროებას მაინც განაგრძობდა. როდესაც ხორაგი გამოელია და სურსათის მიწოდება შეწყდა, მოსახლეობამ აზერბაიჯანის მუსლიმებს დახმარება და სამხედრო მხარდაჭერა სთხოვა. მაგრამ როდესაც ღუზებმა აზერბაიჯანამდე მიაღწიეს და აფხაზებმა მათი მოახლოება შეიტყვეს, და ისიც გაიგეს, თუ როგორ უსწორდებოდნენ ისინი სომხებს, შიშისაგან თბილისს მაშინვე ალყა მოხსნეს და დატოვეს“[200].

იგივე ამბავი უფრო ვრცლად, ოღონდ უთარიღოდ, მოთხრობილია ქართულ წყაროებშიც. „მატიანე ქართლისას“ ავტორის მიხედვით, პირველი ლაშქრობიდან ცოტა ხნის შემდეგ, ბაგრატ IV-მ დახმარება სთხოვა გაგიკ კახთა მეფეს და, როდესაც კახელნი მოვიდნენ, ქართველთა შეერთებული ლაშქარი თბილისს გარშემოადგა. „მტკუარსა ამიერით, ზემოთ და ქვემოთ, აფხაზთა მეფის ლაშქარი“ იდგა; „წყალსა იმიერით, ისნით კერძო“ — ჰერ-კახნი. გარემოცვა ორ წელიწადს გაგრძელდა ამირა ჯაფარ ალის ძე და თფილელნი ისეთ დღეში ჩავარდნენ, რომ „ლიტრს ვირის ჯორცი ხუთას დრამად ასყიდიეს და ვერლარა დაუდგმიდეს შიმშილთა და ბრძოლათა ძლიერთა“. ქართველებმა ამირას წაართვეს ციხენი ორბეთი და ფარცხისი. ჯაფარი მზად იყო გაპარულიყო და თავი განძის მპყრობელთან შეეფარებინა, მაგრამ ქართველნი აჩქარდნენ. ზოგიერთმა დიდებულმა ლიპარი-

198 ე. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 181—182.

199 429 წელი დაიწყო 1037 წ. 14 ოქტომბერს და დამთავრდა 1038 წ. 3 ოქტომბერს.

200 ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, ტ. IX, გვ. 190.

ტისაგან ფარულად მეფეს ურჩია „არ გაძევება ამირასი“ და ბაგრატმაც დაამკვიდრა იგი „ტფილისსავე ზედა“[201].

ერთი შეხედვითაც კი აშკარად ჩანს, რომ არაბი მწერლისა და ქართველი მემატიანის ცნობები თბილისის საამიროს წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის შესახებ ერთმანეთს ავსებენ და აზუსტებენ. კერძოდ, ქართული წყაროდან ვგებულობთ, რომ თბილისის საამიროს წინააღმდეგ ბრძოლაში ბაგრატის გარდა მონაწილეობა მიუღია კახეთის მეფესაც, თბილისის ალყა ორ წელიწადს გაგრძელებულა და უშედეგოდ დასრულებულა ქართველთათვის მათივე აჩქარებულობის გამო. იბნ ალ-ასირი კი აღნიშნავს ლაშქრობის დაწყების თარიღს, გვიხსნის ქართველთა აჩქარებულობის, ანუ უკუქცევისა და საამიროს ვადარჩენის ობიექტურ მიზეზს, რასაც მნიშვნელობა აქვს ამ ისტორიული მოვლენის სწორი გაგებისათვის.

თუ ქართული წყაროს ცნობას დავუჯერებთ, მაშინ ისე გამოდის, თითქოს თბილისისათვის ალყის მოხსნა, ჯაფარ ალის ძის ამირად დატოვება და საამიროს დედაქალაქიდან განშორება ქართველ მეფეს და მის მრჩეველ დიდებულებს ლიპარიტის მტრობით ჩაედინოთ. არაბი მწერლის მიხედვით კი ქართველების აჩქარება იმით იყო გამოწვეული, რომ მათ ახალი, თანაც ძლიერი მტრის — ოღუზების მოახლოება შეიტყვეს და ისიც გაიგეს, რომ მათ უკვე სომხეთი აეკლოთ. ამიტომ ამირასთან და მის მიერ დასახმარებლად მოწვეულ აზერბაიჯანის გამგებელ ვაჰსუზანთან ომის გაგრძელებას, ქართველმა პოლიტიკურმა მესვეურებმა, თბილისის ალებაზე უარის თქმა ამჯობინეს და ქალაქს ალყა მოხსნეს. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, მეფისა და მისი მრჩეველი დიდებულების ეს გადაწყვეტილება ყველაზე გონივრული იყო[202]. სხვა შეფასება ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ფაქტისა არ არსებობს. ოღონდ ზოგს მიაჩნია, რომ თბილისის საამიროს შემოერთებაში ბაგრატს ხელი შეუშალა ოღუზთა გამოჩენამ[203]. ხოლო ზოგი კი თვლის, რომ „მეფეზე გადამწყვეტი გავლენა“ იქონია „ლიპარიტის წინააღმდეგ დაჯგუფებამ“[204]. ალბათ, ეს უკანასკნელი უფრო სწორია. ხომ ფაქტია, რომ სანამ ოღუზები მოვიდოდნენ და მათი დამაქცეველი მოქმედების შედეგები აშკარა გახდებოდა, საქართვე-

---

201 ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 297—298.

202 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142.

203 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

204 მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 163).

ლოში მანამ დაიძაბა პოლიტიკური ვითარება. მეფისა და მის თანამზრახველთა პოლიტიკა, ქვეყნის გაერთიანებას რომ ისახავდა მიზნად, ბევრს (როგორც შინაურს, ისე გარეშეს) არ მოსწონდა და ცენტრალური ხელისუფლების სულ უმნიშვნელო წარმატებაც კი მოსვენებას უკარგავდა. ამ მხრივ ქართველ დიდგვარიან აზნაურ ოპოზიციონერთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლიპარიტ ბაღვაში, ივანე აბაზასძე, კახთა მეფე აღსათან გაგიკისძე და სხვ., რომელთაც გარედან ზურგს უმაგრებდა, ქმედით დახმარებას უწევდა და მეფის წინააღმდეგ ამხედრებდა საქართველოს დაქუცმაცება-დასუსტებით სისხლხორცეულად დაინტერესებული ბიზანტია. ამიტომ ბაგრატ IV ამ ბოროტ შალთა წინააღმდეგ ბრძოლებით იყო ხელფეხშეკრული და თბილისის საამიროს შემოერთების საშუალება მას აღარ ჰქონდა. ესა და საქართველოს გაერთიანების საკითხიც დიდი ხნით გადაიდო. ხოლო ქვეყნის გაერთიანება-გაძლიერების მოწინააღმდეგე ძალები (როგორც შინაური, ისე გარეშე) თავიანთ სიბრიყვეში მაშინ დარწმუნდნენ, როცა სელჩუკები „ვითარცა მკალნი“ საქართველოსა და მთელ მცირე აზიას შოედვნენ და გაუნადგურებელი მათ არაფერი დარჩენიათ.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
პირველი თავი. არაბი და არაბულენოვანი მწერლების ცნობები IV—VI სს. საქართველოს შესახებ 6
მეორე თავი. არაბთა დაპყრობითი ომები 35
მესამე თავი. არაბთა ბატონობის დასაწყისი საქართველოში ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ 56
მეოთხე თავი. ომები ჩრდილოეთში და მათი შედეგები საქართველოსათვის 66
მუჰამმად იბნ მარვანის ლაშქრობა 68
ალ-ჯარრაჰის პირველი ლაშქრობა 71
ალ-ჯარრაჰის მეორე ლაშქრობა და მისი „დაცვის სიგელი“ . . 74
აჯანყებები და მათი მიზეზები 88
საზარების გაძევება ამიერკავკასიიდან. არჩილ მეფის გახიზვნა ეგრისს, სამთა კავშირი არაბთა წინააღმდეგ და „მურვან ყრუს“ ლაშქრობა 96
მეხუთე თავი. საქართველო VIII ს. II ნახევარში 107
არაბთა ბატონობის გაძლიერება 107
ა) თბილისის საამიროს წარმოქმნა 107
ბ) რას ტარხანის ლაშქრობა 110
ქართველი ხალხის ბრძოლა არაბობის წინააღმდეგ . . . 126
ა) წანარების აჯანყება 126
მეექვსე თავი. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა IX ს. II-ნახევარში 138
თბილისის ამირების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის . . . 138
ბუღა თურქის ლაშქრობა 147
არაბობის დასასრულის დასაწყისი 163
დამატება. პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში არაბობის დასასრულიდან სელჩუკობამდე 169
ურთიერთობა ბიზანტიასთან დავით III კურაპალატის დროს . 169
გიორგი I-ის ბრძოლა ბიზანტიის მიერ მიტაცებული დავით III-ის სამფლობელოს დასაბრუნებლად 186
ბაგრატ IV-ის ღონისძიებანი 210
ბრძოლა თბილისის საამიროს შემოსაერთებლად 220

Вениамин Георгиевич Силагадзе

АРАБСКОЕ ГОСПОДСТВО В ГРУЗИИ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1991

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4559

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი თ. ჯაფელი
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ც. ქიტიაშვილი

გადაეცა წარმოებას 25.2.91; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.8.91;
ქაღალდის ზომა 60×84 1/16. ქაღალდი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 13.02;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11.9;
ტირაჟი 3200; შეკვეთა № 362

ფასი 4 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19